საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

განათლება
GANATLEBA

№ 3(26) 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

განათლება
ГАНАТЛЕБА
GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

3(26)
2019

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით (ოქმი №7)

№3 (26), 2019 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი, სტუ პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბედალოვი ჩინგიზ — პროფესორი, ბაქოს სლავური უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადმიის წევრი

კონსტანტინე რამიშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

გელა ყიფიანი — პროფესორი, საავიაციო უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით გოცირიძე — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ მაღრაძე— პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ბონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ხუხუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ლია მეტრეველი — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: http://newsletters.gtu.ge

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№3 (26), 2019

Editor – **Temur Jagodnishvili,** Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Sub-editor – **Zurab Chachkhiani,** Professor, Georgian Technical University

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University;

Chingiz Bedalov– Baku Slavic University, Academy Membar of Georgian Academy of Education Sciences;

Konstantine Ramisvhil – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences;

Gela Kipiani – Professor, University of Aviation;

Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University;

David Gothsiridze – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Ivane Jagodnishvili– Professor, Georgian Technical University;

Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University;

Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University;

Giorgi Khukhuni –Professor, Lingvistic University of Moscow;

Lia Metreveli– Associate professor Georgian Technical University;

Jiri Klapka– professor, Karlos University (CZE);

Raphael Guzman Tirado – Professor, University of Granada (SPA);

Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI);

Cecilia Ode – University of Amsterdam (NED);

Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS).

Editor office: Temur Jagodnishvili

Technical editor: Asmat Pipia

The author/the authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU

TEL.: (032) 236 57 07

web-said's adress: http://newsletters.gtu.ge

e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

შინაარსი

პროფესორი ზურაბ ჩაჩხიანი - 80 13

გურამ გვენეტაძე - 70 16

განათლების მეცნიერებანი

თემურ ჯაგოდნიშვილი
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 19

ივანე ოსაძე
ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტების სწავლება ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 35

მამაზადე რაგიმახანუმ
კორპორაციული სწავლების არსი 42

მანანა ქაჯაია, მარიამ ქვრივიშვილი
ტრადიციები და ცხოვრებისეული შტრიხები აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში“ 47

მარიამ გელაშვილი
როგორ ვასწავლი 58

გულიკო დევდარიანი
ქართული წერითმეტყველების სწავლება აზერბაიჯანელ მსმენელთათვის 62

ნინო სეფაშვილი
საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმა, უწყვეტობა, დემოკრატია და ინტერნაციონალიზაცია როგორც სოციალური პრობლემა 66

ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა

თამარა მებუკე
საკომუნიკაციო თეორიის შესახებ 71

მანანა ქაჯაია
საყურადღებო რეცენზია აკაკი წერეთლის ბიბლიოგრაფიაზე (1858 – 1915 წ.წ.) 79

სოციალური მეცნიერებები

ვაჟა პაპასკირი
ადამიანის სახე - პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტი..... 84

თამარ ბონდარენკო
დეზინმფორმაციის საკითხთან დაკავშირებით **..... 91**

როზა გაფრინდაშვილი
„სამართლიანობის, სიკეთისა და სიბრძნის დამსხვრეული იდეალები!“..... 96

ქეთევან გიორგობიანი
მედიის თვითრეგულირების ეფექტური მექანიზმები 101

ლია ქათამაძე
მედიაკულტურის სოციალური როლი და მისი რეპრეზენტაციული ბუნება. 108

მამუკა შელეგია
რეკლამით დანახული საქართველო 114

ანა არჩვაძე
„კვირის რეპორტაჟის“ 2011-2012 წ.წ. ჟურნალისტური გამოძიებების
თავისებურებანი 128

სოფიკო გორგილაძე
სოციალური მედიის ფუნქციონალური ცვლილებები ციფრიზაციის
ეპოქაში 134

ვაჟა დანელია
სპორტის ჟურნალისტიკის სოციალურ-ემოციური ასპექტები 138

მაია იანტბელიძე
ვაჟა-ფშაველა სატირისა და იუმორის შესახებ..... 146

ელენე კაკაბაძე
რეკლამა, როგორც ბრძოლის იარაღი, Coca-Cola vs Pepsi-ს მაგალითზე 151

ალექსანდრა ლატარია
ტრადიციული ჩინური ოჯახი 158

დიანა ლიპარტელიანი
ინფორმაციული საზოგადოების რაობა 163

მაგდა ფერაძე
გემბლინგი - „ჩუმი მკვლელი“ 167

ინგა ქონიაშვილი
კომუნიკაცია – ინტერკულტურული მედიუმი და კულტურის კონცეპტი 173

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ნინო გომართელი
ჯონ პონეტი – დიდი ევროპელი ჰუმანისტი და რეფორმატორი 180

ჯემალ ბერიძე
პოლიტიკური პარტიები რესპუბლიკამდელ თურქეთში 189

ზვიად გიორგაძე
კათოლიკე მისიონერთა რელაციონების მნიშვნელობა და როლი შუა
საუკუნეების საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში 197

გიორგი გოგიაშვილი
2008 წლის ომი და მისი შედეგები 202

ედუარდ დემეტრაშვილი
გაეროს სადამკვირვებლო ორგანოების სისტემის ჩამოყალიბება 211

დავით მაისურაძე
აშშ-ის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში 214

ნათია სულავა
პოლიტიკა და პოლიტიკური ტექნოლოგიები დანტე ალიგიერის და
ნიკოლო მაკიაველის შემოქმედებაში 220

მზია წიკლაური
საცხოვრებელი სახლები პირიქითა ხევსურეთში 240

რუსუდან ჭილაძე
ქალთა მიერ განცდილი ტრავმები საომარი კონფლიქტების დროს 249

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ელისაბედ ხახუტაშვილი
მარკეტინგის როლი ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში 253

ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ

მამედ აბდულკარიმოვი
Общие замечания по уравнению для задачи 257

ვახტანგ აბაიშვილი
ლენტახერხიანი ჩარხის საკუთარი რხევის სიხშირის განსაზღვრა..... 261

ომარ კეთილაძე, მანანა ჩიხლაძე, ილია ქანთარია
სითხის სიბლანტის კოეფიციენტის გაზომვა პუაზეილის ფორმულის გამოყენებით..... 265

CONTENTS

Professor Zurab Chachkhiani - 80 13

Guram Gvenetadze - 70 16

EDUCATION SCIENCES

Temur Jagodishvili
Georgian language educational program training at Georgian Technical University 19

Ivane Osadze
Training course "Tolerance and Diversity" in the framework of Georgian language preparatory educational program 35

Mamadzade Ragimakhanum
Cooperativelearning 42

Manana Kajaia, Mariam Kvrivishvili
Traditions and Life Traits in Akaki Tsereteli's Poet "Gamzdeli" 47

Mariam Gelashvili
My teaching methods 58

Guliko Devdariani
This artich discuss teaching Georgian language to Azerbaijanis people 62

Nino Sepashvili
Higher Education Reform, Continuity, Democracy and Internationalization in Georgia as a Social Problem 66

P H I L O L O G Y

Tamar Mebuke
On the Theory of Communication 71

Manana Kajaia
Interesting review about Akaki Tsereteli Bibliography 79

SOCIAL SCIENCES

Vaja Papaskiri
The human face - a psychological portrait of personality **84**

Tamar Bondarenko
To the issue of misinformation **91**

Roza Gaprindashvili
"Shattered ideals of justice, good and wisdom" **96**

Ketevan Giorgobiani
Effective mechanisms for media self-regulation..... **101**

Liana Katamadze
Social Role of Media Culture and Its Representative Nature **108**

Mamuka Shelegia
Georgia seen through advertising **114**

Ann archvadze
Peculiarities of "Weekly Report" Journalistic Investigations 2011-2012..... **128**

Sofiko Gorgiladze
Social media functionality changes In the era of digitization..... **134**

Vaja Danelia
Socio-emotional aspects of sports journalism..... **138**

Maia Iantbelisdze
Vazha Pshavela about humour and satire **146**

Elene Kakabadze
Advertising, as a weapon in marketing war, based on the example of
Coca-Cola vs Pepsi **151**

Aleksandra Lataria
Traditional Chinese Family **158**

Diana Liparteliani
The essence of Informational Society 163

Magda Feradze
Gambling - The Silent Killer 167

Inga Koniashvili
Communication – Intercultural Medium and The Concept of Culture 173

PUBLIC SCIENCES

Nino Gomarteli
John Ponet - a great European humanist and reformer 180

Jemal Beridze
The Formation of the Political Parties in Turkey 189

Zviad Giorgadze
The Importance and Role of Catholic Missionaries' Relations in
the Cultural Life of Medieval Georgia 197

Giorgi Gogiashvili
The 2008 war and consequences 202

Eduard Demetrashvili
UN monitoring bodies system 211

Davit Maisuradze
US Factor in South Caucasus Geopolitics 214

Natia Sulava
Politics and political technologies in the works of Dante Alighieri and Niccolò
Machiavelli 220

Mzia Tsiklauri
Residential houses on the contrary Khevsureti 240

Rusudan Tchelidze
Women's traumas during war conflicts 249

E C O N O M I C S

Elisabed Khakhutashvili
Role of marketing in Quality Management System..... **253**

S C I E N C E

Mamed Abdulkaramovi
General comments on the equation for the problem **257**

Vakhtang Abaishvili
Determine the frequency of your own lenticular machine vibration **261**

Omar Ketiladze, Manana Chikhladze, Ilia Kantaria
Measurement of the viscosity coefficient of a liquid using poiseuille's formula **265**

ჩვენი იუბილარები

პროფესორი ზურაბ ჩაჩხიანი - 80

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ზურაბ ჩაჩხიანს.

პროფესორი ზურაბ ჩაჩხიანი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი მეცნიერი, თვალსაჩინო მკვლევარი და საზოგადო მოღვაწეა. მან საინტერესო ფურცლები ჩაწერა ქართული ფიზიკის მეცნიერების ისტორიაში და გაამდიდრა ახალი, ინოვაციური ცოდნით, დიდი წვლილი შეიტანა თორიუმისა და ურანის ბაზაზე შექმნილი მასალების (აქტინიდების) სტრუქტურული მაგნიტოქიმიის ფუნდამენტურ კვლევებში, ფიზიკის სამყაროს ისეთ უაღრესად რთულ სფეროში, როგორიც არის მაგნიტოქიმია. პროფესორი ზურაბ ჩაჩხიანის მეცნიერულმა კვლევებმა, ამ დარგში შექმნილმა მონოგრაფიებმა და სახელმძღვანელოებმა შეადგინა სწორედ კლასიკური ფონდი.

პროფესორ ზ. ჩაჩხიანის მიერ პროფესორ ლუდვიგ (იურა) ჩაჩხიანთან და ვ. ჩეჩერნიკოვთან ერთად შექმნილი მონოგრაფიები `თორიუმის შენადნობების და ნაერთების მაგნეტიზმი~ (1986) და `ურანის ინტერმეტალური შენაერთები~ (1990, ლ. ჩაჩხიანის თანაავტორობით) აღნიშნული სახელმწიფო პრემიით.

პროფ. ზ. ჩაჩხიანისა და მისი თანაავტორების აღიარებულ მიღწევათა შორის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მეტალური ურანის ალოტროპიული ფაზური გარდაქმნის ფენომენოლოგიური თეორიის დამუშავებას, რომლის საყოველთაოდ აღიარებული მიღწევა იყო ბონდერირებულ გარემოში უნარის პლუტონიუმის, ამერიციუმის ატომების არასფერულობის დადგენა. ამ შედეგებს

დაემყარა ურანის ნაერთების გიგანტური მაგნიტური ანიზოტროპიისა და გიგანტური მაგნიტოსტრიქციის მექანიზმის გააზრება და მათი დეტალური რაოდენობრივი თეორია.

პროფ. ზ. ჩაჩხიანის მეცნიერულ მიღწევათა შორის გამოიყოფა ჰალკოგენიდებში ურანის ძირითადი დონეების კლასიფიკაცია კრისტალური ველის სუპერპოლარული მოდელის საზღვრებში; ექსპერიმენტული მეთოდის დამუშავების ახალი მეთოდიკის შექმნა, რომლის მეშვეობითაც თორიუმისა და ურანის იზოსტრუქტურულ ნაერთებში გაცვლითი ურთიერთქმედების განსხვავებული მექანიზმების გამოყოფა ხერხდება.

გამორჩეული მნიშვნელობისაა თორიუმისა და ურანის ტერნარული ჰალოგენიდების კლასის ფიზიკურ-ქიმიური მასალათმცოდნეობის საფუძვლების შექმნა. აღნიშნულ კვლევებს დიდი მნიშვნელობა აქვს მყარი სხეულების ქიმიისა და ფიზიკის თანამედროვე პრობლემებზე მომუშავე ქიმიკოსების, ფიზიკოსების, ინჟინრებისათვის.

პროფ. ზ. ჩაჩხიანისა და მისი თანაავტორების აღნიშნულ მონოგრაფიებს ანალოგი არ გააჩნია და მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია, რასაც 1996 წელს მათთვის საქართველოს სახელმწიფო პრემიის მინიჭებაც ადასტურებს.

პროფ. ზ. ჩაჩხიანისა და მისი თანაავტრების აღნიშნული მონოგრაფიების შესახებ ნათქვამია, რომ ისინი `წარმოადგენენ ჩვენი მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენს~, რომ `ენერგეტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ბაზური, წყალქვეშა და კოსმოსური ობიექტების ელექტრონული ენერგიით მომარაგების საგრძნობი მოცულობა მოდის ატომური რეაქტორ-სადგურების, თერმოელექტრული და თერმოემისიური ბირთვული ენერგეტიკული დანადგარების წილად, რომელშიც ბირთვული საწვავის მიერ გამოყოფილი ენერგია სხვადასხვა მეთოდებით გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად და ეს წილი დღითი დღე იზრდება...~ ა. ჩაჩხიანის (თანაავტორებთან ერთად) მონოგრაფიები `მიძღვნილია სწორედ ურანისა და თორიუმის ბაზაზე შექმნილი მასალების, ე. წ. აქტინიდების სტრუქტურული და მაგნიტოქიმიური თვისებების კვლევის ფუნდამენტური პრობლემისადმი~ (აკადემიკოსი რ. სალუქვაძე). აღნიშნულ მონოგრაფიებზე ისიც არის ნათქვამი, რომ `კარგად არის ცნობილი როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ისე საზღვარგარეთ. მათზე აკეთებენ მითითებებს როგორც პერიოდიკაში, ისე სახლემძღვანელოებსა და მონოგრაფიებში~ (აკადემიკოსი ლ. ბუიშვილი). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. სანაძემ კი ზემოაღნიშნული მონოგრაფიები ასე შეაფასა: `ავტორების მიერ შესრულებულია ძალიან დიდი მოცულობის მაღალხარისხიანი სამუშაო. მონოგრაფიებში მოცემული მასალა მეტად საჭირო მეცნიერულ და საცნობარო ინფორმაციას შეიცავს~.

პროფ. ზ. ჩაჩხიანი მეცნიერებისა და განათლების (სასწავლო პროფესის) დიდი ორგანიზატორია. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ფიზიკის კათედრის ლაბორატორიების განახლება-რეორგანი-

ზაცია (თბილისში, რუსთავის, ბათუმის, ჭიათურის, ტყვარჩელის, ტყიბულის ფილიალებში), დაარსდა სასწავლო-ლაბორატორიები ზოგადი ფიზიკის სამსავე ნაწილში.

შთამბეჭდავია პროფ. ზ. ჩაჩხიანის პედაგოგიური მოღვაწეობა. მან დანერგა და პირველმა წაიკითხა ახალი სასწავლო დისციპლინის `მაგნიტოქიმიის~ ლექციების კურსი, გამოსცა ორტომეული ნაშრომი. ამას გარდა, მან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფიზიკის აქტუალური საკითხების შესწავლას, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა ბირთვული მასალების სექტორი, სამეცნიერო სკოლა, რომლის უაღრესად დიდი მიღწევები აღიარებულ იქნა 1989 წელს გრენობლში (საფრანგეთი) ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე `პლუტონიუმ-89~. ეს სკოლა დარგის ლიდერად გამოცხადდა.

პროფ. ზ. ჩაჩხიანი დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება ახალგაზრდა მეცნიერთა და პედაგოგთა აღზრდის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ათეულობით საკანდიდატო და არა ერთი სადოქტორო დისერტაციები.

მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგნეტიზმის კათედრასთან თანამშრომლობით პროფ. ზ. ჩაჩხიანი აწარმოებს კონპლექსურ კვლევებს ურანის, თორიუმის, იშვიათ.... ინტერმეტალური შენაერთების და მათი მყარი ხსნარების მაგნიტური და მექანიკური თვისებების შესასწავლად. ამ კვლევების შედეგები გაერთიანდა ორ მონოგრაფიაში (თოროუმისა და ურანის პრობლემატიკაზე, რომელთა მნიშვნელობა შეფასდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის მინიჭებით.

პროფ. ზ. ჩაჩხიანს ეკუთვნის 170-მდე სამეცნიერო ნაშორმი, მათ შორის 16 წიგნი და მონოგრაფია, 13 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. მათგან განსაკუთრებულია ორტომიანი სახელმძღვანელო `მაგნიტოქიმია~ (2009).

მისი მეცნიერული კვლევების შედეგები მოხსენებული იყო საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე.

პროფ. ზ. ჩაჩხიანმა ინჟინერთა მრავალი თაობა აღზარდა - ბაკალავრები, მაგისტრები, აკადემიური დოქტორები.

პროფ. ზ. ჩაჩხიანი ნაყოფიერ და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. არის სტუ სამეცნიერო ჟურნალის `განათლების~ რედაქტორის მოადგილე, დარგობრივი სამეცნიერო აკადემიებისა და სამეცნიერო პერიოდულ გამოცემათა რედკოლეგიების წევრი.

ჟურნალ `განათლების~ რედაქცია გულითადად ულოცავს აკადემიკოს ზურაბ ჩაჩხიანს დაბადების 80 და საზოგადოებრივი, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს, უსურვებს დიდი ხნის ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს, წარმატებულ პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ჟურნალ „განათლების“ რედაქცია

გურამ გვენეტაძე - 70

დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერ-სიტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორს ქართველოლოგიის საუნივერსიტეტო-საფაკულტეტო სამეცნიერო ცენტრის მენეჯერს გურამ გვენეტაძეს.

პროფესორი გურამ გვენეტაძე დაიბადა 1949 წლის 22 აგვისტოს ქალაქ ტყიბულში. მამა გიორგი გვენეტაძე - განათლებით ფილოლოგი - განათლების აქტიური და ნაყოფიერი მუშაკი იყო, მუშაობდა ტყიბულის განათლების განყოფილების გამგის თანამდებობაზე, წლების განმავლობაში იყო ქ. ტყიბულის N 7 საშუალო სკოლის დირექტორი. დედა-ნინო ჭელიშვილი სახელგანთქმული მეშახტის სოციალისტური შრომის გმირის პოლიაქტორ ჭელიშვილის ქალიშვილი მედიცინის მუშაკი ბრძანდებოდა - იყო ქ. ტყიბულის ჯანდაცვის სისტემის ქირურგიული კაბინეტის თანამშრომელი. განათლებისა და ინტელექტუალური სამყაროსადმი გამორჩეული ინტერესი გ. გვენეტაძეს იმთავითვე ჩაუნერგა ოჯახმა და ოჯახურმა ტრადიციებმა, რასაც მან ღირსეულად უერთგულა - ცხოვრების გზად აირჩია ფილოლოგიის სამყარო და აქტიური

პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობით შეძლო თავისი სათქმელის თქმა და ღირსეული კვალის გავლება.

გ. გვენეტაძემ 1966 წელს დაამთავრა ქ. ტყიბულის მეორე საშუალო სკოლა და შრომით საქმიანობას შეუდგა ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში.

გ. გვენეტაძემ 1968 წელს, უკვე შრომის სულისკვეთების შეგნებით გამსჭვალულმა, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში გამოავლინა გ. გვენეტაძემ გასაოცარი ენერგიულობა და მზაობა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისადმი. იგი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დოსაფის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩიეს, რომელსაც წლების განმავლობაში უძღვებოდა და არა ერთ სასიკეთო საქმეს დაადგა თავი.

გ. გვენეტაძემ 1973 წელს დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი და მშობლიურ უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას შეუდგა პროფესორების პროკლე კეკელიძისა და იუზა ევგენიძის ხელმძღვანელობით. 1984 წელს მან დაასრულა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარადგინა გამოკვლევა „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ისტორია.“ იმავე წელს ეს გამოკვლევა ცალკე წიგნადაც გამოიცა. გ. გვენეტაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1985 წლიდან 1991 წლამდე გ. გვენეტაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის გიორგი ჯიბლაძის ხელმძღვანელობით მუშაობდა „შრომის ესთეტიკური კულტურის ლაბორატორიაში“ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1991-2003 წლებში იგი პედაგოგიურსა და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა „ბიზნესისა და მარკეტინგის“ უმაღლეს სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის თანამდებობაზე, პარალელურად, 1994-2001 წ.წ, იყო სახელმწიფო საწარმოს „ეკოს“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე, 2001 წელს გ. გვენეტაძე აირჩიეს საქართველოს ეროვნული აკადემიის სწავლულ მდივნად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. გვენეტაძის საზოგადოებრივი საქმიანობა. მან, მაგალითად, დიდი წვლილი შეიტანა ბიეთნიკური ოჯახების პრობლემის კვლევის მიზნით 2008 წელს საერთაშორისო ფონდის „ფემილის“ ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში. იგი 2013 წლამდე ამ ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ფუნქციებს ასრულებდა.

2013 წლიდან დღემდე გ. გვენეტაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელია და აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა - კითხულობს ლექციებს კომუნიკოლოგიის პრობლემებზე. პროფ. გ. გვენეტაძე ნაყოფიერი მკვლევარიცაა. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული

სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა წიგნი „ქართული ლიტერატურული ცნობიერების კომუნიკაციური რეალიები“ (2019).

პროფ. გ. გვენეტაძე შესანიშნავი მეოჯახეა. იგი მამულიშვილობის დიდი შინაარსის გაცნობიერებითა და სულიერებით გამორჩეული ოჯახის თავკაცია და მეუღლესთან-შესანიშნავ ქალბატონ ეთერ გოგავასთან ერთად, რომელიც უნივერსიტეტელი ფილოლოგია განათლებით, - სამშობლოს წინაშე მოვალეობის სრული შეგნებით უზრდის შვილებსა და შვილიშვილებს.

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათაფაკულტეტი,ქართულიფილოლოგიისადამედიატექნოლოგიების დეპარტამენტი, ჟურნალ „განათლების“ რედაქცია გულითადად ულოცავს პროფესორ გურამ გვენეტაძეს დაბადების 70 წლისთავს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს პროფესიულ მოღვაწეობის ასპარეზზე.

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი

ჟურნალ „განათლების“ რედაქცია

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო
პროგრამის ხელმძღვანელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წერილში განხილულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო (1+4) პროგრამის კონცეფციის, სწავლება/სწავლის საკითხები. აღწერილ-დახასიათებულია მიზნები, სწავლის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო პროგრამა, ქართული ენა, სწავლა, სწავლება

შესავალი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 2010 წლიდან დამკვიდრდა, დიდი სახელმწიფოებრივი და კულტურული მნიშვნელობა აქვს. მისი მიზანია, ერთი მხრივ, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართულ ენაში იმ დონის ცოდნის მიცემა (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბრის გრადაცია), რომელიც აუცილებელია ქართულ ენაზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად, მეორე მხრიც, ქართველ საზოგადოებაში მარტივად ინტეგრირებისათვის ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ღირებულბების სწავლება პრინციპით - ენა კულტურით და კულტურა ენით.

პროგრამას აქვს სასწავლებლად დაშვების წინაპირობა. ისინი საჯაროა და ხელმისაწვდომი. ამასთან შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და შინაარსს, მოქმედ კანონმდებლობას.

ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტირების შედეგების საფუძველზე (აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტებისათვის). ამასთან ამ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ძირითადი ნაწილი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2010 წლიდან ფუნქციონირებს, ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ბაზაზე, თავიდან სტუ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ამჟამად სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში. პროგრამა აკრედიტებულია, პირველი აკრედიტაცია 2012 წელს გაიარა. ამის შემდეგ რამდენჯერმე განიცადა მოდიფიცირება. პირველი მოდიფიცირების პროცესში დაზუსტდა პროგრამის მიზნებში ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების აკადემიური ზღვარი (B1+ დონე); ენის სწავლება დაკონკრეტდა პუნქტებად - `მოსმენა~; `კითხვა~; `ლაპარაკი~; `წერა~; პროგრამას დაემატა `აღწერის~ პუნქტი; სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) გადამუშავდა სემინარების თემატიკა.

მეორე მოდიფიცირება პროგრამამ 2014 წელს განიცადა. ამ ეტაპზე დეტალურად დაზუსტდა სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) გამრავალფეროვნდა სასწავლო სახელმძღვანელოებითა და დამხმარე ლიტერატურით.

2017 წელს პროგრამამ კიდევ ერთი მოდიფიცირება განიცადა: სილაბუსებში გაიწერა შუალედური და დასკვნითი გამოცდების საათები.

2018 წელს პროგრამამ გაიარა მეოთხე მოდიფიცირება: შეიცვალა სილაბუსების ფორმა, კოდი, ხოლო 2019 წელს დაზუსტდა პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები. სტუ აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე ცვლილება განიცადა პროგრამის ფორმამ (დაემატა სწავლების შედეგები, პროგრამის მიზნებისა და სწავლების შედეგების რუკა), სასწავლო კურსი „ქართული ენის ფრაზეოლოგია~ შეიცვალა `ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტებით“, `ლინგვოქვეყანათმცოდნეობა-2~ - ინტერკულტურული, მრავალფეროვანი სწავლების კომპონენტის ფუნქციის სასწავლო კურსით `ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები~. `ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული

კურსი 1/2~, ასევე ზეპირმეტყველების ანალოგიური დანიშნულების კურსი, `ქართული მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხების~ სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ითვალისწინებდა ლექციასა და სემინარულ მუშაობას. მოდიფიცირების საფუძველზე ეს სასწავლო კურსები მხოლოდ პრაქტიკულია.

ასე, რომ, ამოქმედების დღიდან პროგრამის სრულყოფასა და ხვეწაზე მუშაობა პერმანენტულად მიმდინარეობს. ამ მიზნით შექმნილია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი, ხოლო ჯგუფის წევრები არიან: ასოც. პროფ. მ. ქაჯაია, ასოც. პროფ. რ. ძნელაძე, ასოც. პროფ. ი. ოსაძე; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფ. ე. შაკიაშვილი, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების უფროსი ი. ბახტურიძე, მთავარი სპეციალისტი ქ. მარღიშვილი, კურსდამთავრებულები შახლა ისაევა, ელვინ ტიგიევი, ელადა აკპეროვა, ალი მამედოვი.

თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგები სისტემატურად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

სტატისტიკური მონაცემები, კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგები ცხადყოფს, რომ პროგრამისადმი ინტერესი დიდია და მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. პროგრამა საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

პროგრამისადმი მზარდ ინტერესსა და მოთხოვნას განაპირობებს სწავლის შედეგები, რომლებიც ზუსტად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას; მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტურია.

ჩენი პროგრამა ითვალისწინებს სწავლების შემდეგ მომენტს:

● **აღწერს** ისტორიულ-ეთნოლოგიური, ზეპირსიტყვიერი, ლიტერატურული ხასიათის თხრობითი მარტივი ტექსტების ლინგვოკულტუროლოგიურ მონაცემებს; ცხადყოფს ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზებს; ენის ნორმების შესატყვის ზეპირ მონოლოგიურ კონსტრუქციებს; ქართული ენის ძირითად ფონეტიკურ მოვლენებს - ჟღერადობას, სიყრუეს, სიმკვრივეს, ასიმილაციას, დისიმილაციას, მეტათეზისს; ქართული ენის ბგერით შედგენილობას, სტრუქტურას, სისტემის თავისებურებებს; ქართული წერითი მეტყველების სპეციალურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს; ქართული ენის გრამატიკის (მორფოლოგიის) ელემენტარულ საკითხებს; ქართულ სინტაქსურ კონსტრუქციებს, სიტყვათა დაკავშირების წესებს; ქართული მულტიკულტურალიზმის თავისებურებებს.

● **ჩამოთვლის:** ლექსიკურ ნაირსახეობებს, ლექსიკური სისტემის, სემანტიკის თავისებურებებს; ლექსიკის ათვისებისა და მისი გაღრმავების მიმართულებებს; ფონური (ელემენტარული) ცოდნის საფუძველზე, ქართული

სახალხო, ყოფითი და ელიტარული კულტურების თავისებურებებს; ქართული ზეპირმეტყველების სპეციფიკურ, თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს; პროფესიულ საქმიანობაში წერის სტრატეგიების გამოყენების თავისებურებებს; მეტყველების ნაწილებს, მათ თავისებურებებს; ავტოქთონი მოსახლეობის და ეროვნული უმცირესობების ეთნოკულტურების ღირებულებით ელემენტებს; ქართული ენის კომუნიკაციურ თავისებურებებს; ქართული ენის დიალოგისა და სინტაქსურ კონსტრუქციებს;

ქართული მართლმეტყველების, მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხების ძირითად ასპექტებს; ქართული ენის სინტაქსის თავისებურებებს.

● **განსაზღვრავს:** ბგერათა ჯგუფებს წარმოთქმას ადგილის მიხედვით; ქართული ენის სპეციფიკას მშობლიურ ენასთან მიმართებით; ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების გამოვლენებს; ქართულ ენაზე მოსმენილი ტექსტების თარგმნისა და ანალიზის უნარის საჭიროებას; დიალოგის წარმართვის პრაქტიკულ ენობრივ სტრატეგიებს; წინადადების კონსტრუირების მნიშვნელობასა და ქართულ ენობრივ-სტილისტიკურ თავისებურებებს.

● **აანალიზებს:** ქართული კულტურის საკითხებზე მარტივი წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დამყარების მიზანშეწონილებას; ქართული კულტურის, ენის, მეტყველების ბუნების შესახებ ინფორმაციის კლასიფიცირებას, ფაქტების შეჯერებას, განზოგადებასა და პრაქტიკაში გამოყენების მიზანშეწონილობას; ლექსიკური ერთეულების მიზნობრივად გამოყენების მიზანშეწონილობას; სიტყვაწარმოების გამოყენებით, მიზნობრივ ლექსიკურ ერთეულებს; ქართულ ზეპირმეტყველებაში გამოკვეთილ შეცდომებს და სწორებებს; კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს (ჩუმი კითხვა, პაუზებით კითხვა, მთლიანობით კითხვა); ფონეტიკურ მოვლენებს სრულფასოვნი ვერბალური კომუნიკაციის დასამყარებლად; ქართულ მართლწერაში გამოკვეთილ უზუსტობებს და ასწორებს ქართულ ენაში (მორფოლოგიაში) გამოკვეთილ პრობლემებს, სწორად აკავშირებს სიტყვებს. ქართულ ენაზე დიალოგის პროცესში გამოკვეთილი უზუსტობებს;

ქართულ მართლწერაში რთულ ტექსტზე ორიენტირებისას გამოკვეთილ უზუსტობებს და ასწორებს ქართულ მეტყველებაში სწორ და არასწორ ფორმებს; არჩევს მათ გამოსასწორებლად სათანადო ენის ნორმებს; ქართულ ენაზე დიალოგისას გამოკვეთილ უზუსტობებს, აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს.

● **ამოიცნობს:** ფონური (ელემენტარული) ცოდნის საფუძველზე, ქართული სახალხო, ყოფითი და მაღალი კულტურების თავისებურებებს; ლექსიკის ათვისებისა და მისი გაღრმავების მიმართულებებს; ქართული ენის ფონეტიკის მკაფიოდ გამოკვეთილ პრობლემებს; ქართულ მართლწერაში გამოკვეთილ უზუსტობებს და ასწორებს; წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე აყალიბებს აზრს თანმიმდევრულად და გადასცემს წერილობითი

ფორმით; წინადადების წევრებს, აკავშირებს მათ, მიზნობრივად აწესრიგებს და იყენებს პრაქტიკაში; პროფესიულ საქმიანობაში წერის სტრატეგიების გამოყენების თავისებურებებს;

● **მონაწილეობს:** მარტივსა და თემატურ ენობრივ კომუნიკაციებში; სააუდიტორიო კომუნიკაციებსა და მუშაობაში; ქართული მულტიკულტურალიზმის, ტოლერანტობის, ავტოქთონი მოსახლეობისა და ეროვნულ უმცირესობათა ღირებულებების პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტაში; ქართული მართლმეტყველებისა და მართლწერის ნორმების დაცვით, ინფორმაციის წერილობით და ზეპირი ფორმით გადაცემაში.

● **აჩვენებს:** ურთიერთკომუნიკაციის მზაობას; წინადადებების სიტყვათგანლაგების ცოდნის საფუძველზე, სწორი კომუნიკაციის უნარს; დიალოგში ქართულ ენაზე სწორმეტყველებით ჩართვის უნარს.

● **პატივს სცემს:** თავისი და სხვისი კულტურული მრავალფეროვნების ღირებულებებს; სხვის აზრსა და იცავს დისკუსიაში მონაწილეობისას საკუთარ მოსაზრებას; ინტერკულტურულ და სოციოკულტურულ ღირებულებებს, განსხვავებულ კულტურებს.

● **ადგენს:** ახალი, სპეციალური ლიტერატურის გაცნობით, დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავების საჭიროებას; შემდგომი სწავლის საჭიროებას.

ერთი სიტყვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული თვალსაზრისით პროგრამა სრულიად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, კერძოდ:

თითოეული სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) შედგენილია თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით. გამოყენებულია თანამედროვე უახლესი ლიტერატურა. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, მათი ქრონოლოგიური წყობა, შინაარსი და ლოგიკური თანმიმდევრობა უზრუნველყოს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით;

პროგრამაში სხვა აუცილებელი სასწავლო კურსების გვერდით ისეთების არსებობა, როგორებიცაა „ლინგვოქვეყანათმცოდნეობა“ და „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები“, რომლების საფუძველზეც ხდება განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებისა და განსხვავებული აზრის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამომუშავება.

უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის უწყვეტი გაფართოება.

პროგრამის შემუშავება მიმდინარეობდა პარტნიორ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში. აქტიური თანამშრომლობა გრძელდებოდა პროგრამის დახვეწისა და განვითარების კუთხითაც.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის შინაარსი შეიცავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მასში შემავალი სასწავლო კომპონენტები დალაგებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად. შემდეგ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია.

პროგრამა მოიცავს ერთ სასწავლო წელს (წელიწადში 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი). 1 კრედიტის ოდენობა 25 საათია, რომელშიც იგულისხმება სტუდენტისთვის განკუთვნილი როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი გადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ფინალურ გამოცდაზე გასვლის შემდეგ ჯამში დააგროვა 41-დან 50 ქულის ჩათვლით.

თითოეულ სემესტრში, თითო სასწავლო კურსის შეფასების მაქსიმალური ქულაა 100, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 51. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60. შეფასება შედგება 2 კომპონენტისაგან: მიმდინარე აქტივობა და შუასემესტრული გამოცდა. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 15 ქულა, შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა - 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 7,5. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კი - 10. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას.

სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია, თითოეულის შესწავლა შესაძლოა პროგრამის კურიკულუმის სხვა სასწავლო კურს(ებ)ის შესწავლის წინაპირობა იყოს.

პირველი სემესტრი მოიცავს ექვს 5 კრედიტიან სავალდებულო სასწავლო კურსს (30 კრედიტს):

1. ლინგვოქვეყანათმცოდნეობა;
2. ქართული ენის ლექსიკა;
3. ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1;
4. ქართული ენის ფონეტიკა;
5. ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1;
6. ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგიის საკითხები).

მეორე სემესტრი მოიცავს ექვს 5 კრედიტიან სავალდებულო სასწავლო კურსს (30 კრედიტს):

1. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები;

2. ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 2;

3. ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები;

4. ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 2;

5. ქართული მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები;

6. ქართული ენის გრამატიკა (სინტაქსის საკითხები).

სტუ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო უნივერსიტეტის ვებგვერდებზე საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებისა და სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ.

● პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით.

სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება. დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით. პირველი სემესტრის კონკრეტული საგანი, მეორე სემესტრის კონკრეტული საგნის შესწავლის წინაპირობაა.

ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ქართული ენის სწავლების აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსები (სილაბუსები), შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტს გაუადვილდეს ქართულ ენაში ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად **და ქართველ საზოგადოებაში მარტივად ინტეგრირებისათის.** სასწავლო კურსის სილაბუსებში მოცემულია ასათვისებელი სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, საათების განაწილება სწავლების სხვადასხვა ფორმებზე, სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ასათვისებელ მასალასა და სწავლების ფორმის მიხედვით ეფექტურად გამოყენებადია, სასწავლო კურსის შინაარსი სწავლების ფორმატის მიხედვით (ლექციების, სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობების, თემების დასახელებები და შინაარსი), სასწავლო კურსის ათვისებისას სტუდენტის

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემა, რომელშიც გაწერილია შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები.

სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ბოლოს მოცემულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სია, რომელიც სტუდენტისთვის სახელმძღვანელო მასალაა სასწავლო კურსის ათვისებისას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი სტუდენტისთვის სტუ-ს ბიბლიოთეკაში ბეჭდური ან ელექტრონული სახით. სილაბუსში მოცემული დამხმარე ლიტერატურა არაა აუცილებლად ასათვისებელი მასალა, თუმცა სასურველია სტუდენტები მათ გაეცნონ.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას.

პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია ქართულ ენაზე საკომუნიკაციო უნარის განვითარეზე. პროგრამის შემადგენელ რიგ კომპონენტებში (სილაბუსებში) გათვალისწინებულია პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქიკული უნარების განვითარებას.

ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები და კონკურსები: კალიგრაფიის, მხატვრული კითხვის. მაგალითად 2018 წელს სტუდენტებმა **მონაწილეობა მიიღეს პროექტში „მე მიყვარს ქართული - ჩემი სახელმწიფო ენა“ მონაწილეობა მიიღო 145 მსმენელმა, აქედან 50 დაჯილდოვდა სიგელით, ხოლო საუკეთესოდ აღიარებული იქნა 10 სტუდენტის ნაშრომი.** შედეგების შეჯამება მოხდა თსუ, VII კორპუსში, ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში, 2018 წლის 11 აპრილს. დაჯილდოვებულთა შორის: როვშან ისმაილოვი, უმუდ გაიალოვი, თამაზ გოჯაევი, კურბან ალიევი, რაფიგა გასანოვა, სიმონ იოსიპოვი, ოგანეს სტამბოლციანი, თამირლან დუნიამალიევი, თამარა გოსვანიანი, სევილ მამედოვა. ამავე წელს ჩვენმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ქალბატონ მარიამ მანჯგალაძის მიერ ორგანიზებულ საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ესსეებისა და ნახატების კონკურსში. 2017 წლის 25 მაისს, სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტთა მხატვრული კითხვის საღამო (VI კორპუსი, IX სართული, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი). ყოველი წლის გაზაფხულზე სტუ-ში და, შესაბამისად, ფაკულტეტზეც ტარდება „სტუდენტური დღეები“, სადაც აქტიურად მონაწილეობენ პროგრამაში ჩართული სტუდენტები.

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი და პრაქტიკული მეცადინეობები.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

სტუდენტის შეფასება

სტუ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, პროფესორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს, რაც გაწერილია სასწავლო კურსის პროგრამებში(სილაბუსში). სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას.

სასწავლო კურსის შესწავლისას გამოყენებული ლიტერატურა ემყარება აქტუალურ მიღწევებს. სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე არსებული ელექტრონული კატალოგით და სახელმძღვანელოებით.

სტუ-ს ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება საინტერნეტო წვდომა „Wi-Fi“. აგრეთვე სტუდენტს აქვს ასლის გადაღების და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა.

● სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტს ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; სისტემა უზრუნველყოფს:

უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას; უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, ეყრდნობა ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში. სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა (Planning), **განხორციელება** (Doing), **შეფასება** (Checking), **განვითარება** (Acting)(PDCA).

დაგეგმვა (Planning)

უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავდა სამწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც დადგინდა ცალკეული სამუშაო პროცესის, ფუნქციის ან სამუშაოს კონკრეტული მიზნები და ამოცანები. დაგეგმვა ხდება ხანგრძლივ და მოკლევადიან პერსპექტივაში გარკვეული შედეგების მიღწევის მოთხოვნის ფორმით. კერძოდ, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შემადგენლობაში შევიდა დეპარტამენტების მიხედვით აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და სტუდენტი, რომლებიც ჩართულნი არიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველ დაგეგმილ აქტივობაში: პროგრამის შეფასების დაგეგმვა, ინსტრუმენტების შემუშავება, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასება, მონაცემების შეგროვება და პროგრამის განვითარების გეგმების დასახვა.

ასევე, შეიქმნა ტუტორების ჯგუფი, რომლებიც სტუდენტებს გაუწევენ კონსულტაციებს და დაეხმარებიან ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში აქტიურად ჩართვაში.

განხორციელება (Doing)

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გულისხმობს სტრატეგიასა და შესაბამის პროცედურებს, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და შემოქმედებითი საქმიანობის მაღალხარისხსა და სტანდარტებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რომლის ფარგლებშიც აუცილებლობას წარმოადგენს ავტორიზაცია/აკრედიტაციის მიმდინარე პროცესების გაცნობის მიზნით შესაბამისი საკონსულტაციო სამუშაოების ორგანიზებაში მონაწილეობა; სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით გამოკითხვების ჩატარებაში მონაწილეობის მიღება.

შეფასება (Checking)

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება ეფუძნება უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის ფაქტობრივ ანალიზს, შესაბამის სტანდარტებსა და დადგენილ კრიტერიუმებს. იგი ემსახურება უნივერსიტეტის ეფექტიანად წარმოჩენას თავისი საქმიანობის სფეროში. პროგრამის განხორციელების ეტაპზე ფაკულტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატიურ შეფასებას, მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმებების შედეგების ანალიზს, რის შედეგადაც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლისა და სწავლების ხარისხის

რეგულარულად მიმდინარეობს სტუდენტთა კმაყოფილების, მოსაზრებების შესწავლა, ანალიზი და შეფასება, რომელსაც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, იყენებს სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

განვითარება (Acting)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გამოკითხვების საფუძველზე, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ხელმძღვანელობს მოდიფიცირების პროცესს. ამასთანავე, იგი ახორციელებს უნივერსიტეტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, განსაზღვრულ მიმდინარე ან დაგეგმილ ქმედებებს პროგრამის განვითარების მიზნით, რომელიც გადადის ციკლის შემდგომ ეტაპზე - ,,დაგეგმვა"–ზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტიანად განსახორციელებლად აქვს საინფორმაციო, მატერიალური და ადამიანური რესურსი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, დამტკიცდა მათი საქმიანობის რეგლამენტი. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას.

● პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებსა და სასწავლო კურსების პროგრამებს (სილაბუსებს) და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისათვის;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა პროგრამის შეფასება, რომელშიც ჩართულები იყვნენ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. შეფასება ხორციელდება როგორც შეხვედრებზე განხილვის ფორმატში, ასევე კითხვარების საშუალებით. პროგრამის შეფასებისთვის დამუშავდა მიღებული ინფორმაცია, გაკეთდა ანალიზი და განისაზღვრა მისი ძირითადი ნაკლოვანებები და გასაუმჯობესებელი მხარეები.

პროგრამის შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე განისაზღვრა მოდიფიცირების გზით მისი განახლების საჭიროება.

ფაკულტეტზე შექმნილია პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისგან. მათი მოვალეობაა სწავლა–სწავლების ხარისხის შეფასება, რომლის შედეგად სამსახურის ხელმძღვანელი წერს დასკვნას და წარუდგენს სტუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის და ასევე, შეფასების შედეგებს აცნობს ფაკულტეტის საბჭოს.

გარდა ამისა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის მიმდინარეობის, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით და უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით მონაწილეობს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმების, მათი რეალიზებისა და განხორციელების კონტროლის მეთოდოლოგიის სრულყოფაში. ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის და პერმანენტულად აცნობს სასწავლო დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს.

აღნიშნული კომისიის მიერ შეფასებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობები და გამოტანილი იქნა დასკვნები.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა შეფასებას ახდენს როგორც საკუთარი ძალებით, ასევე „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრთან“ თანამშრომლობით და პროგრამის შეფასებისას იყენებს აღნიშნული ორგანიზაციის კვლევებს.

ეს კვლევებია:

● ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და დასაქმების შესაძლებლობები და პერსპექტივები, (2017);

● ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევა, 2016 CCIIR, წარმოადგენს არასამთავრობო ანალიტიკურ/კვლევით ორგანიზაციას, რომელიც 2005 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა პროექტს განათლების მიმართულებით, შეისწავლის განათლების სფეროში არსებულ პრობლემებსა და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განათლების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, ასევე, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის განვითარებისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშესაწყობად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შექმნასა და განვითარებაზე. სტუ „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის“ ერთ-ერთ პარტნიორია.

2018 წლის მარტში, სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა და პროგრამის ხელმღვანელმა მონაწილეობა მიიღეს „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის“ CCIIR მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, რომელიც ჩატარდა დაბა ბაკურიანში. მონაწილეობდნენ ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას; აღნიშნულმა ჯგუფმა იმუშავა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შექმნაზე, რომელიც შემდგომში განსახილველად წარედგინა ცენტრს.

2016 წლის ოქტომბერში სტუ-ს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდნენ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ორგანიზებით ბაკურიანში ჩატარებულ სამდღიან სამუშაო შეხვედრაში იმ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებშიც არაქართულენოვანი სტუდენტები სწავლობენ საშეღავათო პოლიტიკის (კვოტირების სისტემა) ფარგლებში. შეხვედრა ეხებოდა მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის მართვას უმაღლეს სასწავლებლებში. მონაწილეებმა მრავალფეროვნების მართვის კუთხით არსებული გამოწვევები/საჭიროებები გააანალიზეს და ამ კუთხით არსებული გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი ამჟამად ჩართულია «ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა [PITA]”-ში, რომელიც არის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა და ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG). პროგრამა დაიწყო 2015 წლის ივნისში და გრძელდება 2020 წლის ივნისამდე. პროგრამა აერთიანებს

სხვადასხვა ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო აქტიურობის კულტურის დანერგვასა და ახალგაზრდების საერთო კვალიფიკაციის ამაღლებას სამოქალაქო ჩართულობისა და მრავალფეროვნების მართვაში; შეიქმნა ონლაინ-პლატფორმა განათლების საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მიიღონ სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია (საცხოვრებლის მოძიება, აკადემიური აქტივობები, სასწავლო რესურსები და სხვ.) ერთ სივრცეში. აღნიშნული პლატფორმის დანიშნულებაა აგრეთვე, დახმარების გაწევა სტუდენტებისათვის დასაქმებისა და კარიერული წინსვლის თვალსაზრისით.

უნივერსიტეტებისათვის ხელმისაწვდომი პლატფორმა ეხმარება მათ ერთობლივ მუშაობაში როგორც საუნივერსიტეტო, ისე პროგრამულ დონეზე, უზრუნველყოფს მხარეების რეგულარულ შეხვედრებს ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც ენის სწავლების მეთოდიკის, ისე პროგრამის ადმინისტრირებისა და სწავლების კომპონენტების კუთხით. ასევე ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და ორგანიზების მიზნით. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელი 10 უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მოაწერა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის, ბათუმისა და თელავის, ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტები).

`ტოლერანტობის,სამოქალაქოცნობიერებისადაინტეგრაციისმხარდაჭერის პროგრამის~ (PITA) ფარგლებში, რომელსაც CCIIR 2015 წლიდან ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაციასა და USAID-თან ერთად, მომზადდა კვლევა, რომელიც ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამას ეხება. პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა "საშეღავათო პოლიტიკის" ფარგლებში. აქ მოხვედრა მხოლოდ ერთი გამოცდით, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტის ჩაბარებითაა შესაძლებელი. ჩარიცხვის შემდგომ სტუდენტი ერთი წელი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს, რაც ენის ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება იმდენად, რომ მომდევნო ოთხი წელი სწავლა ბაკალავრიატის საფეხურზე შეძლოს. ქართული ენის შესწავლის გარდა, არაქართულენოვანი სტუდენტები პროგრამის ფარგლებში, ინტეგრირდებიან ქართულენოვან სტუდენტურ საზოგადოებაში. ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შეღავათიანი სისტემა არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის მისაღწევად უმაღლეს სასწავლებლებში. CCIIR - ის კვლევის მთავარი მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორ აფასებენ ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან

პროგრამას თავად სტუდენტები, როგორია მათი აღქმა და დამოკიდებულება ამ პროგრამის მიმართ შემდეგი მიმართულებებით: (ა) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის არჩევის წინაპირობები; (ბ) ქართული ენის ცოდნის შეფასება, სწავლისა და სწავლების ზოგადი ასპექტები; (გ) სასწავლო გარემოთი და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა; (დ) მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება; (ე) არასასწავლო, კლასგარეშე და საინტეგრაციო აქტივობები; ვ) პროგრამის ადმინისტრირება და სტუდენტთა მხარდაჭერა;

2017-18 წწ. სტუ ჩართულია „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრთან“ CCIIR, პროექტში `საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება~. დონორია ევროპის ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისი. პარტნიორებია: თსუ, ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიაუნი, შსს აკადემია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის, ბათუმის, თელავისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტები. პროექტის ფარგლებში მომზადდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტებისათვის (1+4 პროგრამის ბაზაზე), ასევე საბაკალავრო პროგრამების ყველა მიმართულების სტუდენტებისათვის ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების შესახებ საუნივერსიტეტო კურსები, ამ კურსებისთვის და ადეკვატური მასალის დამუშავებისთვის, მომზადდა აკადემიური პერსონალი.

დასკვნები

მიღწეული შედეგების ფონზე კიდევ უფრო ცხადად წარმოჩინდება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები. ასეთებად გვესახება შემდეგი:

ისეთი არჩევითი სასწავლო კურსების შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს იმ დარგობრივი ლექსიკის სწავლებას, სადაც აპირებენ სტუდენტები ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელებას.

პროგრამის ათვისების შედეგად ქართული ენის ცოდნის ზედა ზღვრული დონის დადგენა უცხო ენების ცოდნის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისად;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; აკადემიური პერსონალის ტრენინგები და მივლინებები კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ამჟამად, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;

სასწავლო პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსისა და კვლევითი კომპონენტის დასრულებისას, სტუდენტების მიერ ელ. კითხვარების მეშვეობით სასწავლო კურსებისა და პედაგოგის შეფასება;

მასწავლებელთა პერიოდული გადამზადება სწავლების თანამედროვე მეთოდების სათანადო გამოყენებისათვის; ელექტრონული ლექციების დანერგვა.

Georgian language educational program training at Georgian Technical University

Temur Jagodishvili, Professor
Head of GTU Educational
Program in Georgian Language

Summery

The article discusses the concept of the educational program (1 + 4) training in the Georgian language, acting in the State Technical University. Describe goals and learning outcomes.

Keywords: educational program, Georgian language, learning, teaching

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტების სწავლება ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

ივანე ოსაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ტოლერანტობის მნიშვნელობაზე თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. აღნიშნულია, რომ ტოლერანტობა და შემწყნარებლობა ქართველი ხალხის კულტურული ცნობიერების ორგანული ნაწილია. ამ დებულების დასადასტურებლად მოყვანილია სათანადო მაგალითები უცხოელ ავტორთა შრომებიდან და ქართული საისტორიო წყაროებიდან.

გამოთქმულია აზრი, შესაბამისი არგუმენტაციით, რომ სასწავლო კურსის „ტოლერანტობა და მრავალფეროვნების ელემენტები“, პროგრამის ავტორის მიერ კარგად არის ჩამოყალიბებული მიზანი და საგნის შესწავლის შედეგად მიღებული სავარაუდო ცოდნა და უნარები.

აღნიშნულია, რომ პროგრამის ავტორმა მეთოდურად სწორად განსაზღვრა შესასწავლი თემების რიგითობა და სასემინარო მეცადინეობების ფორმატი.

საკვანძო სიტყვები: ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, პროგრამა, კულტურული ცნობიერება, მეთოდიკა, მულტიკულტურალიზმი.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში პრაქტიკულად თითქმის ყველა ადამიანს უწევს ურთიერთობა სხვადასხვა ერის, კულტურის, კონფესიის ან სოციალური ფენის წარმომადგენელთან. ეს ფრიად აქტუალურია ახალგაზრდობისათვის და განსაკუთრებით სტუდენტებისათვის.

თითოეული ადამიანი თავისთავად არის გარკვეული კულტურის, ტრადიციებისა და ცხოვრებაზე საკუთარი შეხედულებების მატარებელი. მისთვის, ბუნებრივია, ამ ყველაფრის შენარჩუნების სურვილი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობას შორის ყალიბდება გარკვეული ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებულია საერთო ნაციონალური, კულტურულ-სოციალური მახასიათებლებით. ბუნებრივია, რომ ამ ჯგუფებს შორის მუდმივი ურთიერთობა ხდება. ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება სხვადასხვა ჯგუფში შედიოდეს. ამ შემთხვევაში მნიშნელოვანია საერთო წერტილების მონახვა, მიუხედავად ყველა იმ განსხვავებისა, როგორებიცაა კანის ფერი, ენა ცხოვრების ადგილი და ა. შ.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ქართულ ენაში მოსამზადებელ-საგანმანათლებლო პროგრამაზე მსმენელთა პოლიეთნიკური და რაოდენობრივი ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა მულტიკულტურული განათლების მიმართულებით პროგრამული ინოვაცია, ახალი სავალდებულო სასწავლო კურსის შემოღება სახელწოდებით: „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები“ (ავტორი პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი). საერთაშორისო დონეზე და საქართველოში საზოგადოებრივი-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების გათვალისწინებით განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზანი: არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის თანამედროვე ქართული მულტირალიზმის არსის, ბუნების, თავისებურებების გაცნობიერება, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული მნიშვნელობის გააზრება; საქართველოში ავტოქთონი მოსახლეობის, უმცირესობებისა და ქართული ეთნოკულტურულ ღირებულებათა სისტემების ურთიერთმიმართებების თავისებურებების, ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გაცნობა და მულტიკულტურალიზმი ფუნდამენტურ ფასეულობათა საფუძველზე, მათი გადაჭრის გზების სწავლება.

წარმოდგენილი კურსის ამოცანაა ახალგაზრდები აღჭურვოს სათანადო ცოდნით თანამედროვე საქართველოში არსებული ეთნოკულტურული გარემოს შესახებ, განუვითაროს სამოქალაქო ღირებულებები და შემწყნარებლური დამოკიდებულება მულტიკულტურული გარემოს მიმართ, დაანახოს ამ მიმართულებით არსებული სიძნელეების არსი და მათი გადაჭრის სავარაუდო გზები. კურსმა უნდა გააღრმავოს სტუდენტის ცოდნა-გაცნობიერების, პრაქტიკული (სამეცნიერო აპარატის ფლობა, სპეციალური ლიტერატურის რეზიუმირება) და ტრანსფერული (კოგნიტური, ლინგვისტური, სისტემური, სოციალური) უნარები, რაც ვერბალური, წიგნზე მუშაობისა და დისკუსიის მეთოდებითაა შესაძლებელი.

აღნიშნული კურსის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე სწავლება და ინტერკულტურული აღზრდა მოწოდებულია, ჩამოუყალიბოს სტუდენტებს მსოფლმხედველობა და ქცევა, რომელიც დაემყარება ჰუმანურობის, პასუხისმგებლობის, სოლიდარობის, ურთიერთგაგების, დემოკრატიისა და ტოლერანტობის პრინციპებს. ამ კურსის სწავლებას აქვს ორი გამოკვეთილი მახასიათებელი:

1) აღიარებს, პატივს სცემს და იღებს ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში მრავალფეროვნების არსებობას, როგორც ნორმას;

2) იგი ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის ისეთი ღირებულებების დამკვიდრებას, რომლებიც ეწინააღმდეგა დისკრიმინაციას

და შესაძლებელს ხდის თანასწორობის საფუძველზე მშვიდობიანი ცხოვრების წესის აგებას.

უცხოელი ავტორები აღნიშნავენ, რომ „თანამედროვე მსოფლიოში მოთხოვნა მულტიკულტურალიზმზე საკმაოდ მაღალია. მას დიდი გამოყენება აქვს სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ სტრატეგიებში, ძირითადად დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. ეს არც არის გასაკვირი, როდესაც მზარდი გლობალური კონტაქტებისა და ინტერ აქციების და, განსაკუთრებით, ინტენსიური მიგრაციების ფონზე, სხვადასხვა კულტურათა განსხვავებული პრაქტიკები ერთმანეთის გვერდით განთავსდა. ზოგადი მცნება „გიყვარდეს მეზობელი შენი“ შესაძლოა, ადრე აღიარებული ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ ეს მეზობელი მეტ-ნაკლებად მსგავს ცხოვრების წესს მისდევდა, მაგრამ დღეს იგივე მოწოდება სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესის მქონე უშუალო მეზობლების სიყვარულს მოითხოვს. თანამდროვე მსოფლიოს გლობალისტური არსი მულტიკულტურალიზმის მიერ წამოჭრილი, რთული შეკითხვების იგნორირების ფუფუნებას არ იძლევა (1. 166, 167).

ზემოაღნიშნულის ფონზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღირებულებების თვალსაზრისით ქართული კულტურული გამოცდილების განხილვას. ტოლერანტობა და მრავალფეროვნება ქართული კულტურული ცნობიერების ორგანული ნაწილია მრავალი საუკუნის განმავლობაში. ამასვე ადასტურებს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა და ისტორიული გამოცდილება.

პროგრამის ავტორს კარგად აქვს შერჩეული საკითხთა წრე, რომელიც მოიცავს ტოლერანტობასთან მიმართებით აღმოსავლური და დასავლური კულტურების დამოკიდებულებას და მიღწევებს. ეს საშუალებას იძლევა ამ მიმართულებით განხილულ იქნას ქართული მულტიკულტურალიზმის თავისებურებანი ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ამ მხრივ საქართველოს ევროპასთან შედარებით გაცილებით ძველი და მდიდარი ტრადიცია გააჩნია. ევროპელი მოგზაურები, მკვლევრები და მეცნიერები ხაზგასმით მიუთითებენ საქართველოში არსებული ტოლერანტული გარემოს არსებობის შესახებ. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაურის, იუველირ ჟან შარდენის ცნობა, რომ „თავისუფლება საქართველოში ყველას აქვს მინიჭებული; იცხოვრე შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოველებსა და ევროპელებს“ (2. 294, 295).

თუ გავითვალისწინებთ, რომ შარდენი საკმაოდ კრიტიკულადაა განწყობილი ქართველების მიმართ და მწვავე გამოთქმებსაც არ ერიდება, ეჭვგარეშეა ეს ცნობა იმდროინდელ ობიექტურ რეალობას ასახავს.

საქართველოს ისტორიის ყოველ ეპოქას წითელ ხაზად გასდევს არაქარ-

თველი ეროვნების ხალხებისა და სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა მიმართ შემწყნარებლობის პოლიტიკა. ამ მხრივ ცივილიზებული მსოფლიო ისტორიის კონტექსტშიც კი გამორჩეულად უნდა მივიჩნიოთ დავით აღმაშენებლის პოლიტიკა. დიდგორის ბრძოლის ძლევამოსილად გადახდის შემდეგ დავით აღმაშენებელმა აიღო თბილისი.

როგორც ჩანს, თბილისის მცხოვრებლებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მეფეს და იგი იძულებული გახდა ცეცხლითა მახვილით შესულიყო ქალაქში – ბევრი დაიხოცა, ხუთასი კაცი წვეტიან სარებზე წამოაცვა და წამებით მოკლა (3. 398).

მიუხედავად ამისა, მეფე დავითს არ დაუკარგავს ფსიქოლოგიური სიმტკიცე და წარმოუდგენელი ჰუმანურობა გამოიჩინა მუსლიმური მოსახლეობის მიმართ. იმდროინდელ საქართველოში მაჰმადიანთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის არაბი მემატიანე, ალ-ფარიკი. იგი წერს, რომ თბილისის შემოერთების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა გასცა ბრძანება მუსლიმანთა რელიგიის ხელშეუხებლობის შესახებ და გარკვეული პრივილეგიებიც კი მიანიჭა მათ. ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ აიკრძალა ღორების ყოლა და მათი დაკვლა. მეფემ მათთვის მოჭრა მონეტა (ფული) ხალიფასა და სულტნის სახელით. მაჰმადიანებს მისცა უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაიტელთა აბანოში, ყოველ პარასკევს მინბარიდან აღავლენდნენ ლოცვას ხალიფასა და სულტანისათვის და არა მისთვის. იგი კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს. დავითმა ერთი წლით გაათავისუფლა ისინი სხვადასხვა გადასახადისაგან. სახელმწიფო ხაზინისათვის ყოველწლიური გადასახადი თითოეული მუსლიმანისათვის შეადგენდა სამ დინარს მაშინ, როცა ქართველებიც კი უფრო მეტს – ხუთ დინარს იხდიდნენ.

იმავე მემატიანის ცნობით, ასეთივე დამოკიდებულება იყო მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ დავით აღმაშენებლის შემდგომ, დემეტრე I-ის (1125-1156) დროსაც. ამდენად, მუსლიმანთათვის საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებები სტაბილურ სამართლებრივ ხასიათს ატარებდა.

არაბი ისტორიკოსის, იბნ-ალ-ჯაუზის ცნობით, დავით აღმაშენებელი თავის ვაჟთან, დემეტრესთან ერთად, პარასკეობით მეჩეთში დადიოდა და დიდძალ ფულს სწირავდა. მუჰამედ ალ-ჰამავი აღნიშნავს, რომ მეფე დავითი ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადის ყურანის რაგვარობასა და წარმომავლობაზეც კი ეკამათებოდა.

დავით აღმაშენებელისდროინდელი რჯულშემწყნარებლობითი პრინციპები, დამახასიათებელი იყო მთელი XII საუკუნის საქართველოს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკისათვის. არაქრისტიანი მოსახლეობის მფარველობით

გამოირჩეოდა დავითის მემკვიდრე დემეტრე I. ალ-ფარიკი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ მან პირადად ნახა მეჩეთში მეფე დემეტრე, რომელმაც 200 ოქროს დინარი შესწირა.

დავით აღმაშენებლის სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო აგრეთვე ეთნიკური ტოლერანტობა. იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს სომხებს. საქართველოს მეფემ აღადგინა ციხე-გორი, დააარსა ქალაქი, შიგ სომხები ჩაასახლა, რომლებსაც პრივილეგირებული პირობები შეუქმნა.

უფლებრივად ქრისტიან მოსახლეობასთან იყვნენ გათანაბრებულები ებრაელებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილს კურსის პროგრამაში შეტანილი აქვს ძალზე მნიშვნელოვანი თემა, ჰოლოკოსტი და კოლექტიური პასუხისმგებლობა, რომელიც უმთავრესად ებრაელთა საკითხთან ასოცირდება. ამ მიმართებით ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ისტორია საკმაოდ ნეგატიურ სურათს იძლევა. ებრაელთა დარბევები, დევნა, ანტისემიტიზმი, გენოციდი, უცხო არ იყო ამ ქვეყნების წარსულისათვის.

სტუდენტებისათვის საინტერესო იქნება ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოს ისტორიული ყოფისა და თანამედროვეობის განხილვა. ებრაელები საქართველოში ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან გამოჩნდნენ. სხვადასხვა მასშტაბის ინტენსივობით მათი შემოსახლება შემდგომაც ხდებოდა, ისინი შემოდიოდნენ როგორც აზიის, ისე ევროპის ქვეყნებიდან. ებრაელთა მიმართ ქართველი ხალხისა და სახელმწიფო ხელისუფლების კეთილგანწყობილი დამოკიდებულების დადასტურებად უნდა მივიჩინოთ ის ფაქტი, რომ ქართული საისტორიო ტრადიციით ქრისტეს კვართის ჩამოტანა ებრაელებს, ელიოზ მცხეთელსა და ლონგინოს კარსნელს მიეწერება (4. 36).

ამ თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია. ებრაელებს საქართველოში არასოდეს განუცდიათ დარბევები, დევნა-შევიწროება, არც ეთნიკური და არც რელიგიური ნიშნით. მათ შეინარჩუნეს საკუთარი ეროვნება, სარწმუნოება, კულტურა, ყოველთვის ხელშემწყობი პირობები ჰქონდათ და აქვთ თავიანთი ტრადიციული საქმიანობის წარმართვისათვის.

26-საუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ შექმნა ქართველი ებრაელის ფენომენი. იგი მეტყველებს ქართულად. ნაზიარებია ქართულ კულტურას და ტრადიციებს, ამავე დროს ასრულებს იუდაური ცხოვრების წეს-ჩვეულებებს და აქვს ეროვნული ცნობიერება.

გარდა ებრაელებისა, ქართველები საქართველოში შემოსულ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხების მიმართაც საკვირველ კეთილგანწყობას იჩენდნენ: „...ვინცა ვინ მოვიდიან - ასურნი, ბერძენნი, ხაზარნი, ყოველთავე

ემეგობრებოდიან ქართველნი... და შეიწყნარიან თვისთა ქვეყანათა“ (5. 53).

საყურადღებოა ისიც, რომ უცხოტომელები არც ენობრივი თვალსაზრისით განიცდიდნენ შევიწროებას, პირიქით: „... ესოდენთა ნათესავთაგან იზრახებოდა საქართველოსა შინა ექუსნი ენანი – სომხური, ქართული, ხაზარული, სპარსული, ბერძული, ებრაული და უბნობდიან მამანი და დედანი ყოველნი (5. 54).

ტოლერანტობის უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიძიოთ აგრეთვე ქართული ფოლკლორის ნიმუშებში, მხატვრული ლიტერატურასა და პოეზიაში. გამორჩეულია ამ თვალსაზრისით გენიალური შოთას „ვეფხისტყაოსანი“.

სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსის სათანადო დონეზე ათვისებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილს მეთოდურად სწორად აქვს განსაზღვრული შესასწავლი თემების რიგითობა. პროგრამის მიხედვით სტუდენტები ჯერ შეისწავლიან შედარებით ზოგად თემებს: მრავალფეროვნების არსი; მოქალაქე და საზოგადოება; ადამიანის უფლებები და თავისუფლებები; ლიბერალიზმი და თანამედროვე სამყარო; რასიზმი და აპარტეიდი. შემდეგ გათვალისწინებულია უფრო კონკრეტული თემების შესწავლა: უცნობი და ნაცნობი ჩინური კულტურა; უძველესი კულტურის კვალი ირანში და თანამედროვე გამოწვევები; ინდური კულტურა და ეკოსისტემა; სახალხო დღესასწაულების კულტურა ესპანეთში და ა. შ.

სასემინარო მეცადინეობები გათვალისწინებულია დისკუსია-დებატების ფორმატში, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს უფრო სრულყოფილად აითვისონ და გააცნობიერონ შესწავლილი მასალა.

ჩვენი აზრით, პროგრამა მოიცავს საკითხებს, რომლებიც აქტიურად ეხმიანება თანამედროვეობას და დიდად დაანტერესებს სტუდენტებს.

მიგვაჩნია, რომ სასწავლო კურსის პროგრამა „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები“, ავტორს შედგენილი აქვს თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდიკის მოთხოვნათა დონეზე, ვფიქრობთ დამოუკიდებელ საგნად ჩართვის მიზანშეწონილობას დაადასტურებს სასწავლო პრაქტიკა.

დასკვნა

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტოლერანტობა და შემწყნარებლობა ქართველი ხალხის კულტურული ცნობიერების ორგანული ნაწილია. ამას ადასტურებს ქართული საისტორიო წყაროები და უცხოელ ავტორთა შრომები.

სასწავლო კურსის – „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები“, პროგრამის ავტორის მიერ მეთოდურად სწორად არის განსაზღვრული შესასწავლი საკითხების თემატიკა და რიგითობა. სასემინარო

მეცადინეობებისათვის დისკუსია-დებატების ფორმატი, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს უფრო სრულყოფილად აითვისონ და გააცნობიერონ შესასწავლი მასალა.

იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც აქტიურად ეხმიანება თანამედროვეობას და დააინტერესებს სტუდენტებს.

პროგრამა შედგენილია თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდიკის მოთხოვნათა დონეზე და მიზანშეწონილია ისწავლებოდეს როგორც ცალკე სასწავლო საგანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამარტია სენი, იდენტობა და ძალადობა ბედისწერის ილუზია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014;
2. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მზია მგალობლიშვილმა და გიორგი ისაკაძემ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018;
3. საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე, ტომი II, თბილისი, 2012;
4. ქართლის ცხოვრება, ტომი I, თბ., 1955;
5. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.

Training course "Tolerance and Diversity" in the framework of Georgian language preparatory educational program

Ivane Osadze, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

The article discusses the importance of tolerance in the context of modern globalization. It is said that tolerance and tolerance are an organic part of the cultural consciousness of the Georgian people. Appropriate examples from the works of foreign authors and Georgian historical sources are provided to confirm this provision. It is argued, with appropriate argumentation, that the curriculum "Elements of Tolerance and Diversity" is well-established by the program's author and the intended knowledge and skills gained from the subject study. It is noted that the author of the program has methodically correctly determined the sequence of topics to be studied and the format of the seminars.

СУЩНОСТЬ КООПЕРАТИВНОГО ОБУЧЕНИЯ

Мамедзаде Рагимаханум Рзабалаевна
Доктор философии по педагогике
Азербайджанский Университет Языков

Резюме

Кооперативное (cooperativeleering) обучение или обучение в сотрудничестве– это метод обучения, который осуществляет командное исследование вопросов или разработку важных проектов. Несмотря на то, что в этом виде обучения учащиеся действуют в малых группах, каждый из них несет ответственность за выполнение задания и приобретают навыки совместной работы.

В группе учащиеся делятся сильными сторонами, а слабые стороны усиливают, развивают умения работать в команде, сотрудничать, решать спорные и противоречивые вопросы. При ясном определении целей в кооперативном обучении учащиеся еще активнее привлекаются к деятельности, и это в свою очередь делает интересным исследование проблемы. Для кооперативного обучения должно создаваться соответствующая среда, и тут нужно учесть три аспекта:

- создание интереса к заданию со стороны учителя;
- для обеспечения деятельности и активности каждого ученика в группе их число должно быть 3- 5 человек;
- ясное объяснение условий задания.

Ключевые слова: кооперация, сотрудничество, современные образовательные технологии, учебная деятельность, малые группы, большие группы.

Современные образовательные технологии не стоят на месте, в образование в последнее время внедряется много нового и интересного. Одной из таких нововведений – технология кооперативного обучения. Прежде всего в процессе обучения должна быть обратная связь между учеником и преподавателем. Сотрудничество должно происходить не только между учениками и преподавателями , а также между учениками.

Кооперативное обучение – это тщательно структурированная учебная деятельность между учеником и преподавателем , где учащиеся несут личную ответственность за индивидуальный вклад, участие и обучение. Учащиеся также обеспечиваются стимулом для работы в команде и взаимообучения. Идея кооперативного обучения проста. Учитель дает задание, после чего весь класс делится на малые группы . Они работают над заданием до тех пор, пока

все члены группы не выполнят поставленные задачи. Совместные усилия приводят к тому, что все участники процесса стремятся к взаимовыгодному сотрудничеству, чтобы каждый выиграл от успехов другого (твой успех приносит пользу мне, а мой – тебе); к признанию того, что все члены группы разделяют одну судьбу (мы все тонем или плывем в одной лодке); к знанию что деятельность каждого есть результат деятельности одного и всех вместе (мы не можем это сделать без тебя); к чувству гордости и совместного триумфа, когда один член группы добивается успехов (мы поздравляем тебя с успешным выполнением задания). В ситуации кооперативного обучения присутствует позитивная взаимозависимость целевых достижений учащихся. Учащиеся при этом понимают, что они могут достигнуть своих целей только если другие члены группы также достигнут своих целей.

Цель кооперативного обучения – сделать каждого члена команды успешнее сильнее , как личность. Индивидуальная ответственность - ключ к уверенности в том, что каждый член команды обучается именно благодаря совместным усилиям , кооперации всей команды . Одним из главных элементов кооперативного обучения - оценка результатов обучения с использованием как группового , так и индивидуального оценивания. Организация учащихся для работы в малых группах не является новшеством в мировой практике. Использование проектных групп была важной составляющей методики Д.Дьюи.

Спенсер Каган – автор многочисленных книг и статей по кооперативному обучению. Он разработал концепцию приемов кооперативного обучения, которые используются в школах и университетах всего мира. Доктор Каган и его команда разработали и улучшили более 200 приемов используемых в рамках кооперативного обучения. Популярные структуры Каган включают в себя:

1. .NumberedHeadsTogether («пронумерованные головы, работающие вместе»).
2. TimerPairShare (временная кооперация парами).
3. RallyRobin (круглый стол).
4. PairsCompare (сравнения парами).
5. LyricalLessons (лирические уроки) и др.

Каган разработал приемы , которые в отличие от других методов кооперативного обучения, не требуют детально переработки планов, учебных материалов и специальной подготовки. Каган считает, что его структуры делают кооперативное обучение простым в применении. Эти приемы используются как составная часть уже существующих уроков. Например, некоторые

структуры регулируют взаимоотношения учащихся , работающих в парах, другие хороши для организации командной работы, третьи организуют работу всего класса. Задача учителя состоит в том, чтобы понять , какая из структур лучше всего подходит для решения конкретной методической задачи. Каган разработал большое количество структур кооперативного обучения. Каждый прием состоит из нескольких шагов. Приведем пример по приему Numbered-HeadsTogether(«Пронумерованные головы , работающие вместе»). Идея этого приема состоит в том, что каждый учащийся получает свой порядковый номер (первый, второй, четвертый) и разрабатывает свой вариант ответа на вопрос. Когда вся группа выполнит задание, они обмениваются вариантами ответов и обсуждают их. Вот примерные шаги использования этой структуры:

- Присвойте каждому учащемуся в группе номер от 1 до 4;
- Объявите какую-либо проблему для обсуждения или сформулируйте конкретный вопрос;
- Все в группе готовят ответ на заданный вопрос и вместе обсуждают варианты. Вся команда должна быть уверена , что любой участник может ответить на этот вопрос;
- Случайным образом (по жребию, например) вызовите к доске номера от 1 до 4 из каждой группы;
- Учащийся, чей номер выпал, пишет ответ на доске от всей команды. Команда не может помогать ему в данный момент . Если учащийся не слушал своих коллег во время обсуждения , то это затрудняет положение. После того как он напишет ответ он переворачивает доску лицом к стене;
- -Когда все вызванные учащиеся готовы, они одновременно показывают переворачивая доску с написанным на ней вариантом ответов , и показывают ее классу. Учитель проверяет правильность ответа;
- Если осталось время , можно дать еще один дополнительный вопрос.

Еще один прием, разработанный Каганом – TimedPairShare («Временная кооперация парами»). Прием рассчитан на 5- 10 минут работы учащихся. Учитель группирует учащихся парами по какому-либо специфическому критерию , например: те, кто смотрел теледебаты с теми , кто не смотрел, или те, кто за какую позицию в рассматриваемой теме , т.д. Затем такие пары получают задание, например:

- партнер № 1имеет две минуты , чтобы объяснить партнеру №2, почему он считает, что кандидат «А» выиграл теледебаты.

-партнер № 2 должен задать дополнительные вопросы о теледебатах (ведь он их не смотрел), прежде, чем учитель перейдет к основной теме урока,

-партнер № 1 должен объяснить партнеру № 2 , свою точку зрения в рассматриваемой теме,

-партнер № 2 должен раскрыть и доказать свой аргумент в процессе обсуждения.

Время на обсуждение ограничено. После обсуждения учитель переходит к основной части урока. Деятельность в рамках этого приема структурирует деятельность учащихся обеспечивает равные возможности участия в процессе всех учащихся.

Методы кооперативного обучения имеют ряд преимуществ для формирования ряда умений , навыков , а также компетентностей необходимых выпускнику вуза для того, чтобы найти свое место в современном обществе:

-более высокие академические достижения ;

-более продуманные решения и аргументированные доводы, более глубокое понимание и развитое критическое мышление;

-более высокая мотивация к познанию в целом и к образованию в частности;

-развитая способность посмотреть на ситуацию с разных сторон;

-более позитивные, понимающие взаимоотношения с партнерами, независимо от религиозной, национальной или социальной принадлежности;

-более позитивное отношение к преподавателям;

-укрепление психологического здоровья;

-более позитивная самооценка.

Таким образом, целесообразность использования кооперативного обучения в системе образования не вызывает сомнений. Однако, кроме указанных преимуществ, организация кооперативного обучения связана с рядом проблемных моментов, поэтому дальнейшую перспективу исследования этой проблематики видим в выяснении путем предотвращения помех , которые могут возникнуть при кооперативном обучении в школе.

Таким образом, можно прийти к выводу, что методы кооперативного обучения дают результаты, которые превосходят успехи при обучении на основе соревнования . Это можно объяснить следующим образом: кооперативное обучение мотивирует обучающихся к проявлению активности и включению их в образовательный процесс.

Список литературы:

1. Бар Р., Таг Дж. От обучения к учению – новая парадигма высшего образования// Белорусский государственный университет .Центр проблем развития образования . –Минск-2001,С. 13-39
2. Реутова Е.А Применение активных и интерактивных методов обучения в образовательном процессе вуза.Новосибирск:Изд-во,НГАУ-2012

3. »Cooperative Learning Structures» by S.Kagan (www.kaganonline.com)
4. David W. Jonhson/Rogert T. Jonhson/Edythe JonhsonHolubce: KooperativesLernen–KooperativeSchule (Mülheim an der Ruhr 2005), S.20.

Cooperativelearning

Mamadzade Ragimakhanum, PhD Education

Summary

Cooperative or cooperation learning is the learning method for students that is used on preparation of important projects and research of vital issues as a group. Nevertheless, in this type of learning students are working together as group, they are all carrying responsibility and obtaining skill to work as a team.

In the group, students share strengths and weaknesses strengthen, develop the ability to work in a team, to cooperate, to solve controversial and controversial issues. With a clear definition of goals in cooperative learning, students are even more actively involved in the activity, and this in turn makes it interesting to study the problem. For cooperative learning, an appropriate environment should be created, and three aspects should be taken into account:

- creating interest in the task by the teacher;
- to ensure the activity and activity of each student in the group, their number should be 3-5 people;
- a clear explanation of the conditions of the job.

Keywords: cooperativelearning, cooperation, modern education technologies, education practice, small groups, big groups.

ტრადიციები და ცხოვრებისეული შტრიხები აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში“

მანანა ქაჯაია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარიამ ქვრივიშვილი, უფროსი მასწავლებელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

„გამზრდელი აკაკის პოეტური მუზის ბრწყინვალე ნიმუშია. იგი თავისი შინაარსით, თემატიკით, პრობლემათა აქტუალობით, იდეური მისწრაფებითა და მხატვრული ოსტატობით ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მშვენება და გვირგვინია. იგი დამსახურებულად ეხმაურება საკაცობრიო მსოფლიო ლიტერატურულ ცხოვრებასა და პრობლემატიკას.

ქართული ენის მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისწავლება აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.

ჩვენი მიზანია, ავუხსნათ და ვასწავლოთ პოემაში ასახული საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად რთული, აქტუალური და საინტერესო პრობლემები: ზნეობრივ- მორალური და მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების აღზრდა-განმტკიცების აუცილებლობა, ჭეშმარიტი წმინდა სიყვარულის მნიშვნელობა და ძალა ადამიანის ცხოვრებაში.

თხზულება შესრულებულია ლაკონური, დინამიკური სტილით.

საკვანძო სიტყვები:მოქალაქეობრივი, საკაცობრიო, ზნეობრივ-მორალური, კეთილშობილური, სტუმარ-მასპინძლობა, ძიძიშვილობა....

შესავალი

„გამზრდელი“ აკაკის პოეტური მუზის ბრწყინვალე მწვერვალია. იგი თავისი შინაარსით, თემატიკით, პრობლემათა აქტუალობით, იდეური მისწრაფებითა და მხატვრული ოსტატობით ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მშვენება და გვირგვინია. ამავე დროს, იგი დამსახურებულად ეხმაურება საკაცობრიო მსოფლიო ლიტერატურულ ცხოვრებასა და პრობლემატიკას. პოემა პირველად დაიბეჭდა „აკაკის თვიურ კრებულში“ 1898 წ., N10.[1]

1 „გამზრდელს“ დიდად აფასებდა ავტორი. სიკვდილის წინ აკაკის მოუთხოვია თავისი ნაწერების წაკითხვა და მისი მოკეთის ანეტა იურკევიჩისთვის (პოეტ იურკევიჩს, რომელიც „რუს-იმერელის“ ფსევდონიმით წერდა, ქალისათვის) უთხოვია: „იქ ჩემი ნაწერებია, გადმოიღე და წამიკითხეო“. აი, რას სწერს თავის მოგონებაში იურკევიჩის ქალი: „ბევრი რამ წავუკითხე იმ ღამეს და სხვათა შორის „გამზრდელის“ კითხვაც დავიწყე, როდესაც დასასრულს მივუახლოვდი და ეს ტაეპი წავიკითხე: „მაგრამ უსუფ ეუბნება:
-შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ

„გამზრდელი“ ხალხის საყვარელი თხზულებაა. იგი სწრაფად გავრცელდა ხალხში და ითარგმნა რუსულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე. პოემა მიძღვნილია პედაგოგებისადმი (სათაურის ქვეშ აღნიშნულია: „ნამდვილი ამბავი, ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს“).

ძირითადი ნაწილი

„გამზრდელი“ მრავალპლანიანი ნაწარმოებია. მასში ასახული და თავისებურად ახსნილია საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად რთული, აქტუალური და საინტერესო პრობლემები: ახალგაზრდობის აღზრდის, აღმზრდელის როლის და პასუხისმგებლობის პრობლემა, ადამიანის ჰარმონიული აღზრდის, მისი ზნეობრივ-მორალური და მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების აღზრდა-განმტკიცების აუცილებლობა, ჭეშმარიტი, წმინდა სიყვარულის მნიშვნელობა და ძალა ადამიანის ცხოვრებაში და სხვ. პოემის ექსპოზიცია იხსნება მოქმედების ადგილის აღწერით:

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.

ამ თვალუწვდენელ სიმაღლეზე „ცის მახლობლად“, „მღვიმის პირად“ დგას პატარა „მიწნული და მიგრეხილი“ ფაცხა, რომელიც გვხიბლავს არა თავისი მონუმენტობითა და აღზევებით ნაშენ ციხე-დარბაზების დიდებულებით, არამედ თავისი სიმარტივითა და უბრალოებით. ბუნების, გარემოსა და სადგომის უბრალოების ხატი ფაცხას ანიჭებს წარმტაც სილამაზესა და მომხიბლაობას. ის კი არ გვაკვირვებს, არამედ გვხიბლავს, გვიტაცებს და გვიზიდავს. ეს უბრალო „სადგომი“ თავისი სიტურფით აჭარბებს დიდებულ ნაგებობებს - „იმასთან ყველა სტყუის, რაც კი ციხე-დარბაზია“. მაღლა, სოფლიდან შორს, ძნელად მისადგომ „ცის მახლობლად“ სოფლის ცხოვრებას, „კაცთჟრიამულსა“ და „ბარსა და ვაკეს“ მოწყვეტილ „მერცხლის ბუდედ“დახატული ჰაეროვანი ფაცხა სამყოფ სავანედ აურჩევია ახალგაზრდა აფხაზ-ბათუს.

ბათუს ცხოვრების საკუთარი ფილოსოფია ამოქმედებს. მისი მიზანი არ არის გადაჭარბებული ფუფუნება და მდიდარი, რთული ცხოვრება. იგი მცირედით კმაყოფილდება: „რთულ ცხოვრების უარმყოფი, მცირედითაც კმაყოფილი“. მისი ცხოვრებისეული პოზიცია ნათელია: მას სურს თავისუფალი, ლაღი, ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება, ხოლო უმთავრესი და გადამწყვეტი ხიბლი და გატაცება

რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“.

საყვარელმა მოძღვარმა, - განაგრძობს იურკევიჩი, - ტირილი დაიწყო. მე შეშინებულმა მოვახსენე, რომ კითხვას სრულებით თავს დავანებებ მეთქი, მან აღელვებით მიბრძანა: „არა, არა, მე არა ვტირი, მაგრამ ეს მართლა დამიწერია“ (იხ. „ცხოვრება“, 1916 წ., N3).

ბათუს შთაგონებისა არის წმინდა და ერთგული სიყვარულით გამთბარი, ბედნიერი ტრფობისა და მშვენების მადლით აღვსილი ნეტარება.

თუ ილიას „განდეგილში“, ორბთა და არწივთა მიუწვდომელი დიდებული მყინვარის ყინულებში შეჭრილ „ბეთლემში“ მეუდაბნოედ შეკედლება განსაზღვრა მწირის ასკეტურ-მისტიკურმა რწმენამ და მისწრაფებამ: სული გაწმინდოს ხორციელებისაგან, ხორცი აწამოს სულისათვის, განშორდეს წუთისოფელს, „სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა, სად თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა“, უარჰყოს ამქვეყნიური ცხოვრება და ლოცვით, ხორცის ტანჯვითა და გვემით დაიმკვიდროს იმქვეყნიური სულის ნეტარება, აკაკის „გამზრდელში“ პირიქით; ბათუს არჩევანი, როგორც ითქვა, განაპირობა ბედნიერი, საამო და ლაღი, თავისუფალი და განსაკუთრებული სიყვარულით დამტკბარი ცხოვრებისადმი მისწრაფებამ. პოემის შესავალშივე შუქფენით ასახულია ბათუსა და ნაზიბროლას წმინდა სიყვარული. აკაკი საერთოდ სიყვარულის დიდი მომღერალია. იგი უგალობდა ჭეშმარიტ სატრფიალო გრძნობას და მიაჩნდა იგი მარადიულ, საკაცობრიო მოვლინებად. პოეტის აზრით სიყვარული ყოვლისშემძლე, კაცთა ენით გამოუთქმელი „ციური ნიჭია“, ცისა და ქვეყნის შუამავალი და „საუკუნო მეგობრობის მცველია“. სიყვარული ამაღლებს ადამიანს.

აკაკი ადიდებს სიყვარულს. „მწამს სიწმინდე სიყვარულის“-ო აცხადებს იგი და მზადაა ტრფობით „სიცოცხლის დასაწველად“ დადგას გული საკურთხევლად, რათა ბნელი გაანათოს: „მოდი, დამწვი, სიყვარული, მიაშუქე სადაც ბნელა“-ო (რაც არ იწვის, არ ანათებს“).

ბათუს ნატვრაც, მისი საოცნებო ნეტარებაც იყო ბედნიერი სიყვარული, ჭეშმარიტი ტრფობის „ციური ნიჭით“ ფრთებშესხმული სიხარული, „რითაც მხოლოდ ქვეყნიური ნეტარება არის სრული“. ეს ტკბილი ოცნება აუსრულდა რჩეულ აფხაზს:

ბათუმ და ნაზიბროლამ მთლიანად, მტკიცედ და მთელი არსებით დაუკავშირეს ერთმანეთს თავიანთი სიცოცხლე. სამეგრელოს ასული ნაზიბროლა საარაკოდ მომხიბლავი სულიერი სილამაზით და „ხორციელი ნიჭით“ იყო დამშვენებული. იგი პოეტის დახასიათებით „მოწყვეტილი ცის ვარსკვლავი, ედემს ალვად ასულია“.

პოეტი მრავალფერადი საღებავებით ამკობს ნაზიბროლას სილამაზეს:

ელფერობით ვარდი არის,

სინაზით - კი მორცხვი ია...

აღნიშნული ტაეპი, მრფავალთა შორის მოგვაგონებს აკაკის ლექსის („ლამაზს“) პოეტურ სტრიქონებს „იას სინაზე მოჰპარე, ვარდს- ფეროვნება ლამაზო“ და სხვ. (3, 405). საერთოდ, პოეტს სილამაზე „ციურ ნიჭად“ და სიყვარულის ერთ-ერთ ფუძედ მიაჩნია.

„მშვენიერების თაყვანისცემა უპირველესი ლოცვაა კაცისთვის და მართალი იყვნენ ბერძნები, სისრულესა და მშვენიერებას რომ აღმერთებდნენ“ (12,111) - წერდა პოეტი და თან აღნიშნავდა: ფიზიკური მშვენება არის ბუნების წესით კაცობრიობის ერთი მოთხოვნილებათაგანი, მაგრამ კაცის სრულს ღირსებას დიახაც ვერ შეადგენს, რადგანაც ამას აქვს მეორე, უმაღლესი მხარეც - სულიერი (ზნეობითი), ურომლისოდაც ის შორს ვერ წავაო... გარეგნობით შემკულს შინაგრძნობაც უნდა უკავშირდებოდეს: სული სცემდეს ხორცს ნათელს და ხორცი სულს შექათქათებდესო (14,317); ნამდვილი სიყვარული სულთა კავშირშია და არა მხოლოდ ხორციელში - აცხადებს პოეტი. ბათუსა და ნაზიბროლას სიყვარული, სწორედ ამ პოზიციის შესაბამისადაა დახატული. ბათუმ მშვენიერ ნაზიბროლას „გულში ცასქვეშეთი შეუწონა, შეუფარდა, ხოლო „მოწყეტილმა ცის ვარსკვლავმა“ ნაზიბროლამ უმანკო სიყვარულის კარი გაუღო სატრფოს.

პოეტის აზრით ცოლ-ქმრის მაღალი ზნეობრივი სიწმინდე და ფიზიკური მშვენებით მომადლებული „სულთა კავშირი“ ბურჯია საოცნებო ოჯახის „სალოცავი ტაძრისა“ და „ერის სიყვარულისა“ (11,38) ამიტომ შეჰხარის მგოსანი ბათუსა და ნაზიბროლას წმინდა სიყვარულს და ლაღ ნეტარებას.

სხვა ადგილას პოეტი კიდევ უფრო მაღალ შეფასებას აძლევს ნაზიბროლასებურ სულით წმინდა, ჭკვიან და გარეგნობით ლამაზ ქალებს. იგი წერდა: ლამაზი ქალი, რომლის თვალებშიც ღრმა ჭკუა იხატება და სახეზე მაღალი გრძნობა, ასეთი ქალები სათაყვანოა და მეც მათ ვეთაყვანები და ეს თაყვანია უხმო ლოცვა-დიდება შემოქმედისაო. უხმო ლოცვა-დიდების და სათაყვანო სიყვარულის წმინდა გრძნობამ აამაღლა ბათუსა და ნაზიბროლას ადამიანური ღირსებანი და შეაძლებინა მათ „მთის მწვერვალზე“, „ცის მახლობლად“ ნივთიერად უბრალო ცხოვრება ამაღლებულ ნეტარებად განეცადათ. ექსპოზიციის ბოლო სტროფით პოეტი მიგვანიშნებს ტრაგიკულ სიტუაციათა მოახლოებაზე:

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს!
მტრისას მისი გამოცანა!..

პოემის შემდგომი სიუჟეტური განვითარება ხასიათდება ერთი მეორეზე მიყოლებული მძაფრი ტრაგიკული მოვლენებით, ღრმა სულიერი ტკივილებითა და მძიმე განცდებით, პერსონაჟთა მწვავე მოქმედების მეტად დაძაბული ასპექტებით. ტრაგიზმით აღსავსე სიტუაციების ასახვას წინ უძღვის ბუნების სასტიკი მძვინვარების სურათი: „ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს თითი, თვალთან მიტანილი“.. ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ ნადირსაც - კი უფრთხო ძილი!.. ქარი ზუის... წვიმა უშვებს კოკის პირად, ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში გავარდება მეხი ხშირად“.

ასეთ მძიმე ვითარებაში ბათუს ესტუმრა ძმადნაფიცი მორდუ საფარ-ბეგი, რომელიც გახდა ბედნიერი აფხაზის, ნაზიბროლასა და აღმზრდელის მძაფრი სულიერი ტრაგედიის მიზეზი.

ბათუ ხალხის შვილია და ხალხის მაღალი გრძნობების, თვისებებისა და მოქმედების გამომხატველია. მას სწამს ხალხის სასარგებლო ტრადიციების ხელშეუხებლობა და ერთგულად იცავს მას. იგი წრფელი მიჯნურია, მოსიყ-ვარულე, ალერსიანი და გონიერი რაინდია. მას უნაპიროდ უყვარს ძუძუმტე, მორდუ - საფარ-ბეგი, რომლის სტუმრობასაც იგი დიდი აღფრთოვანებითა და სიხარულით ეგებება.

საფარ-ბეგმა ძიძიშვილს აუწყა თავისი მძიმე გასაჭირი: იგი მოუხიბლავს და ტრფობის ალით დაუმონებია სილამაზით განთქმულ ზია-ხათუნს. ამ „ჯადოქარმა“ ტრფობის საპასუხო ფასად საფარ-ბეგს დაავალა: „თუ გიყვარვარ და ხარ ჩემი მოგვარეო, ინალიფას ლურჯი ცხენი ამ სამ დღეში მომგვარეო“. ინალიფა ცნობილი ვაჟკაცია. იგი ნებით თავის ბედაურს თვით გამჩენსაც არ დაუთმობს „და თუ ვინმე ძალას იხმარს, შეაკვდება, არ შეარჩენს“. ამიტომ სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა მხოლოდ ერთადერთი ღონეო - განაცხადა საფარ-ბეგმა. ბათუმ მორდუსათვის თავი გასწირა და იკისრა ამ მეტად სახიფათო საქმის შესრულება.

ფაცხაში დარჩენილი საფარ-ბეგი სძლია ცდუნებამ და გამოუსწორებელი ცოდვა ჩაადენინა. მან უმძიმესი შეურაცჰყოფა მიაყენა ნაზიბროლას, რამაც გამოიწვია ენით გამოუთქმელი სულიერი ტანჯვა და მძაფრი ტრაგედია. საფარ-ბეგის თავშეუკავებლობამ დაარღვია საქვეყნოდ აღიარებული „რჯულზე უმტკიცესი“ რწმენა და ზნეობრივ-მორალური სიწმინდისადმი ერთგულების წრფელი ტრადიცია.

მოსიყვარულე ბათუს თავზარი დასცა ერთგული და სათაყვანო მეუღლის აგრე განადგურებულ მდგომარეობაში ხილვამ: „და, რომ კრინტიც არ დაუძრავს, იქვე უხმოდ ჩაიკეცა“.

ბათუ ძლიერი ნებისყოფის მქონე, უაღრესად ჰუმანური და ჭკვიანი პიროვნებაა. მან ძალ-ღონე მოიკრიფა და ტკბილი გრძნობით ანუგეშა ტანჯული ნაზიბროლა.

მწვავე სულიერი დრამის პირობებში, ბათუ არ კარგავს წონასწორობასა და კეთილშობილებას. მან უებრო სიყვარულით, ალერსითა და თანაგრძნობით დაამშვიდა განაწამები მეუღლე.

ბათუ, როგორც ითქვა, ნამდვილი რაინდია, გამოირჩევა იშვიათი მოთ-მინებით, ნებისყოფის სიმტკიცით, ტაქტით, უბადლო თავშეკავებით და გონი-ერებით, იგი გვაოცებს თავისი ზნეობრივი სიფაქიზით, საღი მსჯელობითა და მოქმედებით, სულიერი წონასწორობითა და ვაჟკაცობით.

ახალგაზრდა აფხაზი მტკიცედ იცავს ხალხის კეთილშობილურ ჩვეულებას,

სტუმარ-მასპინძლობისა და ძიძიშვილობის არსებულ ტრადიციას. უაღრესად მწვავე სულიერი ტკივილების განცდისას ბათუ თავშეკავებული და ხალხის ჩვეულების დაცვის შესაბამისად იგი დიდი ტაქტითა და სულიერი სიმტკიცით, საოცარი თავშეკავებით და გონივრული მოქმედებით სათუთად ეპყრობა სტუმარ საფარ-ბეგს. ბათუ „მშვიდი სახით“ და ღიმილით აღვიძებს შემცოდე სტუმარს, მან მოწიწებით დააბანინა ხელ-პირი, „გამოაწყო, არ დააკლო, რაც წესია სამსახური“, შეუკაზმა ცხენი, შესვა... ატკაცუნეს მათრახები და დაეშვნენ დაღმართზე. სტუმარს მასპინძელმა თავისი გულისწყრომა ამცნო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოჯახიდან კარგა მანძილზე გააცილა იგი: „საფარ-ბეგო! პირშაობა შენი ვიცი, შემიტყვია!.. და დღეიდან ჩვენ ორს შუა, მოციქული არის ტყვია!.. არა სთქვა-რა!... არც მე გკითხავ: არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელოა... არც შენდობა უხერხდება!“.

აკაკის მიუტევებელ ცოდვად მიაჩნია ხალხის კეთილშობილური ჩვეულების დარღვევა. ამ მხრივ პოემაში გამახვილებულია ყურადღება მორდუობისა და მასთან დაკავშირებული ზნეობრივ-მორალური სიწმინდისა და მოვალეობის დაცვის პრობლემებზე. ერთ წერილში პოეტი წერდა: „სამეგრელოში და აფხაზეთში, როდესაც ძიძა აიყვანს გასაზრდელად ყმაწვილს, თავის შვილებს თავს შემოავლებს და არა თუ მარტო შვილები, მთელი იმის გვარის კაცი გაზრდილის მორდუებად ხდებიან და ისეთი ფანატიკური დამოკიდებულება იმართება მათ შორის, რომ ყველაფერს შესწირავენ გაზრდილის ინტერესს, მაგალითი ყოფილა, რომ გაზრდილის საფლავზე ან კუბოზე მორდუს თავი მოუკლავს... ჩვენში, - აგრძელებს პოეტი, - ძმობილობას, შვილობილობას, დედობილობას, მორდუობას და სხვებს რჯულზე უმტკიცესი და დაურღვეველი ხასიათი აქვს!. სხვა ადგილას („თამარ ცბიერი“) პოეტმა დობილობისა და მორდუობის სიყვარული და ერთგულება შეადარა გულში ანთებულ, ჩაუქრობელ ცეცხლის ალს, რომელიც „გულს შენახორცი, სულზე უტკბესი“ გრძნობაა. აღნიშნული ჩვეულება დამახასიათებელია ქართველ და საქართველოში მცხოვრები (და სხვაგანაც) ხალხებისთვის და მას თავისი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ერთა ცხოვრებაში. მას ქებას ასხამდა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობა და ხალხური შემოქმედება. თავის მხრივ, როგორც აღინიშნა, აკაკი ხშირად ასახიერებდა მას თავის შემოქმედებაში, წერილებსა და საჯარო გამოსვლებში.

ბათუს ღრმა რწმენით მორდუობა რჯულზე უმტკიცესი და ხელშეუხებელია. რაგინდ დიდი შეცოდება და დანაშაულიც მიუძღოდეს ძუძუმტეს მას ძიძიშვილი სასიკვდილოდ მაინც ვერ შეება.

ბათუ უმძიმესი ტრაგიკული განცდების პირობებშიც მტკიცედ იცავს ძიძიშვილობის, მორდუობისა და სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას. იგი მაღალ ზნეობრივ-მორალური სიწმინდის, სიფაქიზისა და სილამაზის განსახიერებაა. საფარ-ბეგის ძირითადი უბედურება ნებისყოფის სისუსტეშია, მას არ აქვს

თავშეკავების უნარი, გადაჭარბებითემოციურია და ვნებათაღელვის ამყოლი, ის კონტროლს ვერ უწევს მოქმედებასა და ქცევას, კარგავს წონასწორობას და ვერ უძლებს სახიფათო ცდუნებას, პატივი არ დასდო მორდუობას და ჩაიდინა გამოუსწორებელი შეცოდება, რომელსაც „შენდობა არ უხერხდება“. საფარ-ბეგის ცდუნებამ უმძიმესი სულიერი და ფიზიკური ტრამვა მიაყენა მორდუს („მოტრიალდა და აღმართი ძლივს ბარბაცით აიარა“).

პოემაში საფარ-ბეგი ცალსახად არ არის დახატული. პოეტი მის სახეს წარ-მოგვიდგენს შედარებით სრული ფორმით. გვიჩვენებს, როგორც უარყოფით, ისე დადებით მხარეებსაც.

იგი არ არის უმეცარი, გამოუცდელი და ჯაბანი, იცნობს ცხოვრებას, არის შეუპოვარი და უშიშარი ვაჟკაცი. პოეტი საფარ-ბეგის ამ მხარეს ბათუს სიტყვებით შემდეგნაირად ახასიათებს: „არ ხარ ქვეყნის უცადი და უმეცარი, - სავაჟკაცოდ გამოსული უდრეკი და უშიშარი“.

საფარ-ბეგი გრძნობს ჩადენილ მძიმე შეცოდებას და განიცდის სინდისის მწვავე ქენჯნას. იგი გულწრფელად აღიარებს თავის ცოდვას („მართალი ხარ!.. აღარა მაქვს მე სათქმელი!.. შემაცდინა თვით ეშმაკმა და დამრია ცოდვის ხელი!...) და გულწრფელად ითხოვს სიკვდილის ფასად გამოისყიდოს დანაშაული, სიკვდილით გაიმრთელოს სინდისი („მომკალ... მაზღვევინე, რაც შეგცოდე, სინიდისი გამიმრთლე!“). მან შეიგნო თავისი უმსგავსო საქციელის ბიწიერება და მორჩლებით უჩვენა გულ-მკერდი ჰაჯი-უსუბის მიერ შემართულ დამბაჩას. მაგრამ ყველაფერი დაგვიანებული იყო. მისი უზნეო საქციელის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. იგი მორდუობის გამტეხია და „ჩვეულების გადამდეგი“, ხალხისა და აღმზრდელის შემარცხვენი.

მართალია, ის ბოროტების ჩადენის წინასწარი განზრახვით არ მოსულა ძმობილის ოჯახში, მას სრულიად სხვაგვარი მიზანი ამოქმედებდა, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მან უპატიებელი საქციელი ჩაიდინა. აღსანიშნავია, რომ სახელოვანი ქალები მიჯნურისა და საქმროსაგან მოითხოვდნენ საქვეყნო საქმისთვის თავდადებას, გმირულ პატრიოტულ თავგანწირვას; საფარ-ბეგი კი დაემორჩილა ზია-ხანუმის უკადრის სურვილს. მართალია, ძლიერი პატრონისაგან ბედაურის მოტაცებას, ერთგვარი ვაჟკაცობა და შემართება სჭირდებოდა, მაგრამ ის საქვეყნო საქმედ არ ითვლება. საფარ-ბეგი ამ შემთხვევაშიც ერთგვარი სულმოკლეობის და განუსჯელი გადაწყვეტილების მიმყოლი შეიქნა. ბათუ ზნეობრივად მაღალი პიროვნებაა, საფარ-ბეგი კი შედარებით დაბალი ზნეობის აღმოჩნდა.

პოემაში საგანგებოდაა ხაზგასმული გამზრდელის როლი და მისი მაღალი პასუხისმგებლობა ადამიანის აღზრდის მეტად საპატიო საქმეში. პოეტი დიდ პატივს სცემდა ჭეშმარიტ მასწავლებელს და პედაგოგიური მოღვაწეობა ხალხის ცხოვრების ერთ უკეთეს და უმაღლეს სარბიელად მიაჩნდა. იგი წერდა: „ჩვენს წინაპრებს, სხვა ბევრ კარგ თვისებასთან ერთად, ერთ კარგი ისიცა ჰსჭირდათ,

რომ სწავლა-განათლებას ჭეშმარიტი თვალით უყურებდნენ. არც ერთს ასპა-რეზზე არაფერ მოღვაწეს ისეთ პატივს არ სცემდნენ და არ აფასებდნენ როგორც მათ, ვისაც ხელში მათი შვილების ხორციელ-სულიერი აღზრდა იყო: იმათ უწოდებდნენ სასოებათ, მოძღვრებათ!“... (ტ. VIII, 113-114). აკაკი აღზრდას და სწვლა-განათლებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

პოეტი სამშობლოს კეთილი მომავლის განხორციელების ერთ-ერთ იმედს ახალგაზრდობის გონიერ აღზრდაზე ამყარებდა. აკაკი წერდა: „ვინ არ იცის, რომ ყოველი ბედნიერება ხალხისა არის დამოკიდებული მის გონებით მდგომარეობაზე, რომ უსწავლელად და გაუნათლებლად შეუძლებელია მისი ცხოვრების გაუმჯობესება, განვითარება და, ერთი სიტყვით, მისი წინსვლა, ანუ პროგრესი“ (XI, 158). სხვა ადგილას პოეტი აცხადებდა: თუ ხალხში არ შევიდა სწავლა და განათლება, მისი ბედნიერება სხვაფრივ არ შეიძლებაო (III, 403). აკაკი გმობდა ძველი სკოლის მახინჯ სახეს. თავის უკვდავ შემოქმედებაში იგი ხშირად ამხელდა რეაქციული სკოლის სიტემას და ცარიზმის მავნე სასწავლო პოლიტიკას, აღზრდის მახინჯ ფორმებს. ასეთი სკოლის შესახებ პოეტი წერდა: „ყმაწვილების აღზრდამ მიიღო ისეთი ცუდი ხასიათი და მიმართულება, რომ ჩვენში, თითქმის აქამდისაც აღზრდილების და ნასწავლები ისეთი უსარგებლონი გამოდიოდნენ მამულისათვის, როგორიც უსწავლელები იყვნენ“ (XI, 163). აკაკის აზრით ერის ზნეობრივ-მორალური დაცემა და დაკნინება სხვა უკუღმართ ფაქტორებთან ერთად, ცუდი აღზრდის ბრალია. მოთხრობაში „სიკვდილი“, როდესაც ძველი მოღვაწეებიმოისმენენ ცნობას სამშობლოს ზნეობრივად დაქვეითების შესახებ, თამარ მეფე მიუთითებს: „ეს სულ ცუდი აღზრდის ბრალი ყოფილაო“ (VIII, 98). ანალოგიურ შეხედულებას იმეორებდა პოეტი სხვა თხზულებებშიც („ჩემი თავგადასავალი“) და აცხადებდა „ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ დღვანდელი ჩვენი უვარგისობა დამახინჯებული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომავალში ბოლო უნდა მოეღოს“.

პედაგოგიკის კლასიკოსთა მსგავსად, პოეტი ანიჭებდა რა აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას, აღმზრდელის მოვალობას უაღრესად კეთილშობილურ და ფრიად საპასუხისმგებლო მოღვაწეობად თვლიდა. მისი რწმენით, ჭეშმარიტ აღმზრდელს დიდი შთამაგონებელი ძალა ახასიათებს და შეუძლია სასწაულები მოახდინოს - აღზარდოს, სწორ გზაზე დააყენოს და გამოასწოროს მცდარ და უკუღმართ გზაზე დამდგარი ახალგაზრდა.

აღზრდის კეთილშობილურ საქმეში ნამდვილი, ჭეშმარიტი მასწავლებლის დიდ როლს პოეტი სხვა თხზულებებშიც ასახავდა, კერძოდ, „ჩემი თავგადასა-ვალში“ იგი მიუთითებდა რა გიმნაზიაში გამეფებული მონარქიული სწავლა-აღზრდის უკუღმართობაზე და კიცხავდა რა რეაქციონერ მასწავლებლებს, ქებას ასხამდა პროგრესულ პედაგოგებს და აღიარებდა მათ დიდ შთამაგონებელ ძა-ლასა და მნიშვნელობას ახალგაზრდობის გონივრული აღზრდის საქმეში.

გიმნაზიაში გაბატონებული სწავლების შავბნელ „პირობებში, - წერდა აკაკი,-ჩაყენებული მოზარდი თაობა ვერას გამოიტანდა ბევრს გიმნაზიიდან, რომ ამ საზარელ ბნელში ერთი ნათელიც არ გამოგვრჩენოდა. ის იყო პოლონელი როდზიევიჩი “ (VII, 74). ამ პედაგოგის დიდად შთამაგონებელი ძალის შესახებ პოეტი აღნიშნავს: „დილიდან საღამომდე როდზიევიჩს აღარ ვშორდებოდი. ოთხი თვე დავრჩი, მაგრამ ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის, ვიდრე რვა წელიწადი გიმნაზიაში მყოფობის დროს“ (VII, 77).

აღმზრდელის როლის, პასუხისმგებლობისა და მნიშვნელობის პრობ-ლემა დიდად აინტერესებდა და აინტერესებს ყოველ ხალხს, მსოფლიო სა-ზოგადოებრიობას. აღნიშნული პრობლემის შესახებ იმთავითვე გამოითქვა მარავალი საინტერესო აზრი. განსაკუთრებული პაექრობისა და მეცნიერული მსჯელობის საგანი გახდა ამჯერად ჩვენთვის საინეტერესო პრობლემა: ა) ბავშვის სული, ცნობიერება არის დაუწერელი სუფთა ქაღალდი (whita-paper), ანუ ლათინურად, არისტოტელედან მომდინარე ტერმინი tabula rasa - სუფთა დაფა, უარყოფდნენ თანდაყოლილ იდეებსა და აღიარებდნენ, რომ აღმრზდელს შეუძლია ნებისმიერი სასარგებლო თვისებები დაწეროს ბავშვის სუფთა გულზე, აღზარდოს იგი გარკვეული მიმართულებით. აღრზდა ყოვლისშემძლეა და გარემო წრე უდიდეს ზეგავლენას ახდენს მოზარდისა და ყმაწვილის ხასიათსა, თვალსაზრისზე და სხვ. (ჯონ ლიკი).

ბ) მოპირდაპირე აზრის მიხედვით ბავშვის სული და ცნობიერება არ არის სუფთა დაფა. მას თან დაყვება მემკვიდრეობითი, ბუნებრივი მონაცემები-შთამომავლობის გენები, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს ადამიანის აღრზდის პროცესში.

რომელთა თანაარსებობა გარკვეულ შემთხვევაში ართულებს ან აადვილებს აღრზდას.

ყოველ შემთხვევაში მძიმე თანდაყოლილი თვისებების გასწორება ზოგჯერ შეუძლებელი ხდება.

აღრზდის შესახებ უამრავი სოციალ-პოლიტიკური, ისტორიულ-ფილოსო-ფიური, პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური, ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყვე-ლო მეცნიერებათა მიღწევებით წარმოქმნილ მიმართულებათა, პრინციპთა შეხედულებათა თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებათა მიერ დაგროვილ მასალათა შორის აკაკი ანგარიშგასაწევ ფაქტორად მიიჩნევდა ბუნებრივ გარემო წრის, თანდაყოლილ მემკვიდრეობით მონაცემებსაც და აცხადებდა:

მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს,

თუ ბუნებამაც არ უშველა?

ამის გამო, საფარ-ბეგის სრული, ყოველმხრივი აღზრდა შეუძლებელი გახდა.

მიუღწეველი შეიქნა მისი ბოლომდე სასურველი აღზრდა, მისი ფსიქო-ფიზი-ოლოგიური ხასიათებისა და თვისებათა მთლიანად გარდაქმნა. მიუხედავად

ამისა, როგორც ითქვა, აკაკი ადამიანის აღზრდის მთელ პასუხისმგებლობას აღმზრდელს აკისრებს. ყოველ შემთხვევაში, პოემა „გამრზდელი“ შთაგონებულია კეთილშობილური იდეალით, რომ აღმზრდელი თავის მოღვაწეობას ისე უნდა აფასებდეს, როგორც საკუთარ სიცოცხლეს. ცუდად თუ კარგად აღზრდილის პასუხისმგებლობა პირველ რიგში აღმზრდელმა უნდა გაიზიაროს და პასუხი აგოს საკუთარ თავსა და ხალხის წინაშე. ამგვარი აღმზრდელი იმსახურებს ხალხის დიდ სიყვარულს, უსაზღვრო ნდობასა და პატივცემას - იდეალური მოძღვრის წარუშლელ სახეს.

აკაკიმ ერთი კალმის მოსმით გააცოცხლა ბრძენი, იდეალური აღმზრდელის მარადიული სახე. ჰაჯი-უსუბ „ცნობილია მხოლოდ ჭკუით და გონებით“, იგი ფრიად განათლებული პიროვნებაა: „ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს, მნახველია ცა და ქვეყნის“, ცხოვრობს ხალხის ჭირითა და ლხინით, ყველასათვის მისაბაძი, საოცნებო მოძღვარი და იდეალური აღმზრდელია: „სადაც კია გვარიშვილი, ყველა მისი გაზრდილია“. ამ ოლიმპიურ ხატს აცისკროვნებს დიდების შარავანდი, საქმისადმი უსაზღვრო პასუხისმგებლობა და გმირული თავგანწირვა. იგი საფარ-ბეგს ეუბნება:

შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!
დიდმა მოძღვარმა „საფეთქელში მიიჭედა ცხელი ტყვია!“.

ჰაჯი-უსუბ სახალხო გმირია, მაგრამ ის, ამავე დროს იდეალური აღმზრდელის საკაცობრიო ტიპის სანიმუშო ხატია. გამზრდელის სახის ჩვენებით პოეტმა თავისებური ნათელი სხივი შეიტანა პედაგოგის არსის საკაცობრიო პრობლემათა გადაწყვეტის საქმეში.

დასკვნა

„გამზრდელი“, ისე როგორც პოეტის სხვა მხატვრული შედევრები, უსაზღვროდ გვხიბლავს თავისი უაღრესად ნათელი, მსუბუქი, წარმტაცი და სადა პოეტური ფორმებით. პოემის ყოველი სახე, თავისი ღრმა დრამატიზმითა და მძაფრი სულიერი განცდებით, საოცრად იზიდავს და აჯადოებს მკითხველს. თხზულებაში გენიალურად არის გამოყენებული ლიტერატურული, ხალხური და ხალხურისებული სტილი: შედარებანი, ეპითეტები და მეტაფორები („მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს“, „ფიანდაზად ეფინება არემარე“, „უბრალობით მომხიბლავი ლამაზია“, „მიწნული და მიგრეხილი“, „მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი ედემს ალვად ასულია!..“ „ელფერობით ვარდი არის, სინაზით კი მორცხვი ია“, „უხმოდ ჩაიკეცა“, „წმინდა არის ვით ლამპარი“ და სხვ.) და მიღწეულია ბრწყინვალე ემოციურობა.

პოემაში პერსონაჟთა სახეები დახატულია ცოცხლად, ბუნებრივ ფორმებში და მოქმედების განვითარების პროცესში.

მოქმედ პირთა უბადლო დახატვას ავტორი პერსონაჟის ფიზიკური თვისებების აღწერის გარეშეც აღწევს დასახული მიზნის სასწაულებრივ განხორციელებას. თხზულება შესრულებულია ლაკონური, დინამიკური სტილით. აქ ყოველი პოეტური სიტყვა და გამოთქმა ისეა შერჩეული და ჩასმული მხატვრულ მედალიონში, რომ სიტყვათა მინიმუმით მიღწეულია აზრისა და განცდის სულისა და გულის მაქსიმალური ემოციური განსახიერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკაკი წერეთლის თხზულებანი ტ. 3, 8, 13, 14
2. „აკაკის თვიური კრებული“ 1998 წ., N10
3. „ცხოვრება“, 1916წ., N3

Prof. M Kajaia
Tich. M. Kvrivishvili

Traditions and Life Traits in Akaki Tsereteli's Poet "Gamzdeli"

Manana Kajaia, associate professor
Mariam Kvrivishvili, senior teacher

Summary

„Gamzrdeli“ is a splendid example of Akaki's poetic muse. With its content, theme, urgency of problems, ideological aspiration and artistic skill, the poem is one of the peaks and crowns of new Georgian literature. It deservedly echoes the humankind world literary life and problems.

Akaki Tsereteli's poem "Gamzdeli" is taught within the preparatory educational program of the Georgian Language.

Our aim is to explain and teach students rather complex, urgent and interesting problems of social life depicted in the poem; also moral upbringing and the power of true, sacred love in human life.

The narration is performed in a laconic, dynamic style.

Key words: Civil, humankind, moral, laconic, dynamic.

როგორ ვასწავლი

მარიამ გელაშვილი, მასწავლებელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ქართული ენის მოსამზადებელი განყოფილების მსმენელებთან ჩატარებულ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მიღებული ქართული ენის ფონეტიკური მოვლენების შესწავლა. სწავლის მიზანია, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის საწარმოთქმო ჩვევათა განვითარება, ბგერათა სწორად წარმოთქმა, როგორც წერითი, ისე ვერბალური კომუნიკაციის დასამყარებლად.

საკვანძო სიტყვები: საწარმოთქმო ჩვევები, ფონეტიკა, ქართული ენა, ასო-ბგერები, კარნახი.

შესავალი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ეთნიკური უმცირესობისათვის, უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა. მსმენელებმა უნდა მიიღონ სათანადო ცოდნა, რათა შეძლონ სწავლა ბაკალავრიატის საფეხურზე და აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ ცხოვრებაში.

მსმენელთა უმრავლესობას საჯარო სკოლა საქართველოში აქვს დამთავრებული, სწავლობენ ქართულ ენას და ლიტერატურას, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში არ აქვთ პრაქტიკა განავითარონ საწარმოთქმო ჩვევები.

ამ მიზნის მისაღწევად, ბგერათა სწორად წარმოსათქმელად მათ ეხმარება საგანი-„ფონეტიკა“, რომელიც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგია და სწავლობს ადამიანის სამეტყველო ბგერებს.

ძირითადი ნაწილი

ფონეტიკის საკითხთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია, ანბანის რიგის ცოდნას. ანბანში თითოეულ ასოს თავისი სახელწოდება აქვს (ანი,ბანი, განი, დონი,ენი...) და სანამ ჩემი მსმენელები ანბანის შესწავლას დაიწყებენ, ვესაუბრები ქართული ენის ისტორიაზე. როგორ იცვლებოდა საუკუნეთა მანძილზე ქართული დამწერლობა.

სამეტყველო ბგერათა რაოდენობა ყველა ენას განსაზღვრული აქვს. მსმენელებთან ერთად, თვალსაჩინოებისთვის, ვადარებ აზერბაიჯანულსა და ქართულ ანბანს. აზერბაიჯანულ ანბანში ოცდათორმეტი ასოა, მათ შორის ცხრა ხმოვანია. მათ განსაკუთრებით უჭირთ გამოთქვან-ჭ,წ,ყ,პ,ტ,კ, რადგან მშობლიურ ენაში ასეთი ასო-ბგერები არ აქვთ. მსმენელები ახდენენ იმიტაციას, ამიტომ, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ ამ ბგერებით დატვირთული

სიტყვების გამოყენებას. ვაკვირდები როგორ წარმოთქვამენ, როგორ ესმით, როგორ წერენ.

ბგერების სწორად გამოთქმა არის ფონეტიკის სწავლების აუცილებელი პირობა.

მსმენელს გამოთქმის უნარი რომ ჩამოუყალიბდეს, სწავლების პირველივე საფეხურზე ვცდილობ, განუვითარო მათ სმენითი აღქმის უნარი. ეს ხდება ბგერათა, სიტყვების და მარტივი წინადადებების მოსმენით.

ტექსტებს, რომელსაც ხშირად ვიყენებ პრაქტიკულ მეცადინეობებზე, არ არის უცნობი ლექსიკით გადატვირთული. ტექსტის არჩევისას, ვითვალისწინებ მსმენელთა ინტერესს და შესაძლებლობას. თუ რამდენად კარგად ართმევენ თავს ასო-ბგერების ცოდნას ამას ვაფასებ კარნახის მეთოდით. მათ ევალებათ არამარტო ტექსტის სწორად დაწერა, არამედ შინაარსის გადმოცემაც. რვეულში ინდივიდუალურად ვუსწორებ შეცდომებს, შინაარსის გადმოცემას კი გუნდური მუშაობით. ვთვლი, რომ ეს მეთოდი სწორი მეტყველების დაუფლებაში ეხმარება, ხოლო კარნახი მართებული წერის ჩვევას გამოუმუშავებთ. ხშირი გამეორება გუნდური პრინციპით გააზრებულ დამახსოვრებას უწყობს ხელს. შედეგის მიხედვით, თუ როგორ ართმევენ თავს დავალებას, მაფიქრებინებს შესაძლებელია თუ არა ტექსტის გართულება.

განსაკუთრებულ პრაქტიკას, ვარჯიშს მოითხოვს თანხმოვანთა ჰარმონიული ჯგუფების შესწავლა. თეორიული მასალის შესწავლის შემდეგ, ვიწყებთ მეცადინეობას-კომპლექსური ბგერების სწორად წარმოთქმაში, ვადგენთ წინადადებებს. ვამახვილებ ყურადღებას- ბ,პ,ფ; დ-თ-ტ, ძ-წ-ც, ჯ-ჭ-ჩ, ასო ბგერები როგორ ქმნიან ქართული ენის თავისებურ შემადგენლობას თანხმოვნებთან- ღ, ყ, ხ. ვაწერინებ მაგალითებს: ჯღავილი, უძღვება, სადღეგრძელო, ბღავილი, წყევლა. (ჯღ, ძღ, დღ, ბღ, წყ) მოყვანილი ნიმუშის მაგალითზე ვაგრძელებთ მუშაობას შემდეგ თანხმოვნებზე:

ყ - ყრუ მკვეთრებთან პყ, ტყ, წყ, ჭყ

ხ- ყრუ ფშვინიერებთან ფხ, თხ, ჩხ, ცხ

სწორად წარმოთქმის შემდეგ დგება მართლწერის საკითხი. ვადგენთ სიტყვებს, სადაც აღნიშნულ ბგერებს ერთმანეთს არ ვაცილებთ, მათი გადატანა არ შეიძლება. დამოუკიდებლად უკეთ რომ დაძლიონ, ვაძლევ საშინაო დავალებას - ამოიწერონ ტექსტიდან თანხმოვანთა ჰარმონიული ჯგუფების მაგალითები და კომპლექსურ ასო-ბგერებს ქვეშ ხაზი გაუსვან.

პრაქტიკულმა მუშაობამ მიჩვენა, რომ ქართული ენის არასათანადო ცოდნა მხოლოდ თეორიული სწავლებით ვერ დაიძლევა. მსმენელებს, რომელთაც უჭირთ გარკვევით წარმოთქვან თანხმოვნები, ამის დაძლევაში თავისივე ჯგუფელები ეხმარებიან. სწორედ პრაქტიკული მეცადინეობაა იმ შედეგის მომტანი რომელსაც ისინი აღწევენ. მსმენელები ხმამაღლა, ერთად იწყებენ დაფაზე

დაწერილი მაგალითების გამეორებას: წრა, ძღა, წყა, ცხა. ამ თანხმოვნებს ვუმატებთ ყველა ხმოვანს და ჯგუფურად ჩქარ-ჩქარა იმეორებენ. ამის შემდეგ ასევე ხმამაღლა ვაკითხებ თანხმოვნებს: ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, გ , ქ, კ, ზ, ჟ, შ, ღ. ამ თანხმოვნებს უკვე ინდივიდუალურად მსმენელები ყოფენ ჯგუფებად- მჟღერი, ყრუ , ხშული, წყვილბაგისმიერი , ენაკბილისმიერი, უკანაენისმიერი, ხახისმიერი, ხორხისმიერი. ამის გარჩევაში მათ უკეთ ეხმარებათ ნასწავლი მასალა- საწარმოთქმო ორგანოები და მათი დანიშნულება.

ხშირად მსმენელებს ტექსტში ხვდებათ სიტყვები, რომლის მნიშვნელობაც არ იციან. ამ დროს შესაძლებელია ლექსიკონის გამოყენება ან მასწავლებლის დახმარება, შინაარსის უკეთ გაგებაში. ანბანის რიგის ცოდნას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, სწორედ ეს უადვილებთ ლექსიკონთან მუშაობას.

მსმენელების განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს პრაქტიკული მეცადინეობა თემაზე- ბიოლოგიური და ფიზიკური ბგერების შესახებ. ამ დროს აუდიტორია სრულიად ჩართულია, ადგენენ წინადადებებს თუ რომელი სიტყვა მიესადაგება ამა თუ იმ ცხოველის ან ფრინველის გამოცემულ ხმას.

ყოველი სიტყვა რომ წარმოითქვას ზუსტად და გარკვევით, საჭიროა მარცვლის საკითხთა საფუძვლიანი შესწავლა. მარცვლის პოვნა სიტყვაში ადვილია, სიტყვის დამარცვლის ცოდნით სწავლობენ რა ტემპით უნდა წაიკითხონ ტექსტის ესა თუ ის ნაწილი, სად არის საჭირო ლოგიკური მახვილი. წინადადებებზე მუშაობის შედეგად ეს პროცესი მათთვის მარტივდება. ვაძლევ დავალებას- ამოიწერონ მოთხრობიდან ნაწყვეტი და სიტყვები დამარცვლონ, გაარკვიონ რამდენი მარცვლისაგან შედგება თითოეული სიტყვა და რამდენი ბგერისაგან თითოეული მარცვალი.

მსმენელები ადვილად ითვისებენ ღია და დახურული მარცვლის რაობას, რადგან ზედმიწევნით ისწავლეს ხმოვნები და თანხმოვნები ეს მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს. არ უჭირთ მოძებნონ წინადადებაში ისეთი სიტყვები რომლებიც მთავრდება ღია და დახურული მარცვლით. სიტყვის სწორად წარმოთქმისთვის მნიშვნელოვანია სახელთა ბრუნების პრინციპების შესწავლა. სიტყვამ მნიშვნელობა და შინაარსი რომ არ დაკარგოს ამისთვის მსმენელებმა კარგად უნდა ისწავლონ ქართულ ენაში არსებული შვიდივე ბრუნვის ნიშანი. მათ უნდა შევასწავლო კუმშვა-კვეცა. ჩემ მიერ შეთავაზებული ტექსტიდან მსმენელები ამოიწერენ კუმშვად სახელებს, აბრუნებენ და მიუთითებენ რომელი ხმოვნის ამოვარდნა მოხდა ფუძიდან. ასევე შესრულდება დავალება კუმშვადკვეცად სახელებზე.

ბგერების გამეორება მოსაწყენი რომ არ გახდეს, მსმენელების განტვრითვას ვცდილობ, ვაკითხებ და ვაწერინებ ენის გასატეხ წინადადებებს:

- შემოდგომის შავი შაშვი შინდის შტოზე შემოხტა;
- ჭინჭრებს შუა ჭივჭავები ჭანჭურს ჭამენ ჭიანაჭამს;

- ჩინეთიდან ჩინელებმა ჩაი ჩამოიტანეს, ჩაიდანში ჩაყარეს და ჩაატარ-ჩამოატარეს;
- ყვავი ყვა-ყვას ყრანტალებს ყორანი კი აჯავრებსო;
- ჭრიჭინები ჭრიჭინებენ ჭინჭილებით სვამენ მაჭარს.

დასკვნა

ხშირი კითხვა, საუბარი ქართულად სიტყვების სწორად წარმოთქმას უწყობს ხელს. ამ დროს ყურადღება ექცევა- მახვილს სიტყვასა და წინადადებაში, ინტონაციას, აქცენტს. თეორიულად ნასწავლი მასალა მასწავლებლის დახმარებით, უფრო გასაგები ხდება პრაქტიკულ მეცადინეობაზე - ზეპირი კომუნიკაციით.

ჩემი მიზანია ვასწავლო, დავაინტერესო, ავუმაღლო მოტივაცია, რომ გახდნენ სტუდენტები და წარმატებას მიაღწიონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შაკიაშვილი ე., ფონეტიკა-გრაფიკის საკითხები თბ. 2018.
2. ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა, წერა) საკითხავი, რიდერი, თბ., 2012წ.

My teaching methods

Mariam Gelashvili,Teacher
Georgian Technical University

Summary

The study examines phonological processes generated from practical exercises conducted with the students of Georgian Language Preparatory Unit of the Technical University of Georgia. The study aims to develop articulation skills for non-Georgian students, to pronounce speech sounds in order to establish both verbal and written communication.

Key words: articulatation habits, phonetics, Georgian language, letters and speech sounds, dictation.

ქართული წერითმეტყველების სწავლება აზერბაიჯანელ მსმენელთათვის

გულიკო დევდარიანი, უფროსი მასწავლებელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქართული წერითმეტყველების სწავლების საკითხები აზერბაიჯანელი მსმენელისათვის.

აღნიშნულია, რომ აუცილებელია მსმენელის ლექსიკური მარაგის გამდიდრება. გეგმაზომიერად და სწორი მეთოდოლოგიით წერითი მეტყველების ჩვევების ჩამოყალიბება. ჩაწერის უნარის განვითარება, წერის სწავლება კარნახით, თეზისების შედგენა. კრიტიკული აზროვნების უნარისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ენობრივი კომუნიკაცია, ურთიერთობა, ქართული, სწავლება, ინფორმაცია, მსმენელი

შესავალი

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. არაქართველი მოქალაქეებისათვის ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლა, ხელს უწყობს მათ სრულფასოვან ინტეგრირებას ქართულ გარემოში.

`ენის ერთი უნიკალური თვისება მისი უნივერსალურობა, ანუ სხვა კულტურებთან ურთიერთობის უნარია ამჟამად გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ყოველ ეროვნულ კულტურასა და ენაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებითი ელემენტებიც არსებობს და სპეციფიკურად ეროვნულიც. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებითი ელემენტები ქმნიან სწორედ კულტურათაშორისი კომუნიკაციების საფუძველს. ამგვარი საერთო ელემენტების გარეშე საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა კულტურათაშორისი ურთიერთობები ანუ კულტურათა დიალოგები~.

ძირითადი ნაწილი

ქართული ენა არაერთი ქართველისათვის გამხდარა მეორე ენად. საქართველოში ქართველების შემდეგ ყველაზე დიდ ეთნოლინგვისტურ ჯგუფს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებულნი ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ: მარნეულის, გარდაბნის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებსა და ქ. თელავის შემოგარენში.

ეთნიკურად არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში სწავლების ენა არ არის სახელმწიფო (ქართული) ენა. განათლების რეფორმის ერთ-ერთ

პრიორიტეტს სწორედ ეროვნული უმცირესობის მიერ სახელმწიფო ენის შესწავლა წარმოადგენს, რადგანაც სასკოლო განათლება არაქართულ სკოლებში ტრადიციულად ამ მოსახლეობისათვის მშობლიურ ენაზე ხორციელდება. ამჟამად შეცვლილია სახელმწიფო ენის მიმართ არაქართველი მოსახლეობის დამოკიდებულებით ეთნიკურად არაქართველები ღიად მოითხოვენ ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლებას. ამ მიმართებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. განხორციელდა არაერთი წარმატებული პროგრამა, რამაც საკმაოდ დადებითი შედეგი გამოიღო.

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს კომუნიკაციაზე. კომუნიკაცია მთავარი ფუნქციაა ენისა, რომელიც ხელს უწყობს განსხვავებული ენების, კულტურის მქონე ეროვნებათა გაცნობას და დაახლოლოებას.

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სასწავლო გეგმის მიზანია, მსმენელი უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს;

ა) წარმატებული კომუნიკაცია;

ბ) სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და გაგება;

გ) სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება;

დ) ქართული კულტურული თვითმყოფადობისა და ფასეულობების პატივისცემა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე მე-9 სასწავლო წელია მიმდინარეობს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ენის სწავლების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად მიჩნეულია წერითი მეტყველება.

`წერა-კითხვის შემოღება კაცობრიობის არსებობა. ყველაზე დიდი ინტელექტუალური რევოლუცია იყო... წერითმა მეტყველებამ ადამიანის დიდი ნდობა მოიპოვა და დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი მის ცხოვრებაში~.

ამდენად, მეტად საპასუხისმგებლო მისია გვევალება პედაგოგებს, ვინც წერითმეტყველების პრაქტიკულ კურსს ვუძღვებით. უპირველესად, ვეცნობი მსმენელთა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის, ძირითად ლექსიკურ ფონდს, აქტიურ სიტყვებს. საჭიროების შემთხვევაში ვიყენებთ ქართულ-აზერბაიჯანულ ლექსიკონს.

მსმენელს ვასწავლით, როგორ აიგოს ურთიერთობები და რა ენობრივი საშუალებებია საჭირო გარკვეული აზრის გადმოსაცემად. სირთულეების სწორად განაწილება სწავლების მთლიან ეტაპზე, კომუნიკაციური სწავლების პრინციპების გამოყენება და გააზრებულად მიწოდება, სწავლების რთულ პროცესს ეფექტურსა და ადვილად დასაძლევს ხდის. მსმენელი პრაქტიკული ნიმუშების შესწავლით აცნობიერებს სხვადასხვა ენობრივი საშუალება გამოიყენოს კომუნიკაციისას მაგალითად, როგორ დასვას შეკითხვა, შესაბამისად როგორ უპასუხოს; როგორ გადმოსცეს ცნობები პიროვნების შესახებ და ა. შ. ყოველდღიური მეცადინეობით მსმენელებს ვუვითარებთ მოსმენილი ტექსტის

ჩაწერის უნარს, წერის სწავლებიას კარნახით, წაკითხული მცირე მოცულობის ტექსტების `კვლავწარმოებითი თხრობა-გადმოცემას~.

წერითი მუშაობის მეთოდი გულისხმობს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შეგონებასა და პატარა მოცულობის ტექსტების (მაგ. ესეს) შესრულებას.

წერითი მეტყველების უმთავრესი დანიშნულება კომუნიკაციის უზრუნ-ველყოფაა. ამიტომაც ყოველ გაკვეთილზე ყოფითი რეალობიდან აღებული შინაარსის ტექსტებს ვამუშავებთ, რადგან მათ განსაკუთრებული პრაქტიკული და კომუნიკაციური ფუნქცია აკისრია. ყველა განსახილველ საკითხს ამომ-წურავად ვიხილავ თვითოეულ წინადადებაში, რაც საკითხს პრაქტიკულ დანიშნულებას აძლევს (ვცდილობთ ტექსტი და დიალოგის სიუჟეტი მარტივი ყოფითი სიტუაციებიდან აღებულ თემაზე იყოს). ეს მოცულობა აადვილებს ტექსტის აღქმას და გაგებას.

ეტაპობრივად ვმუშაობთ, რომ ენის შემსწავლელმა განხილულ და ათვი-სებულ ტექსტზე დაყრდნობით თავად შეძლოს მცირე მოცულობის ტექსტის ან დიალოგის შექმნა და წერილობით გადმოცემა. მოცემული ტექსტის კარგად გააზრების შემდეგ მსმენელი აყალიბებს:

რის შესახებ არის ტექსტი;

რა არის ტექსტის მთავარი დედააზრი;

სად და როდის ხდება მოქმედება;

კონკრეტულად ვის ეხება ინფორმაცია;

ვისთვის არის განკუთვნილი მოცემული ინფორმაცია;

გამოიყოფა თუ არა ტექსტში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია.

ასეთი მუშაობის შემდეგ მსმენელებს უყალიბდებათ უნარი შეძლონ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის განცალკევება, შეუძლიათ მოკლე შინაარსის გადმოცემა დაახლოებით 4-5 წინადადებით და შემდგომ მისი ჩაწერა რადგან ვრცელი ტექსტის შემოკლება არც ისე ადვილია. ზეპირად ვაფასებ მოცემულ ტექსტებს და წერილობით ვპასუხობთ შემდეგ კითხვებს:

რა არის მთთვის საინტერესო მოცემულ ტექსტში;

როგორ აფასებენ აღწერილ მოვლენას;

აქვთ თუ არა დამატებითი ინფორმაცია მოცემულ თემასთან დაკავშირებით;

სჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია.

აღნიშნული კითხვები ეხმარებათ, რომ ბოლომდე გაიაზრონ ტექსტი და გამოიმუშაონ თავიანთი პოზიცია.

აზერბაიჯანელებისათვის სირთულეს წარმოადგენს ქართული მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნების წარმოთქმა როგორებიცაა:

პ - ფ

კ - ქ

ტ - თ

სიტყვებზე ვარჯიში და დამარცვლით კითხვა და აღნიშნული ბგერების შემცველი სიტყვების გამოწერა ხელსშეუწყობს სიტყვების გამართულად წარმოთქმას.

კიდევ უფრო მეტ სირთულეს ქმნის ის ქართული თანხმოვნები, რომელთა შესატყვისები აზერბაიჯანულში არ არის: კ. პ. ყ, ტ, წ, ჭ.

ამ შემთხვევაშიც სისტემატური ვარჯიში გვაძლევს შედეგს.

დასკვნა

სწავლების პროცესი რომ მნიშვნელოვნად გაადვილდეს და სათანადო შედეგი დადგეს, სრულად ვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ტექნიკურ საშუალებას. ხშირ შემთხვევაში მასალას ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით ვაწოდებთ მსმენელებს.

ყველაფერი ეს ხელს უწყობს წერითმეტყველების ცოდნის შესწავლას, მსმენელის კიდევ უფრო განვითარებას; მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარის გამომუშავებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი., შელეგია მ., წერითი და ზეპირი კომუნიკაციები, თბ., 2017;
2. შაკიაშვილი ე., წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარების საკითხი, გამოცემა II, თბ., 2017;
3. ქაჯაია მ., გეწაძე კ., ზოგადი კურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის, თბ., 2015;
4. ნასიბ ნასიბოვი, ვენერა ჯანგიძე, სულეიმან სულეიმანოვი, ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი, 2018.

This artich discuss teaching Georgian language to Azerbaijanis people

Guliko Devdariani, senior teacher
Georgian Technical University

Sammery

Firstly, its importent to anrich listeners vocabulary by using correct methodology and teching writing skills.

In order to develop writing skills, should be used dictation, and thesis creation. Presentation skilss and thinking skills are developed within the learning pocess.

Key words: modern, linguistic, communication, relationship, Georgian, learning, information, listener.

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმა, უწყვეტობა, დემოკრატია და ინტერნაციონალიზაცია როგორც სოციალური პრობლემა

ნინო სეფაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დღევანდელ დღეს განათლების და უფრო მეტად უმაღლესი განათლების საკითხი ძალზედ აქტუალურია და საზოგადოების მსჯელობის საგანს წარმოადგენს. საქართველოს უმაღლესი განათლება მრავალი სოციალური პრობლემის წინაშე დგას, რამაც აქტუალური გახადა საკითხის კვლევა. საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში „საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულების“ შესახებ ნათქვამია „უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება ქართული სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანაა. ამ პრობლემის დროული გადაწყვეტა ქვეყნის პერსპექტიული განვითარების შესაბამისად დემოკრატიული საზოგადოების აშენების, ეროვნული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვის, სიღატაკისა და სოციალური გაუცხოების დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა.“ აღნიშნული რა თქმა უნდა გასაგებია, მაგრამ სისტემური რეფორმა ახდენს გავლენას სისტემის განვითარებაზე, როგორც დადებითად ისე უარყოფითად. აქტიური ზეგავლენა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე აგრეთვე მოახდინა ბოლონიის პროცესში ჩართულობამ.

დღეს განათლების არსებული სისტემა განიცდის სისტემატიურ ცვლილებებს და მუდმივი რეფორმის ქვეშ ექცევა. რაც შეეხებ რეფორმას, ჩემი აზრით იგი უნდა განხორციელდეს საწყისი საფეხურებიდან და ეტაპობრივად გადაინაცვლოს შემდგომ საფეხურებზე. შესაბამისად, შედეგზეც გასვლა მოხერხდება. რაღა თქმა უნდა, ეს პროცესი დიდ დროს და მოთმინებას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: განათლება, რეფორმა, უწყვეტობა, დემოკრატია, ინტერნაციონალიზაცია

შესავალი

ბოლო 20 წლის განმავლობაში საზოგადოებამ ძირეული, კულტურული შოკის ტოლფასი სოციალური ცვლილებები განიცადა.[1] ყოველივე ეს აისახა განათლების სისტემის ტრანსფორმაციაზე. სოციალური გარდაქმნების

1 ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო (დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი) / განათლების რეფორმა

პირველ წლებში ცვლილებების ძირითადი იმპულსი თვით საზოგადოებისგან მოდიოდა, ხოლო სახელმწიფო თავად უფრო ცვლილებების საგანი იყო, ვიდრე წარმმართველი. ამან გარკვეულწილად შეარბილა სიახლისადმი საზოგადოების ადაპტირების სიძნელეები, სამაგიეროდ გამოიწვია გარკვეული ჩამორჩენა განათლების სისტემაში, რომლის ინოვაცია მიზანდასახული საჯარო პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. 2004 წლის შემდეგ მიმდინარეობს ამ სფეროს რადიკალური გარდაქნა. სამწუხაროდ, ამ გარდაქმნას გარკვეული ცალმხრივობა ახასიათებს. დაჩქარებულად გატარებულმა გარდაქმნებმა დიდ წილად პირდაპირი ადმინისტრირების ხასიათი მიიღო. განათლების სისტემის სტრუქტურულმა გარდაქმნებმა თვითმიზნური ხასიათი შეიძინეს, ხოლო საზოგადოების ნაწილში ჩამოყალიბდა აზრი, რომ რეფორმა მიმართულია წარსულთან რადიკალურ რღვევაზე, განათლებისა და მეცნიერების სფეროში ქვეყანაში არსებული პოტენციალის სრულ უარყოფაზე.

ძირითადი ნაწილი

რეფორმების ნაწილი მართლაც სრულიად ახალ რეალობას ქმნის საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სისტემის ფუნქციონირებაში. მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მიიღო კანონები უმაღლესი განათლებისა (2004) და ზოგადი განათლების (2005) შესახებ, ზოგადი და უმაღლესი განათლების სისტემებში ინერგება ახალი ორგანიზაციული ფორმები და მექანიზმები; უმაღლესი განათლების სფეროში შეიქმნა და ამუშავდა აკრედიტაციის სისტემა.[1] ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებმა უმაღლესი განათლების სისტემაც ასევე ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ეს გამოწვევა ეხება ამა თუ იმ უნივერსიტეტის როლისა და ფუნქციის განსაზღვრას. არ არსებობს ერთიანი, უნივერსალური მოდელი, რომელიც შეიძლება მოერგოს ნებისმიერ უნივერსიტეტს. ბოლონიის პროცესი არ ზღუდავს უნივერსიტეტების ამ მრავალფეროვნებას და ეყრდნობა საუნივერსიტეტო ავტონომიის ფართო აღიარებას. ბოლონიის პროცესის ისეთი ელემენტები, როგორიცაა საკრედიტო სისტემა, უნივერსიტეტების ინსტიტუციონალური და პროგრამული აკრედიტაცია, დიპლომის დანართი და სხვა ეხმარებიან უნივერსიტეტებს საზოგადოების წინაშე ვალდებულებების შესრულებაში, მაგრამ ამ ვალდებულებების მთავარ მატარებლად თვით უნივერსიტეტს ტოვებენ. 2004 წლის უმაღლესი განათლების კანონის მიღებამ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების გარდაქმნა პირველ რიგში ორგანიზაციული ტრანსფორმაციის გზით წაიყვანა. კანონმა საკმაოდ დეტალურად ჩამოაყალიბა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სავალდებულო შიდა სტრუქტურა.

1 ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო (დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი) / განათლების რეფორმა

განათლების ხარისხის განვითარების და ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით არაერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული: ამოქმედდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები, შეიქმნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, გაჩნდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობა.[1] შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და კრიტერიუმები და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურები. თუმცა აღნიშნული ცვლილებები საკმარისი არ არის თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ. საჭიროა რეფორმის პროცესში საკანონმდებლო ბაზის გადამუშავება.

გადაიდგა ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებითაც, რის ხელშეწყობის მიზნითაც შეიქმნა პროგრამა/პლატფორმა „ისწავლე საქართველოში", რომელიც მიზნად ისახავს ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავების, სტუდენტზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის განვითარების და უცხოელ სტუდენტთა საქართველოში მოზიდვის ხელშეწყობას. ამ ეტაპზე უნივერსიტეტები შესაძლებლობის ფარგლებში ჩართულნი არიან პროცესში, თანამშრომლობენ უცხოურ უნივერსიტეტებთან და ახორციელებენ გაცვლით პროგრამებს.

აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით.

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა. ამ მიმართულებით საქართველო შემდეგი გამოწვევების წინაშე დგას: წინარე განათლების, მათ შორის უმაღლეს განათლებაში პროფესიული განათლების აღიარებისა და კრედიტების ტრანსფერისთვის გამართული მექანიზმებისა და საკანონმდებლო საფუძვლის არარსებობა; სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო ფორმების არარსებობა (მათ შორის ელექტრონული სწავლება და დისტანციური სწავლება); შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობა; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს არაჯეროვანი გამოყენება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობის მიზნით.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამოქმედო გეგმის[2] მიხედვით უმაღლეს განათლებაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ განისაზღვრა სამი სტრატეგიული ამოცანა, რომელიც ორიენტირებულია უმაღლესი განათლების მოდერნიზაციასა და ხარისხზე; მთელი

[1] განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021

[2] განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამოქმედო გეგმა 2018-2021წ.

ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების განვითარებაზე; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობაზე:

სტრატეგიული ამოცანა 1. უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება; სტრატეგიული ამოცანა 2. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეფექტიანი შემუშავებისათვის აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

სტრატეგიული ამოცანა 3. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის პოლიტიკა, მისი განვითარებისაკენ აღებული გეზი მოქმედებს განათლების სისტემაზე. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დამოკიდებულება საკითხისადმი, ვთვლი რომ აუცილებელი განათლება იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანი, რადგან ქვეყნის მომავალს ქმნის განათლებული მომავალი თაობა.

განათლება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკური და ზოგადად ცხოვრების დონის ამაღლებასთან, ამისათვის კი საჭიროა კომპეტენტური და კვალიფიციური კადრების გამოზრდა. შესაბამისად უნდა გაიზარდოს ხარისხი და დაწესდეს რეგულაციები ხარისხიანი განათლების მიწოდების მიზნით.

აქვე აღვნიშნავ, რომ საჭიროა ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც გამოიწვევს ინტერესს და მოტივაციას საზოგადოების მხრიდან, მიიღოს განათლება, რადგან ეს მისი ინტერესია და არა იმიტომ, რომ ვინმე ან იგივე საზოგადოება მოითხოვს აღნიშნულს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილება - „საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ“
2. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო (დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი) / განათლების რეფორმა
3. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021
4. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამოქმედო გეგმა 2018-2021წ.
5. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
6. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

Higher Education Reform, Continuity, Democracy and Internationalization in Georgia as a Social Problem

Nino Sepashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Today, the issue of education and more higher education is very pressing and is a subject of public discussion. Higher education is facing many social problems, which has served to highlight the issue of research. The resolution of the Parliament of Georgia on "The Main Direction of Higher Education Development in Georgia" reads: "Establishment of modern higher education system is an urgent task of the Georgian state. Timely resolution of this problem is a necessary prerequisite for the development of a democratic society in line with the country's prospective development, protection of national and world cultural values, overcoming poverty and social alienation". This of course is understandable, but the reform of the system affect the development of the system, both positive and negative. Active involvement in the Georgian education system was also influenced by the Bologna process.

The current system of education is undergoing systemic change and is under constant reform. As far as the reform is concerned, in my opinion it should be implemented from the initial stages and gradually moved to the next stages. Consequently, the result will be achieved. Of course, this process requires a lot of time and patience.

Keywords: Education, Reform, Continuity, Democracy, Internationalization

ფილოლოგია

PHILOLOGY

On the Theory of Communication

Tamar Mebuke, professor
Georgian Technical University

Summary

The paper examines the role of research and theoretical work for Communication studies, which deal with the acts of human communication and behavior. The role of theoretical work, which integrates aspects of social sciences and humanities, is determined by the fact that communication studies are applicable to such fields of human activity as foreign policy, business, education, computer science, advertising, and many others. Communication Studies involve social behaviour science that describes the complex world in which we live with various patterns of human behaviour, as well as predicts and explains their outcomes. The studies examine components of successful communication messages and the reasons for their failure.

Key words: mass media, communication studies, transaction of information

Introduction Communication studies is an academic discipline that deals with the acts of human communication and behavior. There are three forms of communication: verbal, id est. listening to a person with the aim to understand the meaning of a message; written -- when a message is read; and nonverbal communication -- observing a person to infer meaning (Gehrke, Pat J. and William M. Keith, eds. 2014). Communication studies involve a large range of topics, from interpersonal conversation to mass media messages, for example television broadcasting, and are in close connection with cultural studies with which they share an interest in how messages are interpreted in political, cultural, economic and social contexts. Hence,

communication studies integrate aspects of both social sciences and the humanities.

The act of communicating is studied as consisting of interpersonal and intrapersonal skills, which include speaking, listening, observing, questioning, processing, analyzing and evaluating messages. For successful transaction of information a recipients of a message should be able to understand the sender's intent and the context of a message, clear up any misunderstanding, decode the information accurately, and decide how to act in response. All these skills are essential for learning to establish appropriate relationships, form a sense of community, and achieve success in any kind of interaction with other people.

As a field of study, communication presupposes inclusion of a wide range of subjects, such as sociology, political science, philosophy, psychology, linguistics, literature, history, rhetoric and its theoretical findings have proven to be applicable to such fields of human activity as foreign policy, business, education, computer science, advertising, film and theater production. As communication is central for the ongoing processes of society, there is a constant demand for professionals with communication skills and knowledge of communication strategies in such fields of human activity as technologies, global business, service economy and many others. That comes from the fact that Communication Studies provide us with knowledge of communicating with different audiences locally and globally. They use the results of studies of Voice and Articulation, Public Speaking, Interpersonal Communication, Small Group Communication, the Mass Media, Intercultural Communication, Conflict Resolution and are already included in the programmes of business, social sciences, technology, and career planning courses.

One of the fields where communication studies are of the uttermost importance is mass media, as mass media communication messages are the means through which general public is exposed to information with the aim to bring them up to date with current events, achieve a desired attitude to them, or change point of view and behaviour of the audience.

Discussion The role of communication cannot be overestimated. It has even been defined as "the main currency in the 21st century" (Krisberg 2004). Gamble T. and Gamble M. (2013) define Communication as the deliberate or accidental transfer of meaning, the process that occurs whenever someone observes or experiences behaviour and attributes meaning to this behaviour. As the influence of mass-media on public is enormous and has great importance for the life of any society, it created the need for special Communication Studies. According to Mcquail (1994) and Berger, Chaffee (1997) communication studies is a science which tries to understand the production, processing and effects of symbol and signal systems

by developing testable theories, containing generalizations that explain phenomena associated with production, processing and effects of communication messages.

The need for influencing society led to special Communication Campaigns, which represent communication efforts to improve the lives of individuals and the fabric of our society (Paisley, Rice 1981); these campaigns are generally used to inform the audience about important social issues. As communication campaigns are aimed at all viewers, listeners or readers without exception, they are called public as they address all citizens, an active public, who have a choice to be persuaded to take action on social problems (Roser, Thompson, 1995). Paisley (1981) mentions a unifying principle for all public communication campaigns: either the structure of the whole society is affected, or just the lifestyles of individuals.

One of the characteristics of public communication campaigns is that they are targeted at the general audience, but are focussed on its specific segment believed to be especially important for a given purpose. There are common sets of variables considered in planning a mass media communication campaign, as well as common sets of outcomes that one can reasonably expect as a result of a communication experience (Freimuth, Cole, Kirby, 2000). These variables can be devided into four broad areas that are studied by the theory of communication: 1) psychosocial attributes of the receiver, 2) the source or spokesperson, 3) settings, channels, activities, and materials used to disseminate the message, and 4) the message itself, including content, tone, type of appeal, audio characteristics, and visual attributes.

There are several related theories that reflect the multidisciplinary nature of mass communication, support the arguments of the communication science scholars, and help to interpret their findings. Some of these theories are applicable to all types of public communication campaign strategies and their implementation. These theories state the main guidelines that should be followed while organizing a communication campaign.

The Integrative Theory of Behaviour Change is linked to public campaign messages by the argument developed by Cappella, Fishbein, Hornik, Ahern, and Sayeed (2001). They state that having a multifaceted model, this theory integrates Social Cognitive Theory (SCT), Theory of Reasoned Action (TRA) and Health Belief Model (HBM), and explains how individual differences, external variables, and underlying circumstances and contribute to the change of behaviour patterns, attitudes and intentions. Campaigners should always take into consideration these external variables while creating their messages.

Social Cognitive Theory (SCT), or social learning theory (Bandura 1986, 1997), states that behaviour change is the result of three interconnected factors: personal factors, outside events, and behaviour. Any change in one of the three

factors determines changes in the remaining ones. This theory views behaviour as influenced by various combinations of personal and outside factors and events.

The main principle of Social Cognitive Theory is that outside environment becomes a source of scrutinized study. Environment is studied as a place where one can observe an action, understand its consequences, and as a result of personal and interpersonal influences become motivated either to repeat and adopt, or reject it (Bandura, 1997, 2005). The aim of scholars is to understand the principles and factors that influence retention, reproduction and motivation of a given way of behaviour. The theory studies such aspects of behaviour as: attention -- awareness of the observed and modelled action, retention -- ability to remember an observed action, reproduction -- ability to reproduce the given action, motivation – an internal intention to perform an action. Motivation depends on a number of social and physiological influences, such as support of peers and family members to perform an action, as well as the perception of self-efficacy. Performance is treated as the ability to perform an action on a regular basis, and self-efficacy is confidence in the ability to perform and sustain an action with little or no help from others, which plays a major role in actual performance (Bandura, 1997, 2005).

The integrative theory of behaviour change is in close connection with the theory of reasoned action. This theory (Ajzen, Fishbein 1980) suggests that behavioural actions are mainly determined by the desire of a person to perform them. That is, behavioural intentions determine actual behaviour that is within a person`s control. Intentions are guided by a certain attitude towards the behaviour and expectations of other people's support of it.

Attitudes, that are positive or negative emotions or feelings towards certain ways of behaviour, concepts, or ideas, go along with a person's subjective perception of behaviour norms. Subjective norms represent positive or negative judgements and opinions that a person`s immediate social environment (such as friends, family, colleagues) may have about a certain way of behaviour. Consequently, in the Theory of Reasoned Action attitude towards a specific behaviour represents a person's belief about the consequences of a certain way of behaviour. That is determined by the fact that people generally have a desire to comply with expectations of those, who play a significant role in their lives. For those who plan campaign messages the findings of TRA are particularly useful in analysing and identifying reasons for actions and messages that can change people's attitude (Schiavo, 2007). Aggleton, O'Reilly et al., (1994) point out individual factors such as risk perception, outcome expectations as a result of adopting a certain way of behaviour, social and community norms e.g. a person's perception of what type of behaviour is expected by his/her community or influential people, and self-efficacy, i.e. a person's ability to perform a certain action.

Salmon and Atkin (2003) give a description of campaign message creation. They argue that creating mass media messages involves strategic selection of relevant material and creative implementation of stylistic devices. In developing the combination of message components, the campaign organizers strive to emphasize one or more of the five main message features: 1 credibility is primarily achieved by the trustworthiness and competence of the source and convincing evidence; 2 the style and ideas should be presented in an interesting manner by selecting appropriate content combined with appealing stylistic execution; 3 material and stylistic devices should be personally involving, relevant, and applicable to receiver`s situation and needs; 4 messages should be understandable, have simple, explicit, and detailed presentation of contents that are comprehensive and comprehensible to receivers; 5 persuasive messages should contain motivational incentives (Salmon and Atkin, 2003).

The third component of the integrative theory of behaviour change -- Health Belief Model (HBM) is used in health-related messages and *was elaborated for people to adopt recommended physical behaviour in a way that perceived threat of disease and benefits of action must outweigh possible barriers to action* (Becker, Haefner & Maiman 1977; Janz & Becker 1984. It was originally elaborated to explain why people do not participate in programmes that could help them diagnose or prevent diseases. The major assumption of this model is that in order to live a healthy life, *intended audiences need to be aware of the risk of severe or life-threatening diseases and understand that the benefits of behaviour change outweigh potential barriers, or other negative aspects of the recommended actions* (Schiavo, 2007). HBM is one of the first theories that was developed to explain the process of changing behaviour to a healthy lifestyle.

Another theory, which is closely related to the integrative theory of behaviour change and to audience response to campaign messages, is the Diffusion of Innovations Theory. According to this theory, campaign messages should be appealing and easily acceptable by the targeted audience. Acceptance of the messages will lead to their spread through recommending them to others. According to Rogers (2003), this theory introduces the idea of advantage of recommended actions, and helps people adopt them through individual decision making process. Opinion formation gradually shapes diffusion through interpersonal channels and social networks.

Conclusions Theoretical studies of communication aspects are extremely important for both scholars and practitioners as they help to understand the process of communication and the ways to make it more effective. They involve social behaviour science that describes the complex world in which we live and various

patterns of behaviour (Maibach and Parrot 1995), as well as the role of behaviour theory that predicts and explains their outcomes. They strive to answer the question how to create greater understanding among people and advise on effective ways of interventions.

Theoretical studies also analyse messages that fail to affect people's behaviour and attitudes. According to Maibach and Parrot (1995), the reason for failure is often the way people process some types of information. Special studies have been conducted to examine differences between active and passive cognitive functions and the reasons for active or passive information perception. Louis and Sutton's model of *Switching Cognitive Gears* (1991) shows that people are motivated to active cognitive perception when presentation of content is unfamiliar, represents a discrepancy between expectation and reality, and when an external or internal request causes a person to initiate a high level of conscious attention. Consequently, the aim of mass media campaign organizers is to transfer people from a passive to an active way of reacting to messages. According to Louis and Sutton (1991), people often rely on automatic processing of information, depending on past knowledge or experience with similar messages when they assign meaning and interpretation to a new message (Langer E.J., Weinman C. 1981). Thus, researchers and campaign planners have to study the way previous messages influenced the meaning that the target audience assigned to them.

Another reason for a message to fail to get appropriate attention is that people do not identify themselves with a message and disassociate themselves from it as they believe they do not belong to the group of portrayed characters. The study by Keller & Brown (2002) posits that when observers of mass media campaigns do not identify themselves with portrayals of people, they disassociate themselves from the message. They found out that audiences may also resist a public announcement because of its simplistic content. By reducing people to overly simplistic images, mass media separate them from society and thus fail to achieve the desired result.

Bibliography:

1. Aggleton P.& O'Reilly. (1994). Bisexuals and Aids: An International Perspective. Taylor and Francis Inc, Bristol U.S.A
2. Ajzen, I. & Fishbein M. 1980. Understanding Attitudes and Predicting Social Behaviour. Prentice Hall.
3. Bandura, Albert 1977, 1986, 1997. Social Learning Theory. Prentice Hall. University of Michigan.
4. Berger, C.R and Chaffee S.H. 1987. The Study of Communication as a Science. Handbook of Communication Science, pp 15-19. Beverly Hills, CA,

and London; Sage Publications.
5. Cappella J.N, Fishbein M, Hornik R et al. (2001). Using Theory to Select Messages in anti drug media campaigns. Sage Publications, Inc, Thousand Oaks, California.
6. Freimuth Vicki, Cole Galen and Kirby Susan 2000. Issues in Evaluating Mass Media-Based Communication Campaigns. WHO Monologues, Atlanta.
7. Gamble Teri and Gamble Michael (2013) Communication Works. McGraw-Hill, New York.
8. Gehrke, Pat J. 2009. The Ethics and Politics of Speech: Communication and Rhetoric in the Twentieth Century. Carbondale, IL: Southern Illinois University Press.
9. Gehrke, Pat J. and William M. Keith, eds. 2014. A Century of Communication Studies: The Unfinished Conversation. New York: Routledge.
10. Janz, N.K. and Becker, M.H. 1984 The health belief model A decade later. Health Education Quarterly, 11, 1-47.
11. Keller, S., & Brown, J. (2002). Media interventions to promote responsible sexual behavior. The Journal of Sex Research, 39(1), 67-72.
12. Krisberg, Barry. 2004 Teen Victimisation in Berkeley. Journal of ethnicity in Criminal Justice.
13. Langer E.J., Weinman C. 1981 When Thinking Disrupts Intellectual Performance: Mindfulness on an Overlearned Task https://doi.org/10.1177/014616728172009
14. Louis Meryl Reis, Sutton Robert I 1991 Switching Cognitive Gears: From Habits of Mind to Active Thinking. In: Human Relations, vol. 44, 1: pp. 55-76. , First Published Jan 1, 1991.
15. Maibach Edward and Parrot Roxanne Louiselle. (1995). Designing Health Messages. Sage Publications, California
16. Maiman LA , Becker MH , Kirscht JP , et al:1977 Scales for measuring health belief model dimensions: A test of predictive value, internal consistency, and relationships among beliefs. Health Educ Monogr 5: 215 - 230
17. McQuail, Dennis. 1994. Mass Communication Theory. Sage Publications, London
18. Paisley W.J and Rice R.E. Public Communication Campaigns. Sage Publications, London
19. Rogers Everett M. (2003). Diffusion of Innovations. Free Press. New York.
20. Roser, C & Thompson M. 1995. Fear Appeals and formation of active Publics. Wiley online library

21. Salmon Ch.K., Atkin, 2003Theory and Principles of Public Communication Campaigns. www.sagepub.com/sites/default/files/upm-binaries/.
22. Schiavo Renato 2007 Health Communication: From theory to practice. Jossey-Bass, San Francisco.
23. Stappers, J.G., (1983) Mass Communication as Public Communication. Wiley online library.

საკომუნიკაციო თეორიის შესახებ

თამარ მეტუკე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება თეორიული კვლევების როლი საკომუნიკაციო მეცნიერებისთვის, რომელიც შეისწავლის ადამიანთა საკომუნიკაციო და ქცევის აქტებს. თეორიული კვლევების როლი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საკომუნიკაციო თეორიის შედეგებს იყენებენ საგარეო პოლოტიკაში, ბიზნესში, განათლებაში, კომპიუტერულ მეცნიერებაში, რეკლამაში და ბევრ სხვა დარგში და იგი აერთიანებს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ასპექტებს. საკომუნიკაციო მეცნიერება მოიცავს აგრეთვე სოციალური ქცევის შესწავლას, რომელიც აღწერს ჩვენს სამყაროს და ადამიანთა ქცევის სხვადასხვა ნიმუშებს, წინასწარმეტყველებს და ხსნის მათ შედეგებს. ის შეისწავლის წარმატებული საკომუნიკაციო შეტყობინებების კომპონენტებს, ასავე როგორც საკომუნიკაციო წარუმატებლობის მიზეზებს.

საყურადღებო რეცენზია აკაკი წერეთლის ბიბლიოგრაფიაზე (1858 – 1915 წ.წ.)

მანანა ქაჯაია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომი ეხება XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის ბიბლიოგრაფიაზე (1858 – 1915წ.წ.) გაკეთებულ საინტერესო რეცენზია. რეცენზენტი გახლავთ - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი.

ბიბლიოგრაფია განკუთვნილია ესთეტიკური აზრისა და, საზოგადოდ, ლიტერატურული საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო მკითხველისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიოგრაფია, გლობალიზაცია, ინტერპრეტაცია, რეცენზია.

შესავალი

ბიბლიოგრაფიულ ნაშრომთა სიუხვე ქართული საზოგადოების თანამედროვე ეტაპზე მენტალურ-სულიერი სამყაროს ფორმაა. ბიბლიოგრაფია, აღწერს ბეჭდურ გამოცემათა ყოველგვარ სახეს: წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს და ა.შ. ასევე გარკვეული პრინციპით ალაგებს აღწერის შედეგებს.

კულტურული გლობალიზაციის პირობებში, კულტურათშორისი კონტაქტების დამყარება, ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკა უფრო და უფრო იზრდება ინტერნეტის დახმარებით. ამჟამად წარმოდგენილია ლიტერატურის ინსტიტუციონალური სტრუქტურის (მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტიკა) (ა. ბეკერი, ბ. ბოსკოვი) - ურთიერთკავშირის კვლევა ბიბლიოგრაფიის გარეშე.

ლიტერატურული ფენომენის კვლევისას აუცილებელია ინფორმაციული ბაზა - ბიბლიოგრაფიის სახით.

პოლ ვალერის თქმით, ხშირად „აუხსნელი პატარა ფაქტები შეიცავენ რაღაც ისეთს, რასაც შეუძლია თავდაყირა დააყენოს დიდი ფაქტის ნებისმიერი ინტერპრეტაცია“. ლიტერატურაში თავს იყრის ყველა სახის მასალა.

„უგვირგვინო მეფე“ ასე უწოდეს სიცოცხლეში XIX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მწერალს აკაკი წერეთელს.

აკაკი წერეთლის ბიბლიოგრაფიის შედგენას წინ უსწრებდა სპეციალისტთა მიერ გაწეული შრომატევადი, დიდი მოცულობის სამუშაოს ჩატარება, რითაც შემზადდა ნიადაგი წინამდებარე წიგნის გამოსაცემად.

1985 წელს წიგნის ერთ-ერთმა თანაავტორმა მზია გოშაძემ, შეადგინა, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და კომენტარებით გამოსცა საინტერესო სოლიდური კრებული - „აკაკი წერეთელი რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკაში“ (572 გვ.) რედაქტორები პროფ. კეკელიძე, პროფ. ს. ხუციშვილი, რეცენზენტები: პროფ. აპ. მახარაძე, ს. ყუბანეიშვილი. სადაც ჩვენთვის საგულისხმო ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით საყურადღებო სტატია და წერილია შესული.

2006 წელს ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. გურამ შარაძემ გამოაქვეყნა არა მხოლოდ აკაკისმცოდნეობის, არამედ, საერთოდ, ქართული კულტურის თვალსაზრისით გამორჩეული, უმდიდრესი ფოტო-მასალითა და დოკუმენტალიზმით აღჭურვილი სამტომეული: „აკაკი წერეთელი, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება“ (520 გვ.) „აკაკის იუბილე“ (480 გვ.), „აკაკის საიუბილეო მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (340 გვ.).

უკანასკნელი რვა წლის მანძილზე ქართველ მკვლევართა მიერ გამოიცა ისეთი კრებულებისა და წიგნების გამოცემა, როგორიცაა: „აკაკის კრებული“, I თბ., 1999 (554 გვ.), „აკაკის კრებული“ II თბ., 2004 (690 გვ.), „უცნობი აკაკი“, თბ. 2001 (250 გვ.) . „აკაკი წერეთლის მოგზაურობა კახეთში“, თბ., 2002 წ. (132 გვ.) აკაკი წერეთლის პოემა „ანდრია პირველწოდებული“ თბ., 2002 (75 გვ.) „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, თბ., 2004 (860 გვ.) და სხვა თავის დროზე ამ სამუშაოს გაწევა მიზნად დაისახა გამოჩენილმა ბიბლიოგრაფმა და მკვლევარმა თინათინ ნაკაშიძემ, რომელიც ენთუზიაზმით შეუდგა დასახული ამოცანის შესრულებას, მაგრამ სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების გამო ეს მუშაობა შეფერხდა.

ვფიქრობთ, მზია გოშაძემ, ილია გორგოძესა და მანანა ქაჯაიასთან ერთად წარმატებით მოაბა თავი ამ საპატიო საქმეს. აღნიშნული ბიბლიოგრაფია მოიცავს პერიოდს: აკაკის სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან (1858 წ.) ვიდრე მისი გარდაცვალების ჩათვლით (1915 წ.) ამ წიგნში თავმოყრილია როგორც საქართველოში, ასევე უცხოურ სივრცეში გამოქვეყნებული მასალები.

გარკვეულ სირთულეთა გამო ამ ეტაპზე ვერ ხერხდება უცხოურ პრესაში არსებული მასალის თავმოყრა და ბიბლიოგრაფიაში შეტანა.

მოგეხსენებათ, რომ ბიბლიოგრაფია შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველი ნაწილი მოიცავს საკუთრივ აკაკი წერეთლის ბეჭდური სახით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს (1858 წლიდან 1915 წლის ჩათვლით), ხოლო მეორე განყოფილება ეთმობა ლიტერატურას აკაკი წერეთლის შესახებ. წიგნს ერთვის საძიებლები. ასეთი შრომატევადი მუშაობის გაწევა ყოვლად შეუძლებელი იყო დამხმარე ძალის გარეშე. ბიბლიოგრაფიის ტექნიკურად გამართვაში მონაწილეობდა აკაკის კაბინეტის სრულმოქმედი სემინარის წევრი,

ფილოლოგიის მეცნიერი თამარ ნემსიწვერიძე. სამწუხაროდ, ქ-ნი თამარი ვერ მოესწრო წიგნის გამოცემას.

აკაკის ბიბლიოგრაფიის შემდგენელნი ამ მიმართულებით მუშაობას კვლავ აგრძელებენ. ვფიქრობთ, საჭიროა არა მხოლოდ ამ წიგნის შეფასება-სრულყოფა, არამედ მკვლევარების, ასევე, ჩემი მოსაზრებით, გადაუდებელი ამოცანაა აკაკი წერეთლის შესახებ, ბიბლიოგრაფიის შედგენა. პოეტის გარდაცვალების (1915) შემდგომი წლებიდან ვიდრე XX საუკუნის ბოლომდე.

მეტად საყურადღებოა რეცენზენტის, უნიჭერესი მეცნიერის, მკვლევრის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილის მოსაზრება ბიბლიოგრაფიის შესახებ.

* * *

მზია გოშაძის, მანანა ქაჯაიასა და თამარ ნემსიწვერაძის მიერ შედგენილ კრებულზე, „აკაკი წერეთელი - ბიბლიოგრაფია (1858-1915)“.

ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა თანამედროვე ეროვნული კულტურის სივრცისთვის საყოველთაოდ არის გაცნობიერებული. იგი მნიშვნელოვანი კულტურული კონცეფტია, მისი მენტალობის დემონსტრირების ფორმაა.

ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა განსაკუთრებით გლობალიზაციის ეპოქაშია განუზომელი, რადგან იგი, არსებითად, ლიტერატურული თუ მეცნიერული მოღვაწეობის ფაქტოლოგიურ ბაზას ქმნის და ამით კუთვნილ ადგილს უმკვიდრებს საზოგადოებრივად ღირებულ ყველანაირ მოვლენას თუ ფაქტს. ბიბლიოგრაფიის, როგორც ეროვნული ელიტარული კულტურის ელემენტს, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიდ ხელოვანთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის შექმნის თვალსაზრისით. აკაკი წერეთელი ხშირად ასეთი ხელოვანია, ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში ეპოქის შემქმნელი და მთელი XX საუკუნის ქართული ლირიკული პოეტური ტრადიციების შინაარსის განმსაზღვრელი. უთუოდ გასათვალისწინებელია და ანგარიშგასაწევიც ის გარემოება, რომ აკაკი წერეთლის სრული ბიბლიოგრაფიის დადგენა უკანასკნელ წლებამდე ვერ მოხერხდა. ეს იმ ვითარებაში, როცა მის შემოქმედებით მემკვიდრეობას, მისი ცხოვრების გზას მკვლევართაგან ყურადღება არ მოკლებია და აღნუსხვაც კი გაჭირდება, იმდენმა მკვლევარმა იკვლია და შეისწავლა მისი ცხოვრება-მოღვაწეობა. მაინც იმდენი ლექსი, პოემა პუბლიცისტური წერილი, სხვა სახის ნაწერი აღმოჩნდა აღუნუსხავი, რომ ერთი მოზრდილი ტომიც კი შეადგინა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკაკის კაბინეტმა გამოსცა „უცნობი აკაკის“ სახელწოდებით. აქ საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ამ ნაწარმოებიდან უმეტესი თავის დროზე პრესაშიც კი გამოქვეყნდა, ოღონდ მიზეზთა გამო სხვათა

და სხვათა აკაკის თხზულებათა კრებულებში აღარ შეუტანიათ და დროთა განმავლობაში პირველადი წყაროების ძნელად ხელმისაწვდომობის გამო მათ არსებობას დავიწყების ფარდა ჩამოეფარა, თვით სპეციალისტებისათვისაც კი უცნობი გახდა.

აკაკი წერეთლის ბიბლიოგრაფიაში არა ერთი ასეთი ფაქტი და მოვლენაა გამოვლენილი. მართალია, ეს ფაქტები და მოვლენები თავიანთი ფასეულობით არ არის ერთგვაროვანი - ზოგი უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აქტუალობისთვალსაზრისით„მცირემასშტაბიანობის“გამო,ზოგიცუფრომეტად „ჟღერს“ ამ მხრივ, მაგრამ დიდი მოღვაწის ინტელექტუალურ მემკვიდრეობაში ყველაფერი განუზომელ მნიშვნელობას იძენს-წვრილმანიც და მსხვილმანიც, რადგან არც თუ იშვიათად სწორედ „წვრილმანი“, უმნიშვნელო დეტალი იქცევა დიდმნიშვნელოვანი საკითხის (პრობლემის) გადაჭრის გზამკვლევად თუ საფუძვლად. აკაკი წერეთლის ცხოვრება -მოღვაწეობასთან დაკავშირებული ყოველი ფაქტი თუ მოვლენა სწორედ ამგვარი -საზოგადოებრივად აქტუალური, მეტიც - საეროვნო მნიშვნელობისაა, რადგან მათით არის შექმნილი ის ეპოქა, რომელიც ქართული კულტურის ისტორიაში აკაკის ეპოქის სახელწოდებით დამკვიდრდა. ამ ეპოქაშია თანამედროვე საქათველოს სულიერ-ინტელექტუალური სათავეები და წანამძღვრები. ამიტომაც ენიჭება ამ ეპოქის ელემენტების, კულტურულ ფასეულობათა სისტემის ნებისმიერ გამოვლინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე ტერმინოლოგიით, ბიბლიოგ-რაფიული მასალა ქმნის სწორედ იმ მონაცემთა ბაზას, რასაც უნდა დაემყაროს შემდგომში ლიტერატურისმცოდნეობითი, კულტუროლოგიური თუ სხვა სახისა და მიმართულების კვლევები.

აკაკი წერეთლის ბიბლიოგრაფიას საფუძვლიანობას განსაზღვრავს არა მხოლოდ ფაქტობრივი და მოვლენური სისრულე, არამედ მისი პრობლემურ-თემატური სტრუქტურაც. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ბიბლიოგრაფია მოიცავს ერთი მხრივ, აკაკი წერეთლის ბეჭდური ფორმით 1858-1915 წლებში გამოქვეყნებულ ტექსტებს, ხოლო მეორე მხრივ, აკაკი წერეთლის შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერეტურას.

მართალია, ბიბლიოგრაფიის შემდგენლებს მუშაობა არ დაუმთავრებიათ, კვლავაც აგრძელებენ ძიებებს და ამის გამო წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია ეტაპობრივი კვლევების ასახვადაც შეიძლება გავიაზროთ, მაგრამ ამის მიუხედავად მისი ამ სახით გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება მთლიანად ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და კულტურის ისტორიისათვის.

დასკვნა

ბიბლიოგრაფია განკუთვნილია ესთეტიკური აზრისა და, საზოგადოდ, ლიტერატურული საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო

მკითხველისათვის.

კრებულის შემდგენლები, რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო მინაშვილი და რეცენზენტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი, რასაკვირველია, შორს არიან იმ აზრისაგან, რომ წიგნი უნაკლოა და სრულყოფილი, რადგან ბრძენკაცის თქმისამებრ, ამგვარი საქმეა „სრულ ქმნელი“ (სულხან-საბა ორბელიანი).

ლიტერატურა:

1. აკაკი წერეთლის ბიბლიოგრაფია (1858-1915 წწ.) 2015 წ.

Interesting review about Akaki Tsereteli Bibliography

Manana Kajaia, associate professor
Georgian Techvnical University

Summary

The paper is dedicated to the inspiring review on the XIX century great Georgian writer and public figure Akaki Tsereteli's bibliography and his work (1858-1915).

The author of the review is the Doctor of philology, Professor Temur Jagudnishvili.

Bibliography can be used for vide circle of audience interested in astatic ideas and generally in literature.

Key words: Bibliography, Globalization, Interpretation, Review

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

ადამიანის სახე - პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტი

ვაჟა პაპასკირი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ადამიანის სახე მისი სულის პორტრეტია, ამდენად ამ უკანასკნელის სწორად წაკითხვა ნებისმიერი პიროვნების რეზულტატური შესწავლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სახე, მიმიკაზე გამოხატული სიგნალების სწორად აღქმისა და შეფასებისას, იძლევა ზუსტი პორტრეტის შექმნის საშუალებას. თუმცა ადამიანის ფსიქოლოგიური მექანიზმი მოიცავს გარკვეულ საზღვრებს, რომლის მიღმაც სწორი შეფასება ვერ განხორციელდება. ამდენად, სასურველი და აუცილებელიცაა, რომ მხოლოდ რამდენიმე ობიექტი იყოს კვლევისა და შეფასების საგანი.

საკვანძოს ისტყვები: ადამიანი, სახე, ფსიქოლოგიური პორტრეტი.

შესავალი

ადამიანის სახის შესწავლისას, უპირველესად, ვხელმძღვანელობთ რეფ-ლექსის პრინციპით, ანუ ობიექტის სახის შესწავლა მიმდინარეობს ამავე ობიექ-ტის მონაცემებთან საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის შეპირისპირებით, მსგავს სიტუაციაში, ანუ საკუთარი სახის მიმიკების მიმსგავსება კვლევის ობიექტის სხეულის ამავე ნაწილთან. ამ წესით ვარაუდის აგება და „სხვათა ბუნებაში შესვლა“, შეცნობის ერთი ყველაზე ცნობილი ხერხია. ზემოთ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს თანაგანცდას მსგავს სიტუაციაში, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანაგანცდა ქალებსა და მამაკაცებში განსხვავებულია. სუსტი სქესი თანაგანცდისა და გამოხატვის ბევრად უფრო მეტ ხერხს ფლობს, ვიდრე მამაკაცი და ამით ისინი აშკარად აღემატებიან ძლიერი

სქესის წარმომადგენლებს. ამავე დროს თანაგანცდა გვჭირდება ფსიქოლოგიური პორტრეტის შესადგენად და არა ობიექტის ემოციური გრძნობების ემოციურად გაგებისათვის.

სახის მიმიკა საშუალებას გვაძლევს სწორად წავიკითხოთ ობიექტის რეაქცია ამა თუ იმ მოვლენაზე. გავიაზროთ ის შესაძლებელი რეაქციები, რომელიც პიროვნების სახეზე აღიბეჭდება ან უკვე აღიბეჭდა.

უპირველესი რაც არ უნდა გავაკეთოთ, ესაა ობიექტისადმი დაჟინებული, მიზანმიმართულად ამოჩემებული მზერა, რაც იწვევს უნდობლობას, ეჭვის შეტანას ობიექტის მხრიდან ჩვენს მიმართ და სრულიად შლის რეალურ სურათს ამა თუ იმ პიროვნების ვერბალურსა და სახეზე აღბეჭდილს შორის. ვიზუალური აზროვნება დაკვირვების პროცესში გულისხმობს „ახლოდან განჩხრეკვას“ უფრო სწორად, ბეჯითად დაკვირვების უნარს, რადგანაც ის, ვინც კარგად აკვირდება, უკეთაც იგებს და ხედავს.

ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ პიროვნების შეფასებისას კომპლექსური მიდგომის ხერხი გამოიყენება, რომელშიც მიმიკა, და კერძოდ, სახის მიმიკა ერთი უმნიშვნელოვანესია. ეს უკანასკნელი სწორად გააზრებისას საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ამა თუ იმ პიროვნების სულიერი სამყარო და მისი ინტელექტი, ასაკი, ეთიკური კუთვნილება, სოციალური სტატუსიც კი. ყოველივე ამაში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახის მუსკულატურა, მისი რეაქცია ორგანიზმის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

ადამიანის სახე დეტალურად მოიცავს უტყუარ ნიშნებს პიროვნების ფსიქიკის მდგომარეობისა თუ არამდგომარეობის შესახებ. ადამიანის სახეზე უდავოდ რჩება კვალი დადებითი თუ უარყოფითი სულიერი მღელვარებისა, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების შეჯახებისა. ყოველივე ზემოხსენებულს აქვს გარეგნული, სახეზე აღბეჭდილი მახასიათებელი, რომელიც ობიექტის მეტყველებასთან ერთად იძლევა საკმაოდ სრულ სურათს ამა თუ იმ პიროვნების სულიერი მდგომარეობისა. განსაკუთრებით თვალშისაცემია უჩვეულო ემოციებისა და განცდების კვალი, რომლის ვერბალურად გამოხატვა ურთულესია. სახეს ასევე ძალუძს გამოხატოს ფიზიკური ლტოლვა და მოჯარული ვნებათაღელვანი, რომლის საჯაროდ გამოთქმასაც ვერიდებით. როდესაც მოწმენი ვხდებით ადამიანთა შორის კონფლიქტისა ან უპატივცემლო დამოკიდებულებისა, ისინი უმეტესშემთხვევაშივლინდებიანარატრადიციული ვერბალური საშუალებებით, არამედ სწორედ რომ სახეზე აღბეჭდილი მიმიკით, ირონიული ან ზღვარს გადასული, დამცინავი გამოხედვებით, რომლებიც ასევე სახის მიმიკით მიიღწევა. ასე რომ სახე სასურველის გამოხატვის, ამა თუ იმ ფორმით, მუნჯი, მაგრამ იმავდროულად ეფექტური საშუალებაა.

ამავე დროს სხვათა მიმართ რეალური ფაქტების გამოაშკარავება ყველაზე უტყუარად სწორედ სახის მიმიკის საშუალებით გადმოიცემა. ის ბევრად უფრო ზუსტია, ვიდრე მეტყველებით გამოხატული რეალობა, რომელიც რიგ შემთხვევაში დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ელფერით ხასიათდება. სახის მუსკულატურის ზღვარს გადასული დაჭიმვა თვალნათლივ მიგვანიშნებს უარყოფით, გამაღიზიანებელ რეაქციაზე, ხოლო მათი სირბილე და ნაკლები დაჭიმულობა სახეზე დადებითი განწყობის უპირობო მაჩვენებელია. სახის კუნთის მოდუნება თავაზიანობის, კეთილსასურველის, დადებითი ემოციების მიმანიშნებელია. განსაკუთრებით შესამჩნევი და გამოხატულია პიროვნების ემოციური აღზნება, რომელიც უშუალოდ გვაუწყებს ორგანიზმის მობილიზაციას და მზაობას გარკვეული ქმედების განსხორციელებისაკენ. ამ დროს სახის კუნთი უმართავი ხდება და მისი მოტორული რეაქციაც სახეზე გვაქვს (კანკალი, კბილების ხრჭიალი და ა. შ.).

მიმიკურ მოძრაობათაგან მრავალი ქვეცნობიერად იმართება და შესაბამის სიტუაციაში უნებლიედ ვლინდება. მაგალითად, ღიმილით ვეგებებით სტუმარს, განსაკუთრებული ღიმილით, სასურველს, ღიმილით გამოხატავთ პატივისცემას, მოწინებას და სხვა მრავალ დადებით რეაქციას, ასევე შეიძლება ითქვას, რომ სახის მიმიკა სავიზიტო ბარათია აგრესიული სურვილების გამოსახატავად, უკმაყოფილების დასაფიქსირებლად. ყოველ ზემოთ ჩამოთვლილზე ცნობიერების კონტროლი არ ხორციელდება და სრულად ქვეცნობიერად, ჩვენს განწყობასთან ჰარმონიულად ვლინდება. ამ უკანასკნელის ჭეშმარიტებას ამტკიცებას ის ფაქტი, რომ თვალხილულნიც და თვალისჩინს მოკლებულნიც ერთნაირ, სრულად ადეკვატურ რეაქციას ავლენენ. უსინათლო ადამიანის სახის მიმიკა, რიგ შემთხვევაში არ განსხვავდება თვალხილულის რეაქციისგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკულად ადამიანის ემოცია, უპირველეს ყოვლისა, სახეზე გამოიხატება. სწორედ შინაგანი ემოციის ხარჯზე აღმოცენებული მიმიკები და სახის სხვადასხვა ნაწილები გამოხატავენ სიხარულს, კმაყოფილებას, გულჩათხრობილობას, მძვინვარებას, გაკვირვებას, სიძულვილს, ირონიას, ყურადღებას ან გულისხმიერებას.

თუ ადამიანის მიმიკა გამოხატავს გააზრებულ, წინასწარ მოფიქრებულ პოზიტიურ დამოკიდებულების წარმოჩენას, მაშინ სახის მიმიკა შესაბამისად კეთილგანწყობის გამომხატველია, მაგრამ არ გამოხატავს გაკვირვების მიმანიშნებელ ემოციას. კეთილგანწყობას გამოხატავს ყველა ნაწილი, რომელიც სახეზეა განლაგებული. დავუშვათ, ოდნავ გაკვირვებისას, ადამიანის ქვეცნობიერი ფსიქიკა გამოხატავს მხოლოდ წარბის აწევით, ან შუბლის შეჭმუხვნით. რიგ შემთხვევაში, როდესაც იგივე ემოცია უნდა გამოიხატოს მძლავრად, სახე ღებულობს შესაბამის, უფრო მკაცრ ფორმირებას და შეგრძნების გამოხატვაც უფრო ნათელი და ემოციურია.

ცნობილია, რომ სახის ყველაზე გამომხატველი ნაწილი თვალებია. ადამიანის ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა პრაქტიკულად დამოკიდებულია ამ ორგანოზე, თუმცა მხოლოდ ის ვერ იქნება სრული ინფორმაციის შემცველი თუ მას არ დაეხმარებიან სხვა ნაწილები იმავე სახისა. რა თქმა უნდა, თვალები სულიერი სარკეა, რომლითაც შეუძლიათ აშკარად გამოხატონ ან შენიღბონ ადამიანის სულიერი მდგომარეობა, თუმცა სხვა ნაწილებიც, ზემოთ აღნიშნული სულიერი მდგომარეობის გამოხატვის აუცილებელი ატრიბუტები არიან. სახის პალიტრა, რომელიც ადამიანის მდგომარეობას წარმოაჩენს, მრავალი კომპონენტისაგან შედგება. თითქოს ერთგვარად უწყინარი წარბებიც კი, ამ „მხატვრული სურათის", ფსიქოლოგიური პორტრეტის შეუცვლელი ავტორები არიან, ვინაიდან თითოეული დეტალი, თუნდაც, ზემოთხსენებული წარბების მდგომარეობა, ან რომელიმე მათგანის ასიმეტრია, უკვე იძლევა საფუძველს იმისა, რომ გავიგოთ და შევიმეცნოთ პიროვნების დამოკიდებულება პროცესისადმი ან მისი ემოციური მდგომარეობა, დროის მოცემულ მონაკვეთში.

ცნობილია, რომ სახის ნაწილების რეაქცია სხვადასხვა მდგომარეობის მიმართ განსხვავებულია და ამდენად, ძირითადად გამოხატავენ შემდეგ კონკრეტულ მდგომარეობებს: სიხარულს, მწუხარებას, ზიზღს, შიშს, მრისხანებას და გაკვირვებას.

<u>შიში</u> - არის ემოცია, რომელიც ადამიანს ეუფლება განსაკუთრებული საშიშროებისას. შიშის მიზეზი შეიძლება იყოს არასასიამოვნო მოსალოდნელი მოვლენა ან ფიზიკური ტკივილი. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანმა კარგად იცის, რომ იგი ამ პროცესს ვერ აიცდენს, ამიტომ მისი გამოვლენა სახეზე აშკარაა: აწეული წარბებით, შუბლზე დაჭიმული ნაოჭებით, გახსნილი ტუჩებით, რომლებიც დაჭიმული და უკან გადაწეულნი არიან. შიშისადმი რეაგირებისას ნაოჭები უფრო მეტად კონცენტრირდება ცხვირის ფუძესთან. თვალები განსაკუთრებულად დაძაბულია და ტუჩების დაძაბულობაც უაღრესად შესამჩნევია. შიში შეიძლება იყოს ხანგრძლივი ან მცირე დროითი მოცულობის. ზოგჯერ შიში შეიძლება კომბინირებულად აისახოს სახეზე გაკვირვებასთან ერთად და მეტად წარმოაჩინოს სიტუაციისათვის დამახასიათებელი რეაქციები იმის შესაბამისად, მომხდაში და მოსალოდნელში, შიში უფრო მეტია თუ გაკვირვება. შიშის დროს თვალები უფრო მეტად ფართოვდება, უფრო გამომსახველია და აშკარად ავლენს იმ მოსალოდნელ დაძაბულობას, რომელსაც პიროვნება გრძნობს ამ სიტუაციაში.

<u>მრისხანება,</u> ანუ სიბრაზე წარმოადგენს ფსიქიკური განწყობის, ფსიქიკური აშლილობის, ფიზიკური მუქარის მიყენების განზრახვის შედეგს. ადამიანში ამ დროს უზარმაზარი მუხტია დაგროვილი და ეს მზაობა გამოიხატება სახის ფერითაც (წითლდება), აშკარად იბერება ყელზე გამავალი სხვადასხვა ძარღვები, გახშირებულია სუნთქვა და კუნთის ყველა ნაწილი დაჭიმულია. ამავე დროს,

სისხლის წნევა განსაკუთრებით მომატებულია. თვალები „ნაპერწკლებს ყრიან“, ტუჩები მოკუმული და დაძაბულია, რიგ შემთხვევაში სახის დეფორმაციისას (დამანჭვისას) შეიძლება გამოჩნდეს შიშველი კბილები. თითოეული მიმიკის სიმძაფრე შეიძლება განსაზღვრულ იქნეს იმით, თუ რა „დონისაა“ პიროვნების მრისხანება, თუ როგორ აფასებს ადამიანი მეორისადმი დამოკიდებულებას და როგორ აპირებს იგი ამ ემოციისაგან, მრისხანებისაგან გათავისუფლებას. ასევე სახის ნაწილები იცვლებიან იმისდა მიხედვით თუ როგორი განზრახვის შემცველია მრისხანება - პიროვნება მალავს თუ აშკარად ავლენს თავის დამოკიდებულებას მისი ობიექტისადმი. შეიძლება სახემ აშკარად გამოხატოს ან სრულიად შენიღბოს სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტისადმი, როდესა ჩვენ ხვდებით განსაკუთრებულად ძლიერი ფსიქიკის მქონე ადამიანებს.

1. <u>გაკვირვება</u> - არის მყისიერი რეაქცია მომხდარზე ან მოსალოდნელზე, ან კიდევ იმაზე, რაც ამ წუთში ხდება. იგი ყოველთვის აღბეჭდავს მოულოდნელობას ან თავად ფაქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სახეზე ვერ დაფიქსირდება. გაკვირვება შეიძლება გამოიწვიოს ადამინის ქცევამ, მისმა უცნაურმა გარეგნობამ, ასეთივე ხმამ, რამესთან მოულოდნელად შეხვედრამ, დადებითმა ან ცუდმა ახალმა ამბავმა, სუნმა და სხვ. გაკვირვებას ძირითადში გამოხატავს ზევით აწეული წარბები და შუბლის არეში მოთავსებული ფართო ნაოჭები, თვალები აშკარად გაფართოებულია, თუმცა მოდუნებული. გაკვირვების შეგრძნებისას ქალების და მამაკაცების რეაქცია განსხვავებულია. მამაკაცში შეიძლება ამ რეაქციამ ნაკლები გამოხატვა ჰპოვოს სახეზე, ხოლო ქალებში ეს რეაქცია უფრო აშკარად გამოიხატება.
2. <u>ზიზღი</u> არის ადამიანის ქვეცნობიერი რეაქცია: გემოს, სუნის, ხმის, გარეგნობის ან ქცევის მიმართ. ამ სემთხვევაში დამოკიდებულება თითოეულის მიმართ განისაზღვრება სუბიექტის ინდივიდუალური რეაქციით, რადგანაც ადამიანებს მათ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნიათ. დამოკიდებულებას განსაზღვრავს ის ფაქტი, თუ რა სიტუაციაში იმყოფება ის, ვინც განიცდის ზიზღის შეგრძნებას. როდესაც ადამიანის სახე აღიქვამს ზიზღს, მისი წარბები ჩამოწეულია და თვალები თითქმის დახუჭული. ნაოჭების რაოდენობა ცხვირის მიდამოში აშკარად მატულობს და შეიძლება ადამიანს გულისრევის შეგრძნება აშკარად გამოეხატოს.
3. <u>სიხარული</u> ისეთი განცდაა, რომელიც ადამიანს სასიამოვნოს გამოხატვისას ეუფლება. ამ დროს, როგორც წესი, წარბები და შუბლი არ მონაწილეობენ რაიმე შთაბეჭდილების შექმნაში. თვალები განსაკუთრებულად კაშკაშებენ და ბრწყინავენ, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობენ, ტუჩები ზომიერად ან ძლიერად იხსნება, ზოგჯერ იმ დონემდე, რომ შიშველი

კბილებიც კი ჩანს. ღიმილის დროს ადამიანს რიგ შემთხვევაში სახეზე ნათელი ეფინება და კანის ფერიც ხშირად აშკარად გამოხატავს იმ დადებით ემოციას, რომელსაც ადამიანი გრძნობს.

4. <u>მწუხარება, ანუ ნაღველი, მელანქოლია</u> - გამოწვეულია დანაკარგით, რომელსაც თითოეული ჩვენგანი განიცდის. ის შეიძლება იყოს გამოწვეული რაიმე ნივთის დაკარგვით, ტრაგიკული დასასრულით, მძიმე უბედური შემთხვევით და ა.შ. განსხვავებით სიხარულისაგან, იგი სახეზე უფრო დიდხანს ფიქსირდება და შეიძლება რამდენიმე დღეც კი გაგრძელდეს. ამ მდგომარეობას გააჩნია ძალიან დიდი დიაპაზონი და ხარისხი. იგი შეიძლება დარდიდან ტანჯვამდე გაიზარდოს. მწუხარებისას უპირველეს ყოვლისა, თვალების ფერი კარგავს ელვარებას, უაღრესად დაბინდული და მწუხარების გამომხატველია, ზოგჯერ კი, როდესაც ეს დიაპაზონი უდიდეს მწუხარებამდე იზრდება, მაშინ, საპირისპიროდ, თვალების ჭრილი ფართოდაა გახსნილი და თვალების გუგა უაღრესად გაფართოებული, რითაც ადამიანი გამოხატავს თავის სულიერ მდგომარეობას ანუ იმ ტანჯვას, რომელსაც მისი გონება და სხვა გრძნობითი ორგანოები განიცდიან. ადამიანის ეს ემოცია, როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ დიდია ის ნაღველი და მწუხარება, რომელსაც ადამიანი გრძნობს.

დასკვნა

ამ მდგომარეობას ახასიათებს სხვადასხვა გარდამავალი პერიოდი, კერძოდ, დარდი ხშირად გარდაიქმნება სევდად, სევდა კი ნაღველად, რომელიც თავისთავად შეიძლება იყოს საწყისი დიდი და ღრმა მწუხარებისა. რა თქმა უნდა, შესაბამისად სახის მიმიკაც შედარებით მარტივიდან რთულისაკენ მიიდრიკება. განსაკუთრებული მდგომარეობაა, მწუხარების გამოხატვის ისეთი ფორმა, როგორიცაა ტირილი, რომელიც შეიძლება განვითარდეს ისტერიულ მოთქმამდე ან ჰომერულ ხარხარამდე, განსაკუთრებული ფსიქიური აშლილობის დროს.

«Лицо человека – психологический портрет личности»

Важа Папаскири, профессор
Грузинский Технический Университет

Резюме

Лицо человека – портрет его души. Чтобы его прочитать собеседник должен изучить ряд важных факторов. Правильное восприятие и оценка выраженных сигналов лицевой мимики дает возможность точнее составить портрет личности. Тут же надо сказать, что психологически человек устроен так, что за пределами определенной границы, контроль невозможен. По этой причине желательно оценивать несколько объектов.

Для определения личности используется метод комплексной оценки. При этом мимика, в частности лицевая мимика, является наиважнейшим фактором, так как она дает возможность правильно прочитать реакцию объекта на то или иное событие. Правильное восприятие мимики дает возможность определить уровень интеллекта, настроение, пол, возраст, расу, этническую принадлежность, иногда и социальный статус личности.

Мы всегда стараемся по выражению лица и глаз определить состояние и характер человека. Нам помогают в этом цвет кожи, морщины, лицевая мускулатура и т. д. Мы, как правило, стремимся составить мнение о человеке, основываясь на реакциях его лица.

Лицо может отражать эмоциональное состояние человека: радость, печаль, отвращение, боязнь, негодование и удивление.

К вопросу о дезинформации

Тамара Бондаренко, Ассоц. профессор
Грузинский технический университет

Резюме

Статья посвящена вопросу дезинформации и способам борьбы с дезинформацией и так называемыми «фейковыми новостями». Все это является следствием популярности социальных сетей, снижением уровня доверия к традиционным средствам массовой информации. Нет точного определения, что же считать фейковыми новостями.

Ключевые слова: дезинформация, информационная война, «fake news», закон о СМИ.

Введение

Гибридная война продолжает идти в нашем быстро меняющемся мире. Очагов гибридной войны сегодня намного больше, чем даже несколько лет назад. Из-за большого круга нарративов, возникших за последние годы уязвимыми стали не только развивающиеся государства, но и страны с вполне стабильным экономическим положением. За последнее время заметно снижение интереса и доверия людей к традиционным средствам массовой информации. Люди уже больше доверяют ковергентным СМИ, социальным сетям, чем телевидению, радио и печати. Платформы социальных сетей значительно усугубляют последствия информационной войны.

Но следить за дезинформацией в электронных СМИ намного сложнее, законы регулирующие такие СМИ несовершенны, или не работают.

II Основная часть

В середине марта 2018 года, группа экспертов при Европейской комиссии опубликовала свой окончательный доклад о дезинформации, опираясь на вклад экспертов со всего мира, которые собрались в течение нескольких недель, чтобы помочь Европейскому союзу выяснить, что делать с дезинформацией.

Отчет, хотя и несовершенен, прямо рекомендует не принимать мер против дезинформации, но ЕС является лишь одним из многих руководящих органов, которые пытались остановить поток дезинформации в Интернете за последние несколько месяцев.

Эти усилия поднимают вопросы о нарушении гарантий свободы слова и часто становятся жертвами неопределенности. Нет общего определения, что считать фальшивыми новостями (fake news).

Мы попытаемся в этой статье показать какие же шаги предприняты в борьбе с дезинформацией. **В Беларуси** 14 июня законодатели приняли противоречивые поправки к белорусским законам о СМИ, которые позволяют правительству преследовать в судебном порядке людей, распространяющих ложную информацию в Интернете. Один из законодателей заявил, что законодательство, которое также позволяет блокировать социальные сети и другие веб-сайты в случае нарушения закона, направлено на укрепление прав граждан при одновременном укреплении информационной безопасности государства. 8 июня Комитет по защите журналистов выступил против законодательства, заявив, что оно - в дополнение к отдельному законодательству, направленному на ужесточение белорусских правил в отношении СМИ, - может привести к более избирательному преследованию журналистов.

Канада. В Канаде существует программа при правительстве Канады для борьбы с дезинформацией. Канадский канал CTV сообщил, что правительство создало «Публичный протокол о критических инцидентах на выборах», который будет отслеживать и уведомлять другие агентства и общественность о попытках дезинформации. Эта целевая группа будет возглавляться пятью неполитическими лицами и является дополнением к «механизму быстрого реагирования», размещенному в министерстве иностранных дел. Во-вторых, правительство призвало социальные сети сделать больше для борьбы с дезинформацией перед выборами. В-третьих, Канада объявила, что выделяет 7 миллионов долларов на проекты, направленные на повышение осведомленности общественности о дезинформации в Интернете.

В Китае действуют самые строгие законы в отношении дезинформации. В 2016 году правительство ввело уголовную ответственность за создание или распространение слухов, которые «подрывают экономический и социальный порядок», сообщает Foreign Policy. Еще один закон 2017 года требует, чтобы платформы социальных сетей переиздавали и ссылались только на новостные статьи из зарегистрированных новостных СМИ. Власти Китая запустили приложение, которое позволяет людям сообщать о потенциальных подделках.
Франция. В начале января 2018 года президент Макрон заявил журналистам, что представит новый закон о борьбе с распространением дезинформации во время выборов. Закон, принятый в ноябре, дает определение «фальшивых новостей»: «Неточные обвинения или обвинения, или новости, которые ложно сообщают факты с целью изменения искренности голосования». Он предназначен для введения строгих правил в отношении СМИ во время избирательных кампаний и, в частности, в течение трех месяцев, предшествующих любому голосованию. Законодательство дает властям полномочия уда-

лять фальшивый контент, распространяемый через социальные сети, и даже блокировать сайты, которые его публикуют, а также обеспечивать большую финансовую прозрачность для спонсируемого контента за три месяца до выборов. Во-вторых, такие платформы, как Facebook, Twitter и YouTube, должны будут публиковать информацию о том, кто приобрел спонсорский контент или рекламные кампании и по какой цене. После того, как Конституционный совет Франции опубликовал свое мнение о законе 4 мая, парламентский комитет по культуре обсудил и внес поправки в текст, чтобы нацелиться на «манипулирование информацией» вместо «поддельных новостей». По сообщениям, это изменение защитило сатиру от наказания в соответствии с законодательством.

Италия. Чуть более чем за месяц до всеобщих выборов итальянское правительство объявило 18 января, что оно создало онлайн-портал, где граждане могут сообщать о дезинформации в полицию. Служба, которая запрашивает у пользователей их адреса электронной почты, ссылку на фальшивую новость или сфабрикованные СМИ и любые социальные сети, в которых они их видели, пересылает отчеты в Polizia Postale, подразделение государственной полиции, расследующее киберпреступность. Департамент проверит их факт и - если законы будут нарушены - подаст в суд. По крайней мере, служба будет опираться на официальные источники, чтобы отрицать ложную или вводящую в заблуждение информацию.

Великобритания. Британское правительство также создало Отдел по связям с национальной безопасностью, которому поручено «бороться с дезинформацией со стороны государственных субъектов и других лиц». Это решение было принято в ходе расследования сообщений о том, что Россия использовала фальшивые аккаунты в социальных сетях для распространения дезинформации о референдуме о Brexit.

Соединенные Штаты Америки. В октябре 2017 года Конгресс объявил законопроект, который потребует от онлайн-платформ, таких как Facebook и Google, хранить копии рекламных объявлений, публиковать их и следить за тем, кто платит - и сколько. По сути, законодательство пытается навязать действующие правила в отношении рекламы на телевидении и радио в компаниях социальных сетей. В ноябре 2017 года, представители Facebook, Twitter и Google дали показания в судебном комитете Сената о своей роли в распространении дезинформации во время выборов. Во время этой встречи был, достигнут широкий консенсус в отношении того, что Россия действительно манипулировала своими платформами, но платформы прогнозировали появление контроля, когда дело доходит до мониторинга фальшивых аккаунтов и покупателей рекламы. Между тем, правительство штата Калифорния в сентя-

бре приняло закон, который поддерживает медиаграмотность в государственных школах. Это требует от Министерства образования перечислять учебные материалы и ресурсы о том, как оценивать заслуживающие доверия СМИ. Закон был вдохновлен студентом Стэнфордского университета, который обнаружил, что большинство студентов не могут различить спонсируемый контент и новостные сюжеты, и это происходит на фоне нескольких текущих и прежних попыток повысить медиаграмотность как минимум в 24 штатах. Урегулирование является первым делом, в котором правоохранительные органы пришли к выводу, что продажа поддельной деятельности в социальных сетях является незаконной.

Россия. 18 марта 2019 года президентом В. Путиным был подписан закон о запрете фейковых новостей. Закон «устанавливает административную ответственность за распространение в средствах массовой информации, а также в информационно-телекоммуникационных сетях заведомо недостоверной, общественно значимой информации под видом достоверных сообщений, создавших угрозу причинения вреда жизни и (или) здоровью граждан, имуществу, угрозу массового нарушения общественного порядка и (или) общественной безопасности либо угрозу создания помех функционированию или прекращения функционирования объектов жизнеобеспечения, транспортной или социальной инфраструктуры, кредитных организаций, объектов энергетики, промышленности или связи, если эти действия лица, распространяющего информацию, не содержат уголовно наказуемого деяния (часть 9 статьи 13.15 Кодекса Российской Федерации об административных правонарушениях»).

Санкции, предусматриваемые новым законом, предполагают блокировку ресурсов с фейковой информацией, а также систему штрафов.

Заключение

Последние события (выборы в США, события в Украине, события в Грузии), показали, что роль дезинформации в сегодняшней жизни огромна. И это, не только проблема постсоветского пространства, но и всего мира. Все страны, так или иначе, пытаются принять законы для борьбы с дезинформацией.

Литература:

1. https://www.poynter.org/ifcn/anti-misinformation
2. Федеральный закон от 18.03.2019 № 31-ФЗ "О внесении изменений в статью 15-3 Федерального закона "Об информации, информационных технологиях и о защите информации"

დეზინფორმაციის საკითხთან დაკავშირებით

თამარ ბონდარენკო, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება დეზინფორმაციის პრობლემას და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის გზების კვლევას და ე.წ. "ყალბ ამბებს". აღნიშნული პრობლემა სოციალური ქსელების პოპულარობის და ტრადიციული მედიისადმი ნდობის დონის დაქვეითების შედეგია. არ არსებობს ზუსტი განმარტება, თუ რას წარმოადგენს ყალბი ამბები.

საკვანძო სიტყვები: დეზინფორმაცია, ინფორმაციული ომი, „ყალბი ამბები“, კანონი მედიის შესახებ

To the issue of misinformation

Tamar Bondarenko, Associate professor
Georgian Technical University

Summary

The article is devoted to the issue of misinformation and ways to combat misinformation and the so-called "fake news." All this is a consequence of the popularity of social networks, a decrease in the level of trust in traditional media. There is no exact definition of what constitutes fake news.

Key words: misinformation, information war, fake news, media law.

„სამართლიანობის, სიკეთისა და სიბრძნის დამსხვრეული იდეალები!“

(მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ევროპელი ფილოსოფოსების გახსენება)

როზა გაფრინდაშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, ევროპელ მოაზროვნეთა წინაშე, განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა ისეთი პრობლემები, როგორიცაა - რიტმიდან ამოვარდნილი სამყარო, შერყეული ჩვენი პლანეტა, ადამიანი, ვისაც ფეხქვეშ აღარა აქვს მყარი ნიადაგი, რაც მას სამყაროს წესრიგთან დააკავშირებდა, “სად ვიმყოფებით ჩვენ დღეს?”... “ჩვენს დროში, აგონიის დღეებში, მწვავედ იგრძნობა, რომ გადაულახავი წინააღმდეგობებით დაფლეთილ სამყაროში, დანაშაულის სამყაროში ვცხოვრობთ... ჩვენი სამყარო შეირყა და ადამიანს ყოველი მხრიდან საფრთხე ემუქრება, მან არ იცის, რა იქნება ხვალ”; „ჩვენ დროში, სამყაროს აგონიის დღეებში, მწვავედ იგრძნობა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ დაცემულ სამყაროში...“ „ადამიანს ყოველი მხრიდან საფრთხე ემუქრება და მან არ იცის რა იქნება ხვალ!“

საკვანძო სიტყვები: შერყეული ჩვენი პლანეტა; რიტმიდან ამოვარდნილი სამყარო; გადაულახავი წინააღმდეგობებით დაფლეთილი სამყარო; დაცემული სამყარო; აგონიის დღეები; ადამიანს ფეხქვეშ აღარააქვს მყარი ნიადაგი; ევროპის მზის ჩასვენება: ინსტინქტით გონიერების ჩანაცვლება.

შესავალი

ფილოსოფოსები - ბერდიაევი, იასპერსი, შპენგლერი, ჰაიზინგა, პიპერი, შელსკი, იუნგერი, ორტეგა ი გასეტი და სხვები, თავიანთ შრომებში უპ. ყოვლისა, ხაზს უსვამენ „ტექნიკის არნახული აღმავლობის ეპოქაში, ადამიანის მარტოობასა და სიცარიელეს“. „მას ხომ დღეს აღარაფერი უკვირს, იზიდავს, ახარებს!“ „რაღაც მოკვდა ჩვენს სულში, ყოველგვარი აღფრთოვანება გაქრა!“; “ჩვენ საოცრად დავბერდით და გავღარიბდით. . . ჩვენ დღეს გვიკვირს - რა არის მათში კარგი, რაც ასე მოგვწონდა ერთ დროს!“; „ათობით და ასობით ერთნაირი ბინები და ავეჯი, . . . ამაო და ტყუილი საქმიანობით დაკავებული არმიები“, „ოჯახურ უჯრედებად დანაწილებული საჭიანჭველეთი!“; „აღარ გვახარებს მეცნიერების პროგრესი და ტექნიკის განვითარება, ის, რაზეც ოდესღაც კაცობრიობა ოცნებობდა, ყოველდღიურობად იქცა“; „ადამიანი - ნივთების მონა გახდა!“ „უწინ მათ ჰქონდათ სამყაროს ნდობა, ახლა - უიმედოდ შესცქერიან მომავალს და ცდილობენ დააფასონ ცრუ ოპტიმიზმი“

ეს ფილოსოფოსები სვამენ კითხვას - „ის არსება, რომელსაც მომავალი ეკუთვნის, უნდა იწოდებოდეს თუ არა ადამიანად?“ „საით მიდის კაცობრიობა? რა ელოდება მას ხვალ?“

მსგავს კითხვებზე პასუხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში გაისმა ევროპულ ფილოსოფიაში, რაც თავის დროზე თარგმნეს და სათანადო კომენტარებიც დაურთეს ქართველმა ფილოსოფოსებმა; დღეს ეს საყოველთო-საკაცობრიო კითხვები ჩვენ ქვეყანაშიც აქტუალური გახდა, რამაც გასული საუკუნის ევროპელი ფილოსოფოსების ნააზრევის შეხსენება გამოიწვია.

ძირითადი ნაწილი

მეოცე საუკუნემ კაცობრიობის წინაშე, უსაფრთხო სამყაროს პრობლემა დააყენა,

მათ, მრავალ კრიზისთა ერთობლიობას საერთო სახელი - „კულტურის კრიზისი“ მოუძებნეს (იგივე - „ისტორიული კრიზისი“, ანუ - „ადამიანისა და ადამიანური სამყაროს გაარაადამიანურება!“). ჰაიზინგას თქმით „ალბათ არავის გაუკვირდება, თუ ჩვენი დროის სიგიჟე გაცოფებამდე მივა, რომელიც შთანთქავს ღარიბ ევროპულ კაცობრიობას“. ბერდიაევის აზრით, გარდა „აუტანელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა, სამყარო სულიერ დეგრადაციას განიცდის“; „თანამედროვე დეჰუმანიზაციას კაცობრიობა სიგიჟემდე მოჰყავს“. „კულტურის კრიზისი დაკავშირებულია ყოველი კულტურისათვის დამახასიათებელ არისტოკრატიულ საწყისთან, რასაც დემოკრატიზაცია და მასების ბატონობა უდიდეს საფრთხეს უქმნის; ჩვენ ვცხოვრობთ კულტურის არისტოკრატიული საწყისის წინააღმდეგ პლებეური აჯანყების ეპოქაში“. პიპერის აზრით „უკვე დასრულდა ქრისტიანული ერა და დადგა ანტიქრისტეს ბატონობის პერიოდი“; „ის არსება, რომელსაც მომავალი ეკუთვნის, უნდა იწოდებოდეს თუ არა ადამიანად?“. ორტეგა ი გასეტი წერს: „მე არ ვიცნობ ისტორიაში ისეთ ყოვლისშემძლე და ღრმა კრიზისს, როგორიც ჩვენია“; იგივე აზრს იზიარებენ შვეიცერი, ჰაიზინგა, და სხვები; ის მოიცავს ყველა სხვაბ სახის კრიზისებს; იგულისხმება მთელი სოციალური სამყარო და არა მისი რომელიმე მხარე.

ხშირად კრიზისულ ცნობიერებას, „აპოკალიფსურს“ უწოდებენ.

ბატონი ედუარდ კოდუას აზრით, კულტურის კრიზისის მრავალრიცხოვან თეორიებში გამოარჩევენ ჰაიზინგას თეორიას, სდაც კრიზისი გაცნობიერებულია არა მხოლოდ აწმყოს, არამედ მომავლის თვალთახედვითაც; კრიზისი გვაქვს არა მარტო მსხვრევის ეპოქაში, არამედ კულტურის ინტენსიური ქმნადობის პერიოდშიც.

ჰაიზინგას აზრით კულტურის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ბუნებაზე გაბატონება, რაც ადამიანის გარეგან და შინაგან ბუნებაზე გაბატონებას ნიშნავს.

გარე ძალებზე გაბატონება - ეჭვს არ იწვევს, რასაც მანქანისა და ტექნიკის გაბატონება მოწმობს. შინაგან ბუნებაზე გაბატონების მხრივ საქმე სხვაგვარადაა - მან ეს ვერ მოახერხა! კაცობრიობამ ვერ შექმნა მოვალეობათა სისტემა, რომელიც დანაშაულს გამორიცხავდა!

კულტურის მეორე პირობა - იდეათა ერთიანობაა; ყველა ადამიანს და სოციალურ ჯგუფს თავისი იდეალი აქვს. ღმერთის - დამსხვრეულია! დამსხვრეულია სამართლიანობის, სიკეთისა და სიბრძნის იდეალები!

ანუ, „ევროპის დაისის“ პერიოდის ფილოსოფოსებისთვის - დაიკარგა საერთო და გაჩნდა ეროვნული და კლასობრივ კულტურათა ცნებები; კულტურის ცნება დაექვემდებარა კეთილდღეობის, ძალაუფლებისა და უშიშროების ერთმანეთისგან მოწყვეტილ იდეალებს! დაირღვა მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შორის წონასწორობა.

პიკარდის აზრით "კაცობრიობის ბედი ამჟამად ისე დაუკავშირდა კონტინენტალურ ხალხთა ჯგუფების ბედს და ისე მჭიდროდ შეერწყა მას, რომ კითხვა "სად ვიმყოფებით ჩვენ?" მხოლოდ მთელის საშუალებით შეიძლება გაირკვეს". ადამიანის პოტენციალი იქცა რაღაც ირაციონალურ ძალად, რომელიც გაგებას არ ექვემდებარება. ასეთ ვითარებაში, მაქს პიკარდის აზრით, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ადამიანი კი არ იმყოფება, არამედ "გადაგდებულია პოტენციალში", ხოლო თქმით, მართალია, ძნელია აწმყოს ლაბირინთებში ორიენტირება, მაგრამ მაინც აუცილებელია საკითხის დაყენება და მასზე პასუხის გაცემა საკაცობრიო მასშტაბით, ვინაიდან ჩვენ ძლივს ვიგონებთ მათ, რადგან დავბერდით და სულიერად გავიყინეთ".

ფრანკის თქმით, ჩვენ იმ მოხუცებს ვგავართ, რომლებიც გაკვირვებით იგონებენ ჭაბუკობისდროინდელ უგონო გატაცებას. "ჩვენ დავაბიჯებთ ევროპის დედაქალაქთა ლამაზ, კეთილმოწყობილ ქუჩებში, რომლებიც ოდესღაც ასე გვხიბლავდა და გვაღელვებდა, დღეს კი არ გვესმის, რა არის მათში კარგი. ასფალტის სწორი ზედაპირი, უნიათო არქიტექტურის ერთფეროვანი მაღალი სახლები. ზმუილით დაქრიან ავტომობილები, რომლებიც უსაქმურ დარდიმანდებს, ძუნწ სპეკულანტებსა და სულით ღატაკ საქმოსნებს დაატარებენ. ყოველ შენობაში ათობით და ასობით მეშჩანურად მოწყობილი ერთგვაროვანი ბინაა, რომლებშიც ირევა ოჯახურ უჯრედებად დანაწევრებულ ადამიანთა საჭიანჭველო. რა უნდა გვიხაროდეს ჩვენ? ირგვლივ მოწყენილობაა, საშინელი მოწყენილობა... ჩვენ უკვე აღარ გვახარებს მეცნიერების პროგრესი და მასთან დაკავშირებული ტექნიკის განვითარება. მოგზაურობა ჰაერში - ეს ჩიტის გაფრენა, რომელზედაც კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე ცნებობდა, უკვე ყოველდღიური მოვლენა გახდა. მაგრამ ვის რაში სჭირდება ეს, თუ მთელ სამყაროში მოწყენილობა, გამოუვალი სულიერი მარტოობა და უშინაარსოობა ბატონობს?" საერთოდ საჭიროა თუ არა ადამიანის ბედნიერებისათვის

ტექნიკის ასეთი უსაზღვრო განვითარება? "ადამიანის გადაქცევა ნივთის, მანქანის, ტელეფონისა და სხვა მის ნაწარმთა და მკვდარ საშუალებათა მონად? ჩვენ არ გაგვაჩნია პასუხი ამ კითხვებზე, მაგრამ გვაქვს ეჭვი და უნდობლობა, რომელიც ადრე უცნობი იყო" .

ჰარმონია დაირღვა ხელოვნების სფეროშიც. **დღეს ხელოვნება დამოკიდებულია პრესასა, მოდასა და კომერციულ ინტერესებზე; ანუ, კულტურის სამი პირობიდან არცერთი არაა განხორციელებული!**

ეს ყოველივე ნიშნავს, რომ ჩვენი ეპოქა არის კრიზისისა და მზის ჩასვენების ეპოქა!

როგორც პროფესორი ედუარდ კოდუა წერს, სწორედ ამ შეგრძნებებმა განაპირობა კულტურის ფილოსოფიის წარმოშობა;

დასკვნა

მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპელ ფილოსოფოსთა მიერ აღქმული სამყარო, მაშინდელი სტუდენტებისთვის ხელოვნურად გაზვიადებული და ოპოზიციური აზროვნებისთვის დამახასიათებელი, პროტესტის გამომხატველი სტილის დამახასიათებელ თავისებურაბად გვეჩვენებოდა! თუმცა დღეს ახალი საუკუნის დასაწყისიდან, ეს პროცესები, ქართული ყოფისთვისაც ნაცნობი და „მშობლიური" გახდა! ტექნიკური ცივილიზაციის მიერ დაპყრობილი მსოფლიო ვერაფერს უხერხებს იმ პრაგმატულ ინტერესებს, რაც ახალმა არნახულმა პროგრესმა მოგვიტანა და რაც დადებითთან ერთად ბევრ ნეგატიურ „სიკეთეებს" გვპირდება სამომავლოდ. ადამიანთა უსასრულოდ და უკონტროლოდ გაზრდილ-გამრავალფეროვანებული მოთხოვნილებები, საყოველთაო უმუშევრობისა და მდიდრებად და ღარიბებად გაყოფილ ქვეყანას, სადაც ქცევის ინდივიდუალური ნორმებია მიჩნეული უმაღლეს ღირებულებად და სადაც თითქმის აღარაფერს აწარმოებენ - მომავალში კარგი არაფერი ელოდება!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ედუარდ კოდუა, კულტურის სოციოლოგია; ელექტრონული წიგნები სოციოლოგიაში; „ქველი", 14. 02. 2015.
2. თამაზ ბუაჩიძე, თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან, გამომცემლობა „Carpe diem", 2013.

"Shattered ideals of justice, good and wisdom"

Roza Gaprindashvili, associate professor
Georgian Technical Univesity

Summary

Philosophers – Berdyaev, Jaspers, Spengler, Huizinga, Piper, Schelsky, Junger, Ortega y Gasset and others in their works have foremost emphasized "Loneliness and emptiness of a human being in the era of unprecedented technology advance". "Today nothing surprises, attracts, makes humans happy!", "Something died in our souls, all of admiration has vanished!" – they think and put forward a question – "Should the creature, to whom the future belongs, be called a human or not?", "Where does the mankind go? "What should humans expect tomorrow?"

Back in the day, Georgian philosophers translated the answers to these questions and added proper comments, as well; nowadays these panhuman questions became topical in our country as well, which made us recall the ideas of European philosophers of the past century.

მედიის თვითრეგულირების ეფექტური მექანიზმები

ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია მედიის თვითრეგულირების ეფექტური მექანიზმების, მათ შორის დამოუკიდებელი მედიასაბჭოს შესახებ, რომელიც ჟურნალისტიკის სფეროში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთი გავრცელებული და ეფექტური მოდელია, იქმნება ნებაყოფლობით საფუძველზე და მისი არსებითი ამოცანა საინფორმაციო დავის არასამართლებრივ გადაწყვეტაში მდგომარეობს; ყურადღება გამახვილებულია მის ფუნქციაზე, რომელიც კონკრეტული შემთხვევების და მედიის მიმართ საჩივრების განხილვას ითვალისწინებს; საუბარია სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ მედიასაბჭოების ამოცანებსა და უფლებამოსილებაზე.

ნაშრომში ასევე საუბარია პრეს-ომბუდსმენის ინსტიტუტის შესახებ, როგორც მედიის თვითრეგულირების ხელშემწყობ ფაქტორზე; გაანალიზებულია პრეს-ომბუდსმენის ფუნქციები და დანიშნულება; აღნიშნულია, რომ ამ ინსტიტუტს, როგორც ერთ-ერთ აქტიურ მექანიზმს რედაქციის თვითკონტროლის და თვითრეგულირების, ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც და განხილულია მათი არგუმენტები; მოწოდებულია ცნობები ნიუს-ომბუდსმენის საერთაშორისო ორგანიზაცია „ONO“ - ს შესახებ.

საკვანძო სიტყვები: თვითრეგულირების აქტიური მოდელი; მედიასაბჭო; პრეს-ომბუდსმენი; საზოგადოებრივი კონტროლი; პროფესიული თავისუფლება; უმაღლესი პროფესიული სტანდარტები; პროფესიული გამოცდილება; ახალი ოპტიმალური ფორმები; მედიის დამოუკიდებლობის გარანტი.

შესავალი

დამოუკიდებელი მედიასაბჭოს და პრეს-ომბუსმენის ინსტიტუტის არსებობა არის გარანტი იმისა, რომ მედიის პროფესიული სტანდარტების დეკლარირებული ნორმები დაცული იქნება, რეაგირების გარეშე არ დარჩება ის ფაქტები, რომელიც ზნეობრივ-ეთიკური კანონების დარღვევასთან ასოცირდება, ასევე გარანტირებული იქნება სარედაქციო დამოუკიდებლობა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. ობიექტური და მოუკერძოებელი მედია კი უკეთ მოახერხებს საზოგადოების, აუდიტორიის ინფორმირებას და სწორად წარმართავს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესს.

ძირითადი ნაწილი

დამოუკიდებელი მედიასაბჭო ჟურნალისტიკის სფეროში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთი გავრცელებული და ეფექტური მოდელია, რომელიც იქმნება ნებაყოფლობით საფუძველზე, დაარსებულია თვით მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიერ ჟურნალისტური გაერთიანებების და იმ ადამიანთა მონაწილეობით, რომლებიც ავტორიტეტით და ნდობით სარგებლობს როგორც პროფესიული თვალსაზრისით, ისე ფართო საზოგადოების მხრიდან. თვითრეგულირების ამ დამოუკიდებელი ორგანოს ერთ-ერთი არსებითი ამოცანა საინფორმაციო დავის არასამართლებრივ გადაწყვეტაში მდგომარეობს. მის ფუნქციაში შედის განხილვა კონკრეტული შემთხვევების და საჩივრების, რომლებიც ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების დარღვევაზე მიუთითებს. ეს ეხება როგორც ბეჭდურ პროდუქციას, ასევე ტელერადიო მაუწყებლობას. განხილვის სათანადო პროცედურის ჩატარების შედეგად მიღებული და მომხდარი ფაქტიდან გამომდინარე გადაწყვეტილებები და დადგენილებები, ცხადია, არ ითვალისწინებს მკაცრ იურიდიულ სანქციებს, გათვლილია საზოგადოებრივ თვითშეგნებაზე და დამნაშავე მხარის ე. წ. „მონანიებაზე“. სასჯელის ზომად კი გათვალისწინებულია დაბეჭდილი ან ეთერში გაჟღერებული მასალის საჯაროდ უარყოფა, ბოდიშის მოხდა, რიგ შემთხვევებში ზემოქმედება საბაზრო ეკონომიკური მეთოდებით, მათ შორის ფულადი ჯარიმის გადახდის დაკისრება. დამოიკიდებელ მედიასაბჭოებს, რა თქმა უნდა, სხვა ამოცანები და ფუნქციები გააჩნია. მაგ. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მუშაობის ანალიზი, რეკომენდაციები და რჩევები, ეთიკური პრინციპების, ზნეობრივი ნორმების დაცვის საჭიროების და აუცილებლობის გათავისებაში ხელშეწყობა და მხარდაჭერა პრაქტიკულ საქმიანობაში, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს თავისი წევრებისთვის იურიდიული კონსულტაციის უზრუნველყოფა, დახმარება აკრედიტაციის მისაღებად, მონაწილეობა კანონშემოქმედებით მოღვაწეობაში, თანამშრომლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სამთავრობო სტრუქტურებთან. მედიასაბჭოს შემადგენლობაში მკს-ს წარმომადგენლების გარდა საზოგადოებისთვის ცნობილი და ავტორიტეტული ადამიანების არსებობა, რომლებიც ჟურნალისტიკის სფეროში არ მოღვაწეობენ, ერთგვარი გარანტია იმისა, რომ ნებისმიერი დავის და კონფლიქტის განხილვა ობიექტურად, ღიად და იურიდიული და ზნეობრივი კანონების გათვალისწინებით წარიმართოს და შედეგმაც ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი კონტროლისადმი ნდობას და პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას. საბჭოს ეფექტური მუშაობისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული გამოცდილების მაქსიმალური გამოყენება კანონის სფეროში, დაფუძნებული მორალურ-ეთიკურ და კორპორატიულ ნორმებზე, ახალი ეთიკური სტანდარტების შესაქმნელად, ეროვნული

მედიაკანონმდებლობის გასავითარებლად. ასევე მნიშვნელოვანია ახალი ოპტიმალური ფორმების ძიება მედიასაბჭოს დაფინანსებისთვის, რაც მისი დამოუკიდებლობისთვის აუცილებელია.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ მედიასაბჭოებს თითქმის მსგავსი ფუნქციები, ამოცანები და უფლებამოსილება გააჩნია, თუმცა, ბუნებრივია, მთლად იდენტური არ არის და ვერც იქნება ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების წესის, ტრადიციების, განვითარების დონის, საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე. შვეციაში არსებობს პრესის კომიტეტი, რომელიც ჟურნალისტური ეთიკის საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. მას „ღირსების საბჭოდ“ მოიხსენიებენ და ითვლება ევროპაში პირველ ორგანოდ, რომელსაც საინფორმაციო დავების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება დაევალა. დაარსდა 1916 წელს.დანიაში შექმნილია სპეციალური კომისია სამართლებრივი და ეთიკური რეგულაციების განსაზღვრისა და დანერგვისთვის. ამ მოდელის ფორმირების წესები, ფუნქციები, უფლებამოსილება, ამოცანები ჩამოყალიბებულია კანონში „პრესის პასუხისმგებლობის შესახებ“. დიდ ბრიტანეთში არსებობს კომისია, რომელსაც ევალება რეაგირება საჩივრებზე და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. გერმანიასა და შვეიცარიაში ასევე არსებობს თვითკონტროლის და რეგულაციის განსაკუთრებული მოდელი, დამოუკიდებელი კომისია შეისწავლის საჩივრებს, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთანაა დაკავშირებული. აქ იგულისხმება როგორც ბეჭდური მედია, ასევე ელექტრუნული მაუწყებლობა.

გამოცდილების გაზიარების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით შეიქ-მნა მკს-ს რეგულირების ინსტიტუტების საერთაშორისო გაერთიანება, დამოუკიდებელი მედიასაბჭოების ევროპული ალიანსი, როგორც მჭიდრო თანამშრომლობის წარმატებული ნიმუში.

მედიის თვითრეგულირებას დიდად უწყოფს ხელს ომბუდსმენის ინსტი-ტუტის არსებობა. როგორც ცნობილია, ომბუდსმენი არის ადამიანი, რომელიც მხარეებს შორის დავებს იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს. შვეცია არის ის ქვეყანა, სადაც გვხვდება პირველი ომბუდსმენი, პირი, რომელიც იხილავდა მოქალაქეების საჩივრებს სახელმწიფო მოხელეების ქმედებებთან დაკავშირებით. პრეს-ომბუდსმენი კი იმ დავებს განიხილავს, რომელიც მკს-ს უკავშირდება. პრეს-ომბუდსმენის ფუნქცია მდგომარეობს კონფლიქტების გადაჭრაში მკს- ს საშუალებებს, ასევე მკს-ს და საზოგადოებას, მკს-ს და სახელმწიფოს შორის, რაც ზოგადად მედიის ინტერესების დაცვას ემსახურება და მისდამი ნდობის ამაღლებას უწყობს ხელს. ნიუს-ომბუდსმენს სხვადასხვა სინონიმური ტერმინებით მოიხსენიებენ: „მკს-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი“, „საზოგადოებრივი რედაქტორი“ და ა.შ. ნიუს-ომბუდსმენი არ არის ცენზორი, რომელიც აკონტროლებს მასალას მის გამოქვეყნებამდე, არ

იღებს მონაწილეობას მკს-ს შექმნასა და მართვაში, არც იმის უფლება აქვს, სამსახურში აიყვანოს ან გაათავისუფლის ჟურნალისტები; ის არის შუამავალი რედაქციასა და მკს-ს საშუალებებს, რედაქციასა და აუდიტორიას შორის. ის არის პირი, რომელიც უზრუნველყოფს მკს-ს თვითრეგულირებას, აწარმოებს მისი პროდუქციის დამოუკიდებელ ექსპერტიზას. ნიუს-ომბუდსმენი უნდა იყოს თავისუფალი სიტყვის დამცველი და მკს-ს პასუხისმგებლობის გარანტი საზოგადოების წინაშე.

პრეს-ომბუდსმენის ფუნქციები შემდგომში მდგომარეობს: იგი განიხილავს მკითხველის, მაყურებლის, მსმენელის საჩივრებს და კომენტარებს გამოქვეყნებულ მასალებზე, რედაქტორების და რედაქციის თანამშრომლებისგან იღებს აუდიტორიისთვის გამიზნულ ახსნა-განმარტებას; მონიტორინგს უწევს ახალ ამბებს, ვიდეო აუდიო, ფოტო და გრაფიკულ მასალას; ადგენს, რამდენად ზუსტი, ობიექტური და დაბალანსებულია; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასალის ხარისხს, მონაწილეობას იღებს სარედაქციო გეგმის შედგენაში, პასუხისმგებელია მასალის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე, ასევე შესწორებაზეც; აქვს თავისი რეგულარული სვეტი ან რუბრიკა, იმ თემებს მიმოიხილავს, რომლებიც იწვევს საზოგადოებრივ ინტერესს და იზიდავს აუდიტორიას; ასწორებს ფაქტობრივ, ენობრივ და სხვა სახის უზუსტობებს და მასალას აქვეყნებს შესწორებული ვარიანტით; ზრუნავს რედაქციის და მისი თანამშრომლების ავტორიტეტზე, აანალიზებს შესრულებულ სამუშაოს, მკს-ს ხელმძღვანელობას წარუდგენს ანგარიშს სარედაქციო საქმიანობის შესახებ; უხსნის აუდიტორიას, როგორ ირჩევა პუბლიკაციისთვის გამიზნული თემა, რას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება; საჭიროების შემთხვევაში იჩენს ინიციატივას და კორდინაციას უწევს საზოგადოებრივ დებატებს, ატარებს კონსულტაციებს, უზრუნველყოფს მედიამომხმარებელთან მჭიდრო კავშირს, ადგენს კითხვებს და უგზავნის იმ პირებს, რომელთა კომენტარები შეიძლება საინტერესო დ გასათვალისწინებელი აღმოჩნდეს, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანები მოხსენებული არიან პუბლიკაციებში. ეს ამცირებს შეცდომის და ცდომილების ალბათობას.

უნდა აღინიშნოს, რომ პრეს-ომბუდსმენის ინსტიტუტს, ერთ-ერთ აქტიურ მექანიზმს რედაქციის თვითკონტროლის და თვითრეგულირების, ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც. მედიამკვლევარი რობერტ ჯეიმს ჰეიმანი წარმოადგენს არგუმენტებს, რათა დაამტკიცოს ამ ინსტიტუტის არაეფექტურობა. ის მიიჩნევს, რომ ჟურნალისტები კრიტიკას უფრო მეტად გარედან საჭიროებენ, ვიდრე შიგნიდან; ომბუდსმენი ვერ ახერხებს რედაქციასთან აუდიტორიის კავშირის უზრუნველყოფას, უფრო მათ შორის დგას; ომბუდსმენი არის არაკომპეტენტური ხელმძღვანელის შირმა; რედაქტორები და ჟურნალისტები (რეპორტიორები) თავად უნდა იყვნენ ომბუდსმენები, არ უნდა დასჭირდეთ

სხვისი დახმარება. ომბუდსმენი საქმეში ძირითადად მაშინ ერევა, როცა შეცდომები უკვე სახეზეა. მაგრამ ზოგ მკვლევარს განსხვავებული აზრი აქვს და თვლის, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის არსებობას სარგებელი მოაქვს მკს-სთვისაც და საზოგადოებისთვისაც, რადგან ხელს უწყობს მომზადებული მასალის ხარისხის გაუმჯობესებას, ინფორმაციის სიზუსტეს და სანდოობას, მედიის წარმომადგენლებს ამცნობს საზოგადოებისთვის საინტერესო და აქტუალური თემების შესახებ; გამომცემლებს, მაუწყებლობას, რედაქტორებს და ჟურნალისტებს, რომლებიც მუდმივ რეჟიმში მუშაობენ , ეხმარება დროის გონივრულ გადანაწილებაში. საჩივრების და დავის არასამართლებრივი გზით გადაწყვეტა მედიის წარმომადგენლებს თავიდან არიდებს იმ დამღლელ და გაწელილ პროცედურებს, რაც სასამართლო პროცესების თანმხლები ატრიბუტია. საზოგადოებისთვის მისაღები უნდა იყოს ამ ინსტიტუტის არსებობა, რადგან რედაქციის მუშაობის პროცესში მეტ-ნაკლებად ჩართული იქნება და ნაკლები ეჭვის საბაბიც ექნება. ომბუდსმენი არღვევს სტერეოტიპებს მკს-ს მიკერძოებულობის, უგრძნობლობის საზოგადოების გარკვეული ფენების მიმართ, რიგითი მოქალაქეებისთვის მისი მიუწვდომლობის შესახებ. ომბუდსმენის სვეტი აუდიტორიას საკუთარი შეხედულებების გამოთქმის საშუალებას აძლევს. შესაბამისად, კარგ ომბუდსმენს ბევრი ღირსება უნდა ჰქონდეს, ის უნდა იყოს ობიექტური, მიუკეძოებელი, მოუსყიდველი, ჟურნალისტური სამუშაოს სპეციფიკაში ღრმად ჩახედული, უნდა ჰქონდეს ჟურნალისტური მუშაობის გამოცდილება, ასევე უნარი ადამიანების მოსმენის, მათი ნდობის მოპოვების, მათი ტკივილის გათავისების, აუცილებელია იყოს ტაქტიანი, მტკიცე ნებისყოფის, ზოგჯერ „სქელკანიანიც“, რომ შეძლოს დაუპირისპირდეს მავანთა მხრიდან ზეწოლას და ზეგავლენის მცდელობას. მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში რედაქციის ყველა თანამშრომელთან , მათი სურვილის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს მუდმივი კონტაქტი, ხელმისაწვდომობა ვრცელდება, რაღა თქმა უნდა, ელექტრონულ ფოსტაზეც. ომბუდსმენს სრული დამოუკიდებლობისთვის, ბუნებრივია, ესაჭიროება მედიაორგანიზაციის მფლობელის, გამომცემლის და რედაქტორის მხარდაჭერა, კომფორტული მუშაობის პირობების შექმნა. ომბუდსმენის შეხედულება შესაძლოა განსხვავდებოდეს რედაქტორის თვალ-თახედვისგან, მაგრამ ეს არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი.

ომბუდსმენის ინსტიტუტის განვითარებისთვის დიდი წვლილი მიუძღვის ჰატჩინსის კომისიის მოღვაწეობას და დასკვნას პრესის თავისუფლებისა და თვითრეგულირების აუცილებლობის შესახებ, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული კონტროლი სახელმწიფოს მხრივ. 1960-იან წლებში პრესის მიმართ საზოგადოების უკმაყოფილების ზრდასთან დაკავშირებით „ნიუ-იორკ თაიმსის“ რეპორტიორმა რენკინმა გამოთქვა აზრი, ჯანსაღი კრიტიკისა და

რეგულირების მიზნით, თვით გაზეთებში შექმნილიყო შესაბამისი ინსტიტუტი. პირველი ნიუს-ომბუდსმენი აშშ-ში 1967 წელს გამოჩნდა გაზეთებში: „კურიერ ჯორნელი“ „ლუისველ თაიმსი“ და „ვაშინგტონ პოსტი“. მას ევალებოდა არა მარტო პასუხი მკითხველთა საჩივრებზე, არამედ კომენტარების დაწერაც გაზეთში გამოსაქვეყნებლად..

დიდ ბრიტანეთში ნიუს-ომბუდსმენის პირველი ინსტიტუტის ჩამოყალიბება გაზეთ „გარდიანს“ უკავშირდება 1997 წელს. მკაფიოდ განისაზღვრა გაზეთის ჟურნალისტების უფლებები და მოვალეობები. ომბუდსმენის დამოუკიდებლობისთვის შესაფერისი პირობების უზრუნველყოფა. ნიუს-ომბუდსმენს გაზეთში ადგილი დაეთმო, მუდმივი სვეტი გამოეყო, მხედველობაში გვაქვს იენ მეისის „ღია კარი“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად შუქდებოდა ზნეობრივი პრობლემები, გაზეთის ქვეგანყოფილებების მუშაობის სტილი და ა.შ. ასევე საუბარი იყო ინგლისური ენის ბოროტად გამოყენების შესახებ „გარდიანში“.

იაპონიაში 1922 წელი მიიჩნევა ომბუდსმენის ჩამოყალიბების თარიღად, როდესაც დაარსდა მკითხველთა საჩივრების მიღების და შესწავლის კომიტეტი გაზეთ „ასაჰი სიმბუნში“, მასვე ევალებოდა კონტროლი გაზეთის ხარისხზე. „ასაჰი სიმბუნის“ მსგავსად მოიქცა მეორე დიდი გაზეთი „იომიური სამბუნი“ 1938 წელს.

აქტიურად იყენებენ ომბუდსმენის ინსტიტუტს საზოგადოებრივ მაუწყებლობაში, რადგან ეს მოიაზრება საზოგადოებრივი ტელევიზიის და რადიოს მთავარი მისიის შესრულების, საზოგადოების სამსახურის ხელშემწყობ ეფექტურ ინსტრუმენტად.მაგ ამერიკაში „პი -ბი-ესი“, კანადაში „სი-ბი-ესი“ და ა.შ.

არსებობს ნიუს-ომბუდსმენების საერთაშორისო გაერთიანებაც, რომელიც შეიქმნა გამოცდილების გაზიარების, ინფორმაციის გაცვლის და მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით. ნიუს-ომბუდსმენის საზოგადოებრივი ორგანიზაცია ONO (Organization Neus Ombudsmen) დაარსდა 1980 წელს. მისი მისია შემდეგნაირად განისაზღვრა: კონტაქტის დამყარება ნიუს-ომბუდსმენებთან და მედიასაბჭოებთან მთელ მოფლიოში, გამოცდილების და იდეების გაცვლის მიზნით ყოველწლიური კონფერენციების შეხვედრების ორგანიზება, სადაც ისაუბრებენ ყველა იმ სიახლესა და პრობლემაზე, რაც უკავშირდება ომბუდსმენის მუშაობას. ONO-ს მიზანია საინფორმაციო სფეროში უმაღლესი სტანდარტების დანერგვისა და ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების გათვალისწინების უზრუნველყოფა.

დასკვნა

დამოუკიდებელი მედიასაბჭო და პრეს-ომბუდსმენი მედიის თვითრეგულირების და ჟურნალისტური ეთიკის დაცვის ეფექტური მექანიზმებია; ხელს

უწყობს მედიამომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას და შესაბამისად იცავს ნებისმიერი მოქალაქის უფლებებს. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჟურნალისტებს აძლევს საშუალებას თავად გადაწყვიტონ სადავო საკითხები კოლეგიალობისა და პროფესიული ღირსების შეუბღალავ ატმოსფეროში. სიტყვის რეალური თავისუფლებისა და მედიის ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის ბრძოლა კი საზოგადოების კეთილდღეობისთვის ზრუნვასაც ნიშნავს.

ლიტერატურა:

1. https://vestnik journ. msu.ru. <books>razvitie-osnovnyk;
2. Society of Professional Journalists (SPJ). Code of Ethics. Retrieved from: http// www.spj. org/ethicscode.asp;
3. www.media. Ge/ge/portal /articles/ 7200;
4. ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები. თავისუფლების ინსტიტუტი. თბ. 2003.

Effective mechanisms for media self-regulation

Ketevan Giorgobiani, Associated Professor

Technical University of Georgia

Summary

The work tells about the effective mechanisms for media self-regulation, including the independent Media Council, appearing one of the spread and effective models of administrative-legal regulation in the field of journalism, it is doe on voluntary basis and the essential aim of it is in non-legal settling of informational dispute; one pays attention to its function, providing discussion of specific cases and appeals towards the media, there is conversation about the tasks and authority of media councils in different countries.

The work also talks about the institute of the press-ombudsman, as supporting factor of media self-regulation; it analyses functions and importance of the press-ombudsman; it's remarkable that this institute, as one of the active mechanisms of editorial self-control and self-regulation has the supporters as well opponents and discusses their arguments; there are data about the News-Ombudsman International Organization "ONO"/

Key words: active model of self-regulation, media council, press-ombudsman, public control, professional freedom, high professional standards, professional experience, new optimal forms, guarantee of media independence.

მედიაკულტურის სოციალური როლი და მისი რეპრეზენტაციული ბუნება

ლია ქათამაძე, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მედიაკულტურა - ეს არის ინფორმაციული საზოგადოების კულტურა თავისი ტექნოლოგიური, კომუნიკაციური და სოციო-კულტურული მახასიათებლებით. სტატიაში გახსნილია მედიაკულტურის ცნების შინაარსი, დახასიათებულია კულტუროლოგიური და სოციალური თვალსაზრისით. ნაჩვენებია მედიაკულტურის რეპრეზენტაციული ბუნება და გადაჯაჭვულობა მომხმარებლურ საზოგადოებასთან.

საკვანძო სიტყვები: მედიაკულტურა, ინფორმაციული საზოგადოება, რეპრეზენტაცია, მომხმარებლური საზოგადოება

შესავალი

მედიისა და სოციუმის ურთიერთობის განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, რომ მედიის ზემოქმედების საზღვრები არათუ გაფართოვდა, არამედ თვისებრივად ახალი შინაარსი შეიძინა. შეიქმნა ახალი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ველი. კომერციული პრინციპებიდან ამოზრდილი მომხმარებლური საზოგადოების კულტურა ყოვლისმომცველი გახდა, გადალახა კულტურული ავტონომიების საზღვრები. მსოფლიოს უნიფორმულობა ეკონომიკური და კულტურული გლობალიზმით განისაზღვრება, ოღონდ ეს მხოლოდ ჰეგემონი ქვეყნის მონოკულტურული მოდელის გადმოღებით როდი შემოიფარგლება, არამედ პოსტინდუსტრიული და ინფორმაციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ახალი ფენომენით - მედიაკულტურით.

კულტუროლოგიური კვლევის წიაღში გაჩნდა ცნება - მედიაკულტურა, რომელიც რამდენიმე ტერმინის (,,მასობრივი კულტურა“, ,,პოპულარული კულტურა“, ,,კონსიუმერიზმი“, ,,იმიჯური კულტურა“) შემფასებლურობისა და შინაარსობრივი სივიწროვის დაძლევასთან ერთად კომუნიკაციურ-კულტუროლოგიურ პროცესს გამოხატავს. ამ ცნების შემოტანითა და დამკვიდრებით იკვეთება მედიის როლი თანამედროვეობის კულტურული არეალის განსაზღვრასა და დახასიათებაში. მედიის ინფორმაციულ-კომუნიკაციური ბუნებისგან მოუწყვეტლად იხსნება მისი ღრმა კულტუროლოგიური შინაარსი. სწორედ ამ ცნების დამკვიდრებით ხდება შესაძლებელი ადამიანური საქმიანობისგან კულტურის ნაკლებად დისტანცირებული აღქმა.

ძირითადი ნაწილი

კულტურა კაცობრიობისა და ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია. ის ყოველთვის იყო საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის სტიმულიც და გამოცდილებაც. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი წარმოუდგენელია ამ არაბიოლოგიური, სოციალურ-კომუნიკაციური გარსის გარეშე, ტრადიციულად კულტურას მაინც ერთგვარი ავტონომიურობა ახასიათებდა. ის არ იყო სრულად შესისხლხორცებული კონკრეტულ ადამიანებთან. მხოლოდ ცალკეული შე-მადგენელი თუ ვლინდებოდა ინდივიდში განსხვავებული კულტურული შრეების სახით. სწორედ ამას ვგულისხმობთ, როცა ვამტკიცებთ, რომ კულტურა თითოეული ადამიანის დონეზე ვერ მსჭვალავდა საზოგადოებას და მხოლოდ შრეობრივად არსებობდა ინდივიდუალური თუ კოლექტიური ცნობიერების განსხვავებულ ფენებში, თანაც სხვადასხვა ინტენსივობითა და შეფერილობით. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კულტურა მაინც ადამიანისგან დისტანცირებულად, საკუთარი კანონებით ვითარდებოდა. ტრადიციული კულტურის ავტონომიურობა განსაკუთრებით ხელოვნებამ და ხელოვნებათმცოდნეობამ გააღრმავა. ადამიანისგან დაშორების ეს ტენდენცია თავისი უკიდურესი ფორმით მოდერნიზმში გამოვლინდა, რაც გამოიხატა კულტურის სრულ იზოლაციაში. მკაცრი ესთეტიზაცია, ჩარჩოების უკიდურესი დავიწროება მოდერნისტულ ხელოვნებას ძვირი დაუჯდა. უმბერტო ეკო წერდა, რომ პოსტმოდერნიზმი იყო პასუხი მოდერნიზმზე. პოსტმოდერნიზმმა ის გაქვავებულ, მკვდარ ფორმად აქცია. ამის შესაძლებლობა კი სწორედ ხელოვნების ავტონომიურობამ, განზე მდგომობამ მისცა. პოსტინდუსტრიულმა ეპოქამ სრულებით წაშალა დისტანცია ადამიანსა და კულტურას შორის. დრომ გამოსცადა ჰერბერტ მარშალ მაკლუენის დაკვირვება, რომელიც შემდგომში ახდენილ წინასწარმეტყველებად იქცა - ელექტრონულმა მედიამ სრულიად ,,გააფართოვა“ ადამიანი, ზღვარი მასსა და ტექნოლოგიას ან მედიაპროდუქტს შორის სრულიად წაშალა. ადამიანი თავად გახდა მედიაკულტურის ნაწილი. ინფორმაციულ საუკუნეში კი ის, ფაქტობრივად, მომხმარებელიცაა და შემქმნელიც. კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა მედიასა და ადამიანს შორის ახალი სივრცე შექმნა. ამ სივრცეში კომუნიკაციური შესაძლებლობები კომუნიკატორსა და რეციპიენტს შორის თანაბარია. ინფორმაციული პროდუქტი, მედია და რეციპიენტი - ეს არის კულტურული სივრცე ახალი მომხმარებლური ესთეტიკითა და კომერციული ღირებულებით. ამ კულტურულ სივრცეს ვუწოდებთ მედიაკულტურას, რადგან ეს ცნება სრულად გამოხატავს მედიისა და ადამიანის უსაზღვრო გადაჯაჭვულობას, გაფართოებას, ურთიერთგადაკვეთას. მედიაკულტურა - ეს არის მედიის მეშვეობით კულტურული, მსოფლმხედველობრივი ღირებულებებითა და ორიენტირებით ისეთი კულტურული არეალის შექმნა, რომელიც მთელ

საზოგადოებას, თითოეულ ადამიანს მსჭვალავს. მედიაკულტურა არათუ დისტანცირებული არ არის ადამიანისგან, არამედ მისით ადამიანის სრული გადაფარვა ხდება. მედიაკულტურა ადამიანთან ერთად ვითარდება .თუმცა , ისიც უნდა აღვნიშნოთ , რომ ეს განვითარება კულტურულ აღმასვლას ნაკლებად გულისხმობს. კომერციული მიჯაჭვულობა მასებთან, მასობრივი კულტურის კულტივირება დეგრადირებას უფრო ჰგავს. თანამედროვე კულტურული მეინსტრიმი მასასთან ერთად იცვლება და წინა საუკუნეებისგან განსხვავებით არასდროს დგას ფართო მასებისგან განცალკევებით. პარალელურად არსებობას განაგრძობს ელიტური კულტურა, მაგრამ მედიაკულტურა თავის არეალს აფართოებს და თანდათანობით შლის ზღვარს ელიტურ და პოპულარულ კულტურას შორის. ეს ტენდენცია ყველაზე მკვეთრად პოსტმოდერნიზმმა გვიჩვენა - მასასა და დახვეწილ ლიტერატურულ გემოვნებაზე ერთდროული გამიზნულობის მაგალითია უმბერტო ეკოს ,,ვარდის სახელი“.

მედიის მიერ პიროვნების სოციალიზაციის, საზოგადოებრივი აზრის , მორალურ-ეთიკური ღირებულებების, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბების ერთიანი პროცესის საფუძველზე შექმნილი მედიაკულტურა ერთდროულად მედიაპროდუქტსაც წარმოადგენს და საშუალებასაც. მარშალ მაკლუენის ცნობილი ფრაზა ,,მედიუმი თავად არის შეტყობინება“ (“The Medium is the Message”) გამოხატავს მედიუმის გაფართოებისა და მედიაპროდუქტის საკუთარ საზღვრებში მოქცევის ტენდენციას. თავად ადამიანიც კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეშვეობით თანდათან გამოდის ბუნებრივი არსებობის, საკუთარი შესაძლებლობების გარსიდან. მედიისა და ადამიანის გაფართოების ეს შედეგი ეთერმა შექმნა. ტელევიზია, კინო, ვიდეო, რადიო, კომპიუტერული გრაფიკა, ინტერნეტი - ეს არის ინტენსიური აუდიო-ვიზუალური ნაკადების უსაზღვრო გაფართოების საშუალებები.

მედიაკულტურის მეშვეობით რეალობა ახალ შინაარსს იძენს. მასობრივი კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების მზარდი ზემოქმედების გამოხატულება გახდა ის, რომ მედია რეალობას კი არ ასახავს, არამედ ქმნის. რეალობა მედიაკულტურულ სივრცეში მხოლოდ რეპრეზენტაციის პირობებში არსებობს. ინტერნეტის შექმნის შემდეგ ეს უფრო თვალნათელი გახდა . თანამედროვე ადამიანი არსებობს, ცხოვრობს და საკუთარ თავს გამოხატავს მედიაში . ხოლო მედიაკულტურა არის არა რეალური კულტურის სარკისებური გამოსახულება, არამედ მედიის მიერ გადამუშავებული ან შექმნილი სრულიად ახალი კულტურა. ორივე შემთხვევაში ეს არის რეპრეზენტაციული პროცესი. მედიაკულტურა მედიის რეპრეზენტირებული რეალობაა. მედიუმის თვისებები გადაიტანება იმ სამყაროზე, რომელსაც წარმოადგენს. ბეჭდური მედიის ეპოქაში პრესა იყო ერთადერთი საშუალება, რომელიც მასებს უქმნიდა სინამდვილის სტრუქტურას და შინაარსსაც - სწორედ გაზეთებიდან იგებდა ხალხი, რა ხდება

მსოფლიოსა და ქვეყანაში. ბეჭდური მედიის ზეობის ხანაში ახალი ამბები სინამდვილეს ფრაგმენტულად ასახავდა. ეს ტრადიცია რადიომ და ტელევიზიამ დიდხანს არ გააგრძელა. თანდათან, საკაბელო ტელევიზიებისა და ინტერნეტის განვითარების შედეგად მედიის ელექტრონულმა საშუალებებმა უკვე რეპრეზენტირებული რეალობა შესთავაზეს აუდიტორიას, რომელიც პასიური რეციპიენტის როლიდან გამოვიდა და თავად გახდა ამ მედიაკულტურის აქტორიცა და თანამონაწილეც.

მედიაკულტურის კომუნიკაციური ბუნების ტექნოლოგიური დახასიათების გარდა აუცილებელია მისი შინაარსის - სოციოკულტურული კონტენტის გახსნა. პოსტინდუსტრიული და ინფორმაციული საზოგადოებების მედიაპროდუციის შინაარსი პირდაპირ კავშირშია მედიის კომერციალიზაციასთან და სწორედ ეს კომერციული მიზანდასახულობა აისახება ახალი აუდიტორიის - მომხმარებლური საზოგადოების - ჩამოყალიბებაში. მედიაკულტურა - ეს არის უკვე არა მასობრივი კულტურა, არამედ მასობრივი კულტურისა და მომხმარებლური საზოგადოების განუყოფელი ერთიანობა.

ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელმა, ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა ჰერბერტ მარკუზემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მომხმარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. მან განვითარებული ინდუსტრიალიზმის ეპოქაში ერთსაზომიანი ადამიანისა და ერთსაზომიანი საზოგადოების დაბა-დება მედიის მანიპულირების უნართან დააკავშირა. ამ ახალ სისტემას ნეო-ტოტალური უწოდა, რომელიც მედიის მეშვეობით კოლექტიურ ჰიპნოზს უკე-თებს საზოგადოებას და თითოეულ ინდივიდში ყალბ მოთხოვნილებებსა და მოხმარების კულტს ნერგავს. გამოყოფს რა ჭეშმარიტ და ყალბ მოთხოვნილებებს, ჰ. მარკუზე ,, ერთსაზომიანი საზოგადოების“ ჩამოყალიბების მექანიზმს ხსნის. თავისუფალი არჩევანი მხოლოდ საქონლისა და მომსახურების არჩევაში რჩება.

ფუფუნების საგნები წინა საუკუნეებში ფეოდალური არისტოკრატიის განმასხვავებელი ნიშანი იყო, სრულიად მიუწვდომელი ადამიანების ფართო მასებისთვის, არა მხოლოდ შეძენის თვალსაზრისით, არამედ ინფორმაციული კუთხითაც. ეს განმასხვავებელი ქონება ხელოვნების ღირებულ კულტურულ პროდუქტს წარმოადგენდა. ბურჟუაზიის ეკონომიკურმა მომძლავრებამ, დამატებითი შესაძლებლობების გაჩენამ წარმოშვა არისტოკრატიის კულტურულ მოდელთან საკუთარი ყოფის მიმსგავსების სურვილი და მცდელობა. ასე გაჩნდა მასობრივი კულტურის პირველი საგნები: ფერწერული შედევრების რეპროდუქციები, კომფორტულად მოწყობილი ბურჟუაზიული სახლები, ძვირფასი ნივთების უბრალო ანალოგები და სხვა. მასებისთვის ხელმისაწვდომობა ამ კულტურას სულ უფრო და უფრო ყოვლისმომცველს ხდიდა , ხოლო მედიის მეშვეობით დაიწყო ამ იაფფასიანი კულტურის ტირაჟირება. მოხმარების საგ-ნებისა და მათთან ასოცირებული ცხოვრების წესის მუდმივი

რეკლამირება პოსტინდუსტრიული საზოგადოების ადამიანს დამოკიდებულად აქცევს მედიის ინფორმაციული ნაკადებიდან შემოსულ ამ ყალბ, ცრუ მოთხოვნილებებზე. ,,ადამიანები თავის თავს ცნობენ მოხმარების საგნებში, მთელი სულით შეზრდილები არიან ავტომობილთან, სტერეოსისტემასთან, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და სახლის მოწყობილობასთან... პროდუქტები ფლობენ შთამბეჭდავ და მანიპულაციურ ძალას, ისინი ავრცელებენ ყალბ ცნობიერებას, რომელსაც საკუთარი სიყალბის წინააღმდეგ იმუნიტეტი აქვს“(ჰ. მარკუზე).სოციოლოგი მიიჩნევს, რომ ცხოვრების ეს წესი განაპირობებს ხარისხობრივ ცვლილებებს. შედეგად კი წარმოიქმნება ერთსაზომიანი აზროვნებისა და ქცევის მოდელი. ამ მოდელის შემოქმედი მედიაა და მისთვის სრულებით მისაღებია კომერციული სარგებლის მომტანი ამ ახალი აზროვნების არსებობა.

მედიაკულტურის საზღვრებში მორალურ-ეთიკური ნორმები თანდათანობით სუსტდება და მედია უარს ამბობს სოციალური ფუნქციის შესრულებაზე. ამიტომაც არის, რომ მედიამკვლევრები სულ უფრო და უფრო ნაკლებად საუბრობენ მედიის სამოქალაქო, სოციალურ როლსა და მორალურ დისციპლინაზე და მის უმნიშვნელოვანეს ფუნქციად, ინფორმირებასთან ერთად, გართობას მიიჩნევენ.

დასკვნა

ამრიგად, მედიაკულტურის ცნება ფართოდ წარმოაჩენს ინფორმა-ციული საზოგადოების კომუნიკაციურ პროცესს. ცნება საინტერესოა არა მხოლოდ ტერმინოლოგიური სისავსის თვალსაზრისით, არამედ მნიშვნელოვანია შინაარსი, რომელიც ამ ახალი ფენომენის მიღმა იშლება.

მედიაკულტურამ წაშალა ის დისტანცია, რომელიც კულტურასა და ინდივიდს შორის არსებობდა მედიაკულტურა არის კულტურის პროდუქტი და იმავდროულად ატარებს მედიუმის ყველა ნიშანს. მისი მთავარი მახასიათებელია რეპრეზენტაციულობა - მას წარმოადგენს მედია, ატარებს საკუთარ ფილტრში ან საერთოდ თვითონ ქმნის.

იკვეთება აგრეთვე მედიაკულტურის გადაჯაჭვულობა მომხმარებ-ლურ საზოგადოებასთან. კომერციული სარგებლით განპირობებული მედიაშინაარსი კი შესაფერისი აზროვნებისა და ქცევის მოდელებს ამკვიდრებს, რაც ასუსტებს მორალურ-ეთიკურ ნორმებს და მედიის სოციალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე.

ლიტერატურა:

1. ГербертМаркузе:Одномерныйчеловек.Одномерноеобщество.Исследование идеологииразвитогоиндустриальногообщества, Гуманитарныетехнологии, аналитическийпортал. ISSN;
2. Кириллова Н.Б. Медиакультура: от модерна к постмодерну , М. : Академический проект,2005;
3. Г. Маршалл Мак-Люэн, Понимание медиа.Внешние расширения человека.

Social Role of Media Culture and Its Representative Nature

Liana Katamadze, Associated Professor
Georgian Technical University

summary

Media culture is a culture of information society with its communication and socio-cultural characteristics. The article reveals the contents of the term. It is characterized from the point of cultural studies and social point of view. It shows the nature of media culture and the relationship with consumer society.

Key words: Media culture, Information Society, Representation, Consumer Society.

რეკლამით დანახული საქართველო

მამუკა შელეგია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია ქართულ ბეჭდურ რეკლამაზე, პირველი ქართული გაზეთიდან („საქართველოს გაზეთი“) საქართველოს გასაბჭოებამდე (1819-1921 წ.წ.). ამ პერიოდის რეკლამა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვას, ან მომსახურების გაუმჯობესებას როდი ემსახურებოდა. ის ეკონომიკის გაძლიერებასთან ერთად, ადამიანთა ცხოვრების სტილს, მათ გემოვნებასა და მომხმარებლურ პრიორიტეტებს ცვლიდა, აცნობდა და აჩვევდა მათ ახალ საქონელს თუ კომფორტულ მომსახურებას. ეს სარეკლამო განცხადებანი ეპოქის თავისებური მატიანეა, რომელშიც დროის სუნთქვა იგრძნობა. მასში ჩანს ქვეყნის არა მხოლოდ სოციალ- ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ, არეკლილია იმდროინდელი საზოგადოების განწყობა, მისი ფსიქოლოგია და მენტალიტეტი.

საკვანძო სიტყვები: ბეჭდური რეკლამა, პირველი ქართული გაზეთი, ეკონომიკა, მარკეტინგული ტექნოლოგია.

შესავალი

რეკლამის ერთ-ერთი განმარტების მიხედვით - ესაა ინფორმაცია გავრცელებული ნებისმიერი მეთოდით, ფორმით და ხერხით, გამიზნული ფართო მასებისათვის, სარეკლამო ობიექტისადმი ყურადღების მისაპყრობად. თვითონ სიტყვა ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს: „წამოვიყვირებ“ ანუ ლინგვისტური თვალსაზრისით ჩანს ტერმინის არსი - მსმენელის თანხმობის გარე-შე, აცნობოს და გაავრცელოს ცნობა რაღაცის შესახებ. ცნობილია - რეკლამა უძველესი დროიდან მოჰყვება კაცობრიობას, ბეჭდურ რეკლამას კი საფუძველი მოგვიანებით, კარლ გუტენბერგის მიერ საბეჭდი დაზგის გამოგონებით (1440-1445) ჩაეყარა (ესაა საყოველთაოდ მიღებული შეხედულება, მართალია, ძველ სამყაროში გუტენბერგამდეც ბეჭდავდნენ, რასაკვირველია, არა ამ მასშტაბით, თუმცა, ეს სხვა თემაა). გუტენბერგის გამოგონებამ ტექსტის ტირაჟირება გაადვილა, გაჩნდა ჟურნალ-გაზეთები, გაადვილდა წიგნების გამოცემა. საერთოდ, ამ მოვლენიდან იწყება სარეკლამო საქმის თვისობრივად ახალი ეტაპი, მარკეტინგული ტექნოლოგიების განვითარება. ერთ-ერთ პირველ ნაბეჭდ რეკლამად ითვლება ლონდონის გაზეთში გამოქვეყნებული გაცხადება, რომელშიც თორმეტი მოპარული ცხენის ადგილსამყოფელის შეტყობინებისათვის ჯილდოს ჰპირდებოდნენ. სწორედ ბეჭდურმა მედიამ, მასობრივი კომუნიკაციის ამ საშუალებამ, გახადა შესაძლებელი - რეკლამა

ვაჭრობის (ეკონომიკის) მამოძრავებელი გამხდარიყო. რეკლამა სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების სარკეა. გაზეთებში განთავსებული რეკლამების რაოდენობა და ხარისხი მეტყველებს არა მხოლოდ საკუთრივ გამოცემის პოპულარობაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორი მასშტაბისაა ქვეყანაში ეკონომიკა.

ძირითადი ნაწილი

რაც შეეხება ჩვენში პერიოდულ გამოცემებსა და ბეჭდურ რეკლამას. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობის მიხედვით, პირველი ქართული გაზეთის, „საქართველოს გაზეთის“ წინამორბედი გამოდიოდა 1763-1787 წ.წ. შუა, სპორადიკულად, ერთეულ ფურცლებად, ერქვა ჯერ „ბრძანება და უწყება, “ შემდეგ „ლეპორტი“. (1, 1) მალე ჩვენში ყველაფერი შეიცვალა. XIX საუკუნე ეროვნული ტრაგედიით დაიწყო, აღარ იყო საქართველო, რუსეთთან მისი „შეერთების“ შემდგომ, იმპერიის ორი გუბერნიაღა დარჩა. ცარისტულ ხელისუფლებას თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიისათვის სამთავრობო კანონების, წესების, განკარგულებისა თუ განცხადებების ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე გამოქვეყნება სჭირდებოდა. ცნობილია, იმ დროს არა მარტო ქართველთა, არამედ საქართველოში მცხოვრებ სომეხთა უმთავრეს სალაპარაკო ენას, ქართული წარმოადგენდა (2, 46). ამიტომაც გადაწყდა, თბილისში, რომელიც კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი ხდებოდა, ქართულ ენაზე გაზეთი გამოცემულიყო. რა თქმა უნდა, მისი ინიციატორები რუსი სახელმწიფო (სამხედრო) მოხელეები იყვნენ. პირველი ქართული გაზეთი: „საქართველოს გაზეთი,“ 1819 წლის 8 მარტს გამოიცა (გამოდიოდა 1819-1821 წწ., 1820 წლიდან „საქართველოს გაზეთი“ ეწოდა). მანამდე, ჟამიდან ჟამ ჩვენში ზოგჯერ სარეკლამო მასალებიც იბეჭდებოდა, ამის კიდევ ერთი მაგალითია პირველი გაზეთის დამფუძნებელთა მიერ 1818 წლის მიწურულს დაბეჭდილი და გავრცელებული ინფორმაცია გაზეთის გამოცემის განზრახვის შესახებ, სადაც გადმოცემული იყო, პროგრამა და მიზანი, ფასი, ხელმოწერის პირობები. მას ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა: საზოგადოების ყურადღების მიბყრობა და ხელისმომწერთა მოზიდვა. რა თქმა უნდა, ეს რეკლამა იყო. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში ბეჭდურ რეკლამას საფუძველი ჩაეყარა და სისტემატური ხასიათი პირველ ქართულ გაზეთში მიეცა. სამწუხაროდ, ქართულ ინტერნეტსივრცეში, შეცდომით ასეთად მითითებულია გაზეთი „გუთნის დედა“ (გამოდიოდა 1861-1876 წწ.). ის საკმაოდ სანტერესო გამოცემა იყო და მას თავისი ადგილი აქვს ქართული ბეჭდური რეკლამის ისტორიაში, მაგრამ სხვა თუ არა, პირველი ქართული გაზეთი მას ქრონოლოგიურად უსწრებს. ამის შესახებ აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც (3, 374). მივყვეთ თანმიმდევრობით. „საქართველოს გაზეთში“ მასალა რამდენიმე განყოფილებაში იყო განთავსებული. ჩვენთვის საინტერესოა

„გამოცხადებანი“, აქ გამოქვეყნებული მასალები ფაქტობრივად ქართული ბეჭდური პრესის პირველი სარეკლამო ნიმუშებია. აქ იბეჭდებოდა სახელმწიფო დაწესებულებებისაგან მიწოდებული მასალები, მაგალითად, პირველი ნომრის ამ რუბრიკაში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალა: „ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მოწოდებულნი არიან ქვემორეხსენებული სყიდვის მოწადენი, რომელნიც საკუთარის ვალების მოუცემლობისთვის დადებულნი არიან საქვეყნო [საჯაროდ] გასასყიდად... სახლი თბილისში, დეისტვიტელნის სტატსკის თავადის ციციანოვისა... აზნაურის, გრიგოლ დეკანოზოვის ყმა მამუკა გონგაძე მისის შვილით და მისის ძმისწულით ნონიათი, იმ თეთრში, რომელიც ჰმართებს მას მღვდლის ერგემლიძისა.“ (4, 2) გაზეთთან ერთად , ზოგჯერ გამოდიოდა დამატებითი ფურცელი, რომელიც მთლიანად სარეკლამო მასალას შეიცავს. მაგალითად, გაზეთის 33-ე ნომრის ორივე გვერდი უჭირავს საეგზარხოსოს განცხადებას ქართლისა და კახეთის სხვადასხვა საეკლესიო მამულების იჯარით გაცემის შესახებ. ამგვარად, ქართულ ბეჭდურ მედიაში პირველად გაჩნდა სარეკლამო ჩანართი, XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, გაზეთი დამატებითი ფურცლით რომ გამოვიდა. „გამოცხადებანი“ ყველა ნომერში იყო. ხანდახან ქვეყნდებოდა ცნობა ახლადდასტამბული წიგნების შესახებ, ამგვარად, პირველ ქართულ გაზეთში ჩნდება ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც მოგვიანებით ჩვენი ჟურნალ-გაზეთების აუცილებელი ნაწილი გახდა. “საქართველოს გაზეთში“ ამგვარი მასალაც ქვეყნდებოდა: „კოლეჟსკი ასსესორმა და კავალერმა, თავადმა მიხაილ ფალავანდოვმა ჰსთარგმნა რუსულითგან ქართულსა ენასა ზედა წიგნი, რომელსაც ეწოდება ნაკაზი ხელმწიფა იმპერატრიცა ეკატერინესა მეორისა მოცემული კომისიისადმი შესადგენად ჰჯულისა...“ ეს, საზოგადოებისათვის მიწოდებული მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ფაქტი როდია, ხელისუფლებისათვის მას სხვა, უფრო სერიოზული დანიშნულება ჰქონდა. ამაზე მიანიშნებს მომდევნო წინადადება: „ეს თარგმანი ერმოლოვმა იმპერატორს წარუდგინა. ამ უკანასკნელმა კმაყოფილების ნიშნად ფალავანდოვს ძვირფასი ბრილიანტის ბეჭედი უბოძა“. ამგვარად, გაზეთში გამოქვეყნებულმა ამ ინფორმაციამ თავისებური, სოციალური რეკლამის ფუნქცია შეიძინა, რომლის მიზანიც რუსთხელმწიფის სამსახურში ქართველთა ჩადგომის სურვილის წახალისება იყო. თავისუფლებადაკარგულ, ეკონომიკურადაც დაბეჩავებულ ქვეყანაში ყმა-გლეხებისა და ქართული მამულების გაყიდვის გარდა გასაყიდი რომ არაფერი იყო, ეს იმდროინდელი „გამოცხადებანიდანაც“ კარგად ჩანს. რეკლამაც იმგვარი იყო, როგორიც ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ვითარება (სუსტი ბატონყმური მეურნეობა). კერძო შემკვეთებთან რედაქციის დამოკიდებულებაც არ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ განცხადებები თანდათანობით იხვეწებოდა, მრავლდებოდა და სამთავრობო რელაციების გვერდით სულ უფრო მეტ ადგილს

იკავებდა (უკვე პირველ გვერდზეც). ყოველივე ეს კარგად ჩანს მეორე ქართულ პერიოდულ გამოცემაში. საშინაო თუ საგარეო ვითარებამ (ირანთან ომი) რუსის ხელისუფლება დაარწმუნა ახალი ბეჭდვითი ორგანოს დაარსების საჭიროებაში და 1828 წლის ივლისში გამოვიდა ტბილისსკიე ვედომოსტი“, ამასთან ერთად, მისი ქართული ანალოგი: „ტფილისის უწყებანი“ (გამოდიოდა 1828-1833 წწ.). რედაქცია მკითხველს აუწყებდა: „ტფილისის უწყებანი გამოდის: რუსულს ენაზედ ხუთშაბათობით, ქართულს ენაზედ ორშაბათობით, ფარსულს ენაზედ ოთხშაბათობით.“ აქვეა მითითებული ფასი: „წლის ფასი ყოველსა გამოცემასა ზედა თითოზედ, კავკასიის აქეთ კერძო 6 მან. თეთრ ფულზე. კავკასიის იქეთ კერძო 30 მან ასიგ.“ ჩვენს ყურადღებას იქცევს ამ გაზეთის რუბრიკები: „განცხადება“, „ფულის კურსი ტფილისსა შინა“ და „ბიბლიოგრაფია“. აქ გამოქვეყნებულ მასალებში ირეკლება ეკონომიკური ცვლილებები, ჩანს, რომ ვაჭრობა ტფილისში თანდათან ვითარდება და სცილდება უბრალო, საქულბაქო-საბაზრო ხასიათს. 1818 წელს გაიხსნა „პოკროვსკის იარმუკა“, გაზეთმა ამ მოვლენას წერილი მიუძღვნა, საიდანაც ვგებულობთ, რომ გახსნაზე უამრავ ხალხს მოუყრია თავი, რომ „იყო აქა საქონელი რუსეთიდან, ლეიპციგიდან, სპარსეთიდან...“ ამგვარი მასალა წარმოდგენას გვაძლევს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესზე, ღრმავდება ბატონყმური მეურნეობის კრიზისი, ნელ-ნელა, მაგრამ მტიცედ მკვიდრდება ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობანი. საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, თანდათან ჩაება საერთო ეკონომიკურ პროცესში, გაუმჯობესდა მიმოსვლა, საფოსტო მომსახურება, დატრიალდა ფული. რა თქმა უნდა, იცვლება განცხადებების (რეკლამების) შინაარსი და ფორმა, დიფერენცირებულად ქვეყნდება სხვადასხვა სახის განცხადებები. მაგალითად, ეკონომიკური აქტივობის ნიშანია ის, რომ „ტფილისის უწყებანში“ ხშირად იბეჭდება „ფულის კურსი ტფილისსა შინა“. ჩნდება ახალი მოთხოვნილებანი და იცვლება განცხადებათა შინაარსიც. მაგალითად, ევროპული კულტურის პროპაგანდის გამოხატულებაა, როდესაც გაზეთი აქვეყნებს ამგვარ განცხადებას: „ცოლსა ფრანციული ენის უჩიტლისა ტფილისის ღიმნაზიასა შინა, ტიტულიარნის სოვეტნიცასა ეკატერინე ფელიესსა ... აქვს პატივი გამოუცხადოს საზოგადოებასა, რომ ამ მომავალს თთუეებში გაიხსნება მის მიერ სწავლების კლასები... კეთილშობილ ქალთათვის და ასწავლის ენებს, ეგერთვე საგნებსაცა რუსულათ, ფრანგულად და ნემეცურად და მუსიკასაცა... [საჭიროებისას] მიუმატებს ტანცაობის კლასსაცა“ (5, 2).

სარეკლამო მასალებიდან ჩანს სოციალ-ეკონომიკური ცვლილებანი, რომლებიც ჩვენში მიმდინარეობდა. მაგალითად, თბილისში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთი „კავკაზი“ 1846 წელს წერს ქალაქზე, სადაც ცხოვრება მიმდინარეობს ევროპულ მანერაზე, რომ ტფილისში შეიძლება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებული საქონლის შეძენა და მითითებულია

მისამართები. ამგვარი წერილები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ისინი ფაქტობრივად რეკლამას წარმოადგენენ. საქმე იმაშია, რომ მხოლოდ 1863 წლის დასაწყისში გაუქმდა ჟურნალ-გაზეთებში კომერციული განცხადებების აკრძალვა. ამიტომაც, გაზეთის რედაქცია იძულებული იყო მკითხველთათვის შეფარულად, მოიარებით, ეცნობებინა: სად, რა, როგორი და სადაური საქონელი იყიდებოდა, იქვე მისამართიც იყო მითითებული. მაგალითად, იგივე „კავკაზი“, (6, 3) მკითხველს აუწყებდა: „... თქვენ აქ (ბლოტის მაღაზიაში) ნახავთ მორთულობა-სამკაულებს და ქსოვილებს, რომლებიც მოტანილია პარიზიდან და მარსელიდან, სტრასბურგის ხაჭაპურებს, გავაის სიგარებს და სხვ.“ ვაჭართა და ხელოსანთა ფენებმა, უცხოელმა თუ ადგილობრივმა მეწარმეებმა გაზეთი მიიჩნიეს საჭირო და მოხერხებულ საშუალებად თავიანთი საქონლის რეკლამისათვის. რედაქციაც, თავის მხრივ, მასში მზარდ ფინანსურ საშუალებას ხედავდა . ბეჭდური მედიის , კერძოდ სარეკლამო საქმიანობაში, თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (1861 წ.). სასიკეთოდ იმოქმედა აგრეთვე, წინასწარი ცენზურის მოხსნამ და კომერციული განვხადებების აკრძალვის გაუქმებამ. რაც მთავარია, სულ უფრო მეტი ქართული პერიოდული გამოცემები იბეჭდებოდა, მაგალითად: სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“, გაზეთი „გუთნის დედა“, ილიას „საქარ-თველოს მოამბე“ და „ივერია“, რა თქმა უნდა, „დროება“, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური გამოცემა: „სასოფლო გაზეთი“ და სხვ. მათ უდიდესი როლი შეასრულეს ქართველთა თვითშეგნების, საზოგადოებრივი აზრის გან-ვითარებაში,. ეს გამოცემები თემატურად მრავალფეროვანი იყო. ისინი ღრმად აშუქებდნენ ისტორიის, ფილოსოფიის, კულტურის თუ ეკონომიკის საკითხებს. მათ ფურცლებზე სარეკლამო განცხადებებს არც თუ მცირე ადგილი ეჭირა.

სარეკლამო მასალების გამოქვეყნებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს პირველ აგრონომიულ გაზეთს „გუთნის დედას“ (ადგილ-მამულის მართვის ფურცელი, ჟ. „ცისკარზედ“ დამატება“, (გამოდიოდა 1861-1876 წწ.). გაზეთის მესვეურნი ცდილობდენ დახმარებოდნენ ქართველ მეურნეებს, არწმუნებდნენ სპეციალური განათლების შეძენისა და თანამედროვე ტექნიკის გამოყენების საჭიროებაზე. გაზეთის პირველ ნომერში (1861 წ.), პირველსავე გვერდზე რეკლამაა: „ ტლამანდიური ჯიშის ზროხა,რომელიცა იწველის დღეში ცხრა თუნგამდინ. ამის აღწერა იქნება თავის დროზე.“ მომდევნო ნომერში განცხადებაა: „მამულის პატრონობის გამგებლობისაგან“, რომ „ ლონდონში იხსნება ვისტავკა და მთავრობა იქ თავის წარმომადგენელს აგზავნის. გამგეობა მიმართავს „მამულის მკეთებლებს... თუ ვინმე მათგანი ისურვებს შეუკვეთოს სყიდვა სხვადასხვა ქვეყნებში რომელსამე მაშინისა ან იარაღისა, ანუ აღსნა რომელიმე მამულის კეთების შესახებ კითხვისა... შეუძლიანთ იმედი ჰქონდეთ, ამგვარ შეკვეთებს წარმომადგენელი აასრულებს სინდისიანად.“ რედაქცია მეურნეებს

ურჩევდა: „სყიდვა მაშინებისა და იარაღებისა ამ საშულებითა უნდა დაჯდეს ბევრად იაფად.“ (7, 8) ამგვარად, ნელ ნელა ვითარდებოდა ჩვენში ეკონომიკური მეურნეობა და სარეკლამო განცხადებებიც სულ უფრო მეტი იბეჭდებოდა, ის გაუტოლდა გაზეთის ძირითად საინფორმაციო მასალას. ქვეყნდებოდა მმართველობის განკარგულებანი, სავაჭრო და სახაზინო განცხადებები, იჯარის, „ტორგის შესახებ“, ბიბლიოგრაფიული თუ სხვა მასალები, რომლებიც ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, მოსახლეობის (მომხმარებლის) ინფორმირებას. გახშირდა „კერძოობითი განცხადებებიც“, რომელშიც მეწარმე თავისი საქონლის რეკლამას ეწევა და მის სარგებლიანობას ასაბუთებს და „მიწის მომუშავეებს, მებაღეებსა და მებოსტნეებს“ თავის საქონელს სთავაზობს : „მე გავმართე ფაბრიკა ძვლის პარაშოკის შესამზადებლად ტფილისში. ეს პარაშოკი მიწის სასუქათ ძალიან ხმარებაშია ევროპაში... 1 ფუთი პარაშოკის ფასი არის 1 მანეთი და 50 კ. “ მშენებლობით დაინტერესებული პირებისათვის, გაზ. სასოფლო გაზეთის“ (1869, # 10) „სავაჭრო ცნობების“ რუბრიკაში, სხვადასხვა ინფორმაცია ქვეყნდება: „ქ. ქუთაისის გუბერნიის სასამართლოში ამა წლის ივნისს იქმნება ვაჭრობა სომონეთის, ზესტაფონის, ბელოგორის (დღევანდელი ხარაგაულის - მ.შ.) და მოლითის სტანციების შეკეთების თაობაზე...“), შემდეგ ჩამოთვლილია ფასები და ვალდებულებანი. დრომ და ვითარებამ მოიტანა მომხმარებლისათვის ნაირგვარი და გარანტირებული მომსახურების საჭიროება და ხელოსნები მათ ჰპირდებიან: „ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე, სახლების შეკეთებას („რემონტი“) და შეღებვას („პოლნაია ოკრასკა დომოვ“)... ვპირდები ყველას, რომ ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნაყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული. ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთი წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.“ (8, 4).

ეკონომიკურ აქტივობასთან ერთად, იზრდებოდა საზოგადოების მოთხოვნა წიგნზე, საერთოდ, პოლიგრაფიულ ნაწარმზე, იმატა გაზეთებში ბიბლიოგრაფიულმა განცხადებებმა, რომლებიც მკითხველს აცნობდნენ ბეჭდური პროდუქციის გამოცემისა და მათი ფასის, წიგნების ახალი მაღაზიების შესახებ. კერძოდ, ილიას „ივერია“ (9, 1) იუწყებოდა: „გამოვიდა და ისყიდება დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“. ფასი 1 მან.“ „ ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა წიგნის მაღაზია ალ. მაჭავარიანისა და ამხანაგობის... იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს... ისყიდება აგერთვე კანცელარიის ხელსაწყოები. აქვეა ვრცელი ინფორმაცია ახალი წიგნებისა და მისი გამყიდველების შესახებ. სარეკლამო მასალა იბეჭდებოდა „გამოსადეგი ცნობების“ რუბრიკაშიც. როგორც ყველა გაზეთის, ისე „ივერიის“ ძირითად შემოსავალს მუდმივი მკითხველი (ხელმომწერი) და რეკლამა წარმოადგენდა და რედაქციაც ხელმოწერის პირობებისა და მისამართის გარდა, მკითხველს შეახსენებდა: „რედაქციაში

მიიღება ყოველგვარი განცხადება სხვადასხვა ენებზედ“ და რეკლამის ღირებულებას: „მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კ., პირველზე 16 კ., სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო I გვერდი - 60 მანათი“. გაზეთებში გახშირდა ცნობები საბირჟო საქმეებით დაინტერესებულთათვის. ეკონომიკური ცხოვრების განსაკუთრებული გაცხოველება გამოიწვია რკინიგზის გაყვანამ: გაადვილდა მგზავრობა, ტვირთის გადატანა. გაზ. “დროება“ (10, 4) რეკლამას აქვეყნებს: „ფოთი - თბილისის რკინიგზა. ფოთიდან ყვირილამდე, 118 ვერსი (გახსნილია ამა წლის 21 აგვისტოდამ). რკინის გზის გამგებლებს პატივი აქვთ აცნობონ საზოგადებას, რომ ფოთიდან ყვირილის სტანციამდი სრულად გამართულია გზა და მიიღებენ როგორც პასაჟირებს, აგრეთვე ყოველგვარ საქონელსა და ნივთებს. პოეზდი ორ გვარია: ერთი ნელა დაიარება და მეორე მსწრაფლად“. თბილისი- ფოთის რკინიგზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ (1872 წ.) „ გამოსადეგ ცნობებში“, როგორც წესი იბეჭდება „რკინის გზის გრაფიკი“, აგრეთვე, „მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ ზღვაზე (ბათუმიდან და ფოთიდან).“ ქვეყნდება „ნიხრი“ პროდუქტებზე (ფასები პურზე, ხორცზე...). ამგვარად, გაზეთების სარეკლამო მომსახურება და მისი ფორმები იცვლება ეკონომიკური განვითარების, საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად და დროის კარნახს მიჰყვება.

შეცვლილმა სოციალ-ეკონომიკურმა ვითარებამ ახალი სპეციალობების საჭიროება გააჩინა და გაზეთებში ჩნდება მანამდე უცნობი შინაარსის განცხადებები: საკომერციო კურსები. ქალებისა და ვაჟებისათვის კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ... სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ...“ XIX საუკუნის მიწურულისათვის ქართულ გაზეთებში რეკლამები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. გაჩნდა სადაზღვევო ორგანიზაციათა განცხადებები, მაგალითად, გაზეთი „ივერია“ (11, 1) აქვეყნებს სარეკლამო განცხადებასას: „დამზღვევი საზოგადოება „**იაკორი**“ (ღუზა), რომელსაც ძირითადი თანხა 2 500 000 მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა. **დაზღვევა სიცოცხლისა** განსაკუთრებით სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეგეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში. **დაზღვევა ცეცხლისგან** მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისგან, აგრეთვე, ზღვით - მდინარით და ხმელეთით წასაღებ-წამოსაღები საქონლისა.“ ეკონომიკურ განვითარების კვალდაკვალ რეკლამა ადამიანთა ცხოვრების წესს ცვლიდა, მომხმარებლურ პრიორიტეტებს განსაზღვრავდა, მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და გემოვნების უნიფიცირებას ახდენდა. აცნობდა და აჩვევდა ახალ სამედიცინო, ჰიგიენურ მრავალფეროვან საშუალებებსა თუ პარფიუმერულ ნაწარმს. მაგალითად **„ფარმაცევტთა ამხანაგობა“** მოსახლეობას სათვაზობდა: სააფთიაქო და ქიმიურ

საქონელს, მზა წამლებს (პატენტმიღებულს), სადეზინფექციო წამლებს, მრავალგვარ და მრავალფეროვან საპირფარეშო ;საქონელს, პარფიუმერია-კოსმეტიკას (დუხი, ოდეკალონი, ხელის საპნები) ოჯახების სახმარებელ ნივთებს: სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.“ (12, 4) გაზეთების სარეკლამო სივრცეში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სამედიცინო მომსახურების განცხადებებმა, თითქმის ყველა გაზეთში და ხშირად პირველ გვერდებზე, იბეჭდება რეკლამები, რომლებშიც მოსახლეობას სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობენ. მაგ. „ტფილისის კერძო სამკურნალო, ქსენიას ქუჩა... სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით... სამკურნალოს აქვს მოწყობილი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია, სისხლის გასინჯვა. რჩევისთვის 50 კაპიკი, საწოლისთვის 2 მანეთი, ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მანეთი.“ იმდროინდელ სარეკლამო მასალების ტიპურ ობიექტებთან (საქონელი, პრდუქციის შემქმნელი, გამყიდველი) ერთად საინტერესოა კულტურულ ღონისძიებათა რეკლამები, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სათეატრო წარმოდგენათა რეკლამა. ქართული თეატრი იმდროინდელ საქართველოში ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ქართული სიტყვა ისმოდა. ილიას აზრით, ეს ის ადგილია: „სადაც შესაძლებელი იქნება მშობლიური, შეჭირვებული ენის გადარჩენა.“ ადგილი : „საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ ჩვენს ცხოვრებასა და მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა.“ 1879 წლიდან განახლებული ქართული მუდმივი დასი, სწორედ სარეკლამო განცხადებებით ეპატიჟებოდა თავის წარმოდგენებზე მშობლიურ ენას დანატრებულ საზოგადოებას.

საუკუნის დამლევისათვის ქართული გუბერნიების მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ხდება ტექნიკის ახალი მიღწევანი: „იაფად, სამუდამოდ და პირობებით ვმართავ სახლში ელექტრონის ზარებს.“ „ სათავადაზნაურო თეატრი. ბავშვებისათვის. სინემატოგრაფი ლიუმერისა. დღეს, კვირას, 1897 წლის 4 მაისს. დასაწყისი 3 საათზე (მოძრავი, ცოცხალი ფოტოგრაფია).“ იმდროინდელ გაზეთებში ჩნდება ჩვენში ახალი სახის პროდუქციის რეკლამა: „უცხიმო კაკაო, ჯანმრთელი, მარგებელი სასმელი, სწრაფი მომზადება (ასი ფინჯანი ფუნტისაგან).“

გაზეთებში ჩნდება მომსახურების ნაირგვარი შეთავაზებანი, მაგ. გაზ. „ცნობის ფურცელი“ ამგვარ რეკლამას აქვეყნებს: „**რესტორანი „კაფე-პარიზი“** ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლში) ჩაი, რძე, ყავა,შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები“ და სხვა და სხვა ბუტერბროდები, ხაჭაპური. **საუზმე პორციობით - 25 კაპიკი - 50 კაპეიკამდე. სადილები 2 ფერი - 50 კაპიკი, 3 ფერი - 70 კაპიკი, 4 ფერი -1 მანეთი...** ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი, შეიძლება საჭმელების მოთხოვნა, თვიურათ შეღავათიანი პირობებია, ფასი

ზომიერია, სრული სისუფთავე. პატივისცემით თოფურია.“ ამასთანავე, გაჩნდა საჭიროება - თავისი საქონლის პრესტიჟის შესანარჩუნებლად მეწარმეს დაეცვა ის გაყალბებისაგან და გაეფრთხილებინა მომხმარებელი: „ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო პაპიროზის ქაღალდები, ყაზბეგის და მამია გურიელის ზედ გამოხატვით. მათი ყალბი მიმსგსვსება უკვე გამოვიდა. სიყალბეს ერიდეთ! სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“. ქუთაისი.“ რა თქმა უნდა, ცნობილ ქართველი მრეწველებისა და ქველმოქმედების დავით სარაჯიშვილისა და მიტროფანე ლაღიძის მთელს იმპერიაში ცნობილი პროდუქციის რეკლამებს იმდროინდელ გაზეთებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ. იცვლებოდა ქალაქი და მომსახურების უკეთესი ფორმები გაჩნდა, ძველი ქარვასლები სასტუმროებმა ჩაანაცვლეს, რეკლამებიდან ჩანს, რომ ისინი კლიენტებს მისაღებ ფასად კომფორტულ პირობებს სთავაზობენ: „**მუხრანი**“ - ქალაქის შუა გულში, გოლოვინის პროსპ. მანთაშოვის სახლში, ახლად გაკეთებული და კარგად მოწყობილი მეოჯახეებისათვის ნომრები 80 კაპ. 5 მანეთამდე დღე და ღამეში. თვეობით 15 მ. – 80 მანეთამდე. ბევრი ფანჯრები ქუჩისკენ არის. სამხედრო პირებს უთმობენ შეღავათით. არის ცხელი და ცივი ვანები, ელექტრონის სინათლე.“

გამრავლდა ამგვარი განცხადებებიც: „ვკისრულობ ყოველგვარ სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველგვარ არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების დაგირავებას...“ XIX საუკუნის მიწურულისთვის განსაკუთრებით იმატა სწავლა-განათლების მსურველთა რაოდენობამ, ამაზე მეტყველებს გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული სხვადასხვა სასწავლებლების განცხადებები: „ვასწავლი გაკვეთილებს ყველა საგნიდან, ქართულის ენიდანაც. ვამზადებ ყმაწვილებს სასწავლებლებისათვის დროების რედაქციაში.“ „ ქ. ქუთაისში (პუშკინის ქუჩაზე, ჭყონიას სახლში) პირველი სექტემბრიდან დაარსდება ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით.... გადასახადი მოსწავლეზე წელიწადში ორმოცი მანეთია.“ (ივერია 1899, # 170). საინტერესოა ის, რომ დიდი ქალაქების: თბილისისა და ქუთაისის მსგავსად, დაბა-სოფლებში გახსნილი სასწავლებლების (მათ შორის პროფესიულის) რეკლამებმაც იმატა: „დაბა ჩხარში გაიხსნა უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. თხოვნების მიღება უკვე დაწყებულია პირველი და მეორეკლასელებისთვის .“ სხვაგან იუწყებიან: „პარასკევა გრიგოლის ასული აბაშიძე ასათიანისა, 1 სექტემბრიდან სოფელ ხარაგოულში (ბელოგორი) ხსნის ჭრისა და კერვის სკოლას. ასწავლის ყოველ გვარ ქალთა ხელსაქმეს. მოლაპარაკება შეიძლება ხარაგოულში, სადგურის გვერდით, ნინუცა კიკნაძესთან.“

ქვეყნის ეკონომიკურმა მოძლიერებამ, წარმოშვა ახალი, შეიძლება არც ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ განსხვავებული სეგმენტი - შეძლებული

მომხმარებლებისა, რომლებისთვისაც იყო გამიზნული ამგვარი რეკლამები. მაგალითად, ქუთაისელი ვაჭარი დროის მოთხოვნას ფეხს უწყობს და 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ (14, 4) რეკლამას აქვეყნებს: „სამზღვარ-გარეთის ყოველგვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ შეგვაძლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა საკუთრივ **სამზღვარ-გარეთელ მოდის საქონლისა.** გაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემუს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ ... ჩვენის საშუალებით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ **ყოველგვარ** მაშინების ავეჯეულობის, ფორტეპიანოთა და სხვ, ნივთების დაბარება. ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო,ბულვარისპირდაპირ,საკუთარსახლში.ივანენიკოლაძედაშვილები“. ამ კუთხით საინტერესოა კიდევ ერთი სარეკლამო მასალა: „სადღესასწაულო მშვენიერი საჩუქრები: **აღმოსავლეთის მაღაზია“** იოსებ მერკვილაძისა (ლორის მელიქოვის ქუჩაზედ, ზუბალოვის სახლებში, სემინარიის პირდაპირ). იყიდება **კავკასიის და იაპონიის** საუცხოვოდ დამზადებული ნაწარმოები... ოქროთი მოვარაყებული ყუთები, ძვლისა, ბრინჯაოსი და ვერცხლის ნივთები. მრავალი ნაბდები ქალისა და კაცისა... ქამარ-ხანჯლები, ხმლები, როგორც დიდებისა ისე ისე ყმაწვილებისა... აბრეშუმეულობა ჩინეთისა და იაპონიისა; დამზადებული ხალათები, ჯუბები, იუპკები, თავსაფრები, ფანზა თეთრეულისთვის, ჩესუნჩა და სხვა მრავალი. მაღაზიას აქვს სამაგალითო სამკერვალო სახელოსნო, სადაც მზადდება საუცხოვო ქართული და საზოგადოდ კავკასიური ტანისამოსი, აქვე იყიდება მრავალი იმერული, მეგრული, დიგორული და ლეკური შალები, თივთიკები და სხვა.“ (15, 3) ამ ვრცელ სარეკლამო გზავნილში კარგად ჩანს მყიდველისათვის შეთავაზებული საქონლის ფართო არჩევანი და ასორტიმენტის მრავალფეროვნება. აქვე უნდა ითქვას, სარეკლამო მასალების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, მისი ტექსტი იხვეწებოდა როგორც ენობრივად, ისე, პროფესიული თვალსაზრისითაც. თუ ადრეულ ეტაპზე ის განცხადების ფორმას არ სცილდებოდა, თანდათან დაიხვეწა, მეტი დამაჯერებლობა შეიძინა, საქონლის შესახებ უფრო სრულ და დამარწმუნებელ ინფორმაციას იძლევა: **„კელერის დუხები.** ისყიდება ყველგან და ყველა დიდ ვაჭრებთან... მიუხედავად იმისა, რომ ის მეტად ნაზია, ასევე კარგად არის შეზავებული, რის გამოც ნელ-ნელა ავრცელებს თავის სასიამოვნო სურნელებას და რამდენიმე დღე და ღამე აღარ სცილდება საგანს სურნელოვნება.“ (16, 4) გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის (XIX ს. მიწურული - XX ს. დასაწყისი) ქართულ სარეკლამო სივრცეში უკვე ჩანს და აქტიურად გამოიყენება პოტენციური მყიდველის დაინტერესებისა და მოზიდვის დღეს ფართო გავრცელებული ხერხები და საშუალებები: ნახატებით თუ ილუსტრაციებით მკითხველის ყურადღების მიპყრობა,სხვადასხვა შეღავათების შეთავაზება,სარეკლამო გზავნილში საკვანძო სიტყვის (სიტყვების) გამსხვავებული შრიფტით გამოიყოფა, რომლებზეც მოდის

ძირითადი სარეკლამო დატვირთვა, მყიდველისათვის მიმზიდველი სათაურები (**„მუქთად საკოსტუმე, უფრო იაფად არ შეიძლება.“** ან **„დედამიწაზე საუკეთესო გალოშები. სრული პასუხისმგებლობა სიკარგისა“).** .. რა თქმა უნდა, რეკლამებს ახლავს აუცილებელი რეკვიზიტი (ადგილი. მისამართი). ჩვენი პრესის ბეჭდურ რეკლამებს თვალს თუ გავადევნებთ, არაერთ საინტერესო მასალას გადავაწყდებით. თუნდაც ცნობილი ბრენდების რეკლამების ისტორია ჩვენში. მაგალითად, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი (1866 წლიდან) შვეიცარიული ტრანსნაციონალური კვების პროდუქტების მწარმოებელი „ნესტლე“. რომლის რეკლამაც დაიბეჭდა ილიას „ივერიაში“ (17, 4): „**რძის ფქვილი ნესტლესი** - ჰღირს 1 მ. 15 კ. ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად უკეთესია აქამდე მოგონონილ საშუალებათაგან, რომელიც კი დედის რძის მაგივრობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი ადვილად ეწყობა. მოწონებულია აგრეთვე რძის ფქვილი საზრდოდ უფროსთათვის, თუ კუჭი სუსტი აქვთ...“ „ნესტლეს“ დამაარსებელი, ცნობილი მრეწველი მომხმარებელს აფრთხილებს: „მაქვს პატივი საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე პასუხის გებას ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ჭურჭლისთვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს, რომელზედაც ხელია მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად ერთის აგენტისა მთელს რუსეთში. ჰენრიხ ნესტლე, ვევეში (შვეიცარია). “ გაზეთ „ერთობაში“, 1920 წელს (18, 4) დაიბეჭდა მეორე, არანაკლებ ცნობილი ბრენდის „ჟილეტის“, „ყველაზე დიდებული წვრილმანის“, როგორც მას უწოდებენ, „რეკლამა: **„სამართებლები „ჟილეტტ“** - ნამდვილი ამერიკული, სასწრაფოდ იყიდება შაღავათიან ფასებში ბითუმათ და ცალობით ა. გავასტის ინგლისურ მაღაზიაში (რუსთაველის პრ. # 30, სახაზინო თეატრის პირდაპირ).“ ამგვარად, სულ უფრო მეტი ადგილობრივი თუ იმპორტული საქონლისა თუ მომსახურების რეკლამა იბეჭდებოდა ქართულ პრესაში, მაგრამ მალე, 1921 წლიდან, ყველაფერი შეიცვლება.

იმდროინდელი რეკლამები საინტერესოა კიდევ ერთი თვალსაზრისითაც, მასში ძველი, უკვე გამქრალი ტოპონიმებია დაფიქსირებული, მაგალითად „დროებაში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი რეკლამა იუწყება: „ტფილისის ნაწილში, **ძაღლის უბანში,** იყიდება სახლი და 240 საჟენი მიწა. ფასის შეტყობა შეიძლება შტაფის ფოტოგრაფიაში და დროების რედაქციაში.“ ან კიდევ : „პატივცემულ ტფილისის პუბლიკას ვაცნობებთ, რომ ორთქლის სამუშაო ქარხანაში, რომელიც არის **ნემეცურს კოლონიაში** და ეკუთვნის რაისს და კომპანიას, ხერხენ რვა ვერშოკიანი სიგანის ხეებს...“

ქართულ პრესაში, რომლის განუყოფელი ნაწილი გახდა რეკლამა, დასტამბული მასალა მრავალმხრივ საინტერესოა. ის თავისი ეპოქის მატიანეა, რომელშიც დროის სუნთქვა იგრძნობა. ისინი საინტერესოა იმითაც, რომ მათში არა მარტო ეკონომიკური ცხოვრების ანარეკლია, არამედ იქ ჩანს იმდროინდელი

სოციალ-პოლიტიკური ვითარება, საერთოდ, ხალხის სულიერი განწყობა, მისი ფსიქოლოგია და მენტალიტეტი. 1914 წლის სექტემბერში, როდესაც უკვე დაწყებულია პირველი მსოფლიო ომი (ის ქართველებსაც შეეხო), რუსეთის იმპერიაც არეულია, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში „წითელი რაზმები“ დათარეშობენ და ამ დროს გაზეთი „იმერეთი“ (19, 3) აქვეყნებს განცხადებას: „კბილის ექიმი ვარლამ ჭიჭინაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 9 სექტემბერს, ქუთაისის სადგურზე დარჩენია „საკვოიაჟი“, მნახველს სთხოვს ის გააგზავნოს გელათისსადგურისუფროსისსახელზე,რისთვისაცჯილდოთმიიღებს5მანეთს.“ მოგვიანებით, 1918 წელს (28 მაისს), უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, არანაკლებ არეულ დროს, იბეჭდება ამგვარი განცხადება: „ორპირის ქუჩაზე, ქალთა გიმნაზიიდან თეთრ ხიდამდე, დავკარგე ოთხას ექვსი (406) მანეთი, კონვერტში ჩადებული. მპოვნელს ვთხოვ მიიტანოს ქალთა გიმნაზიაში, მიიღებს შესფერის ჯილდოს.მასწავლებელი ქსენია ახვლედიანის ქალი.“ (20, 3). დღეს, ზოგიერთმა შეიძლება სხვაგვრად იფიქროს, თუმცა, მასწავლებელს ქალს ეჭვიც არ ეპარებოდა და გულწრფელად იყო დარწმუნებული თანამოქალაქეთა პატიოსნებაში. ვნახოთ კიდევ ერთი ამგვარი განცხადება, ამჯერად გაზეთი „ხალხის მეგობარი“ 1918 წლის 20 აგვისტოს იუწყებოდა: „დაბა ძირულის აფთიაქარი მეთოდე ქათამაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ: მას მატარებელში დარჩენია კალათი, რომელშიც ყოფილა წამლები, საზაფხულო პალტო, # 5 ბულდოკის სისტემის რევოლვერი თავისი ნებართვით, მპვნელს სთხოვს კალათი დაუბრუნოს პატრონს, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს.“ მართლაც რომ გასაოცარია მათი რწმენა ადამიანებისადმი. დღეს, ზოგი ჩვენგანი ხომ იფიქრებს, მპოვნელს ჯილდო უკვე მიღებული აქვს, განა რამდენით უნდა დააჯილდოვოს ეს უკანასკნელი მაგალითად, მასწავლებელმა ქალმა 5, 10 თუ 100 მანეთით? ან წამლებს, საზაფხულო პალტოს, მით უმეტეს, რევოლვერს, თავისი ნებართვით, ბევრი დაუბრუნებს პატრონს? მართლაც რომ გასაკვირია მათი პატიოსნება, გნებავთ მიმიამიტობა. ისინი განათლებული ადამიანები არიან (ექიმი, მასწავლებელი, აფთიაქარი) ამიტომაც არა გვგონია ისინი ხავსს ეჭიდებოდნენ, მათი ეს გადაწყვეტილება (დახმარებისთვის მპოვნელს მიმართონ) გარკვეულ რწმენას ემყარება, ისინი დარწმუნებულნი არიან - პატიოსანი კაცისთვის ცუდი დრო და ვითარება არ არსებობს - სწორედ გაჭირვების (განსაცდელის) ჟამს წარმოჩნდება ადამიანის შინგანი მე, ის, რაც დაფარულია. მათ სჯერათ თანამოქალაქეების პატიოსნების და ამას საფუძვლად მოყვასისადმი დიდი სიყვარული და ღრმა რწმენა უდევს.

დასკვნა

ამგვარად, პირველი ქართული გაზეთის „საქართველოს გაზეთით“ დაიწყო ქართული ბეჭდური რეკლამის ისტორია. ეკონომიკის განვითარების

კვალდაკვალ რეკლამაც ძლიერდებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა. რეკლამა ადამიანთა ცხოვრების წესს ცვლიდა, მომხმარებლურ პრიორიტეტებს განსაზღვრავდა, აყალიბებდა მათ გემოვნებას, აცნობდა და აჩვევდა ახალ პროდუქტსა თუ მომსახურებას. იმ პერიოდის სარეკლამო მასალებში არეკლილია არა მარტო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებანი, არამედ, ასახულია იმ დროის საზოგადოების განწყობა, მისი ფსიქოლოგია და მენტალიტეტი. ასე გრძელდებოდა 1921 წლამდე, საქართველოს გასაბჭოებამდე, რომლის შემდეგაც, რეკლამა ჩვენში, კარგა ხნით, ფაქტობრივად ჩაკვდა.

ლიტერატურა:

1. გ. ბაქრაძე, ქართულიპერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945), თბ. 1947, გვ.1;

2. პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბ. 1941, გვ. 42;

3. თ. მღებრიშვილი, ქართული საგაზეთო რეკლამის ისტორიიდან, თსუ სლავისტიკის ს/ს ცენტრის შრომები # 1, 2003, გვ. 54;

4.“საქართველოს გაზეთი“, 1819, # 1;

5. გაზ. „ტფილისის უწყებანი“, 1829, # 1;

6. გაზ. „კავკაზი“, 1846, # 46;

7. გაზ. „გუთნის დედა“, 1862, # 1;

8. გაზ. „ივერია“, 1891, # 137;

9. გაზ. „ივერია“, 1891, # 137;

10. გაზ. „დროება“, 1871, # 47;

11. გაზ. „ივერია“, 1894, # 163;

12. გაზ. „ივერია“, 1903, # 100;

13. გაზ. „ივერია“, 1899, # 170;

14. გაზ. „დროება“, 1880, # 150;

15. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1896, # 2;

16. გაზ. „ივერია“, 1896, # 72;

17. გაზ. „ივერია“, 1888, # 262;

18. გაზ. „იმერეთი“, 1914, # 60;

19. გაზ. „იმერეთი“, # 150;

20. გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, # 171.

Georgia seen through advertising

Mamuka Shelegia, Associated Professor
Georgian Technical University

Summary

The article reflects on Georgian print advertising, from the first Georgian newspaper ("Georgian Newspaper") to the Sovietization of Georgia (1819-1921). Advertising of this period was not solely aimed at sale or improvement of services. Along with boosting the economy, it changed people's lifestyles, tastes and consumer preferences, introduced and brought new goods or comfortable services to them. These ads are a certain chronicle of an era that bring the feel of the time with them. It shows not only the socio-economic situation of the country, but also reflects the mood, psychology and mentality of the society at that time.

Keywords: print advertising, the first Georgian newspaper, economy, marketing technology.

„კვირის რეპორტაჟის“ 2011-2012 წ.წ. ჟურნალისტური გამოძიებების თავისებურებანი

ანა არჩვაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დამოუკიდებელი სტუდია „GNS“ 2008 წლის ოქტომბერში დაარსდა, როგორც არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული პირი - არასამთავრებო ორგანიზაცია, რომლის დამფუძნებლები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი ჟურნალისტები თამარ რუხაძე და ნანა ლეჟავა იყვნენ. სტუდია „GNS“-ის მიზანია სატელევიზიო პროექტების შექმნა, ასევე მედიამონიტორინგი, ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი და ა.შ.სტუდიის პროდუქტი საზოგადოების იმ ნაწილს აინტერესებს, რომელსაც სურვილი აქვს, ჰქონდეს უფრო მეტად ობიექტური ინფორმაცია, ვიდრე სხვა არხებიდან მიეწოდებათ, გადაცემის სლოგანიც ასეთია: „ის, რასაც სხვაგან ვერ ნახავ“. სტატიაში გაანალიზებულია 2011-2012 წლის გადაცემები.„კვირის რეპორტაჟის“ გამომძიებელ ჟურნალისტთა ყურადღებას შემდეგი თემები იქცევს: კორუფცია, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, კრიმინალური გამოძიება, გარემოს დაცვა და ა.შ. საგამოძიებო სიუჟეტებიდან ჩანს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სტუდიასთან ურთიერთობას თავს არიდებდნენ, განსაკუთრებით კი ძალოვანი სტრუქტურები. სტანდარტის მიხედვით, ორივე მხარის კომენტარი უნდა იყოს და ისე გავიდეს სიუჟეტი ეთერში, მაგრამ ზემოთ აღნიშნული ფაქტის გამო არსებობს გადაცემები, სადაც ეს სტანდარტი დაცული არ არის.

საკვანძო სიტყვები: ჟურნალისტური გამოძიება, ჟურნალისტური სტანდარტი, სარწმუნოობა და ობიექტურობა, დაბალანსება.

შესავალი

სტუდია „GNS“-ის დამფუძნებელი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი ჟურნალისტები თამარ რუხაძე და ნანა ლეჟავა იყვნენ. სტუდიის მიერ მომზადებული გადაცემა „კვირის რეპორტაჟი“ კვირაობით, საღამოს ცხრა საათზე, ტელეკომპანია „კავკასიის“ და მოგვიანებით „მაესტროს“ ეთერში გადიოდა.

„კავკასია“, რომელიც თბილისსა და მის შემოგარენში მაუწყებლობს, არ სარგებლობს კვლევის ისეთი მეთოდით, როგორიცაა ფიფლმეტრი. „კვირის რეპორტაჟის“ რეიტინგის განსაზღვრა მხოლოდ სტუდია GNS-ის ბლოგზე ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვითაა შესაძლებელი. პირველი ათი გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ 11 ათასი ვიზიტორი დაფიქსირდა.

გადაცემაზე მომუშავე გამომძიებელი ჟურნალისტების პროფესიონალიზმი

მაღალია. განსხვავდება ჟურნალისტების გაშუქების სტილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ განხილულ რამდენიმე სიუჟეტში.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში, ქვეყნის უმთავრეს პრიორიტეტებს შორის, მუდმივად სახელდება ეკონომიკური განვითარება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ბიზნესის ხელშეწყობა. ამ სფეროში წარმატების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია საკუთრების უფლების დასაცავად მყარი სამართლებრივი გარანტიების შექმნისა და მათი რეალურად უზრუნველყოფის გარეშე.

დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობს საშუალებები, რომელთაც მივ-მართავთ, როცა ადამიანის უფლებები ირღვევა. უფლებების დაცვაზე პასუხის-მგებლობა სახელმწიფოს ეკისრება. თუმცა, ხშირად თავად ხელისუფლებამ შეიძლება დაარღვიოს ეს უფლებები. ამის დასტურია ბრიტანული ორგანიზაციის - Economist Intelligence Unit - 2007 წლის სექტემბრის ანგარიში, რომელიც საქართველოს შეეხება. კვლევაში მითითებულია, რომ „უკანასკნელი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლების დარღვევის მთელ რიგ შემთხვევებს, რომლებმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს მთავ-რობის მზადყოფნა საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით.“[1]

თემით „კვირის რეპორტაჟი“ დაინტერესდა, რადგან კვლევების გაშუქები-სას საქართველოს მოქალაქეებს იმ შედეგს აწვდიან, რომელიც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისათვისაა მისაღები, სხვადანარჩენი კი ყურადღების მიღმა რჩება. გადაცემის მთავარი სათქმელია ქვეყანაში საკუთრების უფლების არაკანონიერი მითვისების ჩვენება. ჟურნალისტური გამოძიება ნინო ჯაფარიძემ ჩაატარა.

სიუჟეტში წარმოდგენილ დაზარალებულებს, მათი თქმით, სახელმწიფომ კერძო საკუთრება არაკანონიერად ჩამოართვა. ამ შემთხვევაში ჟურნალისტი უნდა დაინტერესებულიყო და დაეკონკრეტებინა დაზარალებულებისგან, თუ რა ტიპის კერძო საკუთრება ჩამოერთვათ და რატომ, რა საბაბით. არც ერთ ჟურნალისტურ გამოძიებაში დაზარალებულებისგან წარმოდგენილი არ არის კერძო საკუთრების დამადასტურებელი არცერთი დოკუმენტი. სიუჟეტი არ არის დაბალანსებული მოწინააღმდეგე მხარის კონტრარგუმენტებით. ძირითადად საუბარია დაზარალებულებთან. ჟურნალისტური გამოძების ავტორს შესაბამის უწყებებში უნდა გადაემოწმებინა, ნამდვილად არის თუ არა ამ ადამინების ქონება სახემწიფოს მიერ მითვისებული და რა მიზნით.

აღნიშნული სიუჟეტი ქმნის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ კერძო საკუთრების ხელყოფის ფაქტი ზედაპირულად იყო გაშუქებული. კერძოდ, წარმოდგენილი არ იყო დაპირისპირებულ მხარეთა ჩვენებები შესაბამისი დოკუმენტაციით, რაც შექმნიდა საფუძველს სახელმწიფოს მხრიდან არაკანონიერად მითვისებული

ქონების პრეცედენტისა და გამოძიებას მისცემდა საფუძველს საქმის ხელმეორედ გადახედვისთვის. [2]

ტერმინი „პოლიტპატიმარი“ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მყარად დამკვიდრდა თითქმის ყველა ქვეყნის საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ ლექსიკაში, თუმცა დღემდე არ დაუკავებია ადგილი არც საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებში, არც ეროვნულ კანონმდებლობებში. 1998 წელს ბი-ბისის მიე რჩრდილოეთ ირლანდიიდან მოწოდებულ ერთ-ერთი რეპორტაჟში ვკითხულობთ: „იურისტების ენაზე სიტყვათშეხამება „პოლიტპატიმარი“ თითქმის არავითარ შინაარსს არ ატარებს; პოლიტპატიმრის საერთაშორისოდ აღიარებული გაგება არ არსებობ“. [3] მიუხედავად ამისა, ალბათ, არ არსებობს თთქმის არც ერთი სახელმწიფო, რომლსაც ან წარსულში, ან ამჟამად არ ჰყოლია რეპრესირებული ადამიანები, რომელთაც პოლიტპატიმრებს უწოდებენ. ცხადია, ეს ტერმინი საქართველოსათვის კარგადაა ცნობილი.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, „კვირის რეპორტაჟისთვის“ ჟურნალისტური გამოძიების სიუჟეტი იმედა დარსალიამ მოამზადა. [4]

ჟურნალისტი იმედა დარსალია სამი დაკავებულის: ედიშერ ჯობავას, ნელი ნავერიანის და მერაბ რატიშვილის ბრალდებას წარმოგვიდგენს. თითოეული მათგანის საქმე მას სიღრმისეულად აქვს შესწავლილი. იგი, დეტალებში ქრონოლოგიურად განიხილავს, როგორ და რა მიზეზით მოხდა მათი დაკავება. გადაცემაში ნაჩვენები აქვს საქმეში არსებულ ყველა დოკუმენტი, სატელეფონო საუბრები და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მასალები.

ჟურნალისტის მიერ ჩატარებული გამოძიების ტექსტიდან აშკარად იგრძნობა მისი მიკერძოებული დამოკიდებულება ბრალდებულების მიმართ და გამოიკვეთება მისი მხარდაჭერა ბრალდებულთა მიმართ. ჟურნალისტურ გამოძიებაში ჟურნალისტის ფრაზებითა და შეფასებებით აშკარა ხდება, რომ დაკავებულებს პოლიტპატიმრებად მიიჩნევს. სიუჟეტში გამოყენებული არ არის მოწინააღმდეგე მბრალდებელი მხარე ან კადრები, რომლებიც აჩვენებდა, როგორ არიდებენ თავს კომენტარს.

მედიის განვითარების ფონდმა MDF-მა 2012 წელს კვლევა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც აღმოჩნდა, ქართული მედიისათვის თემა - ეკოლოგია - ნაკლებ ინტერესს იწვევს [5]

„კვირის რეპორტაჟი“ 29 აპრილის გადაცემას სწორედ ამ პრობლემას უთმობს. თემა სვანეთში ახალი ჰიდროელექტროსადგურის აშენებას ეხება.[6]

სვანეთში თემაზე ზვიად თხელიძემ იმუშავა. სიუჟეტიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ნაწილი სახელმწიფოს მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, ხოლო ნაწილი ჰესს იმედით შეჰყურებს.

სიუჟეტზე დაკვირვებამ გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა

მოგვცა. ჟურნალისტის მხრიდან ყურადღება მხოლოდ ჰესის მშენებლობით გამოწვეულ ეკოლოგიურ საფრთხეებზე მახვილდება. ტექსტში ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე საუბარი არაა.

საკითხი მნიშვნელოვანია ეკოლოგიის თვალსაზრისით, თუმცა ჟურნალისტს უფრო სიღრმისეულად უნდა გამოეკვლია ის საშიშროება, რომელიც შესაძლოა ამ ჰესის გარშემო მცხოვრებ ადამიანებს და მიმდებარე ტერიტორიას მოუტანოს.

„კვირის რეპორტაჟი" ყურადღებას უთმობდა განათლებაში არსებულ პრობლემებსაც, კერძოდ სკოლებში მოსწავლეთა უფლებების დარღვევასა და ფიფნანსური დავალიანების გამო სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერებას. [7]

ჟურნალისტური გამოძების სიუჟეტში ნაჩვენებია მოსწავლე, რომელიც სკოლიდან დირექტორის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით გაირიცხა და რომლის მიღებაზეც ყველა საჯარო სკოლა უარს ამბობს. სკოლიდან გარიცხულების და სტატუსშეჩერებულების მოსწავლეთა პრობლემით ჟურნალისტი თამარ კენკიშვილი დაინტერესდა.

მოცემულ სიუჟეტში ჟურნალისტი დამოუკიდებლად იძიებს სკოლიდან მოსწავლეთა გარიცხვის მიზეზებს. გამოკითხვა ჩაატარა კომპეტენტურ ადამიანებთან, დარგის სპეციალისტებთან და ამის საფუძველზე აჩვენა, რომ დისციპლინალური დევნა არ განხორციელდა ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურების დაცვით. კარგი იქნებოდა, ჟურნალისტს მოეძიებინა მტკიცებულებები, დოკუმენტები, რომლებიც განხილული იყო სკოლის დისციპლინალური კომიტეტის სხდომაზე და ადასტურებდა მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს. მან მხოლოდ რესპოდენტებთან ინტერვიუებით დაადასტურა, რომ მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს. ფაქტობრივად, ჟურნალისტმა დაგვანახა, რომ ადგილი ფქონდა კომიტეტის წევრებზე ზეწოლის ფაქტს.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამომძიებელ ჟურნალისტთა ყურადღებას შემდეგი თემები იქცევს: კორუფცია, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, კრიმინალური გამოძიება, გარემოს დაცვა და ა.შ. თუ გავითვალისიწინებთ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, ინვესტიგეიტორთა ინტერესი აღნიშნული პრობლემებისადმი გამართლებულია. ჟურნალისტები ინფორმაციის მოპოვებისას უპირატესად იყენებენ შემდეგ მეთოდებს: ინტერვიუ, ფოტო და ვიდეო (მათ შორის ფარული) გადაღება, დაკვირვება, შედარება, დოკუმენტები.

გადაცემის დროს ბრალდება ყოველთვის არაა სათანადოდ დასაბუთებული და, შესაბამისად, არც სიუჟეტური ჯაჭვია კარგად დასურათებული. ჟურნალისტები, მართალია, უხეშად არ არღვევენ პროფესიული ეთიკის ნორმებს, მაგრამ რადგანაც გამოძიებების უმრავლესობა კარგად არაა დაბალანსებული, რამეთუ

ყოველთვის არაა გამყარებული ოპონენტების ინტერვიუებით, რჩება განცდა, რომ ავტორი სუბიექტურია თავის შეფასებების გაკეთებების დროს და, ალბათ, ესაა მიზეზი, რომ ამ გამოძიებებმა ვერ შექმნა ძლიერი საზოგადოებრივი აზრი და არც ხელისუფლების სათანადო რეაგირება მოჰყოლია.

ლიტერატურა:

1. http://www.eiu.com/home.aspx Country Report, Georgia, September 2007, Controvery over Property Rights Continues, გვ. 14 ბოლოს ნანახია 7.08.2019
2. საკუთრების უფლების დარღვევა, გადაცემა ეთერში გავიდა 30 ოქტომბერი, 2011 წელი (პირადი არქივი)
3. http://news.bbc.co.uk/2/hi/special_report/46095.stm ბოლოს ნანახია 23.08.2019
4. პოლიტპატიმრები, გადაცემა ეთერში გავიდა 12 ივნისი, 2011 წელი (პირადი არქივი)
5. http://www.mdfgeorgia.ge/geo/view_research/97 ბოლოს ნანახია 3.09.2019
6. ჰესის მშენებლობა სვანეთში, გადაცემა ეთერში გავიდა 29 აპრილი, 2012 წელი (პირადი არქივი)
7. სკოლიდან გარიცხული მოზარდი, გადაცემა ეთერში გავიდა 5 თებერვალი, 2012 წელი (პირადი არქივი)

Peculiarities of "Weekly Report" Journalistic Investigations 2011-2012

Ann archvadze, Phd student

Georgian Technival University

Summary

Independent Studio GNS was founded in October 2008 as a non-profit legal entity NGO. Founders of the organization are former Broadcasting Company "Rustavi 2" journalists - Tamar Rukhadze and Nana Lezhava. The goal of GNS Studio is to create TV projects, as well as media and human rights monitoring and etc. The products of studio will be interesting for the part of society which would like to have more objective information than is provided by other channels. The slogan of

the program is as follows: “Something you won’t see anywhere else.” The article analyzes the programs of 2011-2012. The following topics will be highlighted by Investigative Reporters of “Weekly Report”: Corruption, Abuse of Power, Criminal Investigation, Environmental Protection, etc. Investigative reports show, that government officials, especially the law enforcement structures, used to avoid communication with the studio. According to the standard, the story should be aired with comments of the both sides provided, but because of the above mentioned, there are shows where this standard is not protected.

Keywords: Journalistic investigation, journalistic standard, credibility and objectivity, balancing.

სოციალური მედიის ფუნქციონალური ცვლილებები ციფრიზაციის ეპოქაში

სოფიკო გორგილაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მედიაპროპაგანდა - ქვეყნის ისტორიული რაკურსისა და თანამედროვე ტენდენციებს ითვალისწინებს. აქტუალურია სოციალური მედიის გავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ასევე საინფორმაციო ველი, როგორც ,,რეალობა'' და სინამდვილე.

განსაკუთრებული ინტერესის საგანია ინტერნეტ სივრცის გამოყენების ძირითადი მოტივაცია და რესპონდენტთა უმრავლესობის დამოკიდებულება სოციალურ ბლოგებთან მიმართებაში.

სოციალურ ქსელში პერსონალური მონაცემების განთავსების სხვადასხვა ფორმები: პირადი ინფორმაცია და ფოტოსურათები. მომხმარებლთა დახურულ ჯგუფში გაერთიანება, სადაც გუნდურად განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს, ცვლიან ინფორმაციას, უზიარებენ აზრებს, კამათობენ, ამყარებენ კავშირს ინტერესების შესაბამისად. ამ გაერთიანებების წევრები ჩართულნი არიან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის განსხვავებულ ფორმებში, პერსონალური ვებგვერდების, ბლოგების, სადისკუსიო ჯგუფების მეშვეობით. საზოგადოება სოციალური ქსელების საშუალებით ინფორმირებულია უმოკლეს დროში.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია; საინფორმაციო ველი; ინფორმაციის სანდოობა; ვირტუალური სამყარო; სოციალური ქსელები;

შესავალი

სოციალური მედია ვირტუალური საშუალებების ერთობლიობაა. სოციალური მედია ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას თავისუფლად და მიუკერძოებლად გამოხატოს აზრი.

21-ე საუკუნე ახალი მედიის საუკუნედ მოიაზრება, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ბოლო ათწლეულია სოციალური მედიისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დღესდღეობით აქტუალურია სოციალიალური ქსელებით ინფორმაციის მიღება-გავრცელება, ასევე სოციალური კაპიტალის დაგროვება გარკვეული მიზნების განსახორციელებლად. სოციალური კაპიტალი ბადებს თანამშრომლობისკენ ლტოლვას, რაც საშუალებას იძლევა ადამიანების საერთო მიზნებისთვის ერთობლივი მოქმედების უნარს.

სამოქალაქო აქტივობისთვის ხელსაყრელი პლატფორმის გაუმჯობესება და სოციალური ქსელებით საზოგადოებაზე გავლენის მოპოვება დღეს ყველაზე აქტუალური საკითხებია, რაც გულისხმობს:

1. სოციალური მედიისა და პოლიტიკური ველის ურთიერთმიმართებას;
2. ცენზურისა და თვითცენზურის საკითხებს;
3. მომხმარებელთა პირადი ინფორმაციისა და ბლოგერთა უფლებების დაცულობას;
4. სოციალური მედიის გავლენას, ქართველ მომხმარებელთა პიროვნულ მახასიათებლებზე და ურთიერთობებზე.

ძირითადი ნაწილი

სოციალური მედია არსებითად სოციალური ქსელია. სოციალური ქსელები წარმოადგენენ თავისუფალ პლატფორმას, სადაც ხალხს შეუძლია ინფორმაციის გაცვლა და კომუნიკაცია. წლების წინ ეს იყო მხოლოდ საკომუნიკაციო ქსელები: ჩეთები, ფორუმები, ბლოგი და ა.შ. დღევანდელი მონაცემებით სოციალური მედიას უფრო ფართო და მაშტაბური შესაძლებლობები აქვს, კერძოდ, იქმნება საკუთარი გვერდები, საინტერესო და საჭირო ელემენტებით.

სოციალური მედიის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ ამ სივრცეში მომხმარებელი აუდიტორიაა და ინფორმაციის წყაროც. ეს ნიშნავს, რომ კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გამარტივებულია, რაც ადრესატისა და ადრესანტის უკუკავშირს ნიშნავს.

სოციალურმა მედიამ მნიშვნელოვანი რამ გააკეთა ინტერნეტის გამოგონების დღიდან - მან მიმართა და განაგრძო უახლესი ტექნოლოგიების მიმართულება ადამიანის ინტერესების, ფსიქოლოგიისა და თვალსაზრისის ადაპტირების მიზნით. კომუნიკაციის ან ინფორმაციის გამოქვეყნების დროს არა ტექნოლოგია აკონტროლებს პიროვნებას, არამედ ადამიანი აკონტროლებს ტექნოლოგიას.

სოციალური მედია შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგი მახასიათებლებით:

- ავტორის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თვითრეგულირება;
- ინტერაქტიულობა;
- ძველი მასალების მონაცემთა ბაზაში შენახვა და სწრაფი წვდომა.

სოციალური ქსელიდან მიღებული ინფორმაცია უდიდეს გავლენას ახდენს მომხმარებელზე. საზიანო ინფორმაცია ზოგჯერ იმდენად საინტერესოდ და სასრგებლოდაა შეფუთული, რომ შესაძლოა ადამიანისთვის ეს ჯერ დასაშვებად, შემდეგ ცხოვრების ეპიზოდად ან წესად იქცეს.

,,21-ე საუკუნე ახალი მედიის საუკუნეა, რომელიც მომხმარებელთა მაქსიმალურ ჩართულობას და ინტერაქციას უზრუნველყოფს. ახალი მედიის შესწავლა ახალი სიტყვაა საქართველოში. ამ მიმართულებით სოციალური

მედიის განვითარების თითქმის ყველა ასპექტზეა ყურადღება გამახვილებული''

სოციალური ქსელები უდიდეს ზეგავლენას ახდენს მომხმარებელზე. მათი უმრავლესობა განსაკუთრებით 28-45 წლის ასაკისაა. სტატისტიკის მიხედვით სოციალური ქსელები აგრესიის მიზეზადაც შეიძლება იქცეს. ამის დამადასტურებელი არაერთი შემთხვევა არსებობს.

კაცობრიობის განვითარებიდან მოყოლებული ადამიანები გამუდმებით ესწრაფიან ინფორმაციის მიღებას პირად და საზოგადოებრივ საკითხებზე, რადგან ინფორმაცია უდიდესი იარაღია გარკვეული მიზნის მისაღწევად. დღეს მეტად აქტუალურია ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით დაშანტაჟება, რასაც სხვადასხვა სოციალური ქსელებით ავრცელებენ. ადამიანის ამგვარი ვიდეოკადრების გავრცელება ეთიკური ნორმის დარღვევა და დანაშაულია, რაც დასჯადი უნდა გახდეს. არსებობს საკითხები, სადაც ყველანი უნდა დავდგეთ ერთად და საბოლოოდ დავამარცხოთ უღირსი ქმედებები.

სოციალური მედიის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება.

დასკვნა

საზოგადოების დიდი ნაწილი ახალ ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ ძირითადად სოციალური მედიის საშუალებით იღებს. ჯანსაღი აზრი, ყოველთვის მივა საზოგადოებამდე. სოციალური მედიის მესვეურებმა უნდა სცადონ მისი სწორად ფორმულირება. აუდიტორიას მიუკერძოებელი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. გულწრფელობა, საინტერესოობა და თავისუფლება-მთავარი კრიტერიუმებია. ასე უფრო ადვილია აგრძნობინოთ მკითხველს, როგორი „ზუსტი, სანდო და დროული მეგზური ჰყავს" კონკრეტული სოციალური მედიის საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი მედია ჟურნალისტებისთვის. შემდგენლები -თ. დვალი; ს. ასათიანი; (თბილისი - 2011წ).
2. მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის - მ.დეფლორი;
3. https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=5&tid=6 („სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში" ლია წულაძე)
4. 4.https://www.mediachecker.ge/ka/mthavari/socialuri-media ინტერნეტსაიტი MEDIA CHECKER (მედია მედიისთვის)
5. (მედია და სტერეოტიპი)
6. https://www.mediachecker.ge/ka/wiki/tendenciebi/article/50099-ar-gaavrce-

lo-politikuri-mosazrebebi-sheastsore-shecdoma-socialuri-mediis-akhali-sakhelmdzghvanelo-the-new-york-times-isgan

7. ,,ციფრული კომუნიკაცია" - ანუნა ბუკია სახელმძღვანელო მომზადებულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით და დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით.
8. http://netgazeti.ge/news/112101/ ("საერთაშორისო გამჭვირველობა – საქართველოს" (TI Georgia) 2016 წელის კვლევის შდეგი საქართვლოში ინტერნეტს მომხმარებელთა რაოდენობაზე).

Social media functionality changes In the era of digitization

Sofiko Gorgiladze, PhD student
Georgian Technical University

Summary

21st century is new media age, which has great influence on social consciousness.

I can distinguish several questions in my article:

Mediapropaganda – according to modern tendencies of county's historical foreshortening;

The influence of social media on social consciousness;

Disscusing field of information –(hidden propaganda) as "Reality" and truth.

Motivation of usage of internet space and attitude of major respodents towards social blogs in Georgia.

Application of social data in social network such as : personal information and photos. Users discuss several issues in closed groups, exchange information , share opinions, arguing and connect with each other according to their interests. The members of this unions are included in different forms of communication and exanging information, with the help of personal web pages, blogs and discussion groups.

Society is informd by means of social network in shortest time.

Keywords: Social media; Information field; Reliability of information; The virtual world; Social networks

სპორტის ჟურნალისტიკის სოციალურ-ემოციური ასპექტები

ვაჟა დანელია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სპორტის მასობრიობა და უსაზღვრო პოპულარობა, სპორტსმენთა წარმატებები ძალაუნებურად იპყრობს ყურადღებას, ზრდის ინტერესს იმის მიმართ, თუ რას ამბობენ და წერენ სპორტზე. ამდენად, სპორტის ჟურნალისტიკის მთავარი ამოცანაა, რეალურად აღწეროს შეჯიბრებებზე მომხდარი ამბები, ნათლად წარმოაჩინოს პაექრობათა დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხარვეზები, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის შექმნას.

სამოქალაქო საზოგადოება მზარდი ფენომენია - ახლებურად ყალიბდება, იხვეწება, ვითარდება. შესაბამისად, თანამედროვე მასმედია მასზე მორგებას მოითხოვს. როგორიცაა საზოგადოების დაკვეთა, მიწოდებაც შესაბამისი უნდა იყოს, რადგან ურთიერთობა ორმხრივი პროცესია. სასპორტო მედიის ფუნქციური დანიშნულება განწირულია, თუ მკითხველი არ ეყოლება. გულშემატკივარი კი საინფორმაციო საშუალებებს კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს.

საკვანძო სიტყვები: სპორტის ჟურნალისტიკა, ემოცია, ემოციის ეპიდემია, ემოციის მართვა, მედია, ბრბოს ფსიქოლოგია, „ეშმაკის ქვა“, გლობალიზაცია, აგრესია.

შესავალი

სპორტის ჟურნალისტიკაში ახალი ერა დადგა. როგორც დასავლეთში ამბობენ, მოვიდა დრო „ოცნების საზოგადოებისა“, სადაც ემოციის უდიდესი მოთხოვნილება გაჩნდა. ოქროს წესი - ვინ? რა? სად? როდის? რატომ? რო-გორ? სრულყოფილი აღარ არის, ჟურნალისტს ისტორიის მოყოლაც უნდა შეეძლოს ემოციური შეფერილობის დამატებით. აი, მაგალითად, ინგლისის ჟურნალისტიკის სკოლაში უკვე გაჩნდა ასეთი ცნებები - «low concept», რაც მშრალ ფაქტს ნიშნავს და «high concept» - ემოცია, შეფერილობა, მოვლენების მთავარი იდეა.

ამიტომაც უნდა განისაზღვროს სპორტის ფენომენის თეორიულ-კულ-ტუროლოგიური ასპექტები მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში და ქართული სპორტის ჟურნალისტიკის ამოცანები; ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში - სპორტის ევოლუციური ცვლილებები; მასმედიის სპორტის ქომაგებთან კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობები; გულ-შემატკივრებზე ზემოქმედების ცივილიზებული ასპექტები.

სპორტი და თანამედროვე პუბლიცისტიკა, განსაკუთრებით - სპორტის ჟურნალისტიკა ყველაზე მეტადაა დაკავშირებული გრძნობებსა და ემოციებთან, ანუ თანამედროვე სპორტის ჟურნალისტიკა გრძნობებისა და ემოციების ჟურნალისტიკაა. დიმიტრი უზნაძის მიხედვით: „ემოცია სუბიექტური მდგომარეობის განცდაა, რომელიც ამავე დროს ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის ან საგნის, განცდასაც გულისხმობს“ [1].

ემოცია ადამიანის შინაგანი ენერგიაა, რომელიც მისი ცხოვრების თან-მდევი ნაწილია და უდიდესი ძალა აქვს. ის გავლენას ახდენს ადამიანის ფიქ-რებსა თუ მოქმედებებზე. თითოეულ პიროვნებას განსხვავებული შინაგანი სამყარო და, შესაბამისად, ემოციების განსხვავებულად გამოხატვის უნარი აქვს. ფსიქოლოგების გამოკვლევით, ადამიანი დღეში 400-მდე ემოციას გრძნობს, რომლებიც პიროვნების სულიერებასთან, აზროვნებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენებისა და გულშემატკივრების განწყობას, მათს სულიერ მდგომარეობას.

საზოგადოების უმეტესობას ის პუბლიკაციები აინტერესებს, რომლებშიც ჟურნალისტი ფაქტებს უმეტესად თავისი შთაბეჭდილებებით ანაცვლებს. დღეს „ადამიანი-მასას“, ბრბოს, რომელსაც ესპანელი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა ი გასეტი უფერულობას უწოდებს, ჰყოფნის თავხედობა, ძალით დაამკვიდროს და ყველას თავს მოახვიოს თავისი ნება [2].

გასეტი „ადამიანი-მასას“ წარმოშობის გზას როდესაც აანალიზებს, ანუ როგორ ეძლევა დასაბამი ადამიანის ახალ ტიპს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ადამიანი ცდილობს, საკუთარი აზრი სხვებს მოახვიოს თავზე. მისი აზრები სიტყვებით გამოხატული სურვილებია და, აქედან გამომდინარე, დღევანდელ გულშემატკივართა უმრავლესობა, როგორც „ადამიანი-მასას“ შემადგენელი ნაწილი, სპორტის ჟურნალისტიკას თავის დაკვეთას კარნახობს [2]. ამიტომაც არის დღევანდელ მედიაში გამოქვეყნებული მასალები სენსაციურ, სკანდალურ ფაქტებს გამოკიდებული, რაც ერთფეროვნებას ამკვიდრებს და პუბლიკაციებიც მეტწილად მდარე ხარისხისაა.

ამ პრობლემას ეხმაურება ჟურნალისტ არჩილ გოგელიას წერილი „სპორ-ტული ჟურნალისტიკის მაგნიტური ველი“, რომელშიც ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „დრომ მოიტანა, ხოლო საჭიროებამ და აუცილებლობამ გამოიწვია სპორტული ჟურნალისტიკის ცალკე დარგად გამოყოფა. ეს ნაკარნახევია თვით ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის არნახული განვითარებითა და მასშტაბებით“ [3].

ავტორი მკვეთრად განსაზღვრავს სპორტის ჟურნალისტიკის არსსა და ამოცანებს. მას მიაჩნია, რომ „ცნება სპორტული ჟურნალისტი გულისხმობს უაღ-რესად სპეციფიკურ სფეროს. არ შეიძლება, პოეზიისა არ იყოს, მას გარკვეული მოწოდებისა და სათანადო ცოდნის გარეშე დაუკავშირდე. ჩვენდა სავალალოდ,

ფეხი მოიკიდა მცდარმა შეხედულებამ, თითქოს სპორტული ჟურნალისტიკა არ იყოს რთული დარგი და სპორტზე წერა ნაკლებად კომპეტენტურ ხალხს შეეძლოს. ნაკლებად კომპეტენტური ჟურნალისტი ნაკლებად კომპეტენტურად წერს, მსჯელობს, აზროვნებს, იკვლევს“ [3]...

გოგელიას აზრით, „სპორტული ჟურნალისტიკა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს ანბანურ ჭეშმარიტებათა დემონსტრაციად, არც სპორტში ჩაუხედავი ადამიანის მოთხოვნამდე და გემოვნებამდე უნდა დაეშვას. მან, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს ყველაზე მომთხოვნი, „პრეტენზიული“ მკითხველის დონე, რითაც სამსახურს გაუწევს სპორტის მოყვარულსაც, მწვრთნელსაც და სპორტსმენსაც“ [3].

2.ძირითადი ნაწილი

მედია განსაკუთრებულ როლს ასრულებს ცივილიზებული მსოფლიოს განვითარებაში და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზემოქ-მედებს. ადამიანები ხშირ შემთხვევაში სინამდვილეს ისე აღიქვამენ, როგორც მათ მიეწოდებათ პირველადი ინფორმაცია.

სპორტის ჟურნალისტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმირებული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. მას სპეციალური საგანი აქვს და ეს საგანი თანამედროვე სპორტია მრავალმხრივი, მრავალსახოვანი და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო კონკრეტული გამოვლინებებით.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ მელვინ მენჩერის აზრით, სასპორტო პრესის მიზანი იდეალურია. ის მოწოდებულია, ადამიანებს მოუხსნას სტრესული მდგომარეობა და ნაგატიური ენერგია მიმართოს განცდისკენ, რომელიც სპორტთანაა დაკავშირებული [4].

რუსი მკვლევარი პაველ ვორონკოვი სპორტის ჟურნალისტიკის ორ მნიშვნელოვან ფუნქციას გამოყოფს, რომლებიც, როგორც თავად აღნიშნავს, მხოლოდ სპორტის ჟურნალისტიკისთვისაა დამახასიათებელი:

1.სპორტის ჟურნალისტიკა, ყოველდღიური ცხოვრებისგან განსხვავებით, გვიხატავს ისეთ სამყაროს, რომელშიც ლამაზი და ძლიერი ადამიანები პატიოსან და სამართლიან ბრძოლაში არკვევენ ურთიერთობებს. როცა განიცდი, ქომაგობ საყვარელ სპორტსმენებს, გუნდებს, საკუთარ თავს აიგივებ სპორტის გმირებთან. რეალური ცხოვრებისგან განსხვავებით, ხშირად ხმაურიან და შთამბეჭდავ გამარჯვებებს აღწევ.

2.მეორე ფუნქცია ის არის, რომ ხელს უწყობს პიროვნების ემოციურ გან-ტვირთვას საზოგადოებისა და გარშემომყოფთათვის უსაფრთხოდ, რადგან ნეგატიური ემოციები არა რეალური სამყაროსკენ, არამედ მის მოდელ სპორ-ტისკენ არის მიმართული [5].

ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს არ ეთანხმება ცნობილი მკვლევარი დმიტრი ტულენკოვი. მას მიაჩნია, რომ სპორტის ჟურნალისტიკა ყოველთვის არ იძლევა

შესაძლებლობას, რეალურ პრობლემებს გავექცეთ და უარყოფითი ემოციებისგან განვიტვირთოთ.

ტულენკოვის განმარტებით, სპორტის ჟურნალისტიკის პროდუქციისგან მხოლოდ ერთ ჯგუფს შეუძლია ემოციური განტვირთვა და დადებითი მუხტის მიღება. „ეს ის ადამიანები არაინ, რომლებიც სასპორტო ინფორმაციას ყოველდღიურად არ მოიხმარენ. სპორტი მათთვის მხოლოდ გართობის საშუალებაა დასვენების საათებში. არავითარი მნიშვნელობა არა, აქვს ამა თუ იმ შეჯიბრებაში ვინ გაიმარჯვებს, ვინ დამარცხდება. ეს მათ არავითარ ემოციურ დატვირთვას არ აძლევს, სპორტის სამყაროს უარყოფით მოვლენებს არც იხსენებენ, დადებითი ემოციები თუ უჩნდებათ გაზეთის კითხვისას, ყოფით პრობლემებს მხოლოდ დროებით ივიწყებენ“ [6].

რაც შეეხებათ სასპორტო ინფორმაციის სხვა მიმღებთ (გულშემატკივრებს, სპორტსმენებს, მწვრთნელებს), აქ ვითარება ბევრად განსხვავებულია. სამწუხაროდ, სასპორტო ღონისძიებების მერე აგრესიის გამოვლენის უამრავი მაგალითის გახსენება შეიძლება. განსაკუთრებით ფეხბურთის ფანატებს ახასიათებთ აგრესია საყვარელი გუნდის მარცხისას.

2014 წელს 20 ადამიანი დაშავდა არგენტინის დედაქალაქში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ პოლიციელებსა და ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის მომხდარი შეტაკებისას. მსოფლიოს პირველობის გადამწყვეტ მატჩში გერმანელებმა 113-ე წუთზე გატანილი ბურთით 1:0 გაიმარჯვეს. დამარცხებულ არგენტინელთა გულშემატკივრებმა ბუენოს-აირესის ქუჩებში მაღაზიების ვიტრინები დალეწეს, დაარბიეს ერთ-ერთი თეატრის შენობა, თავს დაესხნენ ჟურნალისტებსა და პოლიციელებს, ქვები და ბოთლები დაუშინეს მათ. პოლიციამ წყლის ჭავლი და ცრელმსადენი გამოიყენა, 30-მდე გულშემატკივარი კი დააკავა.

ზღვარგადასული ემოციის უფრო სავალალო ფაქტების დასახელებაც შეიძლება: 1985 წელს ბელგიის „ეიზელის“ სტადიონზე იტალიის „იუვენტუსისა“ და ინგლისის „ლივერპულის“ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩისას ორივე გუნდის გულშემატკივრები გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ. მათ შორის შეტაკებისას კედელი ჩაინგრა და 39 ადამიანი დაიღუპა, ასობით მაყურებელი კი დაშავდა; 1989 წლის 15 აპრილს შეფილდის სტადიონზე ჩხუბისას მაყურებლებმა ერთმანეთი გადათელეს. 95 ლივერპულელი ქომაგი დაიღუპა. საქმე იქამდე გამწვავდა, რომ ადამიანებს სტადიონზე წასვლის ეშინოდათ. ამ ტრაგედიებს წინა დღით გაზეთებში დაბეჭდილმა ამბიციურმა წერილებმაც შეუწყო ხელი.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ემოციების უკონტროლობასა და საფეხბურთო ძალადობას (თუმცა ამგვარი რამ სხვა სახეობებისთვისაც არ არის უცხო) მე-19 საუკუნის ბრიტანეთში ჩაეყარა საფუძველი. მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ინგლისის სტადიონების ტრიბუნებზე უკვე მრავლად ისხდნენ ადამიანები,

რომლებიც ძალადობით ამაყობდნენ. მეტიც, ერთი ქალაქიდან მეორეში 400-დან 7 ათასამდე ფანი მიდიოდა, რომ სწორედ შეხლა-შემოხლაში გამოევლინათ გამარჯვებული. მდგომარეობა ვერც იმან გამოასწორა, რომ მოჩხუბართ ტელევიზიით აჩვენებდნენ და მათ შესახებ პრესაში იბეჭდებოდა - პირიქით, ეს ყველაფერი თვითრეკლამად მიაჩნდათ და ამაყობდნენ კიდეც.

მე-20 საუკუნის მიწურულს მთელ მსოფლიოში ამგვარმა ზღვარგადასულმა ემოციებმა პიკს რომ მიაღწია, ფეხბურთის საერთაშორისო და ევროპის ასოციაციებმა მკაცრი სანქციები დააწესეს; სახელმწიფოებმაც შემოიღეს უმკაცრესი სასჯელი - ფულადი ჯარიმით დაწყებული და თავისუფლების აღკვეთით დამთავრებული დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად.

სოციალური ფსიქოლოგია გვასწავლის, თუ როგორ ახდენენ ადამიანები გავლენას ერთმანეთზე და თავადაც პიროვნებად როგორ ყალიბდება ამ ურთიერთობის პროცესში. ინდივიდი და საზოგადოება ერთმანეთზე ორმხრივ გავლენას ახდენს. ადამიანი იმპულსებისა და გრძნობების კარნახით იწყებს მოქმედებას და შეიძლება ჩაიდინოს ისეთი რამ, რასაც სხვა დროს არასოდეს გააკეთებდა.

კოლექტიური აღგზნება უშუალოდ გადადის „ინფიცირებაში“, ანუ გადამდები ხდება. სოციალური ინფიცირების გამო არაერთი ადამიანი, რომლებიც გულგრილი თვითმხილველნი ან გამვლელნი იყვნენ, ბრბოს წევრად ყალიბდება. ასეთ დროს ის აღარ უკვირდება საკუთარ ქცევას და ჯგუფურ ემოციას არის აყოლილი.

მე-20 საუკუნის ფრანგი სოციოლოგი გუსტავ ლე ბონი ამტკიცებდა, რომ ხალხის უწესრიგო გროვა, მასა, ანუ ბრბო ხასიათდება ამორალური და შეუზღუდავი ქცევით. ბრბოდ გადაქცეული ადამიანები მოქმედებენ და აზროვნებენ არა როგორც ინდივიდები, არამედ - კოლექტიური გონებით, განიცდიან ერთნაირ ემოციას.

ლე ბონს მიაჩნია, რომ ბრბოს ქცევას განსაზღვრავს სამი მექანიზმი:

1. **ანონიმურობა.** ინდივიდი ნაკლებად არის პასუხისმგებელი საკუთარ ქცევაზე, როდესაც იცის, რომ მასაში მისი ამოცნობა ვერ მოხერხდება. ბრბო თავად ქმნის მეტნაკლები ანონიმურობის ვითარებას და ამით ამცირებს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. ამიტომაც ამგვარ მდგომარეობაში ადამიანი სრულიად უპასუხიმგებლო მოქმედებას სჩადის.
2. **გადადება** - ინფიცირება, ანუ ემოციური მდგომარეობის გადაცემა ერთი ადამიანიდან მეორეზე, დაავადების გადაცემის მსგავსად.
3. **შთაგონებადობა:** ჯგუფში წამოსროლილი ყველა მოწოდების მიღება და შესრულება უკრიტიკოდ, ერთგვარი ჰიპნოზის მსგავსად. ლიდერის რადიკალური მოწოდებები უსიტყვოდ სრულდება [7].

ემოციის ეპიდემია ერთიან მასად გარდაქმნილ ადამიანებს დამანგრეველი

ენერგიით იმდენად ავსებს, რომ იგი ყველაზე საშიშ სტიქიას შეიძლება შეედაროს. ბრბოს ადამიანი თავადვე ხდება ბრბოს ემოციის ობიექტი. არ არის გამორიცხული, ადამიანი საკუთარი ემოციების უმართავ სუბიექტად გადაიქცეს. ლე ბონის აზრით, „ბრბოში მოხვედრილი ადამიანი, რომელსაც საერთო აღგზნება გადაეცემა, კარგავს კრიტიკული განსჯის უნარს და ემორჩილება მასის მოქმედებას“ [7]. ემოციის ინტენსივობამ, შესაძლოა, ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ ცნობიერების არა თუ შევიწროება, არამედ სრული ბლოკირებაც კი გამოიწვიოს. ამიტომაც, უდიდესი პასუხისმგებლობაა ადამიანთა სიმრავლისათვის ინფორმაციის მიწოდების ხასიათი, ფორმა და შინაარსი. გავიხსენოთ, პილატეს შეთავაზების ტექნიკამ როგორ გადააწყვეტინა ხალხს ქრისტეს დასჯა.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ურუგვაელმა ფეხბურთელებმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურნირში უსუსურად ითამაშეს და ბოლო ადგილზე გავიდნენ. შეჯიბრების დამთავრების მეორე დღეს სასპორტო გაზეთში დაიბეჭდა სიძულვილითა და აგრესიით აღსავსე წერილი, რომელშიც ავტორი მწვრთნელისა და ფეხბურთელების სალანძღვად უშვერ სიტყვებსაც არ მოერიდა. „დღეს ჩვენი ვაიფეხბურთელები შინ ბრუნდებიან. მიმაჩნია, რომ ისინი სამშობლოში ჩამოშვების ღირსი არ არიან - აეროპორტში უნდა დავხვდეთ და პასუხი ვაგებინოთ, როგორც საჭიროა“, - ასე ამთავრებდა თავის პასკვილს ჟურნალისტი.

პუბლიკაციამ უარყოფითი როლი შეასრულა: იმ დღეს, მართლაც, ათასობით ფანი შეიკრიბა აეროპორტში. მწვრთნელები და ფეხბურთელები სხვა გასასვლელით გააპარეს. მაშინ გაავებული ქომაგები ქალაქში დაბრუნდნენ, ფეხბურთელებს შინ ფანჯრების მინები ჩაუმსხვრიეს, მწვრთნელის სახლი კი დალეწეს.

უნებურად მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვა“ გვახსენდება, რომელიც ლე ბონის „ბრბოს ფსიქოლოგიის“ ზეგავლენით დაიწერა: დათამ და მისმა ბიძაშვილმა სოლომ ქურდობისას წამებით მოკლეს მოხუცი ქალი, რომელმაც იცნო მძარცველები. ხალხმა შეიპყრო ისინი და გასამართლება დაუპირეს. საერთო ყვირილსა და ხმაურში მკაფიოდ გაისმა ერთი სიტყვა, რომელიც ყველას ენის წვერზე უტრიალებდა, მაგრამ მის წარმოთქმას ვერ ბედავდა - ჩავაქვაოთ!

ჰაერში ჯერ ერთმა ქვამ გაიელვა, მერე - მეორემ, მესამემ. შურისმაძიებელმა ბრბომ ჩაქოლა „მგლის ლეკვი“. ამ დასჯაში მონაწილეობდა ის გოგონაც, რომელსაც სოფელმა „ანგელოზი“ შეარქვა კეთილშობილების გამო. იმჟამად სასტიკი განაჩენი სოფიოსაც უმაღლეს სამართლიანობად მიაჩნდა. მანაც ქვა ესროლა დათას [8]. ესაა დასტური გუსტავ ლე ბონის სიტყვებისა, რომ ბრბოში მოხვედრილი ადამიანი ბრმად ემორჩილება მასის მოქმედებას.

2005 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელსაც გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობდა, სოფიაში „ლევსკიზე“ ბულგარეთის

ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩი 2:6 წააგო. 14 ნოემბერს გაზეთ „სარბიელის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა ნიკიტა ხრუშჩოვის, ნოდარ ახალკაცისა (უმცროსის) და გაიოზ დარსაძის პორტრეტები საერთო სათაურით - წადით. უმთავრესი კი ის არის, რომ ჟურნალისტებმა მარცხით გამოწვეული ემოციები ვერ მოთოკეს და სამართლიან მოთხოვნას პირველსავე გვერდზე უხამსობაც მიაყოლეს: კითხვაზე - რა იყო დარსაძის გუნდი სოფიაში? იქვე აკროსტიქულად გაეცა პასუხი - „ყველაფერს ლევსკიზე ეპასუხა“ [9].

დაირღვა ყოველგვარი ეთიკური ნორმა. აგრესიული უხამსობა უცებ აიტაცეს ფანატებმა და „ლოკომოტივის“ სტადიონზე მორიგი მატჩისას რვა ათასამდე მაყურებელი უცენზურო სიტყვებით სკანდირებდა. ამ შეურაცხყოფის შემდეგ დარსაძე ნაკრებიდან წავიდა.

ცხადია, დასაბუთებული კრიტიკა აუცილებელია, მაგრამ საკუთარი ემოციების მოუთოკავობით სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენება ყოვლად გაუმართლებელია, მით უმეტეს, რომ ჟურნალისტის ამოცანაა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და მასობრივი ემოციების კონტროლი. საამისოდ კი, აუცილებელია, პასუხისმგებლობა და საკუთარი გრძნობების მართვა ისწავლო. „თუ რისხვის დაოკება არ შეგიძლიათ, ისეთივე უმწეო ხართ, როგორც უგალავნო ქალაქი მტრის შემოტევისას“, - გვმოძღვრავს ბიბლია (იგავების 25:28). ემოციების მართვა რომ მოახერხო, ფიქრების გაკონტროლება და შინაგანი პროცესების მონიტორინგი უნდა შეგეძლოს. როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ემოციის მართვის, მისი კორექტული გამოხატვის ფუნქციას ყოველთვის ასრულებდა და ასრულებს კულტურა.

ნებისმიერი სოციალური ფენისა თუ ასაკის ადამიანი იბრძვის საკუთარი ემოციების გასაკონტროლებლად, მაგრამ ეს უჭირთ, რადგან, ცნობილი მეცნიერ ვიკტორ შახოვსკის აზრით, ემოციებისთვის სპეციფიკურია ორმაგობა, ანუ ამბივალენტობა: ადამიანებს რეგულარულად ეუფლებათ ორი საპირისპირო ემოცია... ერთდროულად განიცდიან დიდ სიხარულსა და შიშს [10].

ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე მე-4 საუკუნეში არისტოტელე ბრძანებდა, უბრალოდ რომ გაბრაზდე - ეს იოლია, მაგრამ გააკეთო ეს სჭირო ადამიანზე, საჭირო ადგილას რისხვის სათანადო დოზით, ეს უკვე მეცნიერებაა. ამით უდიდესმა ფილოსოფოსმა განსაზღვრა ემოციური ინტელექტი - ეს არის საკუთარი ემოციების გაცნობიერება და მათი მართვა ადეკვატურ კონტექსტში გამოყენებით. გონება მან ვნებებს დაუპირისპირა, რადგან მხოლოდ ინტელექტში ხედავდა ემოციების, ანუ „ადამიანის მტრის“ ალაგმვის საშუალებას.

დასკვნა

თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მხოლოდ ინფორმაციის წყარო როდია - ეს არის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საშუალება, ამიტომ ჟურნალისტის როლი მრავალგზის გაიზარდა: მოვლენათა ინტერპრეტაცია მის პიროვნულ თვისებებსა და შეხედულებებზეა დამოკიდებული, ანუ მიეცა უსაზღვრო თავისუფლება. არისტოტელეს თქმით კი, „თავისუფალია ის, ვისაც ემოციების მართვა შეუძლია“.

ლიტერატურა:

1. დიმიტრი უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგია, 1998
2. ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, 1993
3. არჩილ გოგელია, ასეთია სპორტული ცხოვრება, 1986
4. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, 2013
5. Воронков П. Спортивная пресса как тип, 2006
6. Туленков Д. А. Спортивная публицистика и спортивная журналистика: особенности специализированного направления// Журналистика: молодые исследователи: межвуз. сб. научн. Работ студентов и аспирантов. Вып. 3. СПб., 2004
7. გუსტავ ლე ბონი, ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია, 2017
8. მიხეილ ჯავახიშვილი, ეშმაკის ქვა
9. გაზეთი „სარბიელი“, 14 ნოემბერი, 2005
10. Шаховский В. И. Эмоции как объект исследования в лингвистике // Вопросы психолингвистики, 2009, № 9

Socio-emotional aspects of sports journalism

Vaja Danelia, PHD student
Georgian Technikal Universty

Summary

Modern media is not the only source of information - it is a means of forming public opinion, so the role of the journalist has increased many times: the interpretation of events depends on his personal qualities and beliefs, that is, he has been given limitless freedom. Aristotle says that “anyone who can handle emotions is free.”

ვაჟა-ფშაველა სატირისა და იუმორის შესახებ

მაია იანტბელიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დიდი მწერლის ღირებულებრივი სისტემა სხვადასხვა ემანაციაში მჟღავნდება მის პოეზიასა თუ პუბლიცისტიკაში. საინტერესოა, როგორაა ის განფენილი ორ სხვადასხვა ტიპის აზროვნებაში (ლოგიკურსა თუ სახეობრივში) და როგორ ერწყმის ისინი ავტორის ლინგოპერსონაში. აქ საუბარია იმ იდეებზე, იდეალებზე, შეხედულებებზე, პრინციპებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის ცხოვრებას და რომლებიც ორ სხვადასხვა გამოხატვის ფორმაში, მაგრამ ერთიანობაში მოცემული საფუძვლად უდევს და ცხადყოფს მწერლის მსოფლმხედველობრივ კრედოს. ჟურნალისტიკა და ლიტერატურა სრულყოფს და აძლიერებს ერთმანეთს, ამიტომ ერთ-ერთის საფუძვლიანი შესწავლა გულისხმობს მეორის სპეციფიკის გათვალისწინებასაც.

ვაჟა-ფშაველა თავისი პუბლიცისტიკის სიმძაფრითა და მრავალფეროვნებით ილიას გვერდით დგას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველი ამ შემთხვევაში სხვადასხვა კატეგორიისაა საჭირო: თუ ვაჟას მხატვრული შემოქმედება, თავისი ექსპრესიულობით, გაუნათლებელი მკითხველისთვისაც გულშიჩამწვდომი და გათავისებულია, მისი პუბლიცისტიკა გამსწავლული მკითხველს მოიაზრებს, სოციალურ, ეროვნულ თუ ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკაში წვდომის უნარისა და ალღოს მქონეს...

საკვანძო სიტყვები: ღირებულებრივი სისტემა, პუბლიცისტიკა, ლინგოპერსონა, მსოფლმხედველობრივი კრედო, ცრემლიანი ირონია

შესავალი

მწერლის ღირებულებრივი სისტემის, შემოქმედებითი თუ მსოფლმხედველობრივი კრედოს გამოსავლენად მხატვრული სამყაროს გარდა, მისი პუბლიცისტიკის შესწავლაცაა საჭირო (ამ მხრივ ვაჟა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ფელეტონი, პამფლეტი, შენიშვნა, სტატია, კორესპონდენცია). მიუხედავად იმისა, რომ ვაჟას პუბლცისტიკაში ბევრი ისეთი ფაქტი და მოვლენაა აქცენტირებული, რომლებიც მის ნაწარმოებებში ნაკლებად გვხვდება, თემები და საკითხები მეტი სიმწვავითაა გაშუქებული, საერთო მწერლური აღქმისა და ტენდენციათა მხრივ აცდენა არაა და ეს, უდავოდ, მწერლის ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

ვაჟა-ფშაველა დიდი მოქალაქე და მოაზროვნეა არა მარტო ,,ალუდა ქეთელაურში", ,,სტუმარ-მასპინძელსა" თუ ,,გველის მჭამელში", არამედ საკუთარ სტატიებშიც, რომლებსაც იგი ათეული წლების განმავლობაში აქვეყნებდა თავისი დროის პერიოდულ გამოცემებში და, გარკვეულწილად, წარმართავდა

კიდეც ქართულ საზოგადოებრივ აზრს. არ შეიძლება მწერლის პუბლისცისტიკის იგნორირება მისი შემოქმედებითი კრედოს გარკვევისას. იმდენად ღირებულია ვაჟას ჟურნალისტური ნაღვაწი, რომელიც ერწყმის და ავსებს მის შედევრებს, უფრო სიღრმისეულად წარმოგვიდგენს გენიოსი პოეტისა და ჰუმანისტის შინაგან სამყაროს, რომ არაფრით არ შეიძლება ის მხატვრული შემოქმედების დანამატად გამოვაცხადოთ. ,,ვაჟას პუბლიცისტიკა გამოირჩევა თავსითავადობით. იგი დამოუკიდებელი სამყაროა, სადაც თავისებურად არის დანახული საგნები და მოვლენები, განსაზღვრული მიზნით და გარკვეული კონცეფციის საფუძველზე" [1, 201 – 202].

ძირითადი ნაწილი - ვაჟა-შაველას სამყარო ჰეროიკულია. მასში იშვიათად შევხვდებით მოცინარე, მხიარულ პერსონაჟებს, რადგან მწერალი ძველ ბერძენ ტრაგიკოსთა მსგავსად ერიდება კომედიურ ტიპაჟებს და თუ მაინც იშველიებს მათ, ისევ მკითხველის ტრაგიკული პათოსისგან შესვენების მიზნით, როგორც თუნდაც შექსპირი.

ასე რომ, ვაჟას სატირა და იუმორი სპეციფიკურია და უფრო მის პუბლიცისტურ ფელეტონებში გვხვდება, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებებში. დავით კლდიაშვილის არ იყოს, ვაჟას სიცილიც, ირონიაც ცრემლიანია, რომლითაც იგი ეთხოვება წარსულს, რომელიც ვეღარ ინარჩუნებს ძველ შინაარსს აწმყოს მიერ შეთავაზებულ ახალ ფორმაში და ეს დარღვეული ჰარმონია აღძრავს სიცილს. აი, მაგალითად, ვაჟას აზრით, ფშაური პოეზია ორ ნაწილად იყოფა - ძველი და ახალი დროისა. ძველ ლექსებში იდეალურობა, ვაჟკაცობა, ზნეობრივი სიმაღლეა, ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური სილამაზის შემკობა, მთლიანობით ჰარმონია, ესთეტიკური ფენომენი. აქ გამოყვანილია იდეალური ტიპები, ისეთები, როგორებიც უნდა იყვნენ ადამიანები. ახალი კი რეალიტურია და ,,მათში ჰკვნესის სატირული ნაღველი". მათში გამოყვანილი გმირები არიან ისეთები, როგორებიც არიან ადამიანები სინამდვილეში. ამიტომ აქ არის წუხილი (რომელიც ,,ცინიკობამდე მიდის") ადამიანის დაკარგულ ბუნებაზე, რომ ხალხურ თქმულებებში გაქრნენ დიადი ადამიანები და მათი ადგილი უფრო დაჩიავებულმა, სატირის ობიექტმა დაიკავა. ვაჟა წერს, რომ სატირას ბადებს ცხოვრების ცვლილება, ერთი წყობიდან მეორეში გადასვლა, როგორიც იყო მისი თანადროულობა. ამ ეპოქის თუნდაც ხალხური ლექსებისთვის დამახასიათებელია უკიდურესი იდეალიზმის შრწყმა უკიდურეს რეალიზმთან.

ვაჟა პირველი შეეხო სატირისა და იუმორის მნიშვნელობასა და ადგილს ფშაურ ხალხურ პოეზიაში. მან ჩაწერა და განიხილა ამ ჟანრის შესანიშნავი ნიმუშები. სატირისა და იუმორის გამოვლენის თვასაზრისით გასათვალისწინებელია ის, რომ ამ მხრივ განსხვავებაა საერთო ქართულსა და ადგილობრივს, ცალკეული კუთხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს შორის. ფშავ-ხევსურული პოეზიის ენა სპეციფიკურს ხდის ამ ნიმუშებს, ამიტომაცაა, რომ ისინი არ გავრცელებულა საქართველოს სხვა კუთხეებში. ფშავსა და

ხევსურეთს არ გაუვლია საზოგადოებრივი განვითარების ის საფეხურები, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებმა გაიარა. სატირისა და იუმორის განვითარების თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამ კუთხის პოეზიის ნიმუშებს და ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, როგორ ვითარდებოდა აღნიშნული ჟანრი საზოგადოების გავითარებასთან ერთად. როგორც ვაჟა გადმოგვცემს, მელექსეები ერთმანეთს აყვედრიდნენ პირად ნაკლოვანებებს, ყველგან ცნობილსა და გამოაშკარავებულს. თუ პირადი აუგი არ იყო, მოპირდაპირე მხარე ეძებდა მიზეზს საგვარეულოში, თუ საგვარეულოშიც არ იყო, მაშინ თემში, თუ თემშიც არ იყო, სოფელში. ვაჟა გვაცნობებს, რომ მისი ღვიძლი ბიძა პარასკევა პირველი მელექსე იყო ფშავში და ბევრი სატირული ლექსი შექმნა. დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე ,,ლექსობს". პარასკევას წერა-კითხვა არ სცოდნია, რომ წერილობით შემონახულიყო მისი ნაწერები, თუმცა ეს ლექსები დღემდე ცოცხალი და ცნობილია ღრმა იუმორით. პარასკევა არ ყოფილა ამ განსხვავებული კილოს, რიტმის ლექსების პირველშექმნელი. ვაჟა ასევე საუბრობს ორ ფშაველ მელექსეზე: მერცხალასა (გამიხარდიზე) და ჯაბანზეც. ვაჟა საგანგებოდ ჩერდება მერცხალას რეპერტუარზე, რომლის ძირითად თემატიკას ახალი ცხოვრება და კლასობრივი ჩაგვრა წარმოადგენდა. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ფშავში მერცხალას სატირული ლექსები მამასახლისზე, რომელსაც ამ უკანასკნელის ყურამდეც მიუღწევია, შეხვედრილან კიდეც მერცხალა და მამასახლისი და მერცხალაც ,,წაკაფიავებია".

ვაჟას ფელეტონებში, რომლებშიც გამხატვრულებით მიზნით ავტორი ხარ ერთი ფესვდონიმით გამოდის, ხან მეორეთი, ზოგადად, ქართული ლიტერა-ტურისთვის, კონკრეტულად კი, ,,თერგდალეულებისთვის" დამახასიათებელი ,,მართლის თქმის" პრინციპია - ,,ასეა თუ ისე, ჩვენ სიმართლეს მაინც ნუ ვუღალატებთ, სიმართლეც ვთქვათ, ცილს მოვერიდოთ, გადაჭარბებას, ჭირი გამოვააშკარაოთ, რადგან დაფარული, დამალული ჭირი უფრო მავნებელია, ვიდრე ნათქვამი და გამოცხდებული." [თიანური ფელეტონი, ტ. 9, გვ. 219-220] - ესაც ილიასეულია და ეს მჭრელი ირონიაც: ,,ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო". ქართველმა მეფელეტონემ და კორესპონდენტმა ეს ანდაზა კარგად უნდა დაიხსომოს, ღრმად ჩაიჭდიოს, ჩაინერგოს გულში, თორემ გაჭირდა საქმე: თუ სადმე რამ ნაკლი ჰნახე სოფლად, დაბად, ან ავი ხმა გესმა, უნდა თვალი მოარიდო და ყურიც მოიყრუო; უნდა ხმა-კრინტი არ დასძრა. იტყვი და, ვაი შენი ბრალი მაშინ!...ვისაც უფრო ბუბმბულიანი ცხვირი აქვს, უწინარეს ყოველთა და ყოვლისა, ის გაატანს წყალსა და ღვარს შენს ნათქვამ-ნაწერს. რით და როგორ? დაგაბრალებს პირადობას, მორჩა და გათავდა. შეიძლება გულუბრყვილო მკითხველი კიდევაც დაითანხმოს, ჩაითრიოს"[იქვე].

ვაჟა დიდი რეალისტია, კარგად ხედავს, როგორ ირღვევა ადამიანთა მაღალზნეობრივი იდეალები, ამიტომ მისი სატირის ობიექტიც სწორედ ცივილიზაციის სამოსელში შენიღბული ადამიანთა ზნეობრივი, სულიერი

დეგრადაციაა. ვაჟა დიდი ჰუმანისტია და ის არასდროს იქნება ღვარძლიანი, დამცინავი მოვლენასთან თუ ადამიანთან მიმართებით, ის წუხს, რომ გარკვეულ გარემოებებში სასაცილო ხდება ბუნების საუკეთესო ქმნილება -ადამიანი. ამიტომ ვაჟას სიცილი, სატირა თუ იუმორი ნაღველთან წილნაყარია, რაც არ უნდა წარმოუდგენელი იყოს ტრადიციული გაგებით ეს ტანდემი. აქ შემამსუბუქებელი მისი პუბლიცისტიკის მხატვრულობაცაა, რომელიც არაფრით უშლის ხელს მის რეალისტურობას. აი, როგორ წარმოგვიდგენს მწერალი სტატსკი სოვეტნიკის აზრებს მისივე პირით, მის ,,ტრფობას" ბიუროკრატიისადმი, ოღონდ ისე, რომ შეფარულად, მაგრამ აშკარად ჩანს მწერლის პოზიცია ამ ირონიის მიღმა: ,,რასაც მიბრძანებდნენ, სიტყვის შეუბრუნებლად ვასრულებდი: ,,დაწერე!" - მზად იყო. ,,დაჰკა!" - მზად იყო. ,,დაიჭი!" - მზად იყო. ასე ამგვარად, დღეს კაცი დეის-ტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გახლავარ, ქვეყანა კაცს მეძახის და ხელმწიფის ,,პენსიაცა" და ორდენებიც მაქვს" [ბიუროკრატის ჩივილი, ტ. 9, გვ.251].

ვაჟას აზრით, იუმორის გაგება თავისებურ ნიჭსა და უნარს საჭიროებს, ამიტომაც მისი შეგრძნების უნარი ყველას არ აქვს ან შეგნება არ ჰყოფნის. იუმორის სირთულეშიცაა საქმე, რადგან იგი მოითხოვს მკითხველის შინაგანი კულტურის გარკვეულ დონეს. სატირა უფრო უმოწყალოა ცხოვრების მახინჯი მოვლენებისადმი, ამიტომ ვაჟას აღიარებული გულმოწყალებიდან გამოდინარე, მის სატირას ტრადიცული სიმძაფრს აკლია, შეიძლება, მასთან სატირა, როგორც კრიტიკის უკიდურესი ფორმა, არცაა, უფრო იუმორია და გონებამახვილური მხატვრულობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვაგვარად ამხელს ნაკლს ვაჟა მხატვრულ ნაწარმოებებში და სხვაგვარად - პუბლიცისტურ წერილებში. ამ უკანასკნელში მეტია სიმახვილე და სიმძაფრე - ,,გაბრაზება იქამდინ მივიდა, რომ ერთმა მოხელემ თამამად გამოცხადა - ეგ ვიღაცა მგელა ხინკალჭამიაშვილია, გაჩერდესო, თორემ თვით ,,დროების" რედაქციაში გავბერტყამო...გესმის?.. რედაქციაში გავბერტყამო?! საწყალობელი...მეტადრე მანდილოსნები უფრო ძლიერ განრისხდნენ. სულ ქოქოლას აყრიდენ საწყალ მგელას. უზრდელიაო, ,,ნევეჟდა" არისო, იმეორებდენ ჩვენი ,,შლაპოსნები". მითომ რაო, რომ მთელი ღამე ქაღალდს ვთამაშობთ, მაშ რა უნდა ვაკეთოთო...მეხი კი დაასკდა მაგასა ვიღაც მგელა არისო...(ხომ მოგეხსენებათ, ჩვენმა მანდილოსნებმა ყველაფერი ქართული განუტევეს და მარტო ქართული ქოქოლა და წყევლაღა დაიცვეს." [ხმა მთიდამ, ტ. 10, გვ. 43-44] - მგელა თავად ვაჟა-ფშაველაა. მწერალი, რომელიც ყველაფერს დიდი ჰუმანისტის თვალით უყურებს, იუმორშიც დელიკატურია, სიცილს წარმოადგენს, როგორც ესთეტიკას, მისთვის უცხოა თუნდაც სულმდაბალთა და სუსტთა ქირდვა და შეურაცხყოფა, თუმცა დაუფარავად ამხელს ნაკლს, აკრიტიკებს, მისი გულისწყრომა კეთილშობილურია: ,,ღმეთმა დალოცოს თიანური ინტელიგენტი მაშინ, როდესაც ,,რეჩს" ამბობს. ,,რეჩები", და ,,რეჩები", მერე რა ,,რეჩები". ყველაფერზე ,,რეჩებს" ამბობენ ესენი...თითქმის კალმახსაც არ სტოვებენ ისე, რომ ქება-დიდება არ მიუძღვნან. სადილზე თითო

პირი ათჯერ სიტყვას ამბობს და ნეტავი ერთს საქმეს მაინც აკეთებდეს"[სოფელი თიანეთი, ტ. 10, გვ. 50].

დასკვნა - ვაჟა-ფშაველა იმხელა მოვლენაა, რომ ცალკე უნდა გამოიკვლიოს კაცმა მისი შემოქმედების სხვადასხვა მხარე. ჩვენ აქ განხილული მეტად სპეციფიკურსა და საინტერესო საკითხის მხოლოდ ზოგიერთი ნიუანსი წარმოვაჩინეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტაბიძე ნ., წერილები მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობის შესახებ, ,,საბჭოთა საქართველო", თბ., 1978.
2. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, ,,საბჭოთა საქართველო", თბ., 1964.
3. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, ,,საბჭოთა საქართველო", თბ., 1964.
4. ევგენიძე ი., ვაჟა–ფშაველა, ,,თსუ გამომცემლობა" 1989.

Vazha Pshavela about humour and satire

Maia Iantbelisdze, PhD student

Georgian Technical University

Summary

The value system of a great writer is manifested in his poetry or publications in various emanations. It is interesting how it is extended in two different types of thinking (logical or specific) and how they fit into the author's lingo-person. Here we are talking about the ideas, ideals, views and principles that underlie human life and show the writer's ideological credo in two different forms of expression, but in unity. The journalism and literature improve and reinforce each another, so a thorough study of one of them means to take the specifics of the other into account.

Vazha-Pshavela stands alongside Ilia with the intensity and diversity of his publicism. However, it should be noted that the reader of a different category is required in this case: if Vazha's artistic creativity, with its expressivity, is pathetical for an uneducated reader, his publications consider the educated reader having an intuition and an ability to access to social, national or human problems.

Key words: The value system, publications, lingo-person, ideological credo, Irony full of tears.

რეკლამა, როგორც ბრძოლის იარაღი, Coca-Cola vs Pepsi-ს მაგალითზე

ელენე კაკაბაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში „რეკლამა, როგორც მარკეტინგული ბრძოლის იარაღი, Coca-Cola vs Pepsi-ს მაგალითზე“, გადმოცემულია რეკლამის ცნების განსაზღვრება, რეკლამის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა, სხვადასხვა საკომუნიკაციო, მედია არხების განვითარებასთან ერთად. საუბარია, პირველი სარეკლამო სააგენტოს წარმოქმნის მცდელობაზე. განხილულია, Coca-Cola -ს და Pepsi -ს ბრენდების ისტორია, მათი დაარსებიდან ბოლო ათწლეულამდე. მოცემულია ორი ბრენდის კონკურენციის ისტორიის მიმოხილვა, როგორ მოქმედებდნენ ბრენდები მეორე მსოფლიო ომის დროს და შეაჩერეს თუ არა მათ ამ პერიოდში მარკეტინგული კომუნიკაცია. აქვე წარმოდგენილია ბრენდების სხვადასხვა დროის კონცეფციებიდან გამომდინარე, შესაბამისი რამდენიმე საკომუნიკაციო მესიჯი. მოთხრობილია Coca-Cola -სა და Pepsi -ს მიერ ბაზრის გადანაწილების შესახებ და მოყვანილია მაგალითები ბრენდების მარკეტინგის ისტორიიდან, ლოიალური მომხმარებლების ჩართულობაზე და ამ ჩართულობის მნიშვნელობაზე.

საკვანძო სიტყვები: „რეკლამა“, „მარკეტინგული კომუნიკაცია“, „მარკეტინგული ომები“, „პეპსი“, „კოკა-კოლა“, „სლოგანები“.

შესავალი

სიტყვა რეკლამა ლათინური „Reclamo“ -დან მოდის, რაც ნიშნავს „წამოვიყვირებ“. ერთ-ერთი პირველი სარეკლამო კამპანიებად ქალაქის მაცნეების მიერ (ასე ეწოდებოდა ადამიანებს, რომლებიც ქუჩაში სიახლეებს და სარეკლამო სახის განცხადებებს გაყვიროდნენ) პროდუქტების შესახებ საინტერესო სიახლეების მოყოლა შეიძლება მივიჩნიოთ.

პირველი სარეკლამო ხასიათის აქტივობები ისტორიულად მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გვხვდება, რაც აშშ-ში და სხვა ქვეყნებში სამეწარმეო ბუმის პერიოდს უკავშირდება. თავდაპირველად, როდესაც მეწარმეები განსაკუთრებულ ყურადღებას შექმნილი პროდუქციის ხარისხსს უთმობდნენ და თან მოთხოვნა მიწოდებაზე გაცილებით მეტი იყო, რეკლამას უმნიშვნელო, მხოლოდ საინფორმაციო სახე ჰქონდა. თუმცა ნელ-ნელა წარმოების განვითარებამ, საწარმოების რაოდენობის გაზრდამ და კონკურენტული გარემოს შექმნამ, სარეკლამო კომუნიკაციის ფუნქცია მნიშვნელოვნად შეცვალა და მას მომხმარებლის მონუსხვის, დაინტერესების, ქმედებისკენ ბიძგის მიმცემის ფუნქცია დააკისრა.

ძირითადი ნაწილი

რეკლამის პირველ გამოვლინებებს, უძველეს ეპოქაში, პირამიდების ხანამდე მივყავართ. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტელები იყენებდნენ პაპირუსებს სავაჭრო შეტყობინებების თანამედროვე ენაზე კედლის პოსტერების გასაკეთებლად. ასევე დუქნის და მაღაზიების აღმნიშვნელი და სახლებზე საქმიანობის გამომხატველი (მეწაღე, მკერავი) წარწერები ე.წ. გარე რეკლამის, ბილბორდების პირველყოფილ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ის წარწერები, რომლებიც თან შესაბამისი გამოსახულებით იყო გაფორმებული, მაგალითად მეწაღის შემთხვევაში - ფეხსაცმელი, თერძის შემთხვევაში - მაკრატელი და ა.შ.

ბეჭდვური მასალის გაჩენამ და წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებამ გამოიწვია რეკლამის კიდევ ერთი სახეობის - ბეჭდური რეკლამის განვითარება. პირველი ბეჭდური რეკლამა XVII საუკუნით თარიღდება და ინგლისის გაზეთებში მოიპოვება, მათი შინაარსი ძირითადად წიგნების ან გაზეთების რეკლამირება იყო.

განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა რეკლამა XIX საუკუნეში. ამ პერიოდში აშშ-ში ფეხს იდგამს და წარმატებით ვითარდება ელ-ფოსტის ტიპის რეკლამები. 1836 წელი კი პირველი კომერციული რეკლამის განთავსების წელია. ივნისში, ფრანგულმა გაზეთმა "La Presse" რეკლამის ისტორიაში პირველად განათავსა ე.წ. ფასიანი რეკლამა, რამაც სწრაფად მოიპოვა პოპულარობა.

დღემდე პირველი სარეკლამო სააგენტოს ტიტული სადაოა. ამ წოდებისთვის ერთმანეთს რამდენიმე კომპანია ედავება. ერთი ვერსიით პირველად ტერმინი „სარეკლამო სააგენტოს" გამოყენებას Volney Palmer -ს უკავშირებენ, რომელმაც სწორედ პირველი სარეკლამო სააგენტო დააარსა ფილადელფიაში, 1841 წელს, თუმცა თავისი შინაარსით ის უფრო საგაზეთო სააგენტოს წარმოადგენდა.

პირველი რადიო სადგურების გაჩენასთან ერთად 1920 -იან წლებში, ჩდება პირველი გასაყიდი რადიო პროგრამებიც. ამ პერიოდში მთავარ სარეკლამო არხებს: პრესა (გაზეთები, გარე რეკლამა (ქუჩის კედლებზე გაკრული პოსტერები) წარმოადგენდნენ. მოგვიანებით, XX საუკუნის ბოლო ოცწლეულში ყველაზე პოპულარული სარეკლამო არხები ტელე და რადიომაუწყებლობაა.

დიჯითალ ტექნოლოგიების განვითარებამ სარეკლამო სივრცეში გლობალური გადატრიალება მოახდინა და ახალი, სრულიად განსხვავებული მედია არხი და სარეკლამო მიმართულება შექმნა. ეს არის სფერო, რომელიც ყოველდღიურად იცვლება და გვთავაზობს სიახლეებს, როგორც რეკლამის განთავსების მიმართულებით, ასევე მომსახურების სფეროში. სივრცე - საზღვრების გარეშე, სადაც შესაძლებელია ერთდროულად სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის

და სამიზნე ჯგუფის მოცვა. დიჯითალ მარკეტინგი მუდმივად დინამიური, მრავალფეროვანი და განვითარებადი მიმართულებაა.

შესაბამისად, თანამედროვე რეალობაში მართალია არ შეცვლილა კონკურენტული გარემოს ძირითადი პრინციპი - ბრენდი გახდეს პოპულარული და მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ლოიალური მომხმარებელი, მაგრამ ამასთან ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის არხების განვითარებამ კონკურენტულ ბრენდებს შორის ბრძოლა გახადა ბევრად უფრო კრეატიული და საინტერესო, როგორც ბრენდის მხარეს მომუშავე ადამიანებისთვის, ასევე მომხმარებლისთვის.

მაგალითის სახით შეგვიძლია განვიხილოთ, ორი ყველასთვის საყვარელი და ცნობილი მსოფლიო ბრენდის - Coca-Cola -ს და PepsiCo –ს (Pepsi) მარკეტინგული აქტივობები.

ამ ორი ბრენდის ისტორია კვლავ XIX საუკუნეში გვაბრუნებს. Coca-Cola 1886 წელს, ატლანტელი (აშშ) ფარმაცევტი John Stith Pemberton -ის მიერ შეიქმნა. ზუსტად 12 წლის მერე, ფარმაცევტმა ნიუ-ბერნიდან (აშშ) Caleb Bradham -მა შეიმუშავა მატონიზირებელი სასმელი Brad's Drink (ბრედის სასმელი), მოგვიანებით იგივე Pepsi. XIX საუკუნის ბოლოს XX საუკუნის დასაწყისში ორივე სასმელმა საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა. 1899 წელს აშენდა პირველი Coca-Cola -ს ქარხანა, დაიწყო სასმელის მინის ბოთლში ჩამოსხმა და Coca-Cola -მ აშშ-ს ფარგლებს გარეთ ექსპორტი განახორციელა. Pepsi -მ მინის ბოთლში ჩამოსხმა მხოლოდ 1904 წლიდან დაიწყო და ძალიან მალე მთელი ქვეყნის მასშტაბით 250 -ზე მეტი საწარმო გახსნა.

ამ ორ ბრენდს შორის მარკეტინგული ომის დაწყება, XX საუკუნის 20-იანი წლებს უკავშირდება. 1928 წელს Coca-Cola იწყებს აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას და ოლიმპიური თამაშების სპონსორი ხდება (2018 წელს ბრენდმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობის 90 წლის იუბილე აღნიშნა). რამდენიმე წელიწადში კი Haddon Sundblom –მა Coca-Cola -ს „წითელლოყება" სანტა-კლაუსის პერსონაჟი შექმნა.

ამასობაში, XX საუკუნის დიდი დეპრესიის პერიოდში, Pepsi უშვებს Coca-Cola -ზე ორჯერ უფრო დიდ Pepsi -ს ბოთლს, იგივე ფასად, ძირითადი მესიჯით: „ორჯერ მეტი იგივე ფასად". Pepsi -ს ეს მარკეტინგული ნაბიჯი კომპანიისთვის წარმატებული აღმოჩდა. აღსანიშნავია, რომ დღემდე Pepsi პერიოდულად მიმართავს ხოლმე მსგავსს ნაბიჯს და სასმელს 0,5 ბოთლის მაგივრად მომხმარებელს იგივე ფასად 0,6 -ში ჩამოსხმულს სთავაზობს.

Pepsi -ს ეს წარმატება არ გამორჩენია Coca-Cola -ს და 1938 წელს მან Pepsi -ს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, სადაც Pepsi -ს სიტყვა „Cola" -ს უკანონო გამოყენებაში სდებდა ბრალს. სასამართლომ Coca-Cola-ს სარჩელი არ დააკმაყოფილა და ამით ბრენდებს შორის 3 წლიანი „ოფიციალური

ომი“ (სასამართლო პროცესი) დასრულდა, თუმცა ორ კონკურენტს შორის მარკეტინგულმა ომმა „არაოფიციალურად“ აქტიურ ფაზაში შესვლა მხოლოდ ახლა დაიწყო.

ბრძოლა არც მეორე მსოფლიო ომის დროს შეჩერებულა, პირიქით ბრენდები მოერგნენ პოლიტიკურ ვითარებას და შესაბამისი სარეკლამო კონცეფციები შემოგვთავაზეს. მაგალითად, ყველას ვინც სამხედრო ფორმაში იქნებოდა გამოწყობილი, Coca-Cola -ს შეძენა მხოლოდ 5 ცენტად შეეძლო, ამასობაში კი Pepsi მთლიანად ამერიკის დროშის ფერებში (ლურჯი, თეთრი, წითელი) შეიმოსა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ბრენდების მიერ გავლენის სფეროების გადანაწილების დრო დადგა. Coca-Cola-მ და Pepsi -მ აქცენტი ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე შეაჩერეს. თუ Coca-Cola თავიდანვე პოზიციონირებდა, როგორც ბრენდი, რომელიც ტრადიციული, მეოჯახე ადამიანების საყვარელ სასმელს უშვებს, Pepsi -მ არჩევანი ახალგაზრდებზე გააკეთა, Pepsi -ს როგორც ახალგაზრდული, ენერგიული ბრენდის კონცეფციის სლოგანები სხვადასხვა დროს ასე ჟღერს: “Now It’s Pepsi for Those Who Think Young” (1961–1964);

“Come Alive, You’re in the Pepsi Generation” (1964–1967);

“Pepsi. The Choice of a New Generation” (1984–1988 და 1990-1991);

“Pepsi. A Generation Ahead” (1989);

“Be Young, Have Fun, Drink Pepsi” (1992-1993);

“Generation Next” (1997-1998);

“For Those Who Think Young”/”The Joy of Pepsi-Cola” (1999-2000);

“Why You Doggin’ Me”/”Taste the one that’s forever young” (2006-2007)

“More Happy”/”Taste the one that’s forever young” (2007-2008) და ა.შ.

ამ დროს Coca-Cola აგრძელებს ტრადიციულ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე აქცენტირებას და ბაზრის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს, თუმცა Pepsi არ ჩამორჩება და მას მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს, არა მხოლოდ აშშ-ს ბაზარზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ორ ბრენდს შორის ბრძოლა უკვე საერთაშორისო ბაზრების მოსაპოვებლად გრძელდება.

1985 წელს Coca-Cola ტრადიციული რეცეპტისგან განსხვავებულ რეცეპტს შეიმუშავებს და Pepsi -სთან მიახლოვებული გემოს მქონე ახალ პროდუქტს, New Coke -ს გამოუშვებს.

Coca-Cola -ს ამ ნაბიჯმა მომხმარებელში საკმაოდ დიდი ნეგატივი გამოიწვია, ისინი Coca-Cola -ს ძველი გემოს დაბრუნებას ითხოვდნენ და ამ მოთხოვნით „ძველი Coca-Cola-ს მოყვარულთა ორგანიზაციაც“ კი დააარსეს, რომელმაც მწარმოებელ კომპანიას გემოს ცვლილების გამო სასამართლოშიც კი უჩივლა. New Coke, Coca-Cola -ს მიერ სასწრაფოდ იქნა წარმოებიდან მოხსნილი, თუმცა ამ ნეგატიურმა ისტორიამ Coca-Cola -ს პოპულარობა და სასმელისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა. Coca-Cola კვლავ ლიდერია. Coca-Cola -ს სლოგანები

ისტორიულად შემდეგ ტრანსფორმაციას განიცდიან (განსახილველი სლოგანები აღებულია დაახლოებით 10 წელიწადში ერთი პერიოდულობით): “Drink Coca-Cola” (1886)

“Delicious and Refreshing” (1904)

“Around the Corner from Everywhere” (1927)

“Ice Cold Sunshine” (1932)

“The Only Thing Like Coca-Cola is Coca-Cola Itself” (1942)

“What You Want is a Coke” (1952)

“Things Go Better with Coke” (1963)

„Coke Adds Life“ (1976)

„America’s Real Choice“ (1985)

„You Can’t Beat the Real Thing“ (1990)

„Always Coca-Cola“ (1993)

„Open Happiness“ (2009)

ამასთან, PepsiCo არ ნებდება და ათას ცხრაას ოთხმოცდაათიან წლებში ბრენდის ვიზუალურ სტილს და სლოგანს ცვლის: წითელი, თეთრი და ლურჯი ფერიდან, მხოლოდ ლურჯ ფერს იტოვებს და ახალი სლოგანით გამოდის - “Change The Script” „პეპსი ცვლის სცენარს“ (1996).

კიდევ ერთი ბრძოლის ველი Coca-Cola -ს და Pepsi -ს შორის 1996 წლის ატლანტის, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დროს გაიმართა. როგორც უკვე აღვნიშნეთ ყველასთვის ცნობილია, რომ Coca-Cola ტრადიციულად ოლიმპიური თამაშების სპონსორია. სწორედ ამ დროს ამთხვევს Pepsi თავის ვარსკვლავურ ტურნეს - მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით იწყებს ტურნეს მსოფლიოს დედაქალაქებში. გამოდის, რომ ერთი მხრივ ოლიმპიური თამაშების ფარგლებში, Coca-Cola -ს მასშტაბური რეკლამირება მიმდინარეობს და მეორე მხრივ ვარსკვლავური ტურნეს ფარგლებში Pepsi -ს რეკლამას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქში, მსოფლიოს ისეთი ვარსკვლავები უკეთებენ, როგორებიცაა: სინდი კროუფორდი, კლაუდია შიფერი, ანდრეა აგასსი და სხვები. ამასთან Pepsi ახერხებს, რომ მისი ახალი სლოგანი ორბიტაზე მყოფი კოსმონავტების მიერაც კი იყოს გაჟღერებული. შედეგად, Pepsi კვლავ უახლოვდება გაყიდვების რაოდენობით Coca-Cola -ს, მაგრამ კვლავ მხოლოდ მეორე ადგილზე რჩება.

დღესაც, ამ ორ ბრენდს შორის მარკეტინგული ბრძოლა აქტიურად გრძელდება. Pepsi კვლავ ახალგაზრდული, ენერგიული ბრენდის იმიჯს ინარჩუნებს და სულ უფრო მეტ ყუარდღებას ახალგაზრდებს, სპორტის თუ კინო ვარსკვლავებს უთმობს, მაშინ როდესაც Coca-Cola კვლავ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ასოცირდება: ოჯახი, ოჯახური სითბო და სიმყუდროვე, შობა და ა.შ. ბრძოლა გრძელდება, Pepsi -ს მარკეტინგული კამპანიები, სულ უფრო

კრეატიულია, საინტერესოა რომელი ბრენდი რამდენ ხანს შეინარჩუნებს ლიდერობას და ვინ უფრო მეტჯერ იქნება ბაზრის ლიდერი Coca-Cola თუ Pepsi?

დასკვნა

Coca-Cola -სა და Pepsi -ს შორის მარკეტინგული ომი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დიდი ხანია მხოლოდ „საჩვენებელი" ხასიათის მატარებელია, რადგან ამ ორმა გიგანტმა ბრენდმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გადაინაწილა სეგმენტი და თავის სეგმენტში უპირობო ლიდერია. თუმცა ეს მხოლოდ ვერსიაა და ბაზრის პირველობისთვის ბრძოლა არასოდეს შეწყვეტილა. ამ ორ ბრენდს განსხვავებული ბრძოლის მეთოდები აქვთ. აგრესიული, შემტევი სტრატეგიით Pepsi გამოირჩევა. პრინციპში, Coca-Cola როგორც წესი იგნორით პასუხობს Pepsi -ს ყველა მის წინააღმდეგ მიმართულ მარკეტინგულ კამპანიას. თუმცა აღსანიშნავია ერთ-ერთი ბოლო დროინდელი, კერძოდ 2013 წლის Pepsi vs Coca-Cola -ს „ჰელოუინის" სოციალური მედიის კამპანია, სადაც Pepsi -მ თავისი Facebook - ის გვერდზე მომხმარებლებს „ჰელოუნი" შემდეგი შინაარსის ვიზუალით მიულოცა: „გისურვებთ საშიშ „ჰელოუინს". Pepsi" და Pepsi -ს რკინის ბოთლი Coca-Cola -ს მოსასხამით შემოსა. ცნობილია, რომ Coca-Cola -ს ამაზე ოფიციალური პასუხი არ გაუცია, თუმცა სოციალურ მედიაში გამოჩდა ზუსტად იგივე ვიზუალი წარწერით: „ყველას უნდა იყოს გმირი. Coca-Cola". ერთ-ერთი ვერსიით ეს ვიზუალი Coca-Cola -ს ერთ-ერთი ფანის შექმნილია. ამ ორი ბრენდის და არა მხოლოდ მათ მაგალითზე შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ბრენდების მარკეტინგულ ომებში ხშირად მათი ლოიალური მომხმარებლებიც აქტიურად ერთვებიან. კონკურენტული გარემოს უგულვებელყოფა, არც ერთი ბრენდისთვის არის დადებითი ცვლილებების მომტანი. რაც არ უნდა პოპულარული იყოს ბრენდი და რაც არ უნდა ბევრი ლოიალური მომხმარებელი ყავდეს, არააქტიურობა, კონკურენტების თუ ბაზრის მოთხოვნის არ გათვალისწინება მათი მხრიდან მიუღებელია, რაც ძალიან კარგად ესმის ნებისმიერ წარმატებულ ბრენდს, მათ შორის რა თქმა უნდა, პირველ რიგში Coca-Cola -ს თუ Pepsi -ს.

მარკეტინგული ომების ნიშნები, კონკურენტული გარემოს გაჩენასთან ერთად იკვეთება და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს და გაგრძელდება კიდეც. იცვლება მხოლოდ საკომუნიკაციო არხები, რაც ამ ბრძოლებს კიდევ უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის.

ერთი რამ ცხადია, მიუხედავად იმისა, თუ ამ ორი ბრენდიდან, რომელი მათგანი რამდენჯერ მოიგებს მარკეტინგულ ბრძოლას და რამდენ ხანს იქნება ლიდერის პოზიციაზე, Coca-Cola -საც და Pepsi -საც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ლოიალური მომხმარებლების უზარმაზარი ჯარი ყავთ და მათ მიერ მოგებული გულების რიცხვი დღითიდღე იზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ამსტრონგი, ფ. კოტლერი, „მარკეტინგის საფუძვლები“, თბილისი, 2007
2. ჩარიტა ჯაში, ელისაბედ ხახიტაიშვილი, „რეკლამა და სტიმულირება“, 2012 წ.
3. Marketing Warfare By Al Ries, Jack Trout Paperback – 1987
4. D. Ogilvy, Advertising, 2005
5. PCMA Journal of Business, Vol.1, No.1 (December, 2008) 80-101
6. ინტერნეტ საიტები: https://www.history.com/news/cola-wars-pepsi-new-coke; https://www.next-brands.com/coca-cola-i-pepsi-cola-vojna-b rendov.

Advertising, as a weapon in marketing war, based on the example of Coca-Cola vs Pepsi

Elene Kakabadze, PhD student
Georgian Techvnical University

Summary

Article “Advertising, as a weapon in marketing war, based on the example of Coca-Cola vs Pepsi”, represents the definition of advertising and short overview of advertising development together with the different communication and media channels. The article also tell us about the first tries of establishing Advertising agency. Here you can find the overview of Coca-Cola and Pepsi brands’ history from the beginning till the last decades. It give us some interesting facts about their communication strategies during the Second World War and different communication messages used by the brands within various communication concepts in different years.

Here we can find how brands deal with market segmentation and some stories about loyal customers’ contribution in brand’s marketing communication.

Tags: “Advertising“, “Marketing communications“, “Marketing Wars“, “Pepsi“, “Coca-Cola“, “Slogans“.

ტრადიციული ჩინური ოჯახი

ალექსანდრა ლატარია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ტრადიციული ჩინური ოჯახი ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური თემაა, ამ თემაზე საინტერესო მოსაზრებები გააჩნია ჩინელ სოციოლოგებს, ფილოსოფოსებს და ისტორიკოსებს.

ტრადიციული ჩინური ოჯახის წევრების რაოდენობა განსხვავდება თანამედროვე ოჯახის წევრების რაოდენობისგან, თუ ძველად ოჯახი 19-20 წევრისგან შედგებოდა, დღეს ეს რიცხვი შემცირებულია 4-8 წევრამდე.

შეცვლილია ქორწინების ტრადიციაც და წეს-ჩვეულებებიც. წამოიწია ქალის კულტმაც. ძველ ჩინეთში რძალს ოჯახში არანაირი უფლებები არ ჰქონდა, მისი მთავარი ფუნქცია იყო სახლის საქმეები. თანამედროვე ოჯახებში ქალს დიდ პატივს სცემენ.

რამდენიმე ჩინური ტრადიცია, საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა. ჩინელები დღემდე ცდილობენ აღნიშნონ დღესასწაულები სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად და მაქსიმალურად დაიცვან ტრადიციები რაც ძველად ახასიათებდა ჩინეთს.

საკვანძო სიტყვები: ტრადიცია, ოჯახი, კონფუცი, ქორწინება, მემკვიდრეობა

შესავალი

ჩინეთში ოჯახის წევრების პირადი საკუთრება ეს იყო ოჯახის დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც დარჩა იმპერიის დაცემის შემდეგაც, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამდე. მაგ. შანტუნის პროვინციის სოფლებში ოჯახის ნივთები ეკუთვნოდა ოჯახის ყველა წევრს, პირადი ნივთები არცერთი ოჯახის წევრის არ იყო ცალ-ცალკე. დასაქოწინებელ ვაჟს ჰქონდა მხოლოდ თავისი ტანსაცმელი, თუმცა იმ შემთხვევაში თუ ის დასჭირდებოდა მის უმცროს ძმებს, შეეძლოთ გამოეყენებინათ უპრობლემოდ[1] .

იანგ ცინგქუნი - ჩინეთში დაბადებული ამერიკელი სოციოლოგია, ის წერდა რომ, კუანტუნის ერთ-ერთ სოფელში, მიწა, სახლი, ინსტრუმენტები, ფული და სხვა ქონება იყო მთელი ოჯახის საკუთრება, მაგრამ მას განკარგავდა მხოლოდ ოჯახის უფროსი. ოჯახის გაყოფის შემთხვევაში მემკვიდრეობა ეკუთვნოდა მხოლოდ ვაჟიშვილებს, საკუთარს და ნაშვილებს. 1930 წელს მიიღეს კანონი, სადაც ქალიშვილებსაც ჰქონდათ მემკვიდრეობაზე უფლება, თუმცა ამ კანონს არ იცავდნენ არათუ სოფლებში, უმეტეს ქალაქებშიც კი. [2]

[1] Yang M.C. A Chinese village: Taitou, Shantung province. N.Y., 1945.
[2] Yang C.K. A Chinese village in early communist transition. Cambridge (Mass.), 1959.

ოჯახის საერთო საკუთრება იყო მისი ყველა წევრის შემოსავალი, მათ შორის იმათიც, ვინც სოფელში ვერ პოულობდა სამუშაოს და იძულებული იყო დაეტოვებინა დიდი ხნით ოჯახი და წასულიყო შორს სამუშაოდ. ოჯახის გარეთ მცხოვრები ოჯახის წევრები სახლში აგზავნინდნენ თავიანთ მთელ შემოსავალს და იტოვებდნენ თავისთვის მხოლოდ საარსებო მინიმუმს და ამ ნაწილს მათ სულ უკონტროლებდნენ უფროსი ძმები და ოჯახის უფროსი. [1]

ვაჟიშვილების შემოსავალი ხშირად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ ეს არანაირად არ ეტყობა არც ცოლს და არც შვილებს. იმ შემთხვევაშიც თუ ერთ-ერთი ძმა უფრო მეტს გამოიმუშავებდა ვიდრე სხვები, მას არ შეეძლო უკეთესი ცხოვრების პირობები შეექმნა თავისი ცოლისა და შვილებისთვის ან უკეთესი ტანსაცმელი ეყიდა მათთვის, რადგან ის თვითონ ვერ განკარგავდა საკუთარ ფულს. იმდროინდელი კანონის თანახმად : «ოჯახის ყველა ახალგაზრდა წევრი, რომელიც ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ სხვებთან ერთად და უხუცესთა ნებართვის გარეშე ისარგებლებს ოჯახის ქონებით, დაისჯება ძალის გამოყენებით მის მიმართ“. [2]

ძირითადი ნაწილი

ტრადიციული ჩინური ოჯახის სტრუქტურის აღწერისას სიდიხმენოვი აღნიშნავდა : “ ჩინური ოჯახი ეს იყო ერთი დიდი საზოგადოება, რომელიც შედგებოდა ხუთი ან ექვსი უფრო პატარა პატრიარქალური ოჯახებისგან. მათ ჰქონდათ ერთი საერთო მეურნეობა, სოფელში ოჯახის ყველა წევრი შრომობდა საერთო მიწაზე, ქალაქში, როგორც წესი კაცებიც ერთი და იგივე საქმიანობით იყვნენ დაკავებულები”.

სიდიხმენოვი აღწერს „ოჯახს“ როგორც სხვა „ოჯახების“ შემადგენელ ნაწილს. ის თავის წიგნში იყენებს სახელწოდებას „დიდი ტრადიციული ოჯახი“. ამ შემთხვევაში ის გულისხმობს მთლიანად საზოგადოებას, ცალკეულ ადგილას ის აღწერს „ძია“-საც, როგორც პატარა ოჯახის აღმნიშვნელს. [3]

ზოგიერთმა მკვლევარმა მხარი დაუჭირა ოჯახის კონფუციურ პრინციპებზე დაფუძნებას, სხვები მკვეთრად აკრიტიკებდნენ კონფუციზმის იდეოლოგიას. [4]

ჩინეთი ყოველთვის ცდილობდა გაეზარდა ოჯახის სტატუსი საზოგადოებაში. ოჯახს ძალუძს ამა თუ იმ ხარისხით იმოქმედოს საზოგადოებაზე, დაარეგულიროს სწრაფად მზარდი ინდივიდუალიზმი, ასევე ხელი შეუწყოს მომავალი თაობის კულტურული ნორმებისა და ღირებულებების შენარჩუნებასა და გადაცემას.

[1] Kulp D.H. Country life in South China. The sociology of familism. Vol. 1. Phoenix village, Kwangtung, China. N.Y., 1925.
[2] Яшнов Е.Е. Очерки китайского крестьянского хозяйства. Харбин, 1935.
[3] Сидихменов В.Я., Китай: страницы прошлого. Смоленск, 2000, с. 335.
[4] Тянь Фэн. Жизненный цикл современной китайской семьи. – Пекин, 2011. – 242 с.

ყველა ნათესავი იყოფოდა ორ კატეგორიად: ნათესავები შიდა ხაზით და ნათესავები გარე ხაზით.[1] ნათესავები შიდა ხაზით აღნიშნავს ნათესავებს მამის ხაზიტ, ხოლო გარე ხაზით აღნიშნავს ნათესავებს დედის ხაზით.

ჩინურ ოჯახში ძალაუფლება ეკუთვნოდა ყველაზე უფროს მამაკაცს, მისი სიკვდილის შემთხვევაში კი უფროს ვაჟიშვილს ან ყველაზე უფროს ქალს. [2] უმცროსი ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ უფლებები, მათ ჰქონდათ სხვადასხვა ვალდებულებები.

ასაკიან ადამიანებს ჩინეთში ჰქონდათ სტატუსი და უფროსების მიმართ მოწიწება-პატივისცემა აუცილებელი იყო ნებისმიერი ჩინელისთვის. ისეთი სტილის ოჯახები, სადაც სამი თაობა ცხოვრობს ერთად , სულ უფრო იშვიათი მოვლენაა ჩინეთში. სამ თაობიანი ოჯახი იყოფოდა უფროსი მამაკაცის (ოჯახის თავის) გარდაცვალების შემდეგ.

ჩინური ოჯახი ყოველთვის იცავდა შიდა საოჯახო და საზოგადო ტრადიციებს. ჩინურ ტრადიციულ ოჯახში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ შვილების აღზრდას. მნიშვნელოვანი იყო ისეთი ქცევის ჩამოყალიბება და ბავშვის ისე აღზრდა, რომ შემდგომში მას არ შეერცხვინა ოჯახი. ურთიერთობა ცოლსა და ქმარს შორის იყო მყარი. ჩინური ეტიკეტის თანახმად, ცოლსა და ქმარს არ ჰქონდათ უფლება სხვების თანდასწრებით გადმოეცათ თავიანთი გრძნობები და თავიანთი თბილი ურთიერთობა. ქმარს ტრადიციის თანახმად არ ჰქონდა უფლება კონკრეტულ სიტუაციებში დაეჭირა მეუღლის მხარე, რადგან ამ შემთხვევაში მისთვის შეიძლება დაებრალებინათ მშობლების მიმართ უპატივცემლობა.

ძველად ჩინეთში ქალი ძირითად დროს სახლში ატარებდა. ეტიკეტის თანახმად, ქალი ყოველთვის უნდა ყოფილიყო თავშეკავებული და მისი ყველა მოქმედება მშვიდი და გაწონასწორებული.

ამგვარად, ძველებური წეს-ჩვეულებების თანახმად , ჩინეთში ქალისგან ითხოვდნენ ქმრის მიმართ სრულ თავდადებას, მას არ ჰქონდა თავისი უფლებები და უმეტესწილად არ გააჩნდა საკუთარი „მე“.

ახლადშექმნილ ოჯახშიც მნიშვნელოვანი ადგილი არ ეკავა ახალ რძალს. მას ეჭირა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ადგილი ახალი ოჯახის იერარქიაში, ზოგჯერ დიდ ხანს ცხოვრობდა დედამთილის ძალაუფლების ქვეშ და ვალდებული იყო მოეთმინა მისი ყველანაირი შენიშვნა თუ მოთხოვნა.

რძალი იმყარებდა თავის პოზიციას ქმრის ოჯახში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ამ ოჯახში მიიტანდა კარგ მზითევს და გაუჩენდა ვაჟიშვილებს. ძველად, ჩინურ ოჯახში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჟის ყოლას. თუ ოჯახში არ ჰყავდათ ვაჟიშვილი, მაშინ წესების თანახმად უფლება ჰქონდათ ეშვილებინათ

1 Traditional Chinese Family as A School of Children Upbringing
Vasileva Maria S. EdD, Associate Professor, department of general pedagogy, Buryat State University.
2 Доменак Ж.-Л., Хуа Шанмин. Семейные отношения в Китае. – М.: Наука, 1991.

ბიჭი, ოღონდ სისხლით ნათესავისგან (მხოლოდ მამაკაცის მხრიდან).

ჩინეთში მნიშვნელოვანი დღესასწაულია გაზაფხულის ფესტივალი, რომელიც ოჯახური ერთიანობის სიმბოლოა და რომლის დროსაც ჩინელი ცდილობს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან მიაშუროს თავის სამშობლოს და შეურთდეს თავისი ოჯახის წევრებს. ამ დღესასწაულზე შლიან სადღესასწაულო სუფრას , რომელსაც ჩინელები □□-ს ეძახიან. (ანუ მთელი ოჯახის შეკრებას).

ტრადიციული ჩინური ოჯახები დიდი ყურადღებას აქცევენ ოჯახურ დღესასწაულებს. ახალი წლის დადგომამდე, ჩინელებს აქვთ სპეციალური წინა საახალწლო მოსამზადებელი ღამე და ის ტრადიციულად აღინიშნება ჩინეთში.

გაზაფხულის ფესტივალის დროს ყველა ოჯახის კარზე იკვრება წითელი ფერის კუპლეტები და მასზე ტრადიციულად წერია : მშვიდობა, ბედნიერება, კარგი ბედ-იღბალი. ეს არის ჯადოსნური სიტყვები, რომლებსაც ჩვენ ყველანი ტრადიციულად ვუსურვებთ ერთმანეთს. [1]

დასკვნა

ტრადიციული ჩინური ოჯახები იქმნებოდა კონკრეტული მიზნისთვის - გვარის გაგრძელებისთვის. ძველად, კონფუცის სწავლების თანახმად, პირი, რომელსაც არ უნდოდა ოჯახის შექმნა, ითვლებოდა ამორალურ პიროვნებად , ვინაიდან ასეთი ადამიანი არ ფიქრობდა თავისი გვარის გაგრძელებაზე, ანუ წინაპრების წინაშე ის თავის ვალს არ იხდიდა.

ტრადიციულ ჩინურ ოჯახში, ოჯახის წევრების მიერ გამომუშავებული თანხა გროვდებოდა ოჯახის უფროსთან, რომელიც განსაზღვრავდა ოჯახის ბიუჯეტს და მის ხარჯებს. საჭმელი სახლში მზადდებოდა მთელი ოჯახისთვის და ერთი და იგივე იყო ყველასთვის.

ჩინეთი ყოველთვის ცდილობდა გაეზარდა ოჯახის სტატუსი საზოგა-დოებაში. ოჯახს ძალუძს ამა თუ იმ ხარისხით იმოქმედოს საზოგადოებაზე, დაარეგულიროს სწრაფად მზარდი ინდივიდუალიზმი, ასევე ხელი შეუწყოს მომავალი თაობის კულტურული ნორმებისა და ღირებულებების შენარჩუნებასა და გადაცემას.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. Tikhonova E. V., Tereshkova N. S. Information and Communication Technologies in the Teaching of Interpreting // Procedia — Social and Behavioral Sciences. 2014. T. 154. C. 534–538.
2. Пащенко Г. Инь Фен Оу Сян Отношение родителей и детей в Китае ,Электронный архив Сумского государственного университета URL: http://essuir.sumdu.edu.ua/bitstream/123456789/18062/1/15.pdf

[1] Luo Qirong and Yang Renxuan. Zhongguo Nianjie. Kexue Puji Chuban She, Beijing, 1983.

3. Кузьменко Е. Б., Скворцова И. А., Терешкова Н. С. Особенности взаимоотношений в китайской семье // Молодой ученый. — 2015. — №19. — С. 99-102. — URL https://moluch.ru/archive/99/22345/
4. Traditional Chinese Family as A School of Children Upbringing, Vasileva Maria S. EdD, Associate Professor, department of general pedagogy, Buryat State University.
5. Китайское общество: анализ и прогноз: сб. ст. / под ред. Жу Синь, Лу Сюэи, Ли Пэйлинь. – Пекин, 2011. – 299 с.
6. Исследование китайской семьи: сб. ст. – Шанхай, 2014. – 275 с. 10. Тянь Фэн. Жизненный цикл современной китайской семьи, Пекин, 2011. – 242 с
7. Исследовательский центр общественных наук при Пекинском университете // URL: http://www.isss.edu.cn/
8. Yang M.C. A Chinese village: Taitou, Shantung province. N.Y., 1945.
9. Yang C.K. A Chinese village in early communist transition. Cambridge (Mass.), 1959.
10. Kulp D.H. Country life in South China. The sociology of familism. Vol. 1. Phoenix village, Kwangtung, China. N.Y., 1925.
11. Сидихменов В.Я., Китай: страницы прошлого. Смоленск, 2000, с. 335.

Traditional Chinese Family

Aleksandra Lataria, PhD student
Georgian Technical University

Summary

Traditional Chinese family is one of the most interesting and sensitive topic, as Chinese sociologists, philosophers and historians have interesting insights on this subject.

The number of traditional Chinese family members differs from that of modern-day family members, if in ancient times the family consisted of three generations and consisted of about 19-20 people, today reduced to 4-8 members.

The marriage tradition and customs have been also changed. The cult of the woman was also raised. In ancient China, a daughter-in-law had no rights in the family, her main function was housework. In modern families, women are highly respected.

Some Chinese traditions have not changed for a centuries. The Chinese still try to celebrate the holidays at home, with family members, and to keep the traditions that characterized China in ancient times.

Keywords: Tradition, Family, Confucius, Marriage, Heritage.

ინფორმაციული საზოგადოების რაობა

დიანა ლიპარტელიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დღეს ჩვენ ინფორმაციული საზოგადოების პირობებში გვიწევს ცხოვრება. ინფორმაციულობა ფართო მასების კეთილდღეობას, განვითარებას უწყობს ხელს. მაგალითად, პოლიტიკაში, ბიზნესში და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული საზოგადოების პირობებში ინფორმაციას ყველაზე დიდი ძალა აქვს. ინფორმაციულმა საზოგადოებამ, გარკვეულწილად, შეცვალა ინდუსტრიული საზოგადოება, ამიტომაც უწოდეს მას პოსტინდუსტრიული საზოგადოება.

საქართველოში ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი, დღემდე მიმდინარეობს. დღეს, ქვეყანაში არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობა, ქვეყნის ციფრული მოდერნიზაცია, წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე. დღევანდელი მოცემულობით, ქვეყანას, კვლავ დიდი და რთული გზა აქვს გასავლელი საიმისოდ, რომ დასავლურ სტანდარტებს მიუახლოვდეს.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, საზოგადოება, პოსტინდუსტრიული საზოგადოება, პოლიტიკა, ბიზნესი, საქართველო

შესავალი

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც გასულ საუკუნეში თვალსაჩინო გახდა, რომ კაცობრიობის ცხოვრების წესი არსებითად შეიცვალა და კლასიკური კაპიტალიზმისგან ძირეულად განსხვავებული პირობები ჩამოყალიბდა, საზოგადოებამ სრულიად ახალ მოცემულობაში დაიწყო ცხოვრება, ამ მოცემულობას ინფორმაციული საზოგადოება ჰქვია. ინფორმაციულმა საზოგადოებამ, გარკვეულწილად, შეცვალა ინდუსტრიული საზოგადოება, ამიტომაც უწოდეს მას პოსტინდუსტრიული საზოგადოება. თავის მხრივ, ინფორმაციულად ითვლება ისეთი საზოგადოება, რომელშიც ადამიანთა უმეტესობის საქმიანობა დაკავშირებულია ინფორმაციასთან, მის გადამუშავებასა და ათვისებასთან. რაც შეეხება ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას, პროცესი რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. ერთ-ერთი გახლდათ ე.წ. კომპიუტერული რევოლუცია. მეოცე საუკუნეში პერსონალური კომპიუტერის გაჩენასთან ერთად აბსოლუტურად შეიცვალა კაცობრიობის საქმიანობის ფორმები, რაც პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული სხვადასხვა სფეროში მომხდარ არაერთ გარდატეხასთან. მეორე მიზეზი

გახდა ინფორმაციული ნაკადების დაგროვების შედეგად ე.წ. ინფორმაციული აფეთქება, რომელმაც, თავის მხრივ, მეორე პრობლემის, ინფორმაციული შიმშლის, წინაშე დაგვაყენა. აღნიშნული გამოწვევა ახალმა ტექნოლოგიურმა ერამ გადაჭრა. ზემოთ აღნიშნული გარემოებები, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება გახდა ახალი საზოგადოების - ინფორმაციული საზოგადოების - ჩამოყალიბების წინაპირობა.

ძირითადი ნაწილი

საინფორმაციო საზოგადოებას გარკვეული დამახასიათებელი ნიშნები აქვს, რომლებიც, შესაძლებელია, ასე ჩამოყალიბდეს: ინფორმაციის, ცოდნის და საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის ზრდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. [1] საინტერესოა, რომ ინფორმაციული საზოგადოების პირობებში მთლიანად იცვლება როგორც ღირებულებათა სისტემა და წარმოების ფორმები, ისე წინა პლანზე იწევს კულტურული ფასეულობები, ხოლომატერიალური ღირებულებები უკანა პლანზე გადადის, რაც მკვეთრად განასხვავებს ინდუსტრიული საზოგადოებისაგან. თუკი ინფორმაციული საზოგადოების მთავარი მახასიათებელი ცოდნის წარმოება და გონებრივი მუშაობაა, ინდუსტრიული საზოგადოების შემთხვევაში კი საზოგადოება თავიდან ბოლომდე მიმართული იყო საქონლის წარმოებასა და მოხმარებაზე.

აქვე განვმარტოთ, რას ნიშნავს სიტყვასიტყვით პოსტინდუსტრიული საზოგადოება. ეს არის „საზოგადოება, რომელიც იქმნება ინდუსტრიული საზოგადოების შემდეგ. დასავლეთის სოციოლოგიაში ფართოდ გავრცელებული ტერმინია თანამედროვე საზოგადოების აღსანიშნავად. ზოგადი კონცეფციის მიხედვით, მსოფლიო ისტორია იყოფა ინდუსტრიამდელ (აგრარულ), ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებად.“[2]

დენიელ ბელი პოსტინდუსტრიული თეორიის ერთ-ერთი ცნობილი ავტორი გახლავთ, რომელიც ინფორმაციულ საზოგადოებას საინტერესოდ ახასიათებს. მას ტერმინი ინფორმაციული საზოგადოება მოჰყავს, როგორც პოსტინდუსტრიული საზოგადოების სინონიმი. “ინფორმაციული საუკუნე გამოხატავს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას, პოსტინდუსტრიალიზმი კი ხშირად განხილულია, როგორც ინფორმაციული საზოგადოება. ტერმინი “პოსტინდუსტრიალიზმი” ბელმა 1950-იანი წლების ბოლოს შემოიტანა, რაც უკავშირდება ფუტუროლოგიის მიმართ ინტერესის გაღრმავებას და აგრეთვე, ინტერესს, რომელიც ჩნდება კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების მიმართ. ბელის თეორიის ამოსავალია, რომ სოციალური სტრუქტურა მკვეთრად განცალკევებულია პოლიტიკისგან. მთავარია, რომ პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოება წარმოიქმნა მხოლოდ სოციალურ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების გამო, რომელიც ჩართულია ეკონომიკაში, სტრატიფიკაციის სისტემაში, მაგრამ არაა კავშირში

პოლიტიკასა და კულტურასთან.“ [3] ამ მხრივ საინტერესოა ბელის მოსაზრება, რომელიც საუბრობს ადამიანების ცხოვრების გარკვეულ წესზე კაცობრიობის არსებობის სხვადასხვა ეპოქაში. ის აღნიშნავს, რომ ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში მთავარი იყო ფიზიკური ძალა, ინდუსტრიულში, ტექნიკისა და რაციონალიზაციის საზოგადოებაში, წამყვანი იყო მანქანა. ამ ორი ეპოქისგან განსხვავებით, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მთავარ როლს თამაშობს არა ძალა და ენერგია, არამედ ინფორმაცია. სხვა სიტყვებით, ერთ შემთხვევაში ადამიანი საკუთარ არსებობას უზრუნველყოფს მიწის დამუშავებით და ტრადიციისა და ფიზიკური ძალის შენარჩუნებით (ინდუსტრიამდელი ეპოქა), მოგვიანებით ადამიანი საკუთარ მოთხოვნებსა და საჭიროებებს იკმაყოფილებს მანქანური წარმოებით (ინდუსტრიული ეპოქა), შემდეგ კი იქმნება მომსახურების საზოგადოება (პოსტმოდერნული საზოგადოება), რომლის შრომის საგანს წარმოადგენს ინფორმაცია. [3]

ინფორმაციულ საზოგადოებაზე საუბრისას საინტერესოა ისიც, თუ როგორ, რა სახით არის ჩამოყალიბებული ინფორმაციული საზოგადოება საქართველოშიც. თუკი დასავლეთის ბევრ ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების კონტურები და მახასიათებლები მკაფიოდაა გამოკვეთილი, იმავეს თქმა საქართველოს შემთხვევაში სიმართლე არ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, მუდმივად ილტვის ცივილიზაციისკენ, კურსი კი ისტორიულად დასავლური აქვს, რიგი გარემოების გამო დღემდე ვერ ახერხებს ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური თუ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს გაუთანაბრდეს. ჩვენს ქვეყანაში ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი დღემდე მიმდინარეობს, თანაც ნელა და რთულად. საქმე ისაა, რომ სრულყოფილ ინფორმაციულ საზოგადოებად ჩამოყალიბების რეცეპტი არ არსებობს. აღნიშნული პროცესის მიმდინარეობა კი რამდენიმე გარემოებაზეა დამოკიდებული:პირველი, საზოგადოებრივი აგებულება, მეორე, ინფორმაციული ბაზა, მესამე, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.

დასკვნა

დღეს შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობა, ქვეყნის ციფრული მოდერნიზაცია, წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე. საქართველოში რთულადაა თუ სუსტად? განვითარებული ელექტრონული მმართველობა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს საკმარისი რესურსი აქვს საიმისოდ, რომ ზემოთ აღნიშნული პროცესი წარმატებით წარიმართოს. დღევანდელი მოცემულობით, ქვეყანას კვლავ დიდი და რთული გზა აქვს გასავლელი საიმისოდ, რომ დასავლურ სტანდარტებს მიუახლოვდეს. ინფორმაცული საზოგადოების პირობებში ინტერნეტმომხმარებელი მედიისგან ითხოვს, საჭირო ინფორმაცია თავისთვის

საინტერესო, მრავალფეროვანი გზით მიეწოდოს. აღნიშნული ნამდვილად არ წარმოადგენს პრობლემას დღევანდელ ტექნოლოგიურ ერაში. ინფორმაციის სხვადასხვა გზით მიწოდება ინფორმაციას ბევრად მასშტაბურს და ოპერატიულს ხდის, რაც საზოგადოებას მუდმივად ცვლილებებისა და ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ინფორმაციის მიღების საშუალებები მომხმარებელს აძლევს საშუალებას, ჩართული იყოს თავისთვის საინტერესო მოვლენების განხილვასა და შეფასებაში.

ინფორმაციული საზოგადოების ერა, თავის მხრივ, მოიაზრება, როგორც ახალი მედიის საუკუნე, რომელიც მოიაზრებს ყველა სახის ინტერნეტ-რესურსს, რომლებიც ინტერნეტ-მომხმარებელთა მაქსიმალურ ჩართულობას მოიცავს. ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს ბლოგები, ფორუმები, სოციალური ქსელები და ა.შ. მედიასაშუალებების არჩევანი ნამდვილად ფართოა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელს აირჩევს ადამიანი თავისი საჭიროებებიდან გამომდინარე.

ლიტერატურა:

1. https://programmingeorgia.wordpress.com/2014/08/02/%E1%83%A1%E1%83%90% [ბოლოს ნანახია: /05/10/2019]
2. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5887 [ბოლოს ნანახია: 08/10/2019]
3. http://www.socium.ge/downloads/samagistro/shevdivart_ra_info_erashi.pdf [ბოლოს ნანახია: 11/10/2019]

The essence of Informational Society

Diana Liparteliani, PhD student
Georgian Technical University

Summary

Today we have to live in the Information Society. Informativeness promotes well-being and development of the masses. For example, in politics, business, etc. It is safe to say that information has the greatest power in the information society. The information society has somehow changed the industrial society; therefore it is called the post-industrial society.

The process of formatting the information society in Georgia is still ongoing. Today, as a consequence of the reality of the country, it can be clearly stated that building an information society, digital modernization of the country is impossible without state support. The country still has a long and difficult way to come closer to western standards.

Keywords: information, society, post-industrial society, politics, business, Georgia

გემბლინგი - „ჩუმი მკვლელი“

მაგდა ფერაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საზოგადოებაში გავრცელებული ადიქციათაგან ერთ-ერთი გემბლინგი, იგივე ლუდომანია. აზარტულ თამაშებში ჩართვა მიეკუთვნება არაქიმიური დამოკიდებულებების ჯგუფს. ეს, ერთის მხრივ, ნიშნავს ნაკლებ საფრთხეს ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობისათვის, მეორე მხრივ კი უფრო ლოიალურ დამიკიდებულებას საზოგადოებაში და ცალკეული ადამიანების სიფხიზლის მოდუნებას აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. თამაშზე დამოკიდებულებაში ჩვენ ვგულისხმობთ თამაშში ზედმეტ ჩართულობას, რასაც თან ახლავს კონტროლის დაკარგვა საკუთარ მდგომარეობებსა და ნეგატიურ სოციალურ - ფსიქოლოგიურ შედეგებზე.

თამაშზე დამიკიდებულება მიეკუთვნება ადიქციების ჯგუფს, აქედან გამომდინარე, პასუხობს ადიქტიური ქცევის ზოგად მახასიათებლებს, მათ შორისაა დამიკიდებულებების ფიქსაცია ობიექტებზე; დამიკიდებულებებების ობიექტის მიმართ ძნელად კონტროლირებადი გატაცებები (მიზიდულობა, სურვილი, ვნება); ადიქციის ობიექტთან შერწყმის მომენტში შეცვლილი ცნობიერება, ქცევის კომპულსიურობა - აკვიატებული - განმეორებადი მოქმედებები.

საკვანძო სიტყვები: გემბლინგი, ადიქცია, გადახრილი ქცევა, დამიკიდებული ქცევა, აზარტული თამაშები

შესავალი

პიროვნების გადახრილი ქცევის ნაირსახეობათა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს ეგრეთწოდებული „დამოკიდებული ქცევა“. დამოკიდებული (ადიქტიური) ქცევა, როგორც პიროვნების დევიანტური ქცევის სახეობა, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეჯგუფად შედგება, რომლებიც უპირატესად დიფერენცირდება ადიქციის ობიექტის მიხედვით. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ობიექტი ან აქტიურობის ფორმა - ქიმიური ნივთიერება, ფული, სამსახური, თამაშები, ფიზიკური სავარჯიშოები ან სექსი. რეალურ ცხოვრებაში უფრო გავრცელებულია დამოკიდებულების ისეთი ობიექტები, როგორიცაა: 1) ფსიქოტროპიული ნივთიერებები (ლეგალური და არალეგალური ნარკოტიკები); 2) ალკოუოჰოლო: 3) (კლასიფიკაციების უმეტესობაში იგი განეკუთვნება პირველ ქვეჯგუფს); 3)საკვებ; 4) თამაშები; 5) სექსი 6) რელიგია და რელიგიური კულტი. ჩამოთვლილი ობიექტების შესაბამისად გამოყოფენ დამიკიდებული ქცევის შემდეგ ფორმებს :

- ქიმიური დამიკიდებულება (მიწევა, ტოქსიკომანია, ნარკოდამიკიდებულება, წამალზე დამიკიდებულება, ალკოჰოლური დამიკიდებულება)
- კვებითი ქცევის დარღვევები (გადაჭარბებული კვება, შიმშილობა, საკვებზე უარის თქმა.
- თამაშზე დამიკიდებულება (კომპიუტერული დამიკიდებულება, აზარტული თამაშები);
- სექსუალური ადიქციები (ზოოფილია, ფეტიშიზმი, პიგმალიონიზმი, ტრანსვერტიზმი, ექსბიციონიზმი, ვუარეიზმი, ნეკროფილია, სადომაზოხიზმი);
- რელიგიური დესტრუქციული ქცევა (რელიგიური ფანატიზმი, სექტაში ჩაბმა);

ძირითადი ნაწილი

დამიკიდებული ქცევა განიხილება, როგორც დისფუნქციური, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციებისა და პირივნებისათვის მნიშვნელოვანი ურთიერთობების სისტემის მტყუნებასთან დაკავშირებული ქცევა. იგი წარმოადგენს სერიოზულ სოციალურ პრობლემას, რომელსაც თან სდევს სერიოზული ნეგატიური შედეგები. როგორიცაა შრომისუნარიანობის დაკარგვა, გარშემომყოფეფთან კონფლიქტები, დანაშაულის ჩადენა და ა.შ. ეს არის დევიაციის შედარებით გავრცელებული სახე, რომრლიც თითქმის ყველა ოჯახს ეხება.

საზოგადოებაში გავრცელებულ ადიქციათაგან ერთ-ერთს და ძალიან საშიშს, წარმოადგენს გემბლინგი. რომელმაც „ჩაანაცვლა“, მავნე ნივთიერებები, იგი იქცა ფსიქოლოგიურ ნარკოტიკად და აღიარებულია 21- ე საუკუნის ეპიდემიად.

ყველაზე გავრცელებული დეფინიციის თანახმად, გემბლინგი, აზარტული თამაშების დაუძლეველი სურვილია. აზარტი ფრანგული სიტყვაა „hazard'' და ნიშნავს შემთხვევას. მოიცავს კაზინოზე, კომპიუტერულ თამაშებზე, სათამაშო ავტომატებზე, ტოტალიზატორებზე დამიკიდებულებას, მოსალოდნელი შედეგების მიუხედავად. ეს გახლავთ სანეძლაოს დადება ფულის ან სხვა მატერიალური ფასეულობის მქონე ნივთის სახით ანუ ფსონების გაკეთება, გაურკვეველი შედეგის მქონე „ მოვლენაზე“, დამატებითი ან სხვა მატერიალური ფასეულობის მქონე ნივთის მოგების განზრახვით. გემბლინგს უძველესი და საინტერესო ისტორია აქვს, ცნობები მის შესახებ გხვდება ძველ ინდურ პოემებში. („მოთამაშის გოდება“ და „მაჰაბარტა“). ძველი ბერძნული ლეგენდის მიხედვით ცნობილია, რომ ზევსმა, ჰადესმა და პოსეიდონმა, კამათელის თამაშით გაიყვეს მსოფლიო.

აზარტული თამაშები ოფიციალურად 1520 წელს საფრანგეთში მეფე

ფრანცისკ პირველის ბრძანებით დაკანონდა. პირველი კაზინოები კი პარიზში 1765 წელს გაიხსნა.

თამაში, როგორც ქცევა, არ არის კანონით აკრძალული, თუმცა ხშირად მას თან სდევს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები. ამასთანავე საზოგადოება გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს აზარტული თამაშების ორგანიზაციასა და მასში ადამიანების ჩართვაზე. საყურადღებოა, რომ ეს განსაკუთრებით ეკრძალებათ ბავშვებს და მოზარდებს. ამ საკითხთან მიმართებით ჩვენი ქვეყანის კანონმდებლობა ნმიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნების კანონმდებლობებს. იმდენად, რამდენადაც სამართლებრივი კონტროლი ამგვარ ქცევაზე არ არსებობს. პრორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება მისი რეგულირების სოციალურ - ფსიქოლოგიურ მექანიზმებს.

თამაშზე დამიკიდებულებების პრობლემების მეცნიერული კვლევა ახლახანს დაიწყო. ამავდროულად, უკანასკნელი ათასწლეულის განმავლობაში დაგროვდა მოცემულ დამიკიდებულებებზე მუშაობის კლინიკური გამოცდილება. ამრიგად, თამაშზე დამიკიდებულებების პრობლემის განხილვისას გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

1. სოციალური;
2. კულტურული;
3. ეკონომიკური;
4. ფსიქოლოგიური;
5. კლინიკური.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს გემბლინგი ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ „ჩუმი მკვლელი.“

აშშ-ს ეროვნული მედიცინის ბიბლიოთეკის მონაცემების თანახმად, „გემბლერი“ თითქოს ჩვეულებრივად ცხოვრობს, მაგრამ ყოველივე ამის ფონზე მას სერიოზული პრობლემები აქვს. საყურადღებოა რამდენიმე გავრცელებული ნიშანი, რომლითაც ხასიათდება „გემბლერი“. თამაშის აკვიატებული მოთხოვნილება, მოთამაშე შეპყრობილია თამაშის უდიდესი სურვილით, მას არავინ და არაფერი არ აინტერესებს. მას არ შესწევს ძალა დაანებოს თამაშს თავი, მიუხედავად ამის დიდი სურვილისა.

მოთამაშის ფსიქოლოგიას განსაზღვრავს თავად თამაშის სპციფიკა. თამაში მოითხოვს განვითარებულ წარმოსახვას და ფანტაზიის სამყაროში გადასვლის უნარს. თამაშის სიმბოლური ბუნების წყალობით, მისი მეშვეობით პიროვნებას შეუძლია რამდენიმე მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების რეალიზება. ესენია:

1) მოთხოვნილება აქტიურობასა და აგზნებაზე
2) საკუთარი ძალების გამოცდა
3) თავისუფალი თვითგამოხატვა
4) მუდმივობისა და პროგნოზირებაზე მოთხოვნილება - გარკვეული

კანონის, რიტუალის, როგორც განმეორებადი მოქმედების ერთგულება.

5) შეჯიბრება, ბრძოლა

6) პოტენციის - ძალისა და ძლიერების შეგრძნება, მთლიანობაში თამაში არის ის, რაც ანიჭებს სიამოვნებას, რადგან თამაშობს საკუთარი სურვილით, იძულების გარეშე, ამასთანავე, თამაში ანიჭებს ადამიანს ბავშვურ უზრუნველყოფას.

თომას მარტინესმა წარმოადგინა ფენომენოლოგიური ნაშრომი. მან აზარტული თამაშის მეშვეობით აღწერა თამაშის პროცესის ხუთი განწყობა, რომელიც იკვეთება თამაშის დროს.

რისკი - დასაწყისისათვის მოთამაშეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს რისკის სურვილი. თამაშის დაწყებისთანავე განსაზღვროს რამდენად სასიამოვნო იყო რისკი.

აქ და ახლა - განწყობა მოიცავს მოთამაშის არსებულ ამაღლებულ ცნობიერებას. გონება განიცდის კონცენტრაციას მყისიერ სიტუაციაზე., წარსულის და მომავლის გახსენების გარეშე.

ფანტაზია - რომლის გამოცდილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის მოთამაშე თამაშში ჩართული. ღრმად ჩართულიბა განწყობას ნახევრად თავისუფალს ტოვებს, მოთამაშე ოცნებობს სიმდიდრეზე, რომელიც არ არის ყოველდღიური რუტინით გამომუშავებული.

ეიფორია - ხასიათდება იშვიათობით და ცოტა ხნით, ჩნდება დიდი თანხის მოგებისდათვლისდაგანაღდებისწარმოდგენა.მასლოუსტერმინითეიფორიული გამოცდილება უმაღლესი გამოცდილებაა. ეს არის ის მომენტი, როდესაც სუბიექტი გამოცდის შვიდ საკუთარ იდენტობას. ეიფორია გამოცდილია, თუ სუბიექტი გადის შემთხვევითობიდან რეგულარულ თამაშზე.

მისტიციზმი - მოქმედებები, რომლებიც იძენს რიტუალურ მნიშვნელობას.

საკრალური რიტუალები იწვევს იდენთიფიცირების დრამატიზირებას. მოთამაშე ხდება სერიოზული საწარმოს მიმართ და გადადის მისტიურ მდგომარეობაში იდენტურობასთან, ფულთან და კარგ შეგრძნებებთან ბალანსში.

DSM – 5- ის მიხედვით, გემბლინგი კლასიფიცირდება,

როგორც დამიკიდებულებითი აშლილობა. ამერიკელ ფსიქიატრთა ასოციაცია დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდა, რომ ეს იყო იმპულსის კონტროლის დარღვევა და არა დამოკიდებულება.

„ გემბლერისათვის“, დამახასიათებელია შემდეგი „განუყრელი“ თვისებები:

- თამაშისადმი მუდმივი ლტოლვა - კაზინოში უფრო და უფრო მეტი დროის გატარება.
- ინტერესთა სფეროს შეცვლა - ინტერესეთა სფეროს შეცვლა.
- თვითკონტროლის დაკარგვა - „გემბლერი“ ვერ ახერხებს სურვილის შემთხვევაშიც თამაშისათვის თავის დანებებას.
- ფსიქოლოგიური დისკომფორტი - გარიზიანება თამაშის თუნდაც მოკლე

ხნით შეწყვეტისას, იმდენად ძლიერია სურვილი თამაშისა.

- თამაშის გახშირება - მომეტებული რისკის ხარჯზე...

დასკვნა

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, აზარტულ თამაშებზე დამიკიდებულება საუკუნეების სენია, ამან განსაკუთრებით დიდი ადგილი „მოიხვეჭა“, 21-ე საუკუნეში. რომელიც თავისი მაშტაბით და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების დონით ნარკომანიას არაფრით ჩამოუარდება. იგი სწრაფად პროგრესირებს და მეტად რთული მოსარჩენია.

საყურადღებოა შემთხვევაა, როდესაც პაციენტი ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით იწყებს მკურნალობას, მას არ აქვს გააზრებული მდგომარეობის სიმწვავე, რის შედეგადაც, იგი მოკლე ხანში დაუბრუნდება თამაშს. მაგრამ კვლევების თანახმად, მკურნალობის ფონზე შესაძლებელია მისი პროგრესირებადობის შეჩერება. თუ მკურნალობა მიმდინარეობს საკუთარი სურვილით და არა ძალდატანებით, საკუთარი ნებით მიმართავს კლინიკას, მას აქვს მოტივაცია, ებრძოლოს ამ მტანჯველ სენს, ფსიქოთერაპევტის დახმარებით, გააცნობიერა თავისი მდგომარეობა, ხოლო მედიკამენტებმა შეუნარჩუნა ბალანსი და დაეხმარა დეპრესიის დაძლევაში, მკურნალობის შედეგი მიღწევადია. მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება პიროვნებას საუთარ არჩევანში, სხვა დანარჩენი კი დამხმარე რესურსია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალფრედ ადლერი „როგორ გავიგოთ ადამიანის ბუნება“ თბილისი „ გეო“, 2014წ.
2. ბალიაშვილი მარინა -სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 2010წ.
3. გემბლინგი -ფსიქოლოგიური ნარკოტიკი (ინტერნეტ სტატია) 2012, 13 თებერვალი, 09:30
4. ლია მეტრეველი - ზოგიერთი რამ, დამიკიდებული ქცევის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-სტატიათა კრებული თბილისი 2019წ. (სეუ)

Gambling - The Silent Killer

Magda Feradze, PhD student

Georgian Technical University

Summary

Article discovers one of the most common addictions in our society gambling, also called as Ludomania.

Gambling belongs to non-substance related addictions group.

On the one hand, it brings less damage to a person's physical health and on the other hand there is a more loyal attitude from the society, which sometimes is a reason of ignoring the problem.

Under addiction to games, we mean excessive engagement in games, when person loses control on situations and at negative social-psychological results.

Gambling addiction belongs to the group of addictions, so it responds to the general characteristics of addiction behaviors, addiction fixation to the object; hardly controlling emotions (attraction, desire, passion) towards the addiction object;

Altered state of consciousness at the time of merging with the addiction object, compulsive behavior - obsessive - repetitive actions.

Tags: Gambling, Addiction, Compulsive behavior, Addiction behavior.

კომუნიკაცია – ინტერკულტურული მედიუმი და კულტურის კონცეპტი

ინგა ქონიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატია, „კომუნიკაცია – ინტერკულტურული მედიუმი და კულტურისკონცეპტი,“ეხებასოციალურიმედიისგავლენასინტერკულტურული კომუნიკაციისა და კულტურული ადაპტაციის პროცესებზე.

ინტერკულტურული კომუნიკაცია ემყარება პროდუქტიულ დიალოგს სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს შორის. გლობალიზაციის დაჩქარებული პროცესების გავლენით კულტურა და კომუნიკაცია არის ის ორი ორგანული სტრუქტურა, რომლებიც ერთმანეთს ავსებს. კომუნიკაციის საშუალებებისა და ფორმების მეშვეობით შესაძლებელია ადამიანთა ისტორიული გამოცდილებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობების გადმოცემა. მათი მეშვეობით შესაძლებელია სოციალური გამოცდილების დაგროვება, გადაცემა, კულტურული ტრადიციების გაზიარება და სხვა მრავალი.

სოციალური მედიის გამოყენება და მისი მზარდი სამომხმარებლო როლი დღვანდელ დღეს აშკარა მაგალითია იმისა, რომ იგი როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტი, იქცა კულტურისა და კომუნიკაციის ნაწილად.

საკვანძო სიტყვები: ინტერკულტურული კომუნიკაცია, მედია–საშუალებები, სოციალური მედია, კომუნიკაციის ინსტრუმენტი, კულტურული ადაპტაცია, კონცეპტი.

შესავალი

კომუნიკაციის პროცესზე, მონაწილე მხარეების გარდა, გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია კულტურული ასპექტები. დღეს, როდესაც განვითარებული ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციის დაჩქარებული პროცესების გავლენით მსოფლიო ერთ საერთო სახლს ემსაგავსება, კულტურა და კომუნიკაცია არის ის ორი ორგანული სტრუქტურა, რომლებიც ერთმანეთს ავსებს. კონკრეტული კულტურა, რომელშიც ინდივიდები არიან სოციალიზებული, განსაზღვრავს კონკრეტულ ინდივიდთა კომუნიკაციის ხარისხს. ჰოლის აზრით, ინტერკულტურული განსხვავებების უკეთ გასაგებად აუცილებელია სხვადასხვა კულტურული საზოგადოებების ქცევებზე დაკვირვება, რადგან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ სხვადასხვა კულტურულ სოციუმში, გამოირჩევიან ინფორმაციის გადამუშავების ინდივიდუალური უნარებით.

საზოგადოება არამარტო ინდივიდებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების ერთობლიობაა, იგი კომუნიკაციისა და შემეცნების რთული პროცესია, რომლის დროსაც, ვითვალისწინებთ რა, კომუნიკაციის გარკვეულ ფორმებს, ვამყარებთ ურთიერთობებს, ვახდენთ ინფორმაციის გადამუშავებას და გაცვლას და პირიქით, მიღებას და გადამუშავებას. მაშასადამე, საზოგადოება წარმოადგენს კომუნიკაციის ფორმას, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გაზიარება ინდივიდებს, სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და კულტურებს შორის ნიშანთა სისტემის ანუ ენის მეშვეობით, რომელიც ასახავს ცოდნას, აზრებს, ღირებულებებს და საერთოდ, კომუნიკაციის მონაწილე მხარეთა მოღვაწეობას.

ძირითადი ნაწილი

კომუნიკაციის საშუალებებისა და ფორმების მეშვეობით შესაძლებელია ადამიანთა ისტორიული გამოცდილებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გადმოცემა. მათი მეშვეობით შესაძლებელია სოციალური გამოცდილების დაგროვება, გადაცემა, კულტურის ტრადიციის გაზიარება და სხვა მრავალი. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ, რაც გულისხმობს ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციის გადაცემის ორგანიზაციული პირობების გაერთიანებას, გამოიწვია კომუნიკატორებს შორის უშუალო ურთიერთმოქმედების შემცირება. „პრესის, ელექტრონული კავშირის (ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიის მეშვეობით ძალზე შემცირდა მანძილი მხარეებს შორის. კომუნიკაციის თეორიის განვითარებამ განაპირობა კიბერნეტიკის, ინფორმატიკის, სემიოტიკის ჩამოყალიბება. კომუნიკაციის ცნება დღეს ცენტრალურ კატეგორიად ყალიბდება სოციალურ თეორიაში (ი.ჰაბერმასის "კომუნიკაციური მოქმედების თეორია," ნ.ლუმანის „სოციალური სისტემების თეორია" და სხვ.). მარტივი კომუნიკაციის სისტემა, როგორც მინიმუმ, მოიცავს:

1. კომუნიკაციის ორ მონაწილეს;
2. სიტუაციას ან სიტუაციებს, რომლის გააზრებას და რის გაგებასაც ისინი ესწრაფვიან;
3. ტექსტებს, რომლებიც სიტუაციის საზრისს გამოთქვამენ ენის ან რომელიმე მოცემული სემიოტიკური სისტემის ელემენტებში;
4. ტექსტების მიმართულების მიმცემ მოტივებსა და მიზნებს.

კომუნიკაცია, ფართო გაგებით, ადამიანური ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ–ერთი საფუძველია. იგი წარმოადგენს ინტელექტუალურ პროცესს, რომელსაც აქვს მტკიცე იდეურ–შინაარსობრივი გეგმა და დაკავშირებულია სოციალური მოქმედების განსაზღვრულ სიტუაციებთან." [A]

კომუნიკაციისა და ინფორმაციის გადაცემის ახალ საშუალებებთან ერთად ინტერკულტურულმა კომუნიკაციამაც განიცადა ტრანსფორმაცია და ახალი მედიის კონტექსტში მოგვევლინა. დღესდღეობით ინფორმაციის გადაცემა ახალი

მედია–საშუალებებით ძალიან სწრაფად ხდება. შესაბამისად, მათი როლიც ინტენსიურად იზრდება. თუკი ნიშნობრივი წარმონაქმნები ანუ შეტყობინებები საშუალებებია, გამოდის, რომ საშუალებები უფრო მეტად ახდენენ ადამიანების განწყობაზე ზეგავლენას, ვიდრე თავად შეტყობინებები. ამ მიზეზით კულტურასა და კომუნიკაციაზე უშუალო გავლენას ახდენს საშუალებები. სოციალური მედიის გამოყენება და მისი მზარდი სამომხმარებლო როლი დღევანდელ დღეს აშკარა მაგალითია იმისა, რომ იგი როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტი, იქცა კულტურისა და კომუნიკაციის ნაწილად. სწორედ ამ მიზეზით ნიშანდობლივია სოციალური მედიის გავლენა ინტერკულტურული კომუნიკაციისა და კულტურული ადაპტაციის პროცესებზე.

თავად კულტურა, როგორც კონცეპტი, მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება. კერძოდ, კულტურის კონცეპტი გვხვდება სხვადასხვა დისციპლინებში, რომელთაც საკუთარი, დამოუკიდებელი მიდგომა აქვთ მისი განსაზღვრებისადმი, ისევ და ისევ დისციპლინათა სპეციფიკიდან გამომდინარე. კულტურის კონცეპტს იმდენად მრავალგანზომილებიანი დეფინიცია აქვს, რომ რთულია მოვუძებნოთ ერთი, უნივერსალური განსაზღვრება, რომელიც ყველასათვის ერთნაირად გასაგები იქნებოდა. თუმცა, საზოგადოდ ცნობილი ფაქტია, რომ ამა თუ იმ ხალხთა ფასეულობები და ღირებულებები ერთობლიობაში ქმნიან კულტურას. რადგან მიაჩნიათ, რომ კულტურის კონცეპტი მრავალშრიანი, არსებული დეფინიციების მცდელობებიც კონკრეტული შინაარსისაა. უფრო ზუსტად, დისციპლინა, რომელშიც მუშაობს მკვლევარი, და მკვლევარის აღზრდის თავისებურებები განსაზღვრავს არამარტო კულტურის კონცეპტის შინაარს, არამედ მის საზღვრებსაც. კულტურის საკითხი დაკავშირებულია ადამიანების არსებობასთან და მათი მოქმედების არეალთან. ამიტომ, მოცემული განსაზღვრებებითა და განმარტებებით ცნობილი ხდება საკითხის სხვადასხვა ასპექტი. საკითხისადმი ამგვარი მიდგომები კიდევ უფრო ართულებს კულტურის კონცეპტის მეტ–ნაკლებად ზუსტი ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბებას. თუ გადავხედავთ კულტურის დეფინიციებს, მისი პირველი განსაზღვრება ტაილორის (1871) მიხედვით ასე გამოიყურება: „კულტურა არის კომპლექსური პროცესი, რომელიც აერთიანებს ინფორმაციას, ხელოვნებას, ტრადიციებსა და სხვა მსგავს უნარ–ჩვევებს, რომელიც კი ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, შეუძენია.“ (Güvenç, 1985,p.15-20). ლუსტიგს და კოსტერს მიაჩნით, რომ კულტურა არის აღმსარებლობების, ერთნაირი ფასეულობების, შეხედულებების, ნორმებისა და სოციალური პრაქტიკის ინტერპრეტაციათა ის ერთობლიობა, რაც განაპირობებს ადამიანთა ჯგუფების ქცევას. (Lustig and Koester ,2006, p.25).

როგორც ვხედავთ, ფართო გაგებით კულტურის კონცეპტი გამოკვეთს ადამიანის განსხვავებულობას სხვა ბიოლოგიური არსებებისგან. კულტურა გულისხმობს არა ერთეულ შემოქმედებით აქტს, არამედ შემოქმედებას, როგორც

პერსონის უნივერსალურ მიდგომას სამყაროს მიმართ, რომლის საშუალებითაც იგი, თავის მხრივ, გვაძლევს „ახალ სამყაროს“ და წარმოგვიდგენს საკუთარ თავს ამ სამყაროში. მაშასადამე, თითოეული კულტურა უნიკალურია თავისი ბუნებით და მასში მყოფი ადამიანითა თუ ადამიანების დამოკიდებულებით გარესამყაროსა თუ საკუთარი თავისადმი, უნიკალურია იმდენად, რამდენადაც მასში ყველაზე მეტად ვლინდება კომუნიკაციური ეგზისტენციალიზმის არსი –„მე–ს,“ სელფის (Self) სხვაში, მეორე ადამიანში აღმოჩენის აქტი.

მართალია, ჩვენ მოვიყვანეთ რა სხვადასხვა მკვლევართა, მეცნიერთა თუ მოაზროვნეთა განმარტებები კულტურის კონცეპტისა, არსებობს კულტურის ცნების უამრავი საყურადღებო დეფინიცია. ნებისმიერი მათგანი გულისხმობს ამ ფენომენის ერთ ან რამდენიმე მხარეს, მაგრამ კონკრეტული ინტერესის სავარაუდო არაერთგვაროვანი ბუნებიდან გამომდინარე, სრულყოფილებაზე პრეტენზია ვერც ერთს ვერ ექნება. საკუთრივ მრავალფეროვნება კი უფრო ტენდენციურ ინტერპრეტაციებს გულისხმობს ვიდრე ობიექტურს. სწორედ მისი ჰეტეროგენურობითაა კულტურა საინტერესო.

„კანტის აზრით, კულტურა არის ადამიანის მრავალსაუკუნოვანი აზროვნების შედეგი, ცხოველურ ინსტიქტთა გონებით სახეცვლა და აკრძალვათა სისტემა. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე აზროვნების წვრთნა–განვითარებას მოაქვს კულტურის დიფერენცირებული დარგები და ფორმები ,როგორც წმინდა ესთეტიკური , ისე შემეცნებითი და პრაქტიკულ–პრაგმატული.

ყოველი სახის კულტურა წარმოშობის თვალსაზრისით ტომობრივი ან ეროვნული მოვლენაა. მაგრამ, მხოლოდ ის კულტურა არის ფასეული,რომელიც შეაღწევს სხვა ერის ცნობიერებაში და იქ ადგილს დაიკავებს. შეიძლება ამგვარი ინტერვენცია იყოს დროებითი მოვლენა და წრაფად გაქრეს, ან შეერწყას სხვათა გამოცდილებას და იქცეს მორიგი ევოლუციის შემადგენელ ნაწილად.

ხოლო ის რაც არქაულია, ყველა ერის კუთვნილებაა, რომლის შემდეგაც იწყება დიფერენცირება. მაგრამ რელიგიებს,ომებს, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს მოაქვს ხელახალი სინთეზის ტენდენციაც.

დასკვნა

კულტურა ქმნის ცივილიზაციასთავის გარეგნულ სახეს–საარსებო ფორმას“. [B] „შესაბამისად, კულტურა არის სულიერი, მატერიალური და ფიზიკური. სულიერი კულტურა მოიცავს რელიგიას, ხელოვნებას და მეცნიერებას, რომელიც არსებობს ენის ბაზაზე. ენას უკავშირდება ცნობიერების წარმოშობა, ცნობიერებას–აზროვნება, აზროვნებას–კულტურა, მისი მრავალგვარი ფორმები.“[C].

საუკუნეების მანძილზე ადამიანებს მუდმივად ესაჭიროებოდათ საკუთარი აზრებისა თუ შეხედულებების გამოხატვა გარემომცველი სამყაროსა თუ მიმდინარე მოვლენების შესახებ, მათი გამოხატვის სპექტრი კი ფართოა,რაც

მთლიანობაში ქმნის კულტურას. ედუარდ ტ.ჰილის „კულტურის აისბერგის მოდელის“ მიხედვით კულტურას აქვს თავისი ხილული მხარე: არქიტექტურა, ხელოვნება, სამზარეულო, მუსიკა, ენა, მწერლობა,ლიტერატურა, და ა.შ. , ხოლო კულტურის ფუნდამენტური ნაწილის დანახვა შედარებით რთულია ,რადგან უხილავია იმ ადამიანების ისტორია,რომლებიც ერთ ისტორიას ქმნიან, ის საზოგადოებრივი ნორმები, ფასეულობები და შეხედულებები სივრცის,ბუნების და დროის შესახებ,რომლებსაც ერთი კულტურის წარმომადგენლები იზიარებენ, აისბერგის მოდელის მიხედვით კულტურის ხილული ელემენტები უხილავი ნაწილის გამოხატულებაა. ჰილის აისბერგის მოდელი გვთავაზობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის წარმოშობილი გაუგებრობების მიზეზების ახსნას. სქემატურად კულტურის აისბერგის მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება :

სქემა 1

სქემა 2



ჩვენ შესაძლოა ვიცნობდეთ აისბერგის ხილულ ელემენტებს, თუმცა ამა თუ იმ კულტურასთან შეხვედრის საწყის ეტაპზე , ვერ შევიცნობთ აისბერგის ფუნდამენტის ელემენტებს, რომლებიდანაც ხილული ნაწილი მომდინარეობს. [D] ამისათვის საჭიროა ღრმა ცოდნა მოცემული კულტურისა,რაც ინტერკულტურული ურთიერთობების მეშვეობით მიიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. 1.SEYFI, Murat GUVEN, Deniz Influence of new media of intercultural communication : an example of an Erasmus student ISSN 1392-0561. INFORMACIJOS MOKSLAI .2016 74
2. DOI: http: //dx.doi . org /10. 15388 /Im .2016.74..9921
3. 2.GUVENC, Bozkurt (1985). Kültür Konusu ve Sorunlarımız. Remzi Kitaberi. pp.15-20;
4. 3.HALL, Adward Twitchell. (1990) The silent language, Anchor Books, New York. p. 1994;
5. 4.HABERMAS, Jurgen (1985). The theory of communicative action, Volume 2: Lifeworld and system: A critique of functionalist reason. Beacon press, pp. 11-25, ISBN 9780807014011;
6. 5.LUSTIG, Myrone & KOESTER, Jolene (2006). Intercultural competence . Interpersonal communication across cultures. Fifth edition, Pearson education ,USA. ISBN 978-0205595754;
7. 6.[A]– წყარო: ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალი კომუნიკაცია— https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90;
8. 7.[B],[C]–სიგუა სოსო , კულტუროლოგიის საფუძვლები, ტ.I, თბილისი, 2013;
9. 8.წყარო: სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი ცნობარი/ [სარედ.:ჯგუფი:,ედუარდ კოდუა და სხვ.;გამომც.:ლაშა ბერაია].– თბ.;ლოგოს პრესი,2004.–351გვ.;20სმ.,–(სოციალურ მეცნიერებატა სერია/ რედ.:მარინე ჩიტაშვილი).–ISBN99928;
10. 9. ‘Language and Culture Global Flows and Local Complexity ,‘ author: Karen Risager ,2006 , Series Languages for Intercultural Communication and Education, 9781853598586, Publisher- Multilingual Matters
11. 10. Source: Beyond Culture (1976) by Edward T. Hall
12. 11. [D] https://youtu.be/u37t0u-4BTI (კულტურის აისბერგი)

Communication – Intercultural Medium and The Concept of Culture

Inga Koniashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The present article 'Communication – Intercultural Medium and The Concept of Culture' deals with the influence of social media on the process of intercultural communication and cultural adaptation.

Intercultural communication is based on productive dialogues among different nations. Due to rapid pace of globalization culture and communication are two organic structures of mutual beneficence. Via communication means and forms it is possible to describe historical experience and social relationship through which happens accumulation of experience, transmission, sharing of cultural traditions etc.

Use of social media and its increasing applying function today is the evidence of that social media as a tool of communication has become a part of culture and communication.

Key words: Intercultural communication, social media, means and forms, cultural adaptation, concept .

საზოგადოებრივი მეცნიერებები

PUBLIC SCIENCES

ჯონ პონეტი – დიდი ევროპელი ჰუმანისტი და რეფორმატორი

ნინო გომართელი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ახალი პერიოდის დასავლეთ ევროპაში მოღვაწე ჰუმანისტ მოაზროვნეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა რეფორმატორი ეპისკოპოსი ჯონ პონეტი, რომლის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები სრულიად ახალი სიტყვა იყო იმდროინდელი ინგლისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.

ტრაქტატის მნიშვნელობა უფრო ფართოა, ვიდრე ის პოლემიკური განზრახვა, რომელიც მის ავტორს ჰქონდა. პონეტის ტრაქტატი შეიცავს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს თეორიულ წინადადებებს, რომელშიც განხორციელებული იყო მოძღვრება სახელმწიფოსა და საკუთრების, სამართლის შესახებ. მასში გამოხატულ იყო ფორმირებადი ბურჟუაზიისა და ახალ თვადაზნაურთა ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ჯერ კიდევ იმყოფებოდა ადრეული პერიოდის პოლიტიკური კონცეფციის ტყვეობაში და სარგებლობდა სქოლასტიკური ტერმინოლოგიით.

პონეტი, რომელიც პროტესტანტთა დასს ეკუთვნოდა, თავის ტრაქტატში სახელმწიფოს, მმართველობის ფორმების, მეფის ხელისუფლებისა და სამართლის შესახებ თავის შეხედულებებს აყალიბებს არა რელიგიური თვალსაზრისის, არამედ რაციონალური პრინციპებისა და დასკვნების საფუძველზე. მის მთავარ ნაშრომს წარმოადგენს: „მოკლე ტრაქტატი პოლიტიკური მმართველობის შესახებ“.

საკვანძო სიტყვები: რეფორმატორი, მოაზროვნე, პროტესტანტი, ტრაქტატი, რეფორმაცია, აბსოლუტიზმი, პოლიტიკური კონცეფცია.

შესავალი

ახალი პერიოდის დასავლეთ ევროპაში მოღვაწე ჰუმანისტ მოაზროვნეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა რეფორმატორი ეპისკოპოსი ჯონ პონეტი, რომლის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები სრულიად ახალი სიტყვა იყო იმდროინდელი ინგლისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრივნების ისტორიაში.

ჯონ პონეტი დაიბადა 1516 წელს კენტში, აზნაურის ოჯახში. სწავლობდა ჯერ სამეფო კოლეჯში, შემდეგ კემბრიჯის უნივერსიტეტში. იქვე ასწავლიდა ბერძნულ ენას და იყო ჰუმანისტური წრის აქტიური წევრი (1, 20). კემბრიჯშივე მიიღო „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ ბაკალავრის ხარისხი. პონეტი გატაცებული იყო ანტიკური კულტურით, მათემატიკითა და ასტრონომიით. უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში, იქ მყოფი ერაზმ როტერდამელის მოძღვრების გავლენით, პონეტი ჩამოყალიბდა ურყევ პროტესტანტად და გახდა რეფორმაციული მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი. ინგლისური რეფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ფიგურის კანცლერ თომას კრანმერის დახმარებით, იგი ხდება ვინჩესტერის ეპისკოპოსი. მერი თიუდორის ტახტზე ასვლის შემდეგ (1553), პონეტს ჩამოერთვა ეპისკოპოსის წოდება. 1554 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო უატის აჯანყებაში, რითაც მერი თიუდორის კათოლიური რეჟიმისა და ტირანიის წინააღმდეგ პირველად გამოხატა პროტესტი. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, პონეტი იძულებულია დატოვოს ინგლისი და შეუერთდეს სტრასბურგის ემიგრანტთა ჯგუფს. იმ დროს სტარსბურგი წარმოადგენდა ინგლისური პროტესტანტული ემიგრაციის ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრს. პონეტი ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში ხელმძღვანელობს მერი თიუდორის კათოლიკური რეაქციის წინააღმდეგ მიმართული ლიტერატურის ინგლისში შეტანას. ემიგრაციაში ყოფნის დროს დაიწერა მისი თხზულებები „მოსაზრებანი ექვარისტიაზე“, „აპოლოგია ღვთისმგმობელ თომას მარტინის წინააღმდეგ“ და პოლიტიკურ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულება „მოკლე ტრაქტატი პოლიტიკური ძალაუფლების შესახებ“, რომელშიც ავტორი შეეცადა დაესაბუთებინა ინგლისში კონტრეფორმაციული რეჟიმის დამყარების უკანონობა და ამ რეჟიმისადმი წინააღმდეგობის გაწევის უფლებამოსილება. ტრაქტატი გამოქვეყნდა ანონიმურად 1556 წელს სტრასბურგში (2, 15), ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

ძირითადი ნაწილი

ტრაქტატის მნიშვნელობა უფრო ფართოა, ვიდრე ის პოლემიკური განზრახვა, რომელიც მის ავტორს ჰქონდა. პონეტის ტრაქტატი შეიცავს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს თეორიულ წინადადებებს, რომელშიც განხორციელებული იყო მოძღვრება სახელმწიფოსა და საკუთრების, სამართლის შესახებ. მასში

გამოხატულ იყო ფორმირებადი ბურჟუაზიისა და ახალ თვადაზნაურთა ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ჯერ კიდევ იმყოფებოდა ადრეული პერიოდის პოლიტიკური კონცეფციის ტყვეობაში და სარგებლობდა სქოლასტიკური ტერმინოლოგიით.

პონეტი, რომელიც პროტესტანტთა დასს ეკუთვნოდა, თავის ტრაქტატში სახელმწიფოს,მმართველობისფორმების,მეფისხელისუფლებისადასამართლის შესახებ თავის შეხედულებებს აყალიბებს არა რელიგიური თვალსაზრისის, არამედ რაციონალური პრინციპებისა და დასკვნების საფუძველზე. მის მთავარ ნაშრომს წარმოადგენს: „მოკლე ტრაქტატი პოლიტიკური მმართველობის შესახებ“.

როდესაც მან შეიმუშავა მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო, არ უარყო ბუნებითი სამართლის სუვერენიტეტის შესახებ შუასაუკუნეობრივი კონცეფცია, რომლის მიხედვით სახელმწიფოში თითქოს ხორციელდება ღვთის ნება და რომელიც განუხრელად უნდა დაიცვას მონარქმა (2,21). ე.ი. ის კონცეფცია, რომელსაც ავითარებდნენ ინგლისური აბსოლუტიზმის იდეოლოგები (ბუნებითი სამართლის იდეა განვითარებას იწყებს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში სოფისტების, არისტოტელეს, სტოიკოსთა მოძღვრებებში). ასევე, რომელი იურისტები სამოქალაქო სამართლის გვერდით გამოყოფენ ბუნებით სამართალს. შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი თეოლოგიურ ფორმაში იყო მოქცეული და იმ დროს ცნობილი თეოლოგები (გავიხსენოთ თომა აქვინელის დოქტრინა), ცდილობდნენ მასზე დაყრდნობით, სამყაროს და ღვთიური წესრიგის იერარქიულობის მტკიცებით საკრალური, ღვთის ნებასთან შესაბამებული სახე მიეცათ ქვეშევრდომთა თვალში ფეოდალური მონარქიისა და ფეოდალური წესრიგ-ურთიერთობისათვის) (3,27-28).

პონეტი სარგებლობდა სწორედ იმ იდეური წყაროებით, რომლებითაც ისინი. მათ მსგავსად, პონეტიც ეყრდნობოდა ბიბლიას, არისტოტელეს, სქოლასტიკოსთა თხზულებებს, ევროპელ იურისტთა შეხედულებებს და სხვ. პონეტის მიერ ეს წყაროები მის ტრაქტატში უხვად არის ციტირებული. მაგრამ, მისი დასკვნები, სახელმწიფოებრივი წყობილების სტრუქტურა, რომელიც მან მათზე დაყრდნობით შეიმუშვა, სრულიად სხვა ხასიათის მქონეა.

აბსოლუტიზმის მომხრეთა მსჯელობის ცენტრში დგას მონარქი და მისი პრეროგატივა. ისინი ცნობილი მოღვაწის ჯ. ფორტესკიუდან დაწყებული, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ, რაც უფრო მეტი უფლებები ექნება მონარქს, მით უფრო სრულად იქნება დაცული ქვეშემრდომთა ინტერესები. ისინი მონარქს სთავაზობდნენ გაეტარებინა ღონისძიებები, რომლის შედეგად წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულებები გადაიქცეოდნენ მეფის ხელისუფლების შეზღუდვის საშუალების ნაცვლად ამ ხელისუფლების განმტკიცებისა და გაფართოების საშუალებად (4,29).

აბსოლუტიზმის იდეოლოგები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ამგვარ დაწესებულებებში გაეუქმებინათ ყოველივე ის, რაც ეწინააღმდეგებოდა მონარქთა ხელისუფლების განმტკიცებას, ასაბუთებდნენ, რომ მონარქი იყო მათი კანონიერი მეთაური და ხელმძღვანელი. აბსოლუტიზმის თეორეტიკოსები თავიანთ თხზულებებში ცდილობდნენ მკითხველი დაერწმუნებინათ, რომ მხოლოდ ძლიერი და არა კონტროლირებადი მონარქის ხელისუფლება შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოს გაფურჩქვნისა და ქვეშევრდომთა კეთილდღეობის საწინდარი; ხოლო დაუმორჩილებლობა და მით უმეტეს, წინააღმდეგობის გაწევა გახდება ქვეყნის მთელი მოსახლეობის გარდაუვალი დაღუპვის მიზეზი. პონეტი ცდილობდა დაემტკიცებინა დიამეტრალურად საწინააღმდეგო დებულება: მხოლოდ „ის მონარქი, რომელიც რეალურად ემორჩილება ბუნებით სამართალს და ითვალისწინებს პარლამენტის მოსაზრებას, ღირსია მორჩილებისა. თუ მეფე დაარღვევს ბუნებით სამართალს, მაშინ იგი ტირანია და ქვეშევრდომებმა იგი უნდა დაამხონ“ (2,33).

როგორც ცნობილია, მონარქის მიერ ბუნებითი, ანუ ღვთიური სამართლის დაცვაზე საუბრობდნენ აბსოლუტიზმის იდეოლოგებიც, მაგრამ მათი აზრით, მონარქმა დამოუკიდებლად, ან მის მიერ აღნიშნული რომელიმე პირის მეშვეობით უნდა დაადგინოს რა შეესაბამება და რა არა ბუნებით სამართალს (4, 59-60). პონეტის აზრით, ამის განმსაზღვრელად უნდა მივიჩნიოთ კომპეტენტური წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებმაც კი არ უნდა გააძლიერონ, არამედ უნდა შეზღუდონ მონარქის ძალაუფლება. თუ აბსოლუტიზმის თეორეტიკოსები ცდილობდნენ მეფე და პარლამენტი წარმოედგინათ როგორც ერთიანი მთლიანი, პონეტი დაბეჯითებით ამტკიცებს მათ სხვადასხვაობას. ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური მოაზროვნე თ. სტარკი გვთავაზობს ზოგიერთ შემზუდველ ღონისძიებას და მიაჩნია, რომ ქვეყანაში შესაძლებელია მოხდეს დიდი უბედურება, თუ ტახტზე აღმოჩნდება მმართველობისთვის „შეუფერებელი მონარქი“ (4,11).

პონეტისათვის მონარქის ხელისუფლების შეზღუდვა პარლამენტის მოღვაწეობით – სახელმწიფოს მართვის მთავარი პრინციპია, მისი სტრუქტურის უმთავრესი ელემენტი. აბსოლუტიზმის მქადაგებლებს სახელმწიფოს განსახიერებად მონარქის პიროვნება მიაჩნდათ, მაშინ როცა პონეტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გადამწყვეტი როლი მმართველობაში უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. მეფეები, პრინცები და მმართველები – წერს იგი – თავიანთ ხელისუფლებას ღებულობენ ხალხისგან... ეს იქიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში კი ხალხი სრულებითაც არ აძლევს მათ არავითარ ძალაუფლებას და იტოვებს მას თავის ხელში და თავადვე განაგებს (2, 106-107). პონეტი იზიარებს შუასაუკუნეების პოლიტიკური აზროვნების ძირითად პოსტულატს, რომ ყოველი ხელისუფლება ღმერთისგან მომდინარეობს, მაგრამ თან მიაჩნია, რომ ამ ხელისუფლების

ფორმას განსაზღვრავს თავად ხალხი, რამდენადაც ღმერთს – პონეტის აზრით, არ დაუდგენია – ხელისუფლება უნდა იყოს ერთი პიროვნების ხელში, თუ უნდა ეკუთვნოდეს რამდენიმეს – ეს ხალხის გადასაწყვეტია. „მეფეებს, პრინცებს და მმართველებს ხელისუფლება ეძლევათ ხალხისაგან, რომლებიც ასევე ადგენენ ყველა უფლებასა და წესებს“ (2, 8). საინტერესოა პონეტის სხვა მოსაზრებაც: „მეფეები, პრინცები და სხვა მმართველები წარმოადგენენ პოლიტიკური ორგანიზმის თავს, მაგრამ ისინი სრულებითაც არ წარმოადგენენ მთელ ორგანიზმს. მართალია, ისინი არიან მთავარი ორგანო, მაგრამ მხოლოდ ორგანო. ხალხი არსებობს არა მათთვის, არამედ ისინი არსებობენ ხალხისთვის“.

პონეტი ამტკიცებს, რო ბუნებითი სიმართლის თანახმად, შეიძლება ნებისმიერი ორგანოს მოკვეთა, თუ იგი არ ექვემდებარება მკურნალობას, ვინაიდან მან შეიძლება დაღუპოს მთელი პოლიტიკური ორგანიზმი. ეს უნდა გაკეთდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოსაკვეთი ორგანო თავია, რადგან „სახელმწიფო და ქვეყანა მაშინაც კი არსებობს, თუ ისინი უთავოდ იქნებიან, რამეთუ მათ შეუძლიათ მოძებნონ ახალი თავი. ბუნებრივია, სხეულის დაავადებული ნაწილი უნდა მოიკვეთოს, რათა სენი არ მოედოს მთელს ორგანიზმს... სახარებაშიც წერია: „უკეთუ თვალი შენი მარჯვენაი გაცთუნებდეს შენ, აღიღე და განაგდე იგი“. მმართველი შეიძლება შეცდეს, ხალხი მეტად უნდა ფასობდეს ქვეყანაში, ვიდრე ხელისუფალი... სახელმწიფო და ქვეყანა უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეფე (5). ამ მსჯელობით პონეტი კავშირს წყვეტს შუასაუკუნეობრივ მოძღვრებასთან ვასალისა და სიუზერენის ერთგულების შესახებ, როგორც ხელისუფლების მეთაურისა და ქვეშევრდომის ურთიერთობის საფუძველთან და მას უპირისპირებს სამშობლოსადმი სიყვარულს, იგი მაღლდება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ფასეული – პატრიოტიზმის გრძნობამდე.

იმ დროს, როცა მორისონი, ჩიკი და აბსოლუტიზმის სხვა ცნობილი მქადაგებლები ამტკიცებდნენ, რომ არსებული თავისუფლების შენარჩუნების ერთადერთ გარანტიას წარმოადგენდა ხელისუფალთა მიმართ მორჩილება და ქეშევრდომთა საკუთრების უფლება, რომ სწორედ ეს უკანასკნელი არის ხალხის მხრიდან რისხვის აცილების ერთადერთი ხსნა, პონეტს მიაჩნია, რომ საჭირო მხოლოდ პატივისცემა მონარქისადმი, რამეთუ იგი ხალხის მეთაურია. საყურადღებოა, რომ იმის დადგენის უფლებას, ეწინააღმდეგება თუ არა ხელისუფლების ესა თუ ის გადაწყვეტილება ღმერთის ნებას, კანონს თუ სახელმწიფო ინტერესებს, პონეტი ანიჭებს არა მარტო წარმომადგენლობით ორგანოებს, არამედ ცალკეულ ინდივიდებსაც, რომლებიც ღებულობენ გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ საკუთარი სინდისით, ვინაიდან, პონეტის აზრით, სული წმინდამ თითოეული ადამიანის გულზე აღბეჭდა ღვთიური და ბუნებითი სამართალი, რაც მათ უკარნახებს, როდის არ უნდა დამორჩილდნენ (2, 53).

პონეტი ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც კერძო პირს თავისი ინიციატივით შეუძლია მოჰკლას ტირანად ქცეული მმართველი. ეს, მისი აზრით, შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: თუ ტირანი გაჰყიდის ქვეყანას, სიკვდილით დასჯის უდანაშაულო ადამიანს, თუ მას ქვეშევრდომი თავის ცოლთან, ან ქალიშვილთან ლოგინში შეასწრებს.

მსგავსი ინდივიდუალური გადაწყვეტის პრინციპი და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უცილობლად ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

საკანონმდებლო საქმიანობას პონეტი ახალი დროის სხვა იურისტებისაგან განსხვავებით მხოლოდ მოქმედი კანონების ჩაწერასა და გამოცხადებას როდი თვლის, მისთვის მთავარია კანონშემოქმედება. ამ პროცესში იგი აუცილებლად მიიჩნევს მეფისა და პარლამენტის მონაწილეობას (2, 53). ამასთან, იგი პარლამენტს მხოლოდ დიდებულებისა და წარჩინებულების შეკრების ორგანოდ როდი მიიჩნევს, არამედ მას უწოდებს ხალხთა წარმომადგენლობით ორგანოს (2, 27). ის ამტკიცებს, რომ თვით შერეულ სახელმწიფოშიც (mixsted state) კი (ასე უწოდებს თავის თანადროულ ინგლისის სამეფოს) მხოლოდ ხალხს ჰყავს საკანონმდებლო ხელისუფლება (2, 27). პონეტი გამოდის იმ დროს ძალზე გავრცელებული კონცეფციის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით დრო ამა თუ იმ ზნე-ჩვეულებას კანონის ძალას ანიჭებს; პონეტი თვლის, რომ უძველესი ზნე-ჩვეულებები და ადათები ყურად უნდა ვიღოთ, დავიცვათ და გავუფრთხილდეთ, მაგრამ ხანგრძლივი არსებობის გამო რომ მათ კანონის ძალა მივანიჭოთ, არ შეიძლება. „მავნე ზნე-ჩვეულებები, რაც არ უნდა ძირძველნი იყვნენ, არ უნდა დავიცვათ, ისინი უნდა გაუქმდეს (2, 46).

აბსოლუტიზმის ხანის თეორეტიკოსებისაგან (კერძოდ, სტარკი) განსხვავებით, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ხელისუფლება მუდმივად უნდა ერეოდეს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებაში, პონეტი თვლის, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება“ (civil pover) დაწესებულია ღმერთის მიერ, მაგრამ იგი მბრძანებელი როდია ცხოვრების ყველა სფეროში და ყველაზე; უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს არა აქვს ძალაუფლება ადამიანის სულზე, მის სინდისსა და შეგრძნებებზე. პონეტი კიცხავს იმ ბოროტ მონარქებს, რომლებიც თავიანთ ქვეშევრდომთა ქონებაზე პრეტენზიას აცხადებენ და თვლიან, რომ ყველაფერი ეკუთვნის იმპერატორს, ყველაფერი მეფეს, ყველაფერი მონარქს (All thinges bethe Kaisers, all thinges to be Kinges, all things be the princes) (1, 45). ბიბლიაზე დაყრდნობით, პონეტი აცხადებს, რომ არავის, თვით მეფესაც კი, არ შეუძლია მესაკუთრეს წაართვას თავისი ქონების შეუზღუდავი ფლობის უფლება. პონეტი ცდილობს კერძო საკუთრების დაცვას და პროტესტს უცხადებს იმ მონარქებს, რომლებიც ცდილობენ განუსაზღვრელი გადასახადებითა და იძულებითი სესხებით, ასევე ფულის (მონეტის) გაუფასურების გზით (რასაც

ხშირად მიმართავდნენ მფლანგველი ტიუდორები) სიმდიდრის მოხვეჭას (2, 44, 113). კერძო საკუთრების დაცვის შესახებ თავის მსჯელობას ის არა მარტო ფილოსოფიური და თეოლოგიური, არამედ პრაქტიკული მოსაზრებითაც ასაბუთებს. იგი თვლის, რომ საკუთრების ფლობისა და განკარგვის უფლება შრომისა და ცხოვრების სტიმულს იძლევა. „თუ ქვეშევრდომებს მთელ ქონებას წაართმევენ, რათა ამით მმართველს ასიამოვნონ, ეს არ გამოიწვევს განა იმას, რომ ხალხი შეწყვეტს მუშაობას? მოინდომებს კი არსებობას, მოინდომებს კი გამრავლდეს და ქვეყანას შემატოს შთამომავალი"? (2, 85). შემდეგ, პონეტს მოჰყავს მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სავალალო შედეგი მოჰ-ყვება ასეთ მდგომარეობას და ასკვნის: „ასეთია ნაყოფი იმ მდგომარეობისა, როცა ხელისუფალნი განუკითხავად განაგებენ ქვეშევრდომთა ქონებას. საბოლოოდ ისინი შეიძლება ან მეფობას გამოეთხოვონ, ან ქვეშევრდომთა გარეშე დარჩნენ (2, 93). პონეტი ხალხის ცნების ქვეშ გულისხმობს თავისუფალ და არა დამოკი-დებულ ადამიანთა ერთობლიობას (of free men and hot of bonchesmen) (2, 69).

ამ ადამიანებს უნდა ჰქონდეს რაიმე საკუთრება, რასაც უნდა იცავდეს სახელმწიფო, რომლის მმართველ ორგანოებში უნდა მონაწილეობდეს „ხალხი". ეს არის არსებითი განსხვავება პონეტის და იდეოლოგ სტარკის შეხედულებას შორის. აღსანიშნავია, რომ ფრანგი მონარქომახები ფ. დიუპლეს მორნე და ფ. ოტმანი აბსოლუტიზმს უპირისპირებდნენ წოდებრივ-წარმომადგენლობით მონარქიას (იმ ფენებს, რომლებიც ისხდნენ გენერალურ შტატებში), პონეტი კი გამოდის ყოველივე იმის წიანაღმდეგ, რაც ხელს უშლის კაპიტალისტურ წყობილების ჩამოყალიბებას.

დასკვნა

პონეტი გამოდის ანაბაპტისტების წინააღმდეგ, რომლებიც ითხოვდნენ ქონების საერთო მფლობელობის შემოღებას (2, 79). საინტერესოა პონეტის შემდეგი მოსაზრება: „თუ ანაბაპტისტები არა მარტო სხვათა საკუთრებას მიიჩნევენ საერთო საკუთრებად, არამედ მზად არიან საკუთარიც გააასხვისონ, მაშინ როცა მქონებელი ხელისუფალნი მზად არიან საკუთარ განუზომელ ქონებას მიუმატონ კიდევ ის, რაც მათი ქვეშევრდომთა საკუთრებაა (2, 80). პონეტის ეს პოზიცია აიხსნება იმ გარემოებით, რომ იმ დროს ქვეყანაში წოდებათა შორის ბრძოლა ჯერ კიდევ არ აღწევდა ისეთ სიმძაფრეს და სოციალური ძალები, რომლებიც ანტიფეოდალურ ბანაკს წარმოადგენდნენ, ძირითად დარტყმებს ფეოდალიზმის წინააღდე მიმართავდნენ.

ჯონ პონეტის პოლიტიკურ-სამართლებრივ შეხედულებათა ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ იგი გამოდის არა მარტო მონარქის ხელისუფლების შეზღუდვისა და პარლამენტის უფლებების გაზრდის მოთხოვნით, იგი თხოულობს არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნის გან-

სახორციელებლად არა ზოგიერთ რეფორმას, არამედ არსებითად უარყოფს ფეოდალურ-აბსოლუტისტური სახელმწილფოს მთელ სტრუქტურას და უპირისპირებს მას ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების ნიმუშს, რომელიც შეესაბამება ახლად ფორმირებადი ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს.

პონეტის ტრაქტატში ჩამოყალიბებული სახელმწიფოს სტრუქტურისა და პრინციპების გაცნობა, მისი შეხედულებანი სამართლასა და კერძო საკუთრებაზე ამტკიცებენ, რომ პონეტის სახით საქმე გვაქვს მოაზროვნესთან, რომელმაც განაგრძო და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ჯ. ფონტესკიუს მიერ დაწყებული და ტ. სტარკის მიერ განვითარებული ბურჟუაზიული პოლიტიკური აზროვნების ტრადიცია.

მართალია, XVI საუკუნის 50-იან წლებში ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა ჯერ კიდევ ისე მომწიფებულნი არ იყვნენ, რომ დამოუკიდებელ პოლიტიკურ როლზე პრეტენზია განეცხადებინათ, ისინი არსებითად, მხარს უჭერდნენ აბსოლუტისტურ წყობილებას, მაგრამ კონფლიქტის ჩანასახები უკვე მწიფდებოდა და მის მქადაგებლად გვევლინება ჯონ პონეტი, რომლის იდეებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს პარლამენტში და მის გარეთ ბურჟუაზიული ოპოზიციის ჩამოყალიბებაზე.

აღსანიშნავია, რომ პონეტის „ტრაქტატი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის წლებში ორჯერ გამოიცა (6, 30).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. W.S. Hudson, John Ponet (1516-1556), Advocate of Limited Morarchy. Chicago, 1948.
2. J. Ponet, “A Shorte of Politike Pover (Strasbourg, 1556).
3. J. Fortescue, The Covernance of England, ch. IV, V, IX, XII.
4. T. Starkey, A Dialogue Between Rtginald Pole and Thomas Lupset. Ed. By K.M. Burton, London, 1948.
5. ბიბლია.
6. J.T. Cooch, English democratic ideas, London, 1921.

John Ponet - a great European humanist and reformer

Nino Gomarteli, professor
Georgian Technical University

Summary

Middle Eastern Humanist Western Europe's new interim bishop-reformer John Ponet, politico-legal historian, has made a new speech in history in political science.

Meaning Ego's treatise hurts a great deal, even polemic intent, as an author. The Treatise on the Proposal of the Theoretical Proposals, in Contemplation in the Study of Judgment, Privileges, and Practices. There is no interest in the bourgeoisie and the new courtyard. Whatever, the author is all about the political implications of the temporal and the polynomial term.

The point is, members of Protestant societies, exhibit their own traditions of judgment, formality, royal authority, and make non-religious points of view, and on the basis of rational principles and principles. Ego main paper: "A short treatise on political authorities".

Keywords: reformer, minded, Protestant, treatise, reformation, absolutism, political concept.

პოლიტიკური პარტიები რესპუბლიკამდელ თურქეთში

ჯემალ ბერიძე, დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რეზიუმე

მოცემული სტატია განიხილავს პოლიტიკური პარტიების აღმოცენებასა და განვითარებას რესპუბლიკამდელ თურქეთში. სტატიაში ასევე აღწერილია ოტომანთა იმპერიაში პირველი პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის მიზეზები და აღწერს მათ წვლილს სახელმწიფოს მომავალ დადებით ცვლილებებში. ასევე განიხილავს „ახალგაზრდა ოტომანთა თურქული საზოგადოების" დაარსების ასპექტებს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კონსტიტუციის ფორმირებაში.

სტატიის ბოლო ნაწილი მოიცავს 1877 წლის პირველ საპარლამენტო არჩევნებს და მის პირველ კრებას. ის ახსენებს, რომ პარლამენტი გდილობდა ისე მოქცეულიყო, როგორც ნამდვილ დემოკრატიულ წარმომადგენლობით ორგანოს შეესაბამება.

საკვანძო სიტყვები: პარტიები, თანზიმათი, კონსტიტუცია, პარლამენტი, ოპოზიცია, თურქიზმი, რეფორმა.

შესავალი

პარტიების ჩამოყალიბება ამა თუ იმ ქვეყანაში დაკავშირებულია საზოგადოების მოდერნიზაციასა და განვითარებასთან. გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით, იგივე შეიძლება ითქვას თურქეთზეც, სადაც პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები ჩნდებიან ოსმალეთის იმპერიაში ფართო რეფორმატორული მოძრაობის დაწყების შემდეგ. პირველ ასეთ გაერთიანებად შეიძლება ჩაითვალოს ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობა, რომელსაც მოსდევს ახალგაზრდა თურქთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა და პროგრესი"

როდესაც ვსაუბრობთ ფართო რეფორმატულ მოძრაობაზე, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს 1939 წელს დაწყებული რეფორმები, ე.წ. „თანზიმათი". მართალია, ცვლილებები სხვადასხვა სფეროში ჯერ კიდევ სელიმ III-ის მიერ იქნა დაწყებული, მაგრამ ყოვლისმომცველი და სისტემური ხასიათი რეფორმებმა მხოლოდ სულთან აბდულმეჯიდის (1839-1861) დროს მიიღო. ამის მთავარი ინიციატორი იყო დიდი ვეზირი მუსტაფა რეშიდ ფაშა, რომელიც კარგად გრძნობდა, რომ თუ არ მოხდებოდა სახელმწიფო მართვის სისტემაში ძირეული ცვლილებები და იმპერია მხარს არ აუბამდა ევროპაში დაწყებულ სამრეწველო და ტექნოლოგიურ გარდაქმნებს, იგი საბოლოოდ დაიშლებოდა.

სულთნის ბრძანებულება-რესკრიპტი, რომელიც გულჰანე ჰათი ჰუმაიუნის სახელით არის ცნობილი, ოთხ მთავარ სიახლეს აკანონებდა: 1. პიროვნების

სიცოცხლის, ქონების, ღირსების კანონის ძალით დაცვა და გარანტირება; 2. კანონზე დაქვემდებარებული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება; 3. საყოველთაო და სავალდებულო სამხედრო სამსახურის დაწყება; 4. ოსმალეთის ყველა ქვეშერმდომის, განურჩევლად რასისა, ენისა და რელიგიისა კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფა.

ძირითადი ნაწილი

რეფორმების დაწყება, უპირველეს ყოვლისა, ევროპული სახელმწიფოების ზეწოლის და ჩარევის შედეგად განხორციელდა. საყურადღებოა, რომ გულჰანე ჰათის გამოცხადებამდე ერთი წლით ადრე, 1838 წელს გაფორმდა თურქულ-ინგლისური სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ინგლისელ ვაჭრებს გარკვეულ შეღავათებს ანიჭებდა.აღნიშნული ბრძანებულება კი შეიძლება მივიჩნიოთ ამ სავაჭრო ხელშეკრულების გაგრძელებად, ანუ ევროპული ბურჟუაზია თურქეთში ლიბერალური კანონების, უფლებათა აღიარების და თანასწორობის პრინციპის დანერგვით ცდილობდა საკუთარი კაპიტალის, რესურსების და ბიზნესის დაცვასა და განვითარებას.

თანზიმათი შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო აღიარების საწყისად, ამ მოძრაობის მთავარ წარმატებად კი უნდა ჩაითვალოს მიღწევები საკანონმდებ-ლო სფეროში. ტრადიციული, შარიათის კანონმდებლობის პარალელურად გაჩნდა ევროპული სამართლის გათვალისწინებით შექმნილი საერო კანონები.

1856 წელს გამოქვეყნდა სულთნის კიდევ ერთი ბრძანებულება - ჰათი შერიფი, რომელიც ძირითადად იმეორებდა წინა ბრძანებულებების მთავარ დებულებებს. თუმცა, ეს რეფორმები რჩებოდა უბრალო დეკლარაციებად, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი რეფორმათა გატარებისათვის საჭირო მყარი სოციალურ-ეკონომიკური ბაზა. ვაჭრობა, მრეწველობა და საბანკო საქმე უმეტესწილად არათურქების ხელში იყო. ინტელიგენციის შორისაც უმეტესობას არათურქული ფენა შეადგენდა. ინჟინერები, ექიმები, ადვოკატები, როგორც წესი, იყვნენ ბერძნები, სომხები ან ებრაელები.

ასეთ სიტუაციაში ახლად ფეხადგმული თურქული ბურჟუაზია უშუალო დამნაშავედ მიიჩნევდა სულთანს, რომელმაც თურქები უუფლებო მასად აქცია თავისსავე ქვეყანაში. პირველ ხანებში ამ უკმაყოფილების გამომხატველი გახდა წარმოშობით ფეოდალ-ბიუროკრატიული, იდეოლოგიით კი უკვე ბურჟუაზიული თურქული ინტელიგენცია, რომელსაც თანზიმათის რეფორ-მების შედეგად შესაძლებლობა მიეცა განათლება ევროპის ქვეყნებში მიეღო და რომელიც შემდგომში გახდა პირველი თურქული პოლიტიკური ორგანიზაციის - ახალგაზრდა ოსმალთა დამაარსებელი და მისი იდეოლოგიის შემქმნელი.

ეს პოლიტიკური ორგანიზაცია არსებული რეჟიმის მიმართ საპროტესტო ტალღის სახით ჩამოყალიბებას იწყებს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან და

თავის თავში ითავსებს რელიგიურ-ნაციონალურ მოთხოვნებს, ანუ გამოხატავს ერთდროულად როგორც პროგრესულ, ასევე რეგრესულ ფაქტორებს.

ახალგაზრდა ოსმალები კონსტიტუციური მონარქიის საშუალებით ცდილობდნენ გაეტარებინათ ისეთი ბურჟუაზიული რეფორმები, რომლებიც ხელს შეუშლიდა იმპერიის დაშლას. პარლამენტი, მათი აზრით, უნდა შემდგარიყო ორი პალატისაგან: დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. დეპუტატთა პალატაში გათვალისწინებული იყო წარმომადგენლების არჩევა იმპერიის ყველა კონფესიური დანაყოფისგან, მაგრამ დეპუტატთა პალატის საყრდენად ისინი მოიაზრებდნენ არა ხალხს, არამედ სენატს, რომელშიც უნდა შესულიყვნენ უფლისწულები, გამოჩენილი ულემები, სამხედრო მეთაურები. ასეთი იდეები ცხადყოფს, თუ რაოდენ შორს იყვნენ ახალგაზრდა ოსმალები კონსტიტუციისათვის მასობრივი ბრძოლისაგან. თვით კონსტიტუციურ პროექტებს ისინი ამაგრებდნენ ყურანზე და შარიათზე დაყრდნობით.

ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტი იყო თურქული ენის პროპაგანდა, მისწრაფება მისი გაწმენდისათვის უბრალო ხალხისათვის გაუგებარი სიტყვებისაგან. ახალგაზრდა ოსმალთა გამოჩენამდე სიტყვა თურქს ოსმალეთის გაბატონებული კლასისათვის უხეშის, ხეპრეს დატვირთვა ჰქონდა. ახალგაზრდა ოსმალები ქადაგებდნენ მამულის სიყვარულს, წამოაყენეს ოსმალური ერის შექმნის იდეა, რომელსაც, მათი აზრით, უნდა გაეერთიანებინა იმპერიის როგორც ქრისტიანები, ასევე მუსლიმები.

1876 წელს ახალგაზრდა ოსმალებმა მოახერხეს პირველი თურქული კონსტიტუციის მიღება, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიმეორა დაახლოებითთ იგივე ბურჟუაზიული უფლებები, რომლებიც სულთნის 1839 და 1856 წლების ბრძანებულებებში იყო. კონსტიტუციის საფუძვლად მიღებულ იქნა დიდი ვეზირის - მიდჰატ-ფაშას პროექტი, რომელმაც თავის ნაშრომში გამოიყენა დასავლეთევროპული ქვეყნების კონსტიტუციები, ძირითადად ბელგიისა და პრუსიის, თუმცა თავისი შემადგენლობის მიხედვით თურქული კონსტიტუცია უფრო ახლოს იდგა პრუსიულთან.

1876 წლის თურქული კონსტიტუცია უზრუნველყოფდა მთელი ძალაუფლების სულთნის ხელში შენარჩუნებას და იგი მონარქიული რეჟიმისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა. პირველსავე მუხლებში სულთან-ხალიფას „წმინდად და ხელშეუხებლად'' აცხადებდა. ის იყო განსაკუთრებული ფართო უფლებებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი, შეეძლო: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (დიდი ვეზირი) და მინისტრების, პალატათა თავმჯდომარეების და მუდმივი სენატორების დანიშვნა; პარლამენტის დათხოვა და ახალი არჩევნების დანიშვნა, სამხედრო მდგომარეობის, ასევე ომის გამოცხადება და ზავის დადება; სამხედრო და საზღვაო ძალების მზედართმთავრობა; სახელმწიფო ადმინისტარიის ფუნქციონირების კონტროლი; სასამართლო გადაწყვეტილების კონტროლი.

პარლამენტის მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი იურიდიულ ძალას იღებდა მხოლოდ სულთნის დამტკიცების შემდეგ. ამავე დროს სულთანი სრულიად გათავისუფლებული იყო თავისი ქმედებების გამო რაიმე პასუხისმგებლობიდან [ლებანიძე, 2004:7].

პირველი საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტი შეიკრიბა 1877 წლის 19 მარტს. აღსანიშნავია, რომ პირველივე მოწვევის პერიოდში დეპუტატთა პალატა ცდილობდა მოქცეულიყო ჭეშმარიტად დემოკრატიული წარმამოდგენლობითი ორგანოს მსგავსად. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატებს არ გააჩნდათ მინისტრების იმპიჩმენტის კომპეტენცია, მათ მოახერხეს კონსტიტუციის ჩარჩოების დარღვევით მთავრობისა და ადმინისტრაციის კონტროლის გარკვეულწილად უზრუნველყოფა. ყოველივე ამან სულთან აბდულ-ჰამიდის უკმაყოფილება გამოიწვია. მან დეპუტატთა აქტიურობის საპასუხოდ პარლამენტი 1877 წლის 28 ივლისს დაითხოვა. კონსტიტუციის შესაბამისად გაიმართა ახალი არჩევნები, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბებული ახალი პარლამენტი შეიკრიბა 1878 წლის იანვარში. თუმცა იგივე მიზეზით სულთანმა ისიც მალევე, 1878 წლის 14 თებერვალს, უვადო არდადეგებზე გაუშვა. ეს არ ყოფილა დაშლა ან დათხოვნა, როგორც ხშირად აღნიშნავენ. სულთანმა უბრალოდ გამოიყენა ''არდადეგების'' უფლება, რის გამოც პარლამენტმაც შეწყვიტა მუშაობა და შესაბამისად კონსტიტუციის მოქმედებაც შეჩერდა. ამით ოსმალეთში სახელმწიფო წყობა კვლავ შეუზღუდავ მონარქიას, ანუ აბსოლუტურ რეჟიმს დაუბრუნდა.

სულთანმა უმკაცრესი ღონისძიებები გაატარა პრესისა და ყოველნაირი ლიბერალური და ნაციონალური აზროვნების აღკვეთის მიზნით. გავრცელება დაიწყო ცენზურის უპრეცედენტო მექანიზმმა, გასაქანი მიეცა ოპოზიციური ინტელიგენციის დევნა-გასახლებას.

ასეთი ძალადობის დამკვიდრებამ კარგი წინაპირობა შექმნა ორგანიზებული ოპოზიციური ფრთის შესაქმნელად, რასაც მალევე შედეგად მოჰყვა იმპერიაში ახალგაზრდა ოსმალთა გაერთიანების, ამ შემთხვევაში კი უკვე პარტიის ჩამოყალიბება. ეს გახლავთ 1889 წელს იატაკქვეშეთში შექმნილი ერთიანობის ოსმალური გაერთანება, რომლის სახელწოდება მოგვიანებით შეცვლილ იქნა ერთიანობისა და პროგრესის გაერთიანების სახელით (Ittihadi ve Terraki Cemiyeti). იმის გამო, რომ გაერთიანება თურქეთში აკრძალული იყო, მისი ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბდა საზღვარგარეთ. ასე მაგალითად, საფრანგეთში გაქცეული თურქული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, ცნობილი და მდიდარი ოსმალური ოჯახიდან გამოსული აჰმედ რიზას მეთაურობით, ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია, გამოსცემდნენ თურქულ და ფრანგულ ენებზე გაზეთ „მეშვერეთს“, რომელშიც მწვავედ აკრიტიკებდნენ სულთან აბდულ-ჰამიდის რეჟიმს. [სვანიძე, 2007:336]

ოპოზიციურ გაერთიანებაში თავიდანვე არ იყო ერთიანი მსოფლმხედველობა. გამოიკვეთა ცენტრისტული და ლიბერალური მიმდინარეობები. ლიბერალური ფრთის ლიდერი გახდა სულთან აბდულ-ჰამიდის ახლო ნათესავი პრინცი საბაჰათინი (1878-1948), რომელიც თურქეთში პირველ სისტემურ ლიბერალად შეიძლება მოვიხსენიოთ. მეორე ფრთას კი წარმოადგენდა აჰმედ რიზა.

1902 წელს, პარიზში, პრინცმა საბაჰითმა დააარსა ოსმალო ლიბერალთა გაერთიანება, შემდეკი, 1906 წელს - კერძო ინიციატივათა და დეცენტრალიზაციის გაერთიანება. უფრო მძლავრი გაერთიანება შეიქმნა აჯმედ რიზას ხელმძღვანელობით, რომლის გარშემოც შემოიკრიბა ახალგაზრდა თურქთა მთელი ნაციონალური ელიტა. მოგვიანებით ერთიანობისა და პროგრესის დამფუძნებელთა შორის ვხედავთ თალაათ ფაშას და 1906 წელს სალონიკში დაფუძნებულ ოსმალური თავისუფლების გაერთიანებას. სწორედ ეს ჯგუფი გახდა შემდეგში ახლგაზრდა თურქთა რევოლუციის სახელით ცნობილი მოვლენების ინიციატორი...

ერთიანობის და პროგრესის ორგანიზაციამ კონსტიტუციის ხელახლა ამოქმედებისათვის და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად კარგად გამოიყენა ოსმალეთის სამეფო კარის უსუსურობა ევროპული ქვეყნების ზეწოლის განეიტრალებაში. 1908 წლისათვის ოსმალეთი რეალურად დადგა მთელი ბალკანეთის დაკარგვის საშიშროების წინაშე. ასეთ სიტუაციაში ერთიანობისა და პროგრესის ორგანიზაციამ, რომლის მთავარი შტაბი სალონიკში იყო განთავსებული, გადაწყვიტა ამბოხის გზით იძულებული გაეხადა სულთანი უარი ეთქვა აბსოლუტურ მონარქიაზე. სულთანი მიხვდა, რომ ამბოხის ჩახშობა წარუმატებლად დასრულდებოდა და 1908 წლის 23 ივლისს აღადგინა კონსტიტუცია, რაც ცნობილია თავისუფლების დეკლარაციის სახელით.

კონსტიტუციის ამოქმედებიდან პირველსავე არჩევნებში, 1908 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მათ მოახერხეს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა, მაშინ როდესაც პრინც საბაჰათინის მიერ დაფუძნებულმა ოპოზიციურმა ოსმალეთის ლიბერალურმა პარტიამ მხოლოდ ერთი დეპუტატის გაყვანა შეძლო.

1909 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა პროგრესულ-ლიბერალური პარტია; ერთიანობისა და პროგრესის ყოფილმა მოწინააღმდეგეებმა პარიზში დაარსეს ოსმალეთის საკონსტიტუციო რეფორმათა პარტია. ერთიანობისა და პროგრესის ყოფილმა წევრებმა 1910 წელს სახალხო პარტია, ხოლო 1911 წელს კი ახალი პარტია ჩამოაყალიბეს.

ოპოზიციური პარტიები კიდევ უფრო გაძლიერდნენ 1910 წლის 9 ივლისს ოპოზიციური ჟურნალისტის - აჰმედ სამიმის მკვლელობის შემდეგ. ერთიანობა და პროგრესი მიხვდა, რომ ოპოზიციის მომძლავრებას ვერ შეაჩერებდა და გადაწყვიტა მას გარიგებოდა, დათმობაზე წასულიყო. ასეც მოხდა, მიღებულ

იქნა ახალი პროგრამა, რომელიც ოპოზიციის გარკვეულ მოთხოვნებსაც ითვალისწინებდა. მაგრამ ოპოზიციის გაფართოება კვლავ გრძელდებოდა. 1911 წლის 21 ნოემბერს მთავარმა ოპოზიციურმა პარტიებმა (სახალხო პარტია, პროგრესულ-ლიბერალური პარტია და ოსმალეთის დემოკრატიული პარტია) გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ და ისე შეიქმნა პირველი მძლავრი ოპოზიციური პარტია - თავისუფლებისა და ერთობის პარტია. ეს პარტია, გარდა იმისა, რომ პოლიტიკურ კოალიციას წარმოადგენდა, გამოხატავდა აგრეთვე ოსმალეთში არსებული არათურქული ეთნიკური წარმონაქმნების (არაბები, ბერძნები, სომხები და სხვები) ერთიანი ოსმალური პლატფორმით შემაკავშირებელ ერთობას.

თავისუფლებისა და ერთობის პარტიამ დაარსებიდან სამი კვირის თავზე, 1911 წლის 11 დეკემბერს სტამბოლში გამართულ შუალედურ არჩევნებში წარმატებასმიაღწიადადეპუტატთაპალატაში100წევრისგაყვანამოახერხა,რასაც ერთობისა და პროგრესის მხრიდან რეაქციის აღზევება მოჰყვა. პარლამენტის დროებითი დათხოვნის, ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრების, ნაწილის კი სიკვდილით დასჯის შედეგად საბოლოოდ, 1913 წლიდან ხელისუფლებას მთლიანად ერთიანობისა და პროგრესის სამეული - ენვერი, თალაათი და ჯემალი დაეპატრონა. პოლიტიკურ არენაზე უკონკურენტოდ დარჩენილი ერთიანობა და პროგრესი აღნიშნული ტრიუმვირატის ხელმძღვანელობით ქვეყანას პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე ერთპარტიული რეჟიმში მართავდა.

1914 წელს ტრიუმვირატმა გერმანიასთან საიდუმლო გარიგებას მოაწერა ხელი, შედეგად თურქეთი გერმანიის სასარგებლოდ აღმოჩნდა ომში ჩაბმული. 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა რუსეთს, მაგრამ ოსმალეთი მაშინვე არ ჩაება ომში, მან ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ოსმალეთს სურდა დრო მოეგო და დაემთავრებინა არმიის მობილიზაცია. ასევე მას სურდა მიეღო გერმანიისაგან ფინანსური დახმარება და თანხმობა კაპიტულაციების გაუქმებაზე.

მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად წინა პლანზე წამოიწია ერთიანობისა და პროგრესის ახალი იდეოლოგია - თურქიზმი. ოსმანიზმისგან განსხვავებით, რომელიც აღიარებდა იმპერიის მრავალეროვნულობას, თურქიზმი მიმართული იყო იმპერიის ყველა ხალხის სრული თურქიზაციისაკენ.

საბოლოოდ ეს გერმანულ-თურქული მოკავშირეობა და ერთიანობა და პროგრესის არსებობა სრული კრახით დასრულდა. ოსმალეთი ომში დამარცხებული გამოვიდა და იძულებული შეიქნა 1918 წლის 30 ოქტომბერს მოკავშირეებთან ხელი მოეწერა მუდროსის ხელშეკრულებაზე, რომლის შედეგად, გარდა იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია ფაქტობრივად დამოუკიდებელ არსებობას წყვეტდა, ერთიანობისა და პროგრესის სახით თურქეთის ისტორიაში პირველი პოლიტიკური პარტიაც ასრულებდა თავის მოღვაწეობას.

დასკვნა

რესპუბლიკამდელ თურქეთში პოლიტიკური პარტიების ისტორია ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ პერიოდად უნდა იყოს. პირველი, ეს არის 1876 წლის საკონსტიტუციო წყობის დამყარება და მეორე - 1908 წელს ხალგაზრდა თურქთა მოძრაობის მიერ რევოლუციური გზით აღდგენილი საპარლამენტო მმართველობა.

საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის რეალური ნიშნები სწორედ ამ მეორე პერიოდში შეინიშნება. თუ 1876 წლის სისტემა პარლამენტს ფორმალურ ფუნქციას აკისრებდა და არანაირად არ ზღუდავდა მონარქის უფლებამოსილებას, 1908 წლის ცვლილებების შემდეგ განსაზღვრულ იქნა პარლამენტის, როგორც საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები, რომელსაც კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა, დაევალა მთავრობისა და მინისტრების გაკონტროლება. მთავარი სიახლე კი ის იყო, რომ ახალი წყობა უფლებას იძლეოდა თავისუფლად ჩამოყალიბებულიყო სხვადასხვა გაერთიანება და პოლიტიკური პარტია. შედეგად, მცირე დროით მაინც რეალურად მოხერხდა მრავალპარტიული სისტემის შემოღება.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, განსხვავებით ევროპის ქვეყნების და აშშ-სგან, მთავარი დამახასიათებელი თავისებურება იყო ის, რომ როგორც ახალგაზრდა ოსმალები, ასევე ერთიანობისა და პროგრესის ორგანიზაციები არ გამოხატავდნენ ფართო საზოგადოებრივ მოთხოვნებს. ამას გარდა, ისინი არ ეყრდნობოდნენ არც ერთ სოციალურ თუ საზოგადოებრივ ფენას. საპარლამენტო თუ პარტიული სისტემები თურქეთში შექმნა და განავითარა მცირერიცხოვანმა ოსმალურმა ბიუროკრატიამ და ინტელიგენციამ. ისინი მოკლებულნი იყვნენ ხალხის მხარდაჭერას. მოუმწიფებელი, ჩამოუყალიბებელი ბურჟუაზიის პირობებში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ნიადაგი იმისთვის, რათა ხალხს გაეთავისებინა კონსტიტუციის, პარლამენტარიზმის თუ პოლიტიკურ პარტიათა სისტემის უპირატესობა.

ამიტომ ეს ინსტიტუტები და იდეები, ხალხის კონტროლის პრინციპისაგან განთავისუფლებული პირველი თურქული პოლიტიკური დაჯგუფებების ხელში, აღმოჩნდა ბრმა იარაღი ხელისუფლების ხელში ჩასაგდებლად. ეს განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა ერთიანობისა და პროგრესის პარტიის მოღვაწეობის მაგალითზე.

თურქეთის პოლიტიკურ პარტიებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თურქეთის სახალხო რესპუბლიკურ პარტიას (თურქ. Cumhuriyet Halk Partisi). ეს პარტია 1923 წლის 9 სექტემბერს დააარსა მუსტაფა ქემალ ათათურქმა, ოფიციალურად კი ჩამოყალიბდა სივასის კონფერენციაზე. თურქეთში რესპუბლიკის დამყარების შემდეგ, 1924 წლის 10 ნოემბერს მას ეწოდა სახალხო-რესპუბიკური პარტია [Political parties in Turkey…].

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიუხედავად მოჩვენებითი მრავალ-პარტიული სისტემებისათვის დამახასიათებელი წყობის დამყარებისა, ამ ეპოქის პარლამენტარიზმის და კონსტიტუციონალიზმის შეფასებისას, მართებული იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ოსმალეთის იმპერიაში აღმოცენებული პირველი პოლიტიკური პარტიები შორს იყვნენ ამ ცნების ჭეშმარიტი გაგებისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლებანიძე ტ., პარტიები და პოლიტიკური მდგომარეობა თურქეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 2004.
2. ლებანიძე ტ., თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა, თბ., 2011.
3. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბ., 2007.
4. Political parties in Turkey, CHP (The Republican People's Party) http://www.allaboutturkey.com/parti.htm

The Formation of the Political Parties in Turkey

Jemal Beridze,
Doctoral Student of BSU

S u m m a r y

Given article considers the formation and development of political parties in Turkey before it has acquired the status of republic. Article deals with the reasons of creation of the first political organisation in the Ottoman Empire and discusses their part in the state's future positive changes. It also discusses certain aspects of the establishment of "Youth Ottoman Turk Society", which had played significant role in the forming of constitution.

The last part of the Article is concerned with the first parliamentary elections in 1877 and its first gathering. It mentions that the parliament was trying to act as a truly democratic representative body.

Key words: Parties, constitution, parliament, opposition, turkishism, reform

კათოლიკე მისიონერთა რელაციონების მნიშვნელობა და როლი შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში

ზვიად გიორგაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში. შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე (მ. თამარაშვილის არქივი) ირკვევა, რომ დღეისთვის ვატიკანის წიგნსაცავებსა და პროპაგანდა ფიდეს არქივებში საკმაოდ მოიპოვება ჯერ კიდევ შეუსწავლელი მასალები, რომლებიც გაგზავნილია საქართველოდან მისიონერების მიერ სხვადასხვა დროს. მათში საკმაოდ ხატოვნად და ნათლად არის გადმოცემული ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურული მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ხელთ არის მონსინიორე ლეონეს მასალები, რომლებიც დღემდე არ არის გამოქვეყნებული არც იტალიურ და არც სხვა რომელიმე ენებზე. ეს მასალები ვატიკანიდან საქართველოში თავის დროზე ჩამოიტანა მ. თამარაშვილმა და ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში. შემდეგ კი მათი ნაწილი თარგმნა და ხელნაწერის სახით ინახება ბ. გიორგაძის პირად არქივში. ისინი ფასდაუდებელია სოციალურ-კულტურული თვალსაზრისითაც.

საკვანძო სიტყვები: მონსინიორები, რელაციონი და ამ ეპოქის სოციალური ვითარება.

შესავალი

როგორც კათოლიკე მისიონერთა ჩანახატებისა და რელაციონების მოკლე მიმოხილვამ დაგვარწმუნა, საქართველოში რომიდან მოვლენილი იტალიელი მისიონერები, უცხო და გულგრილ დამკვირვებელ-მეთვალყურეებად არ დარჩენილან ჩვენი ხალხის ძნელბედობით აღსავსე ცხოვრებისადმი, ჩვენი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური სინამდვილის მტკივნეული მოვლენებისადმი. ისინი არ შემოფარგლულან თავიანთ მოღვაწეობაში, კათოლიკობის გამავრცელებელი მისიონერობის ვიწრო მიზნებით. ყოველთვის გულმოდგინედ მონაწილეობდნენ ხალხის სიხარულსა და მწუხარებაში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისინი მოსახლეობის ფართო ფენებს დაუახლოვდნენ, როგორც მკურნალნი თუ სხვადასხვა ხელობის ცოდნით აღჭურვილი ადამიანები და შესძლეს კარგად გაეცნოთ ქართველი ხალხის ხასიათი, ზნე-ჩვეულება, კულტურა და საჭიროებანი. გულმოდგინედ ემსახურებოდნენ მოსახლეობას არამხოლოდ, როგორც მკურნალნი, არამედ თავის ცოდნას და ყურადღებას უზიარებდნენ, როგორც დიდგვაროვნებს, ისე გლეხებს.

საზოგადოების, როგორც მაღალ ფენებთან, ისე გლეხობასთან ურთიერთობაში ყოფნა მათ საშალებას აძლევდა არაფერი გამოჰპარვოდათ, რაც კი რამ საინტერესო ხდებოდა მათ ირგვლივ. თქმა არ უნდა, ჩვენს ქვეყანაში მათ წარმატებულ მოღვაწეობას, პოპულარობასა და ნდობის მოპოვებას, დროც უწყობდა ხელს. მათ კარგად შეისწავლეს ქართულ-მეგრული ენები, რასაც თვით რელაციონსა და ნახატების მინაწერებში საკმაოდ ამჟღავნებენ. ეს კარგადაა გამოკვეთილი კასტელის ილუსტრაციებში, რომელსაც დართული აქვს მისივე ფრაზები თუ სიტყვები ქართულ ენაზე.

კარგად სჩანს, რომ მისიონერთა ნახატები და რელაციონები ჩვენი წარსულის, თუნდაც შესამჩნევი ცოდნით აღბეჭდილი, მხოლოდ დოკუმენტებს კი არ წარმოადგენს, რომელშიც გარეგანი სურათებია აღბეჭდილი, არამედ ჩვენი ხალხის შუასაუკუნეების სულიერი ცხოვრების სიყვარულით გამსჭვალული მატიანეცაა.

ძირითადი ნაწილი

სხვადასხვა მისიონერთა რელაციონებსა და ნახატებში სოციალური კუთხით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელმა იცის თავისი საქმიანობა. მათი თანაცხოვრება დამყარებულია ურთიერთ პატივისცემასა და უფროს-უმცროსობის სტატუსის დაცვაზე. ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს კასტელის ნახატების, ჯუდიჩე მილანელისა და მონსინიორე ლეონეს რელაციონებში აღწერილი ღირსშესანიშნავი მოვლენა ქართველთა ცხოვრებაში, რომელსაც სხვადასხვა ავტორს სხვადასხვა სახელით აქვს მოხსენიებული, შინაარსი კი შეიძლება ითქვას იდენტურია. ზოგი მას აღგვიწერს ხატობის სახელით,[5] ზოგი-გიორგობის დღესასწაულით და ზოგიც-ჯარობით[4]. მთავარი ისაა, რომ ეს არის გიორგობის დღესასწაული და მასში მონაწილეობას იღებს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი, დაწყებული მეფიდან, დამთავრებული გლეხით. ეს დღესასწაული ყველასათვის მნიშვნელოვანია და მასში მონაწილეობის მიღება კი საპატიო მოვალეობა.

დიდი ყურადღება ეთმობა წინა სამზადისს, რომლისთვისაც თითოეული გვარის წარმომადგენელი განსაკუთრებულად ემზადება. მასში მონაწილეობას იღებს, როგორც ოჯახის ძირითადი მაცხოვრებლები, ასევე სავალდებულოა ამ გვარის გათხოვილი ქალების მონაწილეობაც. ისინი თავიანთი ოჯახებით წინასწარ მოდიან მშობლების სახლში სპეციალური სამზადისითა და შესაწირი საქონლით. დღესასწაულის დღეს კი მიდიან ტაძარში, რჩებიან ღამისთევით, იკვლება უამრავი საქონელი და იმართება: ლხინი, ბაზრობა, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებანი[4,5] (ჭიდაობა, კაფიობა, ცეკვა, ცხენბურთი და სხვა).

ყველა რელაციონში, რომელიც კი ჩვენს ხელთაა და ინახება მ. თამარაშვილის არქივში[3], დღესასწაულზე გამართული ლხინი არის ქართული სუფრის

უმაღლესი გამოვლენა. აქ მეფის გვერდით სხედან არამარტო თავადები და აზნაურები, არამედ გლეხებიც. სუფრის თანასწორი წევრები არიან კაცები და ქალები. განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავენ ქალის მიმართ, როგორც ურთიერთობაში, ასევე სუფრასთან სადღეგრძელოებში.

შეიძლება ითქვას, რომ ამ დღესასწაულებში რელიგიური კუთხით ერთმანეთში მჭიდროდ შერწყმულია წინარექრისტიანული და ქრისტიანული ადათ-წესები[1,4]. ისინი ისე ძლიერად არის შეჭრილი სოციალური ფენის ყველა წარმომადგენლის გონებაში, რომ ძნელია გარჩევა რომელია ქრისტიანული და რომელი წინარექრისტიანული. ეს შერწყმა საკმაოდ საინტერესოს ხდის თავად ამ დღესასწაულს. შეიძლება გამოვყოთ ეკლესიაში ჩატარებული რიტუალი. გვარის წარმომადგენლ;ები და მათი გათხოვილი ქალები ოჯახებით მიდიან ხატის კარზე ლოცვის შესასრულებლად. მათ იქ ხვდებათ, ზოგიერთი წყაროებით მნათე, ზოგიერთით კი მეხატური. იგი დაიჩოქებს ხატის წინ და დაამწყალობებს იქ მისულთ, შემდეგ გამოართმევს საწირავს და თავთავის ადგილას მოათავსებს. გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ კი თითოეული გვარი ერთვება საერთო გართობა-მხიარულებაში. სხვა გართობასთან ერთად ისინი მართავენ ისტორიულ, სოციალურ და დიდაქტიკურ თემაზე წარმოდგენებს. ასრულებენ: სიმღერებს, ცეკვებს და დიალოგითაც გამოხატავენ თავიანთ სათქმელს, რის-თვისაც იყენებენ ხალხურ საკრავებსა და საზეიმო მორთულობებს.

ამ დღესასწაულზე მიდიოდნენ: პატრიარქი, მიტროპოლიტი, მთავრები, მეფე და მისი ოჯახის ნათესავი-დიდებულები და აზნაურები ოჯახებით[2,3]. ყველა ერთად იღებდა მონაწილეობას აქ მოსულ მომლოცველებთან ერთად გამართულ ტრადიციულ ღონისძიებებშ. ხშირად, მეფე თავად იყო თამადა იმ სუფრისა, რომელსაც უსხდნენ სოციალური ფენი ყველა წარმომადგენელნი.

გულის ტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საერთო სახალხო დღესასწაულის გვერდით ამავე ეპოქის უმძიმესი ტრაგედიაც ხდებოდა[2,4]. როგორც ლხინში, ასევე ამ საბედისწერო და სამარცხვინო პროცესშიც ჩართული იყო საზოგადოების ყველა ფენა. განსაკუთრებული გულისტკივილია გამოხა-ტული მონსინიორე ლეონეს რელაციონში, რომ ქართველებმა არ იციან თუ რას სჩადიან საკუთარი ერისა და გენის წინაშე, როცა უღმერთოდ ყიდიან თავისივე ქვეყნის ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, სიცოცხლით სავსე გოგო-ბიჭებს. არ უფიქრდებიან და არც არად დაგიდევენ მათ ბედ-იღბალს. მონების გაყიდვით მიღებულ ფულს კი დაუფიქრებლად ახმარენ ოჯახის კეთილდღეობას.

მაშასადამე, იკვეთება შუასაუკუნეების ქართული საზოგადოების ორი ურთიერთსაპირისპირო თვისება: ერთის მხრივ ისინი მეგობრული, რელი-გიური და ურთიერთპატივისმცემელნი არიან, მეორეს მხრივ კი დაუნდობლად ერთვებიან იმ ეპოქის ისეთ სამარცხვინო მოვლენაში, როგორიცაა მონებით ვაჭრობა[2,6]. ეს შეიძლება აიხსნას არა ქართველთა ორბუნებოვნებით, არამედ

უდიდესი სიღატაკით, დამყრობთა უღლის ქვეშ უიმედო ცხოვრების წესითა და გაუნათლებლობით. იმ დროინდელი გაუნათლებლობა არ აძლევდა გლეხებს დაფიქრების საშუალებას, თუ რას სჩადიოდნენ ერის წინაშე ხოლო სიდუხჭირე კი უბიძგებდა უკანონო ფულის შოვნისაკენ, რათა თავი გადაერჩინათ. რაც შეეხება აზნაურთა და თავადთა ამ პროცესში ჩართულობას, შეიძლება აიხსნას მათი სულმდაბლობით. რა თქმა უნდა ყველა დიდგვაროვანზე ეს არ შეიძლება ითქვას. სამწუხაროდ იქაც ერივნენ მედროვე და სულმდაბალი ადამიანები. ისინი ამ საქციელით იუმჯობესებდნენ თავიანთ მდგომარეობას დამპყრობლის წინაშე. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ყველა სოციალური ფენის ზოგიერთი წარმომადგენელი სამარცხვინო და გამოუსწორებელ საქმეს სჩადიოდა ქართველი ერის წინაშე, რასაც მონსინიორე ლეონე გულის ტკივილით აღგვიწერს თავის ერთ-ერთ რელაციაში[2].

დასკვნა

საქართველოში XIII-XVIII საუკუნეებში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ავრცელებდნენ ქრისტიანობას, ეხმარებოდნენ გაჭირვებულ ხალხს ხელოსნობითა თუ სხვა საშუალებებით. ამასთან წარმოადგენდნენ ერთგვარ ხიდს საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მათ კარგად შეისწავლეს ქართული ენა, ქართველი ხალხის დადებითი თუ უარყოფითი ყოფა-ცხოვრება და გააკეთეს დასკვნები ამ ეპოქის მაცხოვრებელთა შესახებ.

ყველაზე ფასდაუდებელია მათი რელაციონები და ჩანახატები, შედგენილი ალბომები თუ წერილები, რომლებსაც აგზავნიდნენ რომში და ვატიკანის არქივებში. ეს არის ფასდაუდებელი დოკუმენტები არამხოლოდ საქართველოს ისტორიის ამ ნაკლული პერიოდის შევსებისათვის, არამედ ნათლად გვიხატავს და აცოცხლებს ამ ეპოქის მცხოვრებთა სოციალურ-კულტურულ ყოფას. მათ კომენტარებში მოხსენიებულია საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა, განხილულია მათი ცხოვრების ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და პრობლემები, რომლებიც საკმაოდ აწუხებდა მოსახლეობას მუსლიმი დამპყრობლების უღელქვეშ.

საკმაო ყურადღებაა დათმობილი ადგილობრივი მეფეებისა და თავადების კეთილ განწყობაზე კათოლიკე მისიონერებისადმი და ზოგადად, ევროპასთან ურთიერთობების თვალსაზრისით [2,3]. ყველა რელაციონი გამსჭვალულია საქართველოს ღრმა სურვილით ევროპასთან ურთიერთობის მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის.

სამწუხაროდ, XVIII საუკუნის ბოლოს, როცა რუსები შემოვიდნენ საქართველოში გაძნელდა კათოლიკე მისიონერთა აქ ცხოვრება და ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველო.

მიუხედავად ამისა კათოლიკე მისიონერთა როლი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა ქვეყნის მცხოვრებთა შემდგომი განვითარებიდათვის. ამის მაგალითად გამოდგება დღეისთვისაც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში კათოლიკე ქართველების ცხოვრება. მათ დღეისთვის ადგილობრივი მცხოვრებნი ხანდახან „ფრანგებსაც“ ეძახიან.

ლიტერატურა

1. ი. ტაბაღუა-საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“ 1984 წ.
2. ბ. გიორგაძე-დონ კრისტოფორო დე კასტელი „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“ 1977 წელი.
3. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მ. თამარაშვილის პირადი არქივი H ფ.., ტ.2
4. ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 1975 წ. გამომცემლობა „მეცნიერება“
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. 1973 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
6. Archivo segreto Vaticano, vol. 17, ff. 6-7v.

The Importance and Role of Catholic Missionaries' Relations in the Cultural Life of Medieval Georgia

Zviad Giorgadze, PhD student
Georgian technical university

Summary

The article discusses the work of Catholic missionaries in Georgia. Based on the studied documents (M. Tamarashvili's archive) it is revealed that at present the Vatican booksellers and propagandists in the Fide archives still have much unexplored material sent by missionaries from Georgia at various times. The socio-cultural situation of the Georgian people is quite clearly and clearly depicted in them.

It is important that we have materials from Monsignor Leone that have not been published in Italian or any other language to date. These materials were brought from the Vatican to Georgia in time. Tamarashvili and kept in the H Fund of the National Center of Manuscripts. Then some of them were translated and kept in manuscript b. Giorgadze's personal archive. They are also invaluable in socio-cultural terms.

Annales Minorum seu Trium Ordinum A. S. Francisco Istitoturom. Autore A.R.P. Luca Weddingo…, Propre Florentiam, 1931, t. 2, pp. 359-360

2008 წლის ომი და მისი შედეგები

გიორგი გოგიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველოში, 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენები უკავშირდება რუსეთის გეოპოლიტიკას კავკასიის რეგიონში და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის პასუხის დაბრუნებას კოსოვოს აღიარებასთან მიმართებაში. შეიარაღებულ კონფლიქტამდე, კონფლიქტისას და შემდგომი პერიოდის გაანალიზება, გვაძლევს დამაჯერებელი არგუმენტაციის საშუალებას, რომ რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები ოკუპაციის საზღვრებს სცდება და ანექსიისკენაა მიმართული, რაც გამოიხატება პასპორტიზაციის გზით დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლაში, რუსული პასპორტების დარიგების კუთხით, 12 აგვისტოს 6 პუნქტიანი სამშვიდობო შეთანხმების დარღვევაში, ბორდერიზაციის პროცესის განხორციელებაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და მათი დამოუკიდებლობის აღიარებაში, მჭიდრო ურთიერთობაში სხვადასხვა მიმართულებებით, რომელთა დოკუმენტალური დადასტურებაცა 2014, 2015 და 2017 წლებში დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს საგარეო პოლიტიკას, თავდაცვა-უსაფრთხოება და საზღვრის კონტროლს, შინაგან საქმეთა ორგანოებს, ეკონომიკურ თანამშრომლობასა და საბაჟო რეგულაციებს, მოქალაქეობას, სოციალურ უზრუნველყოფას, განათლებასა და მეცნიერებას. ფაქტობრივად მოყვანილი არგუმენტები ნათელ სურათს წარმოადგენს ანექსიის დასამტკიცებლად და 2008 წლის ომის წამომწყები და ინსპირირების მხარის გამოსავლენად.

საკვანძო სიტყვები: ოკუპაცია, ანექსია, ესკალაცია, პასპორტიზაცია, იმპერიალიზმი, ინსპირირება, დიპლომატიური ომი, de-faqto კოლონიზაცია, ინტეგრაცია, ეთნოკონფლიქტი.

შესავალი

2008 წლის აგვისტოს 5 დღიანი ომი, საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო დროინდელ ურთიერთობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს მრავალი კითხვა, რომლებიც დღესდღეისობითაც პასუხ გაუცემელია. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაზუსტებელ ფაქტს წარმოადგენს ვინ დაიწყო ომი, რა საფუძველი დაედო გადადგმულ ნაბიჯს და რა მიზანს ემსახურებოდა ურთიერთობის ამგვარი სახე.

კონფლიქტის დაწყება, მისი შემდგომი ესკალაციაც და დამთავრებაც

უკავშირდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობას, და არა ეთნოკონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის, რომელიც პოსტსაბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული მოსაზრების დასაბუთებისათვის გასახსენებელია ომამდელი პერიოდი თუ რატომ მაინცადამაინც 2008 წელს გამძაფრდა ურთიერთობა. 2008 წლის გაზაფხულზე კოსოვოს აღიარებით დასავლურმა დიპლომატიამ ,,არ ავნო"-ს პრინციპი არ დაიცვა და უნებლიედ, იმავე წლის ზაფხულში, საქართველოში ომის გაჩაღებას შეუწყო ხელი[1]. კოსოვოს აღიარებიდან შემდგომ, ორი თვის განმავლობაში რუსეთმა გადადგა სტრატეგიული ნაბიჯები, 6 მარტის განცხადებით ცალმხრივად გამოვიდა 1996 წლის დსთ-ის შეთანხმებიდან, რომელიც აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებას ითვალისწინებდა, ასევე 21 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდა კრემლს განიხილოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიზანშეწონილობის საკითხი. 16 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, დაავალა მთავრობას და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს ოფიციალური ურთიერთობების დამყარება თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შესაბამის ორგანოებთან[2].

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის მიერ შექმნილ ანგარიშის I ტომში ასახულია, რომ ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის საარტილერიო დაბომბვით 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში. თუმცა, ეს იყო დიდი ხნის განმავლობაში მზარდი დაძაბულობების, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაცია"[3], რომელთა დახასიათებასაც წინარე პერიოდის ასახვით გვთავაზობს. ომისა და შეიარაღებული კონფლიქტის წამომწყებად ითვლება ქართული მხარე, რომელმაც განახორციელა ისეთი ქმედებათა ერთობლიობა, რამაც მისიას მისცა შესაძლებლობა დაბეჯითებით გაეკეთებინა დასკვნა ომის დამწყებ მხარესთან მიმართებაში, თუმცა იგი აღიარებს, რომ ფართომასშტაბიან შეტევამდე არსებობდა წინარე პერიოდი დაძაბულობისა და მცირედი ინციდენტებისა, რომელთა შეფასებასაც არ აკეთებს, რაც გარკვეულ დეფინიციას მაინც მოგვცემდა 7-8 აგვისტომდე არსებული დაპირისპირებისა და შემდგომ პერიოდზე, რამდენად იქნა დაცული, ომამდე, პროპორციულობის ან განურჩეველი მოქმედებების შემზღუდველი პრინციპები.

[1] დ. ასმუსი მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა გვ 95

[2] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.32&d=-HASH01189b89879ecd6aa4af12d4.5&gt=1

[3] http://smr.gov.ge/Uploads/11415b.pdf

სამხედრო თვალსაზრისით შეიარაღებული კონფლიქტის თავისებურებებს წარმოადგენს: მოწინააღმდეგე მხარეების პოლიტიკური მიზნებისა და ხასიათის შეზღუდულობა; წინა პლანზე არა ძირეული, არამედ უფრო კერძო, სიტუაციური ფაქტორების წამოწევა; სამხედრო ძალის გამოყენების რაოდენობრივი და თვისებრივი შეზღუდვა; დაპირისპირების შედარებით მცირე ტერიტორიული მასშტაბი; დროის მიხედვით ხანმოკლე ან ფეთქებადი ხასიათი; შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს ომში, ხოლო ეს უკანასკნელი, პირიქით, დეესკალაციის შედეგად ჩაცხრეს კონფლიქტის დონემდე[1]. მიზანშეწონილია განისაზღვროს 7-8 აგვისტომდე და მის შემდეგ არსებულ მდგომარეობა და გაევლოს ხაზი, თუ რომელი შეიარაღებული დაპირისპირება შეიძლება ჩაითვალოს ომის ნათელ გამოვლინებად და გაეროს წესდების დარღვევად, რადგან ომის შემდგომაც ფაქტების დამდგენი კომისია აღიარებს, რომ სხვადასხვა ფაქტების სამართლებრივი შეფასება და დაზუსტება ვერ მოხერხდა. შეიარაღებული კონფლიქტის განსაზღვრებითა და 2008 წლის 7-8 აგვისტომდე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ომამდელი არსებული შეიარაღებული დაპირისიპირება უნდა დაკვალიფიცირდეს, რო-გორც შეიარაღებული კონფლიქტი, თავისი მასშტაბურობითა და ხასიათიდან გამომდინარე.

ომის პერიოდში, რუსეთის მხარის გაუმართლებელი ნაბიჯები აღბეჭდი-ლია Human Rigts Watch-ის დასკვნაში, რომლის მიხედვითაც დასტურდება ეთნიკური წმენდა სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების, რომელსაც სხვადასხვა ელემენტების გათვალისწინებით ევროკავშირის მისიის წარმო-მადგენლებიც ეთანხმებიან[2]. ეთნიკური წმენდის განხორციელებას, შეფასება ერთი შეიძლება მიეცეს, ფაქტობრივი ტერიტორიული ოკუპაციის ფონზე დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლა და შემდგომი ანექსირება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის.

ანექსირების პროცესის დასაბუთებისას, მნიშვნელოვან თემას წამოადგენს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რუსული პასპორტების გაცემის საკითხი. Human Rights Watch-ის აღნიშვნით: „2007 წლის ბოლოსთვის, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ინფორმაციით, მოსახლეობის 97%-მა მიიღო რუსული პას-პორტი. რამდენადაც რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო 2000 წელს, რუსულმა პასპორტებმა ოსებსა და აფხაზებს რუსეთის საზღვრის თავისუფლად გადაკვეთის, რუსული პენსიებისა და სხვა სოციალური

[1] http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98

[2] მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო II ტომი, 468

დახმარების მიღების შესაძლებლობა მისცა“[1]. ანექსისაკენ მიმავალ გზაზე ვაწყდებით რუსული რბილი ძალის პოლიტიკას, აფხაზებისა და ოსების სოციალური ფონის გათვალისწინებით. პენსიებისა და სოციალური დახმარების მიცემით რუსული რბილი ძალა ცდილობს ძალმომრეობითი პოლიტიკა შეცვალოს ნაკლებად ხისტი დამოკიდებულებით, რითაც ყოველდღიურობაში აფხაზებსა და ოსებს მასზე დამოკიდებულს გახდის.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გარუსების პოლიტიკა, წარმოადგენს ჟენევის კონვენციების წმინდა წყლის დარღვევას, რაც კავშირშია დემოგრაფიული ვითარების შეცვლათან, პასპორ-ტიზაციის გზით. აღნიშნული ქმედება სცდება ოკუპაციის საზღვრებს და გადადის ანექსიისკენ მიმართულ რელსებზე. ჟენევის კონვენციების მიხედვით ოკუპანტ სახელმწიფოს არანაირ საუძველზე არ შეუძლია დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ძირითადი უფლებების უგულებელყოფა. აკრძალულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა ინდივიდუალური და კოლექტიური გასახლება მათი ქვეყნის არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ან მათი დეპორტირება ოკუპანტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ოკუპანტ სახელმწიფოს არაქვს უფლება, ჩაასახლოს თავისი მოსახლეობის ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ეს აკრძალვა de-faqto ანექსიის ან კოლონიზაციის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად[2]. არსებული ვითარების გათვალისწინებით, სამხრეთ ოსეთში განხორციელდა, როგორც გასახლება, ასევე ჩასახლება, ვინაიდან დემოგრაფიული სურათი საგრძნობლად შეიცვალა, რასაც უკვე ფაქტობრივ ანექსიამდე მივყავართ, გარდა იმ გამონაკლისისა, რომ რუსეთის ფედერაცია ჯერჯერობით სამხრეთ ოსეთს სააშკარაოდ მის შემადგენელ ნაწილად არ აღიარებს.

აუცილებლად შესასრულებელი სამშვიდობო პრინციპების დასაცავად, საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით 2008 წლის 12 აგვისტოს დაიდო ექვს პუნქტიანი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დოკუმენტალურ დასასრულად ითვლება. აღნიშ-ნული შეთანხების გარკვეული პუნქტები დღესდღეისობითაც შეუსრულებელია, რა გამომწვევი მიზეზები ან რა მიზანი აქვს შეთანხმების არ შესრულებას რუსეთის მხრიდან, განსჯის საგანია როგორც ქართული მხარისათვის, რომელიც ზარალდება პროცესის გაყინული მიმდინარეობით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის. საქართველო-რუსეთს შორის დადებული სამშვიდობო შეთანხმება არის ომის დასრულების იურიდიული ფორმა, თუმცა რუსეთ - საქართველოს ომი შეთანხმებით არ დასრულებულა. საერთაშორისო სამართალი იცნობს ომის წარმოების მეთოდებს, ერთ-ერთი ასეთი მეთოდია საომარი მოქმედებები, მაგრამ არსებობს ასევე დიპლომატიური ომი, რომელიც

[1] HRW, ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ კონფლიქტში, გვ. 18

[2] .პ. გასერი ,,საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“ თბილისი. 1999 45.

არსებობდა და არსებობს რუსეთ - საქართველოს შორის, ამ ომის წარმოებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია სამშვიდობო შეთანხმებას, უფრო ზუსტად ზეგავლენა არ მოუხდენია დიპლომატიური ომის შეწყვეტაზე, პირიქით, სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ დიპლომატიური ომი უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა[1]. 2008 წლის 26 აგვისტოს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხელი მოაწერა ბრძანებულებას რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე[2]. როგორ შეიძლება შეფასდეს ორი კვირის ინტერვალით საპირისპირო პოზიციების გამოხატულება, თუ არა წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესრულება. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების ცალმხრივი და ერთპიროვნული აღიარება არის საერთაშორისო თანამეგობრობისათვის პასუხის დაბრუნება კოსოვოს აღიარებასთან დაკავშირებით და ანექსიისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი. ფაქტიურად 12 აგვისტოს შეთანხმების მე-6 პუნქტი დადებიდან ორ კვირაში დაირღვა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ. შეთანხმების მე-5 პუნქტის ორ აზროვნებისა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსა და რუსეთის სამხედრო ძალების დაშორიშორებას არა საერთაშორისო საზღვარზე, არამედ ომის დროს სამხედრო მოქმედებების ოპერატიული თეატრის ფარგლებში. შეთანხმება გულისხმობს არა საქართველოს სრულ დეოკუპაციას, არამედ ადგენს საქართველოსა და რუსეთის ჯარების გამიჯვნის დროებით სადემარკაციო ხაზს საკუთრივ საქართველოს ტერიტორიის შიგნით. ომამდელი სტატუს-კვოს აღდგენის ფორმულა ქართული მხარისთვის გულისხმობს რუსეთის ჯარების გაყვანას საქართველოს მთელი ტერიტორიიდან, ხოლო რუსი იმპერიალისტებისთვის ნიშნავს - დანარჩენი ტერიტორიების დატოვებას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარდა[3]. ასევე გასახსენებლია, რომ ზემო კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი 2008 წლის ომამდე ქართული მხარის იურისდიქციაში შედიოდა და საქართველოს სუვერენიტეტი ვრცელდებოდა. ფაქტია რუსულ პოლიტიკაში აქაც იფეთქა ქსენოფობიურმა მისწრაფებებმა და მათ აღნიშნული პუნქტის სათავისოდ გამოყენებით ოკუპაციის ზონა გაზარდეს, რომელიც დღესაც გრძელდება.

სამშვიდობო შეთანხმების სასრგებლო ინტერპრეტაციის შედეგად, რუსულ-მა მხარემ დაიწყო 2011 წლიდან ბორდერიზაციის პროცესი, რომელიც ღობების, მავთულხლართებისა და საზღვრის აღმნიშვნელ ბანერების დამაგრებას გულისხმობს. აღნიშნული პროცესი შეეხო, გორისა და ქარელის რაიონების ოცდათორმეტ სოფელს. რეალობა ასეთია: 350 კმ-ზე მეტი სიგრძის საოკუპაციო

[1] გელაშვილი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება, გამომცემლობა „ქართლი“ 2011 გვ 33

[2] https://old.civil.ge/geo/article.php?id=19296

[3] ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, 2008 წლის ომი და მისი შედეგები, გამომცემლობა უნივერსალი 2010 წ. გვ 224

ხაზი, დაახლოებით 52 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეები, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ მაგისტრალამადე დარჩენილია დაახლოებით 350 მეტრი[1]. დაზარალებული, ქარელისა და გორის, რაიონების ტერიტორია არასდროს შედიოდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაში და შეიძლება ითქვას მიმდინარე პროცესი ექვს პუნქტიანი შეთანხმების დარღვევის ერთ ერთი გამოხატულებაცაა, რომელიც მცოცავი ანექსიის შემადგენელი ნაწილია.

რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებლ სუბიექტად აღიარებით საფუძველი ჩაუყარა ურთიერთობის ახალ სახეს, სეპარატისტულ რეჟიმებთან, რომელიც მას საშუალებას მისცემს ფედერაციული წყობის ფარგლებში ანექსიის გზით დაიქვემდებაროს, მართვაგამგებლობაში ორივე რეგიონი. მოყვანილ მოსაზრებას აღრმავებს რუსეთსა და სოხუმს შორის 2014 წლის ნოემბერში ხელმოწერილი ე.წ. „ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“[2]. რუსეთის ფედერაციის მიერ სოხუმის საოკუპაციო რეჟიმთან გაფორმებულ ე.წ. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების" კვალდაკვალ, 2015 წლის 18 მარტს, რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის ხელი მოეწერა ე.წ. „ხელშეკრულებას მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“[3]. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს 2015 წლის 5 თებერვლის, საინფორმაციო-თემატურ გამოშვებაში ,,რუსეთის ანექსიური პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“ გაკეთებულიაშედარებითიანალიზიორივეხელშეკრულების.ხელშეკრულებათა პუნქტები ეხება საგარეო პოლიტიკას, თავდაცვა-უსაფრთხოება და საზღვრის კონტროლს, შინაგან საქმეთა ორგანოებს, ეკონომიკურ თანამშრომლობასა და საბაჟო რეგულაციებს, მოქალაქეობას, სოციალურ უზრუნველყოფას, განათლებასა და მეცნიერებას. მიუხედავად, ხელშეკრულებათა ძირეული პუნქტების იდენტურობისა, მათ შორის არსებობს მცირედი განსხვავებები,

[1] https://factcheck.ge/ka/story/30489-rusuli-mtsotsavi-okupatsia-tsiphrebshi

[2] http://www.mfa.gov.ge/News/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9-0-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-(8).aspx?CatID=5

[3] http://mfa.gov.ge/News/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9-3%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-(1).aspx

თუმცა შეთანხმებათა შინაარისადან გამომდინარე, ურთიერთობის ამგვარ სახეს მივყავართ მხოლოდ და მხოლოდ ერთ დასკვნამდე, ფაქტობრივ ანექსიამდე, რომლის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ რუსეთის ,,დროებითი" არ აღიარება ოკუპირებულ ტერიტორიების მიერთებასთან დაკავშირებით, ფედერაციულ სახელმწიფოსთან. ხელშეკრულებათა პრაქტიკულმა ასპექტმა განვითარება ჰპოვა 2017 წლის 31 მარტს ახალი დადებული ხელშეკრულებით, „სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების ცალკეული ერთეულების რუსეთის შეიარაღებილ ძალებში გაწევრიანების შესახებ" რომლის მიხედვითაც ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლები რუსულ ჯარში სამსახურს კონტრაქტის საფუძველზე შეძლებენ[1].

საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აგრესიით და შემდგომი ნაბიჯებით რუსეთი შეეცადა კავკასიაში ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია შეექმნა და რეგიონი მთლიანად თავის გავლენის სფეროში დაებრუნებინა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსული შეფარვითი საგარეო პოლიტიკის შედეგად, საქართველოში არსებული ყველა კონფლიქტი, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განიხილებოდა შიდასახელმწიფოებრივად და ფასდებოდა როგორ ეთნოკონფლიქტი, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ დაანახა საერთაშორისო საზოგადოებას, რომ არცერთი კონფლიქტი არ წარმოდგენდა ეთნოკონფლიქტს, არამედ რუსული იმპერიალისტური და ქსენოფობიური პოლიტიკური ჩანაფიქრების განხორციელბას.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კრემლმა მიაღწია თავის მთავარ გეოპოლიტიკურ მიზანს - მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისი გავლენის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. რუსეთი თვლის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის სამომავლო დინამიკა, მისი ურთიერთობა გარესამყაროსთან უპირველესად რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთის მიერ ფორმულირებული პრიორიტეტების შეაბამისად უნდა განვითარდეს. რუსეთს ეს სივრცე თავისი განსაკუთრებული ინტერესების სფეროდ მიაჩნია და საერთაშორისო თანამეგობრობისგან თავისი ამგვარი, განსაკუთრებული სტატუსის აღიარებას და პატივისცემას მოითხოვს[2]. რუსეთი ცდილობს, ადგილობრივი მოსახლეობა მაქსიმალურად კონტროლის ქვეშ ჰყავდეს. მაგრამ მას არ შეუძლია, ანგარიში არ გაუწიოს ამ ტერიტორიების მცხოვრებთა მოთხოვნას გარე სამყაროსთან ურთიერთობის გაფართოების თაობაზე. რუსეთისთვის მეტისმეტად მძიმე ტვირთად იქცა ამ ტერიტორიების შენახვა. მითუმეტეს, რომ საერთაშორისო იზოლაციის პირობებში ადგილობრივი ეკონომიკის

[1] http://www.newposts.ge/?l=G&id=163815

[2] რუსეთი ურთიერთობები: ენერგეტიკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება, გეოპილიტიკა, მიგრაცია და კულტურა, თბილისი 2018, გვ 66

განვითარებაზე საუბარიც კი ზედმეტია[1]. გარემოებების გათვალისწინებით საფიქრალია, რომ ეტაპობრივად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა მოთხოვნები მას მეტნაკლებად აიძულებს დაიწყოს დიპლომატიური დიალოგი გარკვეული დათმობების ხარჯზე, თუმცა რუსეთი თავისი ნებით არასდროს აღიარებს გადადგმული ნაბიჯების არამართებულობას და არ მისცემს საშუალებას, საქართველოს დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები, რადგან მის მიზანს წარმოადგენს, კავკასიის რეგიონის სრული კონტროლის ქვეშ მოქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რონალდ დ. ასმუსი მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლოობა.
2. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო დასკვნა, II ტომი.
3. HRW, ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ კონფლიქტში.
4. ჰ.პ. გასერი ,,საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“ თბილისი. 1999 წ.
5. გ.გელაშვილი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება, გამომცემლობა ,,ქართლი“ 2011 წ.
6. დ.ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, 2008 წლის ომი და მისი შედეგები, გამომცემლობა უნივერსალი 2010 წ.
7. საქართველო-რუსეთი ურთიერთობები: ენერგეტიკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება, გეოპილიტიკა, მიგრაცია და კულტურა, თბილისი 2018 წ.
8. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.32&d=HASH01189b89879ecd6aa4af12d4.5&gt=1
9. http://smr.gov.ge/Uploads/11415b.pdf
10. https://old.civil.ge/geo/article.php?id=19296
11. https://factcheck.ge/ka/story/30489-rusuli-mtsotsavi-okupatsia-tsiphrebshi
12. http://www.newposts.ge/?l=G&id=163815

[1] საქართველო-რუსეთი ურთიერთობები: ენერგეტიკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება, გეოპილიტიკა, მიგრაცია და კულტურა, თბილისი 2018, გვ 68

The 2008 war and consequences

Giorgi Gogiashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Due to the conflict between Gerigia and Russia in 2008, got possible to return the answer to the Russian 'Federatio's geopolitics to the Caucasus region end the International Community with the recognition of Kosovo. Before, during and post-armed conflict analysis, gives us a convincing argument about the steps undertaken by Russua's Goes beyond occupation and It is more about annexation, which is reflected in the demographic change through the "Passportization", In close relationship with the various areas, which are documented in 2014, 2015 and 2017, These include foreign policy, defense and security and border control, economic cooperation and customs regulations, citizenship, social security, education, and science. The arguments, in fact, are a clear picture of the endorsement of annexation and to reveal the starters of the 2008 war and the inspiring side.

Keywords: occupation, annexation, escalation, passportization, imperialism, inspiration, diplomatic war, de-faqto colonization, integration, ethnoconflict.

გაეროს სადამკვირვებლო ორგანოების სისტემის ჩამოყალიბება

ედუარდ დემეტრაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მოცემულ ეტაპზე ადამიანის უფლებების სფეროში სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარების ერთ – ერთი დამახასიათებელი მახასიათებელია საერთაშორისო კონტროლის სისტემის შექმნა მათი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებაზე. მისი დამკვიდრება და მოქმედება, როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონულ დონეზე, ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა ადამიანის უფლებების საერთაშორისო რეგულირებაში.

საკვანძო სიტყვები: გაერო, საერთაშორისო ურთიერთობები.

შესავალი

1948 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ, გაერომ განაგრძო მუშაობა საერთაშორისო იურიდიული დოკუ-მენტების შემუშავებაზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებებს. ორგანიზაციამ ასევე დაავალდებულა ეს რთული და საპა-სუხისმგებლო სამუშაოები ადამიანის უფლებათა კომისარს რაც გაომოიხატება ფაქტის შექმნით, რომელიც მოიცავდა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. მაგრამ, პაქტის შინაარსზე კონსენსუსის არარსებობის გამო, 1952 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დადგენილება ადამიანის უფლებათა შესახებ ორი შეთანხმების მომზადების შესახებ.

1966 წელს თითქმის 20 წლიანი მუშაობის შედეგად, ადამიანის უფლებათა კომისარმა შეიმუშავა ორი ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუ-მენტი: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

ძირითადი ნაწილი

ამასთან, როგორც აშკარად აჩვენა მსოფლიო პრაქტიკამ, ნებისმიერი საერ-თაშორისო ხელშეკრულება (მათ შორის ადამიანის უფლებებსა და თავისუფ-ლებებთან დაკავშირებული) დარჩება მხოლოდ განზრახვის დეკლარაციათ თუ არ არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებაში მონაწილე პირველი სახელმწიფოების დებულებების შესრულების მონიტორინგს.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებე-

ბის ამჟამინდელ რაოდენობას აწვდიან სპეციალური ორგანოები, რომლებსაც მოწოდებულნი არიან განახორციელონ კონტროლი სახელმწიფოების მხარეთა მიერ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. ეს ორგანოები ფუნ-ქციონირებენ, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტების საერთაშორისო კომი-ტეტები და ცნობილნი არიან როგორც ადამიანის უფლებათა ხელშეკ-რულების ორგანოები (კომიტეტები).

ყველა კონვენციის ორგანო შეიქმნა შესაბამისი საერთაშორისო შეთან-ხმებების საფუძველზე. ერთადერთი გამონაკლისი არის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ შეთან-ხმების თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებს ვალდებულნი არიან წარუდგინონ მოხსენებები „გატარებული ზომების შესახებ და ამ პაქტში აღიარებული უფლებების მიღწევის შესახებ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს განსახილველად“ (მუხლი 16). ამასთან, ამ საერთაშორისო ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული რაიმე სპეციალური ორგანოს შექმნა, რომელიც განიხილავდა სახელმწიფო მოხსენებებს. ადამიანის უფლებების შესახებ პაქტის შემუშავებისას, ბევრმა ქვეყანამ არ მიიჩნია სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, როგორც იურიდიულად სავალდებულო და დაჟინებით მოითხოვდა საერთაშორისო მონიტორინგის ფართო მექანიზმის შექმნას, რომელიც ექსკლუზიურად იქნებოდა გამოყენებული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე.

დასკვნა

მიუხედავად კონტროლის ორგანოების მუშაობაში არსებული სერიოზული ხარვეზებისა, ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ კონტროლი ყველაზე სერიოზულ გავლენას ახდენს საერთაშორისო სამართლის შეთანხმებული ნორმებისა და პრინციპების ეფექტურობაზე, საერთაშორისო შეთანხმებებში მონაწილე თითოეული სახელმწიფოს მიერ.

იმის გათვალისწინებით, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ხელშეკრულების ორგანოებს ადამიანის უფლებების პოპულარიზაციასა და დაცვაში, უნდა აღინიშნოს შემდეგი დადებითი შედეგები, რომლებიც მიიღწევა ამ ორგანოების საქმიანობის განხორციელებაში.

მონაწილე სახელმწიფოები ახდენენ შესაბამის ცვლილებებს ეროვნულ კანონმდებლობაში, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების უკეთეს უზრუნველყოფას.

ლიტერატურა

1. გაეროს UNGA დადგენილება 543 (У1) 05.02.1952.
2. მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს
3. G.E. Lukyantsev ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და საერთაშორისო მონიტორინგის გარკვეული ტენდენციების შესახებ (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)
4. იხილეთ: ვ. ქართაშკინი ადამიანის უფლებები: საერთაშორისო დაცვა გლობალიზაციის ჭრილში. მ .: ნორმა, 2009. გვ .111.3
5. საერთაშორისო მონიტორინგი. W., 1973. გვ .31 - 32.
6. См .: Landv, EA საერთაშორისო ზედამხედველობის ეფექტურობა: ILO-ს გამოცდილების ოცდაათი წლის , 1966. Pl; Chowdhury, Tareq MR საერთაშორისო ზედამხედველობის იურიდიული ჩარჩო. ედსბრუკი, შვედეთი: Akademitryck, 1986.გვ. 6.
7. ციტ . by : Goltyaev . ოჰ . განკარგულება . ციტ . გვ .22.
8. G.E. Lukyantsev ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და საერთაშორისო მონიტორინგის გარკვეული ტენდენციების შესახებ

UN monitoring bodies system

Eduard Demetrashvili, PHD Student

Georgian Technical University

Summary

At this stage, one of the characteristic features of the development of cooperation between States in the field of human rights is the establishment of an international control system to fulfill their legal obligations. Its establishment and operation at both the universal and regional levels is one of the most important achievements in international human rights regulation.

Key words: United Nations, International Relations.

აშშ-ის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში

დავით მაისურაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ა.შ..შ.ს ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში. გეგმები, მიზნები, გამოწვევები პრობლემები, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მათი სავარაუდო განვითარების გზები. მოკლედ არის განხილული პროცესების სხვადასხვა განვითარების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ა.შ.შ. რუსეთი ,სამხრეთ კავკასია, უსაფრთხოება, პრობლემები, კონფლიქტები, ნატო, მიზნები, ამოცანები, გამოწვევები

შესავალი

სამხრეთ კავკასია, უფრო ფართო გაგებით კი შავი ზღვა-კასპიისპირეთის რეგიონი, იქცა გლობალური და რეგიონული მასშტაბის ზესახელმწიფოების მეტოქეობის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სივრცედ ცივი ომის შემდგომ ეპოქაში. ამ მეტოქეობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და ენერგორესურსების სოლიდურმა მარაგმა.

ძირითადი ნაწილი

ყოველივე ეს სამხრეთ კავკასიას აქცევს მნიშვნელოვან გზაჯვარედინად სხვადასხვა მსხვილმასშტაბიანი პროექტებისთვის, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს როგორც რეგიონული, ისე არარეგიონული ძალების თანამშრომლობას. ისტორიული თვალსაზრისით, კავკასია ყოველთვის წარმოადგენდა იმ რეგიონს, „სადაც ერთმანეთს ეჯახებოდა სხვადასხვა იმპერიების ინტერესები“, ხოლო თანამედროვე პოლიტიკურ რეალობაში რეგიონი გვევლინება რუსეთის, აშშ-ის, თურქეთისა და ირანის, ასევე ევროკავშირის ქვეყნების მეტოქეობის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზად

სამხრეთ კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები წარმოადგენენ ყველაზე სერიოზულ პრობლემას, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონულ სტაბილუ-რობასა და უსაფრთხოებას გრძელვადიან პერსპექტივაში. საერთაშორისო თანამეგობრობა, თავის მხრივ, სულ უფრო აქტიურად ერთვებოდა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, რაც იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი კარგავდა მონოპოლიას სამშვიდობო საქმიანობაზე. შედეგად, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები თანდათანობით იქცნენ გეოპოლიტიკური დაპირისპირების მთავარ ობიექტებად რუსეთსა და დასავლეთს (ძირითადად აშშ-ს) შორის. სამხრეთ კავკასიის რეგიონი გადაიქცა კონფრონტაციული

გეოპოლიტიკური მეტოქეობის ერთ-ერთ ურთულეს სივრცედ, სადაც ერთ-მანეთს დაუპირისპირდა, როგორც გლობალური (აშშ), ისე რეგიონული (რუსეთი, ირანი, თურქეთი) მასშტაბის სახელმწიფოთა ინტერესები.

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ამერიკული სტრატეგია უნდა გავრცელდეს მთელს ევრაზიაზე. იგი მიუთითებს შავი ზღვა-კასპიისპირეთის რეგიონის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მას "ევრაზიულ ბალკანეთს"[3] უწოდებს. ევროპაში სიტყვა "ბალკანეთი" იწვევს ეთნიკური კონფლიქტებისა და რეგიონში ძლიერი სახელმწიფოების მეტოქეობის ასოციაციას.

ვაშინგტონისთვის სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ინტერესები გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე ეკონომიკური. შავი ზღვა-კასპიისპირეთის რეგიონი მდებარეობს ევრაზიის კონტინენტზე, აშშ-ის სამი კონკურენტის _ რუსეთის, ირანისა და ჩინეთის გარემოცვაში. რეგიონზე საკუთარი კონტროლის დაწესების შემთხვევაში, ვაშინგტონს საშუალება მიეცემა, მოიპოვოს დომი-ნირებული მდგომარეობა ხუთ ზღვას შორის (შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, კასპიის ზღვა, სპარსეთის ყურე და მასთან მიმდებარე არაბეთის ზღვა) და მთელს კონტინენტზე. რაც შეეხება ჩინეთს, ანალიტიკოსთა საკმაოდ სოლიდური ნაწილის მიერ, ის განიხილება როგორც აშშ-ის ძირითადი გეოპოლიტიკური და, შესაძლოა, გლობალური მეტოქე XXI საუკუნეში.

2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილმა ტერორისტულმა აქტებმა, რასაც აშშ-ის მხრიდან მოჰყვა სამხედრო ოპერაციები ავღანეთში და ერაყში, სამხრეთ კავკასიის პრობლემატიკა ხანმოკლე პერიოდით უკანა პლანზე გადაწია. თუმცა, მეორეს მხრივ, საქართველო და აზერბაიჯანი შეუერთდნენ ანტი-ტერორისტულ კოალიციას და აშშ-ის სამხედრო ძალებს თავისი საჰაერო და სახმელეთო ტერიტორიების გამოყენება შესთავაზეს. საქართველომ თავადაც ჩაატარა (ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების დახმარებით) წარმატებული ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციები (2002 წლის აგვისტო-სექტემბერი) პანკისის ხეობაში. ამ ყველაფერმა თვისობრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველო-ამერიკის ურთიერთობები. საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით კი აშშ-ის ინტერესმა სამხრეთ კავკასიის მიმართ დაიწყო პერმანენტული ზრდა XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან და ამ ტენდენციამ თავისი გაგრძელება XXI საუკუნეშიც ჰპოვა. ასე მაგალითად, 1997 წლის აგვისტოში აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ბილ კლინტონმა, კასპიის რეგიონი გამოაცხადა აშშ-ის ეროვნული ინტერესების ზონად. ხოლო კიდევ უფრო ადრე (თებერვალში), სენატორმა რობერტ ბირდმა თავის გამოს-ვლაში "ამერიკული პოლიტიკა კასპიის რეგიონთან დაკავშირებით", სამ-ხრეთ კავკასიის სახელმწიფოები დაასახელა ვაშინგტონის სტრატეგიულ პარ-ტნიორებად. 2002 წელს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამფსმელდმა

განაცხადა, რომ აშშ-ის ინტერესები კავკასიაში იზრდება და ვაშინგტონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ რეგიონის სტაბილიზაციის საკითხს, ისევე, როგორც თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოსთან.

როგორც ჩანს, 2002 წლიდან იწყება ახალი ეტაპი აშშ-ის რეგიონალურ პოლიტიკაში. ესაა პერიოდი, როდესაც რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები სერიოზულად დაუპირისპირდა ერთმანეთს შავი ზღვა-კასპიისპირეთის რეგიონში. თუმცა, ამ ორმა ზესახელმწიფომ შეინარჩუნა სრული თანხმობა ისეთ გლობალურ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორიცაა ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ.

შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის ინტერესების ძირითად სფეროებს განეკუთვნება:

1. კასპიის ენერგორესურსების ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო ტრანზიტის უზრუნველყოფა;
2. რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციის არდაშვება და "გაყინული" კონფლიქტების გადაწყვეტა;
3. რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრებისა და შიდასახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
4. ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ ანტიტერორისტული კოალიციის ფორმირება და ამ კონტექსტში ირანზე ზეწოლის გაძლიერება.

აშშ-ის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ მხოლოდ ზემოხსენებული სფეროებით არ შემოიფარგლება და მოიცავს ინტერესთა ფართო სპექტრს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობას და ა.შ., რაც ცნობილი ამერიკელი მკვლევარის ჯოზეფ ნაის შეფასებით, აშშ ის პოლიტიკაში "რბილი ძალის" (Soft Power) გამოვლინება გახლავთ. პოლიტოლოგთა გარკვეული ნაწილის აზრით, სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარება არ წარმოადგენს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის უახლოეს პრიორიტეტს, არამედ ე.წ. `გადავადებული მიზნების~ ნუსხაში მოიაზრება. ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტი იმასაც ამტკიცებს, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები ჯერჯერობით პრიორიტეტად საერთოდ არ მოიაზრებიან, ვაშინგტონი ამჯობინებს ყურადღების კონცენტრირება მოახდინოს რუსეთზე, თურქეთსა და ირანზე ამ მდგომარეობით ისარგებლა მოსკოვმაც, სადაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების პრაქტიკული ანექსიის გეგმები შემუშავდა.

კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების საკითხთან დაკავშირებით, აშშ-ის პოლიტიკას შესაძლოა ვუწოდოთ "მრავალგანშტოებიანი მილსადენების" (Multiple Pipeline) სტრატეგია, რაც მიზნად ისახავს ენერგომატარებლების წყაროთა დივერსიფიკაციას (ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულების

შემცირებას მსოფლიოში ნავთობის უმსხვილეს მიმწოდებლებზე), ისევე როგორც მათ ტრანზიტს რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით. ვაშინგტონის ეს სტრატეგია, რომელიც კასპიის ენერგორესურსების მის პირდაპირ მომხმარებელზე, ევროპის ქვეყნებზე მოწოდებას ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, რეგიონში რუსეთის მონოპოლიის შესუსტებასა და პოსტ-საბჭოური რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას ისახავს მიზნად.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში გადაუჭრელი კონფლიქტების პრობლემატიკა ერთ-ერთ ყველაზე მწვავე ხასიათს ატარებს. კონფლიქტთა მოგვარების საკითხი უმნიშვნელოვანეს დატვირთვას იძენს იმ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში, რომელთაც ამ რეგიონის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი აქვთ. თუ აშშ-ის ადმინისტრაცია არსებულ კონფლიქტთა მოწესრიგებითაა დაინტერესებული, რუსეთის მხარის პოლიტიკას შესაძლოა `კონტროლირებადი არასტაბილურობის შენარჩუნების სურვილი ვუწოდოთ. რუსეთის მხარე თავისი მიზნების მიღწევას ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტთა მანიპულირების საშუალებით ცდილობს. „კონტროლირებადი არასტაბილურობის“ სტრატეგია რეგიონის სახელმწიფოთა მიერ პროდასავლური კურსის განხორციელების შეფერხებასა და სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის გავლენის ზრდის ხელისშემშლელი ფაქტორების შექმნასაც ითვალისწინებს.

რეგიონში სტაბილური ვითარების დამყარების უმთავრეს წინაპირობად აშშ-ის მხარე კონფლიქტთა მშვიდობიანი გზებით გადაჭრაში ხედავს. აშშ-ის პერსპექტივიდან მდგომარეობის შეფასებისას, კონფლიქტთა მოწესრიგების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ფაქტორს, ეთნიკური ჯგუფების ინტერესებისა და რუსეთის როლის გათვალისწინებას ენიჭება. სამწუხაროდ, კონფლიქტთა მოგვარების კონკრეტული ფორმულის შემუშავება, რომელიც ზემოხსენებულ პრინციპებს გაითვალისწინებდა, უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის. უფრო მეტიც, შესაძლოა, შეუძლებელიც კი იყოს, ვიდრე რუსეთი თავად არ იქნება დაინტერესებული სამხრეთ კავკასიაში სტაბილური ვითარების შექმნით.

სამხრეთ კავკასიის რეგიონს, ნატო-ში ინტეგრაციისა და ანტიტერორისტულ კოალიციაში მონაწილეობის გზით, ისტორიული შესაძლებლობა მიეცა, გახდეს ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის განუყოფელი ნაწილი. ამ კონტექსტში, ვაშინგტონი სამხრეთ კავკასიას განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება კონტროლის განხორციელება ევრაზიის ისეთ ძლიერ სახელმწიფოებზე, როგორებიცაა რუსეთი, ირანი, ყაზახეთი, ჩინეთი, ინდოეთი და ა.შ.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები უკვე იმყოფება იმ ეტაპზე, როდესაც იგი აქტიურად მუშაობს ხსენებული ტრანსევრაზიული უსაფრთხოების

სისტემის ფორმირების საკითხზე, ხოლო სამხრეთ კავკასიის რეგიონი კი ვაშინგტონის მიერ უდაოდ განიხილება, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკვანძო რგოლი ამ სისტემაში.

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გარკვეულ საკითხებში ინტერესების თანხვედრისა და ურთიერთობების მაღალი დონის მიუხედავად, ამერიკა მაინც აღიქმება, როგორც მტრული სახელმწიფო. რუსეთის გენერალიტეტში საკმაო პოპულარობით სარგებლობენ ცალკეული რუსი პოლიტოლოგების შეხედულებები, ამტკიცებენ, რომ რუსეთი ის ერთადერთი ძალაა მსოფლიოში, რომელსაც არა მხოლოდ ძალუძს, არამედ ვალდებულიცაა წინ აღუდგეს დასავლეთის ექსპანსიას. ფაქტია ისიც, რომ ამერიკელთა ნებისმიერი აქტივობა სსრკ-ის ყოფილ ტერიტორიაზე მოსკოვის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს.

დასკვნა

დასასრულს, რაც შეეხება საქართველო-ა.შ.შ.ს ურთიერთობებს აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ეკონომიკური აღმავლობა და სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს განვითარებულ, ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ნამდვილად შედის ა.შ.შ.ს ინტერესებში. თუმცა, მიუხედავად დიდი მხარდაჭერისა, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე, თუ რამდენად მომზადებული იქნება თითოეული ჩვენთაგანი-თითოეული საქართველოს მოქალაქე, თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და ჭეშმარიტად სტაბილური, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Збигнев Бжезинский, Великая шахматная доска. М., 1997 (197)
2. Международный Опыт Разрешения Этнических Конфликтов. Книга 3, Этнические и Региональные конфликты в Евразии. Общ. ред. : Б. Коппитерс, Э. Ремакль, А. Зверев. М. : Весь Мир, 1997.
3. Asmus, Ronald and Bruce Jackson. The Black Sea and the Frontiers of Freedom. Policy Review, No.125, June/July 2004, pp. (17-27).
4. Cornell, Svante, et al. Regional Security in the South Caucasus: the Role of NATO. Central Asia: Caucasus Institute, Johns Hopkins University 2004, pp.(4-33).

US Factor in South Caucasus Geopolitics

Davit Maisuradze, PhD student
Georgian Technical University

Summary

In the article it is reviewed the U.S factor in South Caucasus, plans, goals, challenges, problems, Ongoing processes and estimated ways of its evolution. There are briefly discussed the various possible development of processes.

Key words: U.S.A, Russia, South Caucasus, Security, Problems, Conflicts, Nato, goals, challenges.

პოლიტიკა და პოლიტიკური ტექნოლოგიები
დანტე ალიგიერის და ნიკოლო მაკიაველის შემოქმედებაში

ნათია სულავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დანტე ალიგიერი და ნიკოლო მაკიაველი, ყველა დროის ორი უდიდესი ფლორენციელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, პოეტი და მწერალი სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწეობდნენ, ამის მიუხედავად ორივეს შემოქმედების მთავარი ხაზი პოლიტიკაა. დანტეს (XIV საუკუნე) და მაკიაველის (XVI) ეპოქების მედიჩების ფლორენციის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობა, მოვლენების სიღრმისეული ანალიზი და გააზრება გახდა მათი პოლიტიკური ნაშრომების შთაგონების წყარო, ნაშრომებისა, რომლებიც მრავალი საუკუნეა ითვლებიან პოლიტიკური აზროვნების, პოლიტიკის შექმნის ძირითად სახელმძღვანელოებად. დანტე ალიგიერის მთავარი ნაშრომი პოლიტიკის შესახებ არის ლათინურ ენაზე შედგენილი ტრაქტატი „De Monarchia" (მონარქიის შესახებ), ხოლო მაკიაველის შედევრი „Il Principe" (მთავარი) ე.წ. ვულგარული, ხალხის ლათინურით, ძველ იტალიურ ენაზე არის დაწერილი. ორივე ნაშრომი უნივერსალურ მონარქიაზე მოგვითხრობს, ნაშრომებში ავტორები კრიტიკულად აანალიზებენ თანამედროვე საზოგადოებას, ახდენენ პოლიტიკური მოვლენების ისტორიულ განსჯას. დანტეს და მაკიაველის შემოქმედებაში ასახულია სახელმწიფოსა და მისი მართვის შესახებ არსებულ ცნობათა სისტემატიზაცია, აღწერილი პრინციპები XXI საუკუნეშიც აქტუალურია, მათ მრავალი საზოგადო და ისტორიული მოღვაწის ჩამოყალიბებაზე მოახდინეს უდიდესი გავლენა.

საკვანძო სიტყვები: ალიგიერი, მაკიაველი, პოლიტიკა, პოლიტიკური ტექნოლოგიები.

შესავალი

დანტე ალიგიერისა და ნიკოლო მაკიაველის შემოქმედებაში ასახულია სახელმწიფოსა და მისი მართვის შესახებ არსებულ ცნობათა სისტემატიზაცია, აღწერილი პრინციპები XXI საუკუნეშიც აქტუალურია, მათ მრავალი საზოგადო და ისტორიული მოღვაწის ჩამოყალიბებაზე მოახდინეს უდიდესი გავლენა. დანტე ალიგიერის მთავარი ნაშრომი პოლიტიკის შესახებ არის ლათინურ ენაზე შედგენილი ტრაქტატი „De Monarchia" (მონარქიის შესახებ), ხოლო მაკიაველის შედევრი „Il Principe" (მთავარი) ე.წ. ვულგარული, ხალხის ლათინურით, ძველ იტალიურ ენაზე არის დაწერილი. ორივე ნაშრომი უნივერსალურ მონარქიაზე

მოგვითხრობს, ნაშრომებში ავტორები კრიტიკულად აანალიზებენ თანამედროვე საზოგადოებას, ახდენენ პოლიტიკური მოვლენების ისტორიულ განსჯას.

ძირითადი ტექსტი

დანტე ალიგიერი და პოლიტიკა: ტრაქტატი მონარქიის შესახებ (De Monarchia), ნადიმი (Il Convivio) ღვთაებრივი კომედია დანტემ უნივერსალური მონარქიის იდეის განხილვა უშუალოდ მის ცხოვრებაში მომხდარი პერიპეტიების და იმ პოლიტიკური მოვლენების გაანალიზების შემდეგ დაიწყო, რისი მონაწილე და მოწმეც თავად იყო. ახალგაზრდობის პერიოდიდან ვიდრე ფლორენციიდან გადასახლებამდე, ალიგიერი კონცენტრირებული იყო მისი მშობლიური ქალაქის, ფლორენციის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რომელშიც თავად იღებდა აქტიურ მონაწილეობას. როგორც ცნობილია, დანტე ფლორენციის სამთავროს უმაღლესი მსაჯულის სავარძელს იკავებდა, მანამდე კი, თანამოქალაქეებს განათლებას აძლევდა პედაგოგიკაში, ეთიკასა და პოლიტიკაში[1]. აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიუხედავად, დანტემ მოახერხა გამხდარიყო სიყვარულის პოეტი, მისი პოეზია მის სიცოცხლეშივე იქნა აღიარებული ე.წ. „ახალი სტილის“[2] პოეზიის საუკეთესო გამოვლინებად. ტკბილი სიყვარულისა და ღვთაებრივი ბეატრიჩესათვის ხოტბის შესხმის შემდეგ, დანტე ხდება სამოქალაქო საზოგადოებრივი პოეტი, რომელსაც მთელი არსებით სურს ფლორენციელთა ჩვეულებების გაუმჯობესება.

ამგვარი საქციელისკენ დანტეს მასში არსებულმა ბუნებრივმა პედაგოგიურმა, აღმზრდელობითმა მოწოდებამ უბიძგა. შემდგომში ეს მოწოდება იქნება მთავარი ნიშანთვისება დანტეს პიროვნების და მისი ლიტერატურული და პოლიტიკური შემოქმედებისა და საქმიანობის. მისი ეპოქის ფლორენციის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების აღწერისა და ანალიზისთვის დანტე სწორედ პედაგოგიკას დაეყრდნობა და უდიდესი ოსტატობით გამოიყენებს.

XIII საუკუნის 90-იან წლებში დანტე ალიგიერის თვალსაწიერში მოხვდა ეკონომიკური აღმასვლის გზაზე მდგომი, საკუთარი ფინანსური და სავაჭრო შესაძლებლობებით ამაყი ფლორენცია, რომლის მონეტა „ფიორინო დ’ორო“ (ოქროს ყვავილი) XIII საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის და

[1] შვიდი თვისუფალი ხელოვნება - წარმოადგენს ანტიკურ ხანაში შექმნილ კანონს შვიდი სასწავლო დისციპლინისა, რომელთა დაუფლება, მაშინდელი წარმოდგენის თანახმად, „თავისუფალ ადამიანს ეგებოდა /საკუთარი თავის/გასანათლებლად“. შუა საუკუნეებში *studia liberalia*-ს დაუფლებას თეოლოგიური, საიურისპრუდენციო და სამედიცინო დარგების შესწავლისათვის საჭირო აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდნენ.

[2] Dolce Stil Nuovo – ტკბილი ახალი სტილი, „სტილნოვიზმი“ - ასე ეწოდება XIII საუკუნის იტალიაში ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოძრაობას, რომელიც სიცილიური სკოლის და ტოსკანური სტილის გავლენით ჩამოყალიბდა. ახალი სტილის პოეზიის ძირითადი მახასიათებლებია: სიყვარული და სულის კეთილშობილება. ტერმინი „Stile Nuovo“ პირველად დანტე ალიგიერიმ გამოიყენა ღვთაებრივ კომედიაში (განსაწმენდელი).

ხმელთაშუაზღვისპირა სახელმწიფოების ფულისგან ყველაზე ძლიერი იყო, ეს იყო საერთაშორისო თვალსაზრისით მონეტის საზომი, რომლის მიმართებითაც ყველა სხვა ფულადი ერთეული წონიდა საკუთარ ძალას. ფლორენცია ასევე იყო ქალაქი, სადაც ხშირი იყო ძალაუფლების წყურვილით გამოწვეული დაპირისპირებები, დიდგვაროვან ოჯახებს შორის შუღლი, მევახშეობა: ფლორენცია იყო ახალი უზნეო მდიდრების საზოგადოება, რომლებიც დიდგვაროვნის ტიტულს ფულით ყიდულობდნენ, ფულს და სიმდიდრეს ხშირად მეძავების და მევახშეობის ხარჯზე აგროვებდნენ.

სწორედ ასეთი ხალხის ხელში აღმოჩნდა დანტეს დროინდელი ფლორენციის მართვის სადავეები. ალიგიერის შემოქმედებაში პოლიტიკური დატვირთვის მქონე პირველი აზრები სწორედ ასეთი ამორალური მდიდრების, „ყალბი რაინდების“ მხილების დროს ჩაიდო. პოეტი რეალისტურად აღწერს მდიდრების ამორალურ საქციელს, რომლებიც დიდგვაროვანის წოდების მოპოვებისთვის სიმდიდრეს გარყვნილებისთვის, ძვირფასი სამოსის შესაძენად და ქალაქის მესვეურთა მოსასყიდად ფლანგავენ. ნამდვილი პოლიტიკური ტრაქტატების და ნაწარმოებების შექმნამდე, დანტე ალიგიერი ალეგორიებით და ლექსებით ცდილობდა ფლორენციელთა გამოფხიზლებას. სასიყვარულო ლირიკაში აქა-იქ გაბნეული მეტაფორული მინიშნებები პოლიტიკაზე არ იყო საკმარისი ფლორენციელი ხალხის, მისი მმართველი ოჯახის გონს მოსაყვანად. სხვადასხვა მანკიერებებით გაბრუებული პოლიტიკოსები მხოლოდ ლექსის კითხვით თუ მოსმენით ვერ შეიგნებდნენ არსებული პოლიტიკური ვითარების სიმძიმეს.

1266 წლის თებერვალში, ქ. ბენევენტოში გიბელინები გუელფებთან ბრძოლაში დამარცხდნენ, რითაც ფლორენციაში დასრულდა ამ ორ დაჯგუფებას შორის ტრადიციულად არსებული დაპირისპირება, თუმცა შუღლი ახლა გუელფების პარტიის შიგნით გაჩნდა. წარმოიქმნა თეთრი გუელფების (ჩერკის დინასტიის მომხრეების ფრთა) და შავი გუელფები (დონატის საგვარეულო დინასტიის მომხრეთა ფრთა). დანტე ალიგიერის მეუღლე ჯემა შავ გუელფებს ენათესავებოდა, ამის მიუხედავად, პოეტი თეთრების ბანაკში გადადის, რადგან თეთრი გუელფების ფრაქცია უფრო მეტად იცავდა ფლორენციის ქალაქის ავტონომიას, რომელსაც პაპი ბონიფაცი VIII ანექსიით ემუქრებოდა. შიდა პარტიულ დაპირისპირებაში კორსო დონატის წინამძღვრობით შავი გუელფები იმარჯვებენ, ეს უკანასკნელი ნამდვილი სახელმწიფო გადატრიალების გზით, ფლორენციაზე ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში. გამარჯვებაში კორსო დონატის პაპი და საფრანგეთის მეფე შარლ VI დე ვალუა დაეხმარნენ.

1301 წელს თეთრი გუელფების ბევრი მომხრის მსგავსად, დანტე ალიგიერიც განდევნილი იქნა ფლორენციიდან.

თანამოქალაქეებისგან იმედგაცრუებული პოეტი ტოვებს მშობლიურ ქა-

ლაქს და უკან დაბრუნების მიზნით, უერთდება სხვა დევნილების შეიარაღებულ ძალებს. დევნილობის პირველ წლებში ფლორენციაში დაბრუნების იმედი ბევრჯერ გაუცრუვდა დანტე ალიგიერის, მედიჩების ქალაქში დაბრუნების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ რამდენიმე ხნით გიბელინებსაც კი შეუერთდა. პოეტის ეს ალიანსი პოლიტიკის ყოველთვის აქტუალური პრინციპით „ჩემი მტრის მტრები ჩემი მეგობრები არიან“ იყო განპირობებული. თუმცა ლასტრას ბრძოლაში დამარცხება საბოლოოდ დაასრულებს თეთრი გუელფების მიერ ფლორენციაში გამარჯვებით დაბრუნების იმედს. ბოლოს დანტეს თანამებრძოლებიც გარიყავენ, მის სანდოობაში ეჭვს შეიტანენ და ალიგიერი მარტო გააგრძელებს მოღვაწეობას.

ბოლონიაში გახიზნული პოეტი ჰორიზონტს აფართოებს, მისი პოლიტიკური ფიქრის საგანი მხოლოდ ფლორენცია აღარ არის. მისი ფიქრები იტალიას მოიცავს. ბოლონიაში შექმნილ ნაშრომებში და ნაწარმოებებში დანტე ალიგიერის მკითხველი და აუდიტორია მხოლოდ ახალი მდიდრებისგან, და ფლორენციელი ხელოსნებისგან აღარ შედგება. ის იტალიის ქალაქების არისტოკრატებს მიმართავს: „მთავრები, ბარონები, რაინდები და სხვა მრავალი კეთილშობილი ადამიანი, არა მხოლოდ მამაკაცები, ასევე ქალებიც“ - არიან დანტეს მსმენელები. ევროპისთვის მართლაც, რომ ეპოქალური სიახლეა ფილოსოფიური და პოლიტიკური მოსაზრებების ქალებისთვის გაზიარება. „კონვივიუმში“ დანტე ქალების მარგინალიზაციას ამგვარად აღწერს: „სამყაროს ბოროტი უკუღმართობის გამო ლიტერატურა მხოლოდ მათ (მამაკაცები) მიანდეს, ვინც ქალი მეძავად აქციეს.“

დანტეს ეპოქაში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა, ბუნებრივია, ძალიან მცირე იყო. განსაკუთრებით მცირე იყო ლათინურ ენაზე მოლაპარაკე და წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხოვნობა. მასებში საკუთარი ნაშრომების გავრცელებისთვის დანტემ ვულგარული ლათინური ენის, ძველი იტალიურის გამოყენება გადაწყვიტა. პედაგოგიური, საგანმანათლებლო საქმიანობის აუცილებლობით არის გამოწვეული დანტეს მიერ „კონვივიუმის“ (ნადიმი) შექმნა. ამ ამბიციური ტრაქტატის მიზანია სოციალური ფენების ფართო სპექტრს, რომლებზეც დგას იტალიის საზოგადოება, ასწავლოს ფილოსოფია, მეცნიერება, მორალი და ყველა სხვა დისციპლინა და ამგვარად შესაძლებელი გახადოს ხალხის ცოდნის წყურვილის დაკმაყოფილება. დანტე მეთოთხმეტე საუკუნის გარიჟრაჟზე ლაპიდარული სიტყვებით ასკვნის, რომ „ყველა ადამიანს ბუნებრივად სურს ცოდნის მიღება“ და რომ „მეცნიერება უკანასკნელი შტრიხია ჩვენი სულის სრულყოფისათვის, ცოდნაში არის ჩვენი საბოლოო ბედნიერება“.

საზოგადოების მმართველ ფენებს დანტე ასწავლის თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეთ საჯარო საქმეების სწორად სამართავად. არისტოკრატული წარმოშობა მმართველმა სულიერი კეთილშობილებით და მორალური ღირსებებით უნდა

გააძლიეროს. მმართველისთვის მორალურ ღირსებებს შორის უპირველესი გულუხვობა და ლიბერალობაა. დანტე ამ თვისებების საჭიროებას კიდევ უფრო მძაფრად იმიტომ გრძნობდა, რომ ხედავდა თუ რაოდენ დიდი იყო დიდგვაროვნებში სიმდიდრის მოხვეჭის სურვილი, რაც იოლს ხდიდა საჯარო საქმის საწინააღმდეგოდ მათ მოსყიდვას და საზოგადოებრივი ინტერესების უგულვებელყოფას. ამგვარად, დანტე სიყვარულის პოეტიდან იტალიელი დიდგვაროვნების მენტორად გარდაიქმნა, ეს ტრანსფორმაცია ორი მიზნის მისაღწევად მოახდინა: „კეთილშობილობის მცნების ახლებური გააზრება და კეთილშობილისთვის დამახასიათებელი ძირითადი თვისებების განსაზღვრა. ვულგარული (ძველი იტალიური) ენის მეშვეობით იტალიის დიდგვაროვნების გაერთიანება“. დანტეს პოლიტიკური პედაგოგიკის პირველი ფაზა დიდ შედეგებს ვერ გამოიღებს. ეს მხოლოდ იმიტომ არ მომხდარა, რომ „კონვივიუმი“ დაუსრულებელი დარჩა ავტორს, არამედ უფრო იმიტომ, რომ დევნილობაში მყოფმა პოეტმა ვერ შეძლო მის ირგვლივ ჭეშმარიტი დიდგვაროვნების შემოკრება და მათთვის რჩევების გაზიარება.

მარკიზი კორადო მალასპინა არის ერთადერთი დიდგვაროვანი, რომელიც დანტემ დევნილობის დროს გაიცნო და რომლის სახელოვანი და ღირსეული ქმედებები აღწერა „ღვთაებრივი კომედიის“ სტროფებში. მალასპინას, როგორც მთავრის და მმართველის მთავარი დამსახურება დანტესთვის არის ის, რომ მას და მის საგვარეულოს ხალხი ღირსებით სავსე რაინდებად მოიხსენიებს. მალასპინასგან იტალიის სხვა მთავრები და ბარონები იმით განსხვავდებოდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ რაინდული ღირსებები, არ იყვნენ საზოგადოების ინტერესების დამცველნი და გამდიდრებისთვის მევახშეობაზეც არ ამბობდნენ უარს.

დანტე ალიგიერი მთელი არსებით გმობს იმ ხელისუფალს (მთავრებს, ბარონებს, გრაფებს და დიდგვაროვნებს), რომელიც პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად არ ერიდება საკუთარი ქალაქის თუ სამთავროს ხალხის სისხლისმღვრელ ომებში ჩართვას. პოეტი იტალიის სამთავროებს ბედის ანაბარად მიტოვებულად მოიხსენებს და ამის მიზეზად მთავრების და მმართველების ეგოიზმს ასახელებს. „განსაწმენდელის“ VI სიმღერაში (ღვთაებრივი კომედიის სამივე ნაწილის ყველა VI სიმღერა პოლიტიკური შინაარსის არის) იტალიას ადარებს „ბობოქარ ზღვაში კაპიტნის გარეშე მიტოვებულ გემს“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დანტეს ეპოქაში ფლორენციის ხელისუფლებაში კორუმპირებული ხალხი იყო, იტალიის დანარჩენ სამთავროებს კი ერთმანეთის მიმართ შუღლის გრძნობით აღვსილი დიდგვაროვნები მართავდნენ. ასეთ პირობებში ვის მოიაზრებდა ალიგიერი ადამიანებს და ხალხებს შორის სამართლიანობის აღმდგენად, მშვიდობის დამამყარებლად? დანტეს პოლიტიკური მოსაზრებების მიმართულება, მისი არჩევანი იმპერატორზე ჩერდება, რომელიც დანტეს აზრით, უმაღლესს პოლიტიკურ ავტორიტეტს წარმოადგენს.

გზააბნეულ კაცობრიობაზე სევდიან ფიქრებში უჩნდება დანტეს უნივერსალური მონარქის იდეა, მონარქისა, რომელიც შეძლებს ადამიანებს მიანიჭოს ის მიწიერი ბედნიერება, რომლის უფლებაც ყოველ ადამიანს აქვს. ფრიდრიხ II-ეს გარდაცვალების (1250 წ.) შემდეგ საღვთო რომის იმპერატორის ტახტი ცარიელად ესახებოდა დანტეს, რადგანაც ფრიდრიხის მომდევნო იმპერატორები არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ იტალიის მიმართ. 1308 წელს იმპერატორის ტახტზე არიგუს VII ადის, რამაც ენთუზიაზმით აღავსო დევნილი პოეტი. ენთუზიაზმი მხოლოდ იმით არ იყო გამოწვეული, რომ მომავალმა იმპერატორმა კორონაციის ჩატარება რომში ისურვა, არამედ იმითაც, რომ მან აპენინის ნახევარკუნძულზე იმპერატორის გავლენის გავრცელება კვლავ მოინდომა.

1308 წლის მომდევნო პერიოდში დანტე აღსავსეა ახალი პოლიტიკური იმედებითა და მოლოდინებით, მას კვლავ უბრუნდება იმედი იმისა, რომ ფლორენციის, იტალიისა და იმპერიის ბედუკუღმართობა დასრულდება. დანტე მისი პოეზიის დიდების, პოლიტიკური აზროვნების მასშტაბების და დევნილობის წყალობით, ალიგიერი მოახერხებს იმპერატორთან აუდიენციას, რის შემდეგაც იტალიის სამეფოების მეფეებს, ქალაქების მთავრებს, წმინდა ქალაქის სენატორებს, გრაფებს და მარკიზებს უგზავნის მხურვალე წერილს, რომლითაც მათ სთხოვს იმპერატორის მიმართ მორჩილებას. იგივე მორჩილებას, ოღონდ სულ სხვა ტონით სთხოვს პოეტი „უბოროტეს ფლორენციელებს“, რომლებსაც დევნილი გუელფი ულამაზესი ქალაქის (ფლორენცია) დამხობის და გადაშენების შემოქმედებად მოიხსენებს. იმპერატორისადმი მიწერილ წერილში ალიგიერი არიგუს VII-ს ფლორენციაზე გალაშქრებისკენ მოუწოდებს. განრისხებული პოეტი ფლორენციას „აყროლებულ მელას, მშობლის მკერდის დამგესლავ გველს, უფლის სამწყსოს დამასნებოვნებელ ავადმყოფ ცხვარს“ უწოდებს.

დიდი მცდელობის მიუხედავად, პოეტს იმედები კვლავ გაუცრუვა. იმპერატორი 1313 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ვერც ფლორენციის და ვერც იტალიის დამორჩილება ვერ შეძლო.

ერთის მხრივ იმპერატორის სიკვდილი და ავინიონში [1]გადატანილი წმინდა საყდარი მეორეს მხრივ, კიდევ ერთხელ დაანახვებს დიდ ფლორენციელ პოეტს რამდენად უძლურია რომი, წმინდა პეტრეს ტახტის ქალაქი, იტვირთოს იტალიის სახელმწიფოების სულიერი და ფიზიკური გამაერთიანებლის როლი. პაპი კლიმენტი VI-ს გარდაცვალების შემდეგ, დანტე ამაოდ ეცდება იტალიელი კარდინალების დარწმუნებას თავი დაეღწიათ ავინიონის პატიმრობისგან და პონტიფიკის ტახტი მის ბუნებრივ ადგილას, მარადიულ ქალაქში დაებრუნებინათ. რომში კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ტახტის არსებობა არა

[1] ავინიონის ტყვეობა (1309-1377), რომლის დროსაც პაპის ტახტი რომიდან საფრანგეთის ქ. ავინიონში იქნა გადატანილი.

მხოლოდ მარადიული ქალაქისთვის იყო მნიშვნელოვანი, არამედ მთელი იტალიის და „დედამიწაზე მყოფი მრევლის“ გაერთიანება შეეძლო წმინდა პეტრეს ტახტს.

ირგვლივ გამეფებული სულიერი სიდუხჭირე ბოლომდე არ გატეხს დევნილ პოეტს. ის კვლავ ოცნებობს საყოველთაო წესრიგზე, რომელიც მოაგვარებს და გადაჭრის უსამართლობას და სირთულეებს. ასეთი წესრიგის შესახებ მოსაზრებებს დანტე ალიგიერი მონარქიის თაობაზე შედგენილ ტრაქტატში ანვითარებს. პოლიტიკური აზროვნების და გადაწყვეტილებების განვითარება დანტე ალიგიერიმ „კონვივიუმში“ დაიწყო, უნივერსალური წესრიგის ძიება მონარქიაზე შედგენილ ნაშრომში განაგრძო და როგორც სხვა ყველაფრის (სიყვარული, მორალი, რელიგიურობა, ერუდიცია...) პოლიტიკური ხედვის სუბლიმაციაც ღვთაებრივ კომედიაში მოახდინა.

კონვივიუმისგან განსხვავებით, მონარქიაში დანტე სხვისი აზრების დივულგაციას არ ახდენს. მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული, რომ მისი აზრები ახალია და რომ ისეთ პოსტულატებს აყალიბებს, რომლის გამოთქმაც მანამდე არავის უცდია. ტრაქტატი მონარქიაზე დანტემ ლათინურ ენაზე შეადგინა. მასში აღწერილი იდეები ნაკლები აგრესიულობით გამოირჩევა, მონარქია დანტემ მისი თანასწორი ადამიანებისთვის, ანუ განათლებული და მოაზროვნე ხალხისთვის შეადგინა.

მონარქიაში აღწერილი ფაქტების მიხედვით, გამეფებული ქაოსს ორი მიზეზი ქონდა: ადამიანების გაუმაძღრობა და ეკლესიის სურვილი ჰქონოდა, როგორც სულიერი ასევე, მიწიერი ძალაუფლება. უფრო მეტიც, დანტეს მიაჩნია, რომ ეკლესია თავის თავს ერთადერთ უმაღლეს ხელისუფლებად მიიჩნევს, და რომ მას სურს ყველა სხვა ძალის დამორჩილება. დანტე მიიჩნევს, რომ არსებულ ვითარებაში, მხოლოდ უნივერსალურ მონარქიას შეუძლია აღადგინოს სამართალი, მშვიდობა და წესრიგი. ასევე აუცილებელია წესრიგი მეორე უნივერსალურ ხელისუფლებასთან, ეკლესიასთან ურთიერთობების დროს. იდეას დანტე ალიგიერი იმპერატორი კონსტანტინეს ქმედებებით ასაბუთებს. კონსტანტინემ ეკლესიას მიწიერი ძალაუფლებაც მიანიჭა, რასაც პოეტი შეცდომად მიიჩნევს. ადამიანებს ორი ნეტარების, მიწიერის და ზეციურის მოპოვების უფლება აქვს, თითოეული მათგანი სხვადასხვა ძალაუფლების (მონარქია და ეკლესია) მორჩილებით მიიღწევა.

იმპერიას და ეკლესიას ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნები აქვთ, ამიტომ არ შეიძლება ერთი მეორეს ემორჩილებოდეს. იმპერიაც და ეკლესიაც ლეგიტიმაციას ღმერთისგან იღებს, თუმც სხვა არის „პაპის საქმეები“ და სულ სხვა „იმპერატორისა“. იმპერატორი პაპის მიმართ ისეთივე მოწიწებით უნდა განიმსჭვალოს, როგორც უფროსი ვაჟი მშობელი მამის მიმართ.

ღვთაებრივი კომედია არის დანტეს აზროვნების და იდეების აპოთეოზი,

უმაღლესი გამოხატულება. მისი დროის ეკლესიის მიმართ განწყობას პოეტი „ჯოჯოხეთის“ სტროფებში გამოხატავს, განამწესებს რა სულიერად დაცემულ პაპებს ჯოჯოხეთის საზვერეებში. იმპერიის მიმართ აღტაცებას ალიგიერი „სამოთხის“ სტროფებში იმღერებს. აღტაცების კულმინაცია დიდი არიგუს იმპერატორის ფიგურის სანტიფიკაციით არის დაგვირგვინებული. უღირსი ევროპელი თავადები ვერ გადაურჩნენ კომედიის ავტორის მწარე ვერდიქტს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დანტეს პოლიტიკური მოძღვრების მწვერვალად, პოლიტიკურ ანდერძად ღვთაებრივი კომედიის სამივე ნაწილის ყოველი მეექვსე სიმღერა ითვლება. „ჯოჯოხეთის“ მეექვსე სიმღერა ფლორენციის პოლიტიკას და პოლიტიკოსებს ეძღვნება, „განსაწმენდელის“ მეექვსე ნაწილი - იტალიის პოლიტიკის ამბებს მოგვითხრობს, ხოლო „სამოთხე“ - საღვთო იმპერიაში ხედავს ხსნას.

ნაყროვანების ცოდვაში დაცემულთა საზვერეში გამწესებული, სიხარბით ცნობილი ფლორენციელი ჩაკოს მეშვეობით დანტე კიცხავს ფლორენციის კორუმპირებულ მმართველებს „ჯოჯოხეთის“ პოლიტიკურ სიმღერაში. „განსაწმენდელში“ ვირგილიუსის და სორდელოს (ორივე პოეტი ქ. მანტუადან იყო წარმოშობით) შეხვედრა და ერთმანეთის მისალმება და გადახვევა წარმოადგენს იტალიის საზოგადოებაში არსებული მანკიერებების გამოაშკარავებას. „სამოთხის“ მეექვსე ნაწილში, ორი მგოსანი, ვირგილიუსი და ალიგიერი იმპერატორ იუსტინიანეს (კანონების კრებულის შემდგენელი, სამართალმცოდნე იმპერატორი) ხვდებიან, ეს შეხვედრა რომის იმპერიის, როგორც უნივერსალური მონარქიის საფუძვლის მეტაფორას წარმოადგენს. პოეტი საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლობისათვის ხაზგასმის მიზნით, ერთნაირად მკაცრად განსჯის და კიცხავს როგორც გუელფებს, ასევე გიბელინებს, ორივეს აგდებულად მოიხსენებს და „ვიღაცებს“ უწოდებს. დანტეს აზრით, ორი პოლიტიკური პარტიის მიმდევრები პარტიის დროშას „იტაცებდნენ“ და მას პირადი ინტერესებისა და მიზნებისთვის იყენებდნენ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ დანტეს პოლიტიკური მოძღვრების კომპლექსური კარკასი მთლიანად შუა საუკუნეების პრობლემატიკაზეა აგებული. XXI საუკუნეში დანტეს თვალსაწიერში მოხვედრილი პოლიტიკური პრობლემები, რა თქმა უნდა, ანაქრონისტულად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ მათი მნიშვნელობა უდიდესია „საკრალური პოემისთვის“ (ღვთაებრივი კომედია) შემეცნებითი და პედაგოგიური დატვირთვის მისაცემად. რეალური ფაქტების გამოყენებით და მათზე პოეტური მეტაფორების აგებით შეძლო ალიგიერიმ მიწიერი ცხოვრების ჯოჯოხეთად, განსაწმენდელად და სამოთხედ გარდასახვა. პოლიტიკური და საზოგადოებრივი თემების მანამდე წარმოუდგენელ პრიზმაში დანახვით და წარმოჩენით, დანტე ალიგიერიმ ფასდაუდებელი, სწორუპოვარი მემკვიდრეობა დაუტოვა კაცობრიობას.

მიუხედავად იმისა, რომ დანტე შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-პოლიტიკური თვალსაწიერიდან აანალიზებს საზოგადოებრივ პოლიტიკურ ვითარებას, კვლავ მართებულად ისმის კითხვა, არის თუ არა თანამედროვე ადამიანისთვის დანტეს მოსაზრებები საინტერესო. არ არის მიზანშეწონილი ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ დანტეს პოლიტიკური მოსაზრებები თანამედროვეობას მიესადაგოს.

დანტეს პოლიტიკურ მოძღვრებაში და ფილოსოფიაში ყველაზე მნიშვნელოვანია მისი აზროვნების, დამოკიდებულების „საეროობა“ . შუა საუკუნეების თეოკრატიული ევროპისათვის რევოლუციური სიახლეა „ორი ერთადერთი და ერთმანეთისგან განცალკევებული ძალაუფლების“ (ეკლესია და იმპერია) შესახებ საუბარი. დანტე ალიგიერი XIV საუკუნის გარიჟრაჟზე იწყებს საერო და საღვთო ხელისუფლების გაყოფის აუცილებლობაზე საუბარს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დანტეს უნივერსალური მონარქიის იდეა, რომელშიც მსოფლიოს ყველა ქვეყანა უნდა იყოს გაერთიანებული, იდეურ საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნას. შესაძლოა ეს შეფასება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ, ფაქტია, რომ უნივერსალური მონარქიის შექმნით დანტე ფიქრობს სამოქალაქო დაპირისპირების, ერებს შორის კონფლიქტების მოგვარებას და მსოფლიო წესრიგის დამყარებას. დანტეს მოძღვრების ამგვარი გაანალიზებით, შესაძლებელია მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ის უდაოდ შეიცავს თანამედროვეობისთვის მისაღებ და აქტუალურ ელემენტებს. სამყაროზე და ადამიანზე უმაღლესი წარმოდგენის გამო ხედავს დანტე ალიგიერი უნივერსალური წესრიგის აუცილებლობას. მისთვის სამყარო ჰარმონიის და სრულყოფილების სიმბოლოა, ამიტომ ადამიანებმა, ერებმა და სახელმწიფოებმა ამ სამყაროში ჰარმონიული წესრიგით უნდა იცხოვრონ, რაც თავისთავად გამორიცხავს ომებს, შუღლს და ბოროტებას. ქვეყნებს შორის ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის დანტე ალიგიერი ზესახელმწიფოებრივი ორგანიზმის, თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციის მსგავსი ტიპის ინსტიტუციის არსებობის აუცილებლობას ხედავს. ამ თვალსაზრისით, დანტეს მოსაზრებები ნამდვილად არის თანამდეროვე მსოფლიოსთვის აქტუალური.

სახელმწიფოებრიობას ალიგიერი განიხილავს შენობად, რომელიც საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეთიკური, ფილოსოფიური, რელიგიური და ეკონომიკური ნაწილებისგან შედგება, ყველა მათგანის სიჯანსაღე ერთნაირად მნიშვნელოვანია მთლიანი შენობის მდგრადობისა და უსაფრთხოებისათვის.

ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი საზოგადოების განათლებაა. შუა საუკუნეების ფილოსოფოს ალიგიერის განათლების მწვერვალად საღმრთო რჯული მიაჩნია, თუმცა ცოდნის ვერტიკალი ასევე აუცილებლად შედგება ეთიკის, მორალის, პოლიტიკის, გრამატიკის, მათემატიკისა და სხვა საგანმანათლებლო დისციპლინებისგან. დანტეს პოლიტიკური აზროვნების თანამედროვე შტრი-

ხები მის მიერ თავისუფლებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მინიჭებაშია. დანტეს აზრით, თავისუფლება არის „ღმერთის მიერ ადამიანისთვის ნაბოძები ყველაზე დიდი საჩუქარი, რამეთუ მისით მიიღწევა ყველაზე დიდი ბედნიერება დედამიწაზეც და საიქიოშიც“. თავისუფლების ამგვარი კონცეფცია არის ე.წ. „თავისუფალი ნება“ რომელიც დანტეს შემდეგაც საუკუნეების მანძილზე იყო მრავალი ფილოსოფოსის ნაშრომების მთავარი თემა.

თავისუფალ არჩევანთან მჭიდრო კავშირშია სხვების (საზოგადოება) მიმართ „ინდივიდის“ პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც დანტე სიღრმისეულად განიხილავს. ალიგიერი საზოგადოებაში არსებულ სირთულეებს და პრობლემებს ფატალურობას და ზეციურ ძალებს არ უკავშირებს. მისი აზრით სახელმწიფოში, საზოგადოებაში შექმნილი ვითარება არის იმ ადამიანების ქმედების შედეგი, რომლებიც ამ საზოგადოებას მართავენ და შეადგენენ. სხვაგვარად წარმოუდგენელია ალიგიერის მოძღვრების გაანალიზება. მისი შედევრის, „ღვთაებრივი კომედიის „დედააზრი მთლიანად დამყარებულია ადამიანის სოციალური, საზოგადოებრივი საქციელიდან გამომდინარე შედეგებზე. კომედია რეალურად არის ადამიანის ცხოვრებისეული, საზოგადოებრივი „ცოდვების“ - ქმედებების შედეგების ალეგორიული (საიქიოში მიზანსცენა) გაანალიზება. დევნილი პოეტი რეალურად ვეღარაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აქტიურად იყოს ჩართული საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამიტომ მიმართავს პოეზიას და ურთულესი გეომეტრიის ლექსით წერს ადამიანის გონებისთვის ჯერ არნახულ და წარმოუდგენელ ამბავს, რომელიც ამავდროულად ძალიან ნამდვილი და ყველასათვის ნაცნობია.

ქვეშევრდომების თავისუფლება და ბედნიერება ქვეყნების მმართველებმა უნდა უზრუნველყონ, ამისათვის მათ ადამიანებს შორის მშვიდობა და სამართალი უნდა დაამყარონ. სწორედ ეს არის მმართველის, ხელმწიფის და მთავრის ყველაზე დიდი მიღწევა. დანტეს აზრით, ამის უნარი უნდა ჰქონდეს კარგ ხელმწიფეს. წესრიგის და მშვიდობის დასამყარებლად ალიგიერი ხელმწიფეს სწორი და სამართლიანი კანონების მიღებას ავალებს. უმკაცრესად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც სამშობლოს უღალატებს და ადამიანებს და ერებს შორის შუღლს და დაპირისპირებას გააღვივებს. საბოლოო ჯამში დანტეს პოლიტიკური მრწამსი ადამიანის ბუნებას ეყრდნობა. თუმცა პოეტი სრულყოფილ ადამიანს, კარგ სახელმწიფო მოღვაწეს ღმერთისგან შორს ვერ წარმოიდგენს. დანტეს ადამიანი (პოლიტიკოსი) „ჯოჯოხეთის“ უსახურობიდან თანდათანობით იერს იცვლის და „სამოთხეში“ ხდება მისი სუბლიმაცია, ღვთიური შუქით გასხივოსნება. ადამიანი ღმერთში და ღმერთი ადამიანში - ასეთი არის დანტეს საოცნებო სამყარო, საოცნებო პოლიტიკა, ფლორენცია, იტალია და უნივერსალური მონარქია.

ნიკოლო მაკიაველი - პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი

პარადიგმები. ზოგჯერ ნ. მაკიაველის (1469-1527) კეისრის შემდეგ ყველაზე ცნობილ იტალიელს უწოდებენ. მისმა მოძღვრებამ გამოიწვია ფრიად მრავალი ურთიერთგამომრიცხველი განმარტებებისა და კომენტარების ფართო დიაპაზონი. მაკიაველის თაყვანისმცემელთა შორის მრავლად იყვნენ და არიან სახელმწიფო მოღვაწეები, ღვთისმსახურნი, მეცნიერნი და პუბლიცისტები, მაგრამ უფრო ხშირად მისი შეხედულებები ექცევიან შეუბრალებელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში, რაც დღესაც არ წყდება. ტერმინი „მაკიაველიზმი“, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების ბნელი და უზნეო მხარეთა განსახიერების სინონიმად იქცა, წარმოიქმნა მისი მოძღვრების არასწორი გაგებისა და მოაზროვნის კერძო შეხედულებების მცდარი განმარტებებისაგან. მაშინ როდესაც მაკიაველის, როგორც მეცნიერისა და როგორც მოწინავე შეხედულებების მქონე ადამიანის დასაცავად გამოდიოდნენ ბეკონი და ჰეგელი, სპინოზა და რუსო.

მე-19 საუკუნის იტალიელმა ნაციონალისტებმა[1] კი მაკიაველი თავიანთ იდეურ სულისჩამდგმელად გამოაცხადეს. როგორც ცნობილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან სახელმწიფოს მართვის უფლებისათვის ბრძოლასათან კავშირში პოლიტიკის შესწავლის საუკეთესო მასალას იძლევა საბერძნეთი და იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები. სწორედ ათენში და რამდენიმე იტალიურ ქალაქ-რესპუბლიკებში ჰქონდა ადგილი დემოკრატიული მმართველობის პერიოდებს, როდესაც მართვის ორგანოებში მონაწილეობდა ხალხი, რაც მნიშვნელოვნად აფართოებდა სახელმწიფოსა და ძალაუფლების შესახებ თეორიული, საკუთრივ სოციოლოგიური განზოგადებების შესაძლებლობას. ამგვარი დაკვირვებებისა და განზოგადებების მეშვეობით ყალიბდებოდა მეცნიერება [პოლიტიკის შესახებ, რომელშიც ცენტრალური ადგილი ეჭირა მოძღვრებას სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური წყობის თაობაზე.

ძველი და შუასაუკუნეებრივი მწერლების წარმოდგენით სახელმწიფო გამოდიოდა პრაქტიკული საქმიანობის განსხვავებულ სახეთა გადაკვეთის წერტილად, რომლის მეშვეობითაც ხელისუფალნი ამართლებდნენ და ინარჩუნებდნენ თავიანთ ძალაუფლებას და აღწევდნენ ქვეშევრდომთა აქტიურ თანხმობას. სავსებით გასაგებია, რომ სახელმწიფოებრივი მმართველობის პოლიტიკური ცოდნა და ხელოვნება ამ პირობებში ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი იყო. პოლიტიკური ცოდნა გვაძლევდა წარმოდგენას პოლიტიკურ ცხოვრებაში რიგი ტიპიური მექანიზმებისა და ხერხების შესახებ, რომელთაც განსხვავებული მიზნობრივი მიმართულება ჰქონდათ, მაგრამ მუდამ ემსახურებოდნენ სავსებით განსაზღვრულ სოციალურ-კლასობრივ ინტერესებს პოლიტიკური ბატონობის ფორმირების, განმტკიცებისა თუ დაცემის პერიოდებში. პოლიტიკური ცოდნა <u>მოწოდებული</u> იყო მიეცა მმართველთათვის ორიენტირები არა მხოლოდ

[1] იტალიის გაერთიანებისათვის მებრძოლთა მოძრაობა - 1860-1871 წლები. ამ პერიოდის გამოჩენილი მოღვაწეები არიან: ჯუზეპე გარიბალდი, ჯუზეპე მაზინი, კამილო ბენსო კავური, მეფე ვიქტორ ემანუელ II .

აწმყოში, არამედ მომავლისთვისაც, რაც მოითხოვდა ძალიან ზუსტ აღრიცხვას ყველა არსებული მონაცემებისას, რომლებიც შემაგრებულნი უნდა ყოფილიყო სოციოლოგიური და ეკონომიკური მოსაზრებებით, გამართლებული მორალურ-ეთიკური მხრივ და, რასაკვირველია, პრაქტიკული სარგებლიანობისა და გამოსადეგობის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, მოითხოვებოდა მიღებული დასკვნების ქალაქ-სახელმწიფოში არსებულ გაბატონებულ ინტერესებთან ზოგადი შეთანადება და შეგუება. საზოგადოებრივი წინააღმდეგობების ცოცხალი სურათები, მშვიდობიანობისა და ომიანობის, სწრაფი პროგრესიისა და უძრაობის ან დაცემის პერიოდების ცვლა აიძულებდათ პოლიტიკურ მოღვაწეებს ეძებნათ იდეალური და მყარი საზოგადოებრივი წესრიგი, მაგრამ პრაქტიკაში ეს იქცეოდა სინამდვილესთან კომპრომისულ გადაწყვეტილებად, რომელიც მდგომარეობდა პოლიტიკური დაწესებულებების რეფორმებისადმი ზომიერ მოწოდებებად, რომლებიც არსებითად ვერ ცვლიდნენ საზოგადოებაში ძალაუფლებისა და საკუთრების განაწილების მექანიზმებს.

მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებები ყალიბდებოდა პოლიტიკურ კონფლიქტებსა და ბრძოლებზე დაკვირვებების შედეგად, მაგრამ მისი მთავარი მიზანი იყო არსებული პოლიტიკური დაწესებულებების რეფორმათა განხორციელებისა და ამ ახალი საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების გზებისა და საშუალებების ძიება. აქედან _ დაინტერესება არა მხოლოდ არსებული პოლიტიკური სტრუქტურებით და ძალთა განლაგებით, არამედ ისეთი პოლიტიკური პროცესებით, რომლებსაც მოყვება თან პოლიტიკური რეფორმები და რევოლუცია. ამ მიმართულებით მაკიაველი აგრძელებს არისტოტელეს ტრადიციას, რომელმაც პირველმა დაიწყო სახელმწიფოს საქმიანობის შესწავლა მის მოძრაობასა და დინამიკაში. მაკიაველმა თავისი პოლიტიკური და ისტორიული შრომების: „მთავარი“ (1513 წ) „მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის[1] სამ პირველ წიგნზე“. 1513-16 წელს. და „ფლორენციის ისტორიის (1525) ძირითადი მიზანი“ ჩამოაყალიბა ასე: „მე გაბედულად და ნათლად ვიტყვი ყველაფერ იმას, რაც მე ვიცი ახალი და ძველი დროების შესახებ, რათა ახალგაზრდა ადამიანთა სულებმა, რომლებიც წაიკითხავენ ჩემს მიერ დაწერილს, ზურგი შეაქციონ პირველთ და ისწავლონ ძველებისადმი მიბაძვა... რამეთუ ყოველი პატიოსანი კაცის ვალია _ ასწავლო სხვებს ის სიკეთე, რომლის განხორციელება მან ვერ შესძლო ცხოვრებაში მძიმე დროებისა და ბედის მუხთლობის გამო, იმ იმედით, რომ ისინი უფრო უნარის მქონენი აღმოჩნდებიან ამ სიკეთის განხორციელების საქმეში“.

დასკვნებისა და განზოგადოებების მეთოდი, რომელიც ეყრდნობა ძველი დროის კლასიკური ნიმუშების რეალურ პოლიტიკურ სიტუაციასთან

[1] ტიტუს ლივიუსი (ძვ.წ. 59-17) - რომაელი ისტორიკოსი.

შედარებასა და შერწყმას, წარმართავს როგორც „მთავარს“, ისე „მსჯელობებსა და ფლორენციის ისტორიას“. მაკიაველის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების ცენტრში იყო მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, სადაც მან წინასწარ განჭვრიტაა თითქმის ყველა იმ პრობლემათა წრე, რის შესახებაც დღეს გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლაა თანამედროვე სოციოლოგიაში. ამან ნათლად აჩვენა ის ორი გზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პოლიტიკურ დაწესებულებათა ანალიზი, _ შედარებითი შესწავლის გზა, რომელსაც წარმატებით იყენებდა თვითონ მაკიაველი, აკვირდებოდა და ადარებდა რა ერთმანეთში ფრანგულ-გერმანულ დაწესებულებებს იტალიურს, განსაკუთრებით კი ფლორენციულ პოლიტიკურ დაწესებულებებს. მეორე გზა _ ისტორიულდოგმატიური: სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობა, პიროვნებისა და სახელმწიფოს, საერო და საეკლესიო ძლაუფლების, სამხედრო ორგანიზაციისა და სახელმწიფოებრივი წყობილების თანაფარდობა და ურთიერთდამოკიდებულება, სახელმწიფოებრივი წყობისა და მართვის განსხვავებულ ფორმათა ჩასახვის, ევოლუციისა და ცვლის სკითხები (განსაკუთრებით რესპუბლიკური და მონარქისტული ფორმები). პოლიტიკის როგორც ინტერესთა მუდმივი შეჯახებისა და ბრძოლის გაგებამ, მაკიაველს მისცა საშუალება დაეხატა თავისი დროის პოლიტიკური ცვლილებებისა და პროცესების რეალისტური სურათი.

ღვთაებრივი კომედიის ავტორისგან განსხვავებით კიდევ უფრო საეროა „მთავრის“ ავტორის პოლიტიკური ხედვები. მისი აზრით, მართვის სადავეები ინსტიტუციების ხელში არ უნდა იყოს, პოლიტიკას „ხელმწიფე“, მთავარი უნდა განაგებდეს. აუცილებელი არ არის მთავარს გააჩნდეს მორალური ღირსებები. არ არის აუცილებელი მისი საქციელი სწორი და სამართლიანი იყოს. მთავარი მიზნის, პოლიტიკის გატარებისათვის, შესაძლოა მთავარი იყოს სასტიკი და ამორალური. ხელმწიფის ერთადერთი მოვალეობა სახელმწიფოს სიკეთის მიღწევაა.

ნიკოლო მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებები არ არის თეორეტიკოსის შეხედულებები. მისი მოსაზრებები ეყრდნობა იმ პოლიტიკური მოვლენების ანალიზს, რომლის აქტიური მონაწილეც თავად იყო. მაკიაველი იყო რენესანსის ეპოქის ნამდვილი წარმომადგენელი, ევროპის ყველა დროის უდიდესი პოლიტოლოგი, თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ფუძემდებელი. მან მოახდინა ადამიანის აზროვნების თავისუფლებასა და სახელმწიფოს საჭიროებებს შორის არსებული კონფლიქტის ანალიზის ფორმალიზება, მოიფიქრა და განავრცო სახელმწიფოს მეცნიერული კვლევის იდეა. მისი მთავარი დამსახურება პოლიტიკური იდეოლოგიის მართვის ხელოვნებად შერწყმაშია, იმდენად, რომ მმართველობის ფორმა საზოგადოების ეთიკურ სახედ აქცია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაკიაველის მოძღვრების სინონიმად „მიზანი ამართლებს საშუალებას“ პრინციპი ითვლება. თუმცა მისი პოლიტიკური

აზროვნება მხოლოდ ბოროტებაზე და ცბიერებაზე აგებული არ ყოფილა. მაკიაველის მიერ პოლიტიკური საშუალებების გამოყენების გამართლება იყო რეაქცია იმ სტაგნაციის წინააღმდეგ, რომელშიც მისი დროის ფლორენცია და იტალიის სამთავროები იყვნენ. პოლიტიკური დეკადენტიზმის წინააღმდეგ და „კარგი მმართველობის“ მისაღწევად სთავაზობს მაკიაველი მკითხველს და ხელისუფალს სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას. მაკიაველიმ დაამკვიდრა პარტიული კუთვნილების პრინციპი პოლიტიკაში. პარტიული კუთვნილება პოლიტიკისთვის იგივე ძალის მქონეა, როგორც რწმენა რელიგიაში. მისი დროის პოლიტიკური მოვლენების სასტიკი ანალიზით მაკიაველიმ შემოგვთავაზა მმართველობის სქემები და მეთოდები, რომლებიც შესაძლოა ვითარების შესაბამისად შეიცვალოს. მაკიაველისთვის სიკვდილი წარმოადგენს ექსტრემალურ ღირსებას, ბოროტების სუბლიმაციას, ბოროტება კი ფლორენციის საზოგადოებაში გამეფებული ინტრიგები, პირფერობა, სიყალბე, კორუფცია და ვერაგობა იყო. პოლიტიკური ხედვის გამოხატვისათვის მაკიაველი დაამცირეს, ციხეში ჩასვეს და აწამეს კიდეც. მაკიაველი მიიჩნევს, რომ ადამიანის ფიზიკური და გონებრივი მარგინალიზაცია (ციხე და წამება) არის პოლიტიკოსის, ხელისუფალის მიერ გამოყენებული ყველაზე სასტიკი საშუალება.

მაკიაველის შედევრს „მთავარი“ ხუთასი წელია არ შელახვია სიდიადე და ქარიზმა. ეს ნაწარმოები კვლავ რჩება ლიტერატურული ჟანრის და პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ უმაღლეს გამოხატულებად. მაკიაველის პოლიტიკური ტრაქტატები ყველა ქვეყანაში დეკარტისეული წერტილოვანობით არის შესწავლილი. მაკიაველის შემოქმედებას ყველგან პატივისცემით ეპყრობიან.

ნიკოლო მაკიაველი იტანჯებოდა, რადგან იტალიას ვერ ხედავდა ერთი ძლიერი მთავრის ქვეშ გაერთიანებულს. პოლიტიკური დანაწევრების გამო იტალიას ხშირად იპყრობდნენ უცხოეთის სახელმწიფოები. მაკიაველის იმედი ჰქონდა, რომ ჩეზარე ბორჯია[1] შეძლებდა იტალიის გაერთიანებას. ცინიკური და ამორალური პოლიტიკის წყალობით, ბორჯამ მართლაც შეძლო ჩრდილოეთ იტალიის ვრცელ ტერიტორიაზე სამთავროს შექმნა, მაგრამ მისი მამის პაპი ალექსანდრე VI-ეს გარდაცვალების შემდეგ, ჩეზარეს მოაკლდა მშობლის პოლიტიკური საყრდენი და გავლენა, სამთავროს გაძლიერება და გაფართოება ვეღარ შეძლო. პაპი მშობლის მსგავსად თავადაც სიფილისით გარდაიცვალა.

მაკიაველის მიაჩნია, რომ პოლიტიკოსი, მას შემდეგ რაც მიზანს დაისახავს, უნდა ცდილობდეს მიზნის დინამიზირებას, მის განვრცობას, იმდენად, რომ პირველადი მიზნის მიღწევის შედეგს უნდა გასცდეს პოლიტიკოსის ქმედებების შედეგები. იტალიის გაერთიანების მთავარი დაბრკოლება, მაკიაველის აზრით, იტალიის სამთავროების შიდა საქმეებში პაპის და ვატიკანის მუდმივი ჩარევა

[1] ჩეზარე ბორჯა (1475-1507) - პაპი ალექსანდრე VI-ის ვაჟი. სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე. ნიკოლო მაკიაველის „მთავარი“-ს პროტოტიპული პერსონაჟი.

იყო. პაპების მიწიერი ძალაუფლება კარლოს დიდის ეპოქიდან დაწყებული 1870 წლამდე აბრკოლებდა იტალიის გაერთიანების პროცესს. ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, აპენინის ნახევარკუნძულზეც, რომ არსებულიყო აბსოლუტური მონარქია, ეს მნიშვნელოვნად შეასუსტებდა პაპების და ეკლესიის ძალაუფლებას. სწორედ ამიტომ სურდა მაკიაველის ძლიერი სახელმწიფო ძლიერი საერო ხელისუფლებით. ძლიერი სახელმწიფოს დამცავი ძალა, ჯარი კი - სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანებისგან და არა უცხო ქვეყნის დაქირავებული მოქალაქეებისგან უნდა ყოფილიყო ფორმირებული.

მაკიაველის აზრით, ადამიანი ნახევრად სულიერებისგან ნახევრად კი ცხოველისგან შედგება „მელა და ლომი“ _ ასეთია ადამიანის მაკიაველისეული ალეგორია. გარემოებების მიხედვით, ადამიანმა უნდა გამოიყენოს ლომის სიძლიერე და მელიის დიპლომატია და გამჭრიახობა. მთავარმა შიში უნდა აღძრას ქვეშევრდომებში. მოჩვენებითად უნდა მოიქცეს და სასტიკად დაანახოს თავი ხალხს. შემდგომ კი საპირისპიროდ უნდა იმოქმედოს. ქვეშევრდომებისგან პატივისცემის შენარჩუნებისათვის აუცილებელია, რომ მთავარმა მათ ღირსება და საკუთრება არ წაართვას. კარგ მთავრს უნდა ჰქონდეს მოვლენების განჭვრეტის უნარი. ეს უნარი ხელისუფალს ეხმარება მოვლენების სწორად მართვაში. სახელმწიფოს მართვაში მთავარი არის მუდმივად ხედავდე მისაღწევ მიზანს, მიზანს ხელისუფალი გაწონასწორებული უნდა მიუახლოვდეს და ცინიზმით გადალახოს. თუკი ხელისუფალს ეს თვისებები არ აქვს, ის ძალაუფლებას დაკარგავს. მაკიაველის აზრით, იტალიის ტერიტორიაზე გაბნეული სამთავროების „მთავრუკები“, რომლებიც სამშობლოს მიმართ სიყვარულს გულთან არ იკარებდნენ, იტალიის დაქუცმაცებაში მთავარი დამნაშავეები იყვნენ.

პირადი პოლიტიკური მოძღვრების შექმნისათვის მაკიაველი დაუპირისპირდა ქრისტიანული ცხოვრებისა და პოლიტიკის მთავარ ღირებულებებსა და პრინციპებს. მაკიაველის პოლიტიკური იდეოლოგიის ზღვარგადასული ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლიანობა სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა ქრისტიანულ ეთიკასთან და მორალთან. მაკიაველი ადამიანურ მოვლენებს დიკოტომიური (ორწევრიანი) მოდელების მიხედვით ალაგებდა: სიკეთე/ბოროტება, სული/საგანი, ღირსება/ნაკლოვანება. მთავარი ამ ორწევრიანი ელემენტების გაწონასწორებული გამოყენებით შეძლებდა სამთავროს კარგად, ბრძნულად და წინდახედულად მართვას. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანი პოლიტიკური სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა. ადამიანის და პოლიტიკის უმთავრესი მიზანი სახელმწიფოსათვის სასარგებლო ინტერესის მიღწევა უნდა ყოფილიყო. მთავარი არავის მიმართ ანგარიშვალდებული არ არის, მისი მთავარი მიზანი სახელმწიფოს ინტერესის მიღწევაა, სახელმწიფოს სარგებელის მიღწევა კი შესაძლებელი და დაშვებულია როგორც მორალური, ასევე ამორალური ქმედებებით. მიზნის მისაღწევად ხელისუფალს შეუძლია სასტიკიც იყოს და

ლმობიერიც. ადამიანები უნდა შეფასდნენ იმის მიხედვით თუ რა არიან და არა იმის მიხედვით თუ როგორები უნდა იყვნენ.

მაკიაველის გენიალურობა ახალი იდეების აღმოჩენა კი არ არის, არამედ რეალობის გაანალიზება და ადამიანში ოდითგანვე არსებული თვისებების სწორი ანალიზი და ამ თვისებების სახელმწიფოს კარგად მართვისათვის გამოყენების აუცილებლობაზე საუბრის გაბედბვაა. მაკიაველის მიერ განხილული პრობ-ლემები არასოდეს არის აბსტრაქტული. მაკიაველის აზრით პოლიტიკური ვითარების შეფასება შეუძლებელია კონკრეტული ისტორიული, სოციალური და ეკონომიკური ვითარების შეფასების გარეშე.

კარგი ხელისუფალისთვის აუცილებელია მართავდეს და აკონტ-როლებდეს საკუთარ ვნებებს და სხვის ამბიციებს. სიხარბე და ცბიერე-ბა ადამიანების ყველაზე საშიშ თვისებად აქვს წარმოჩენილი ნიკოლო მა-კიაველის. მას მიაჩნია, რომ რელიგია არ არის მისი ძირითადი დანიშნულებით, ადამიანის სულიერებაზე ზრუნვისთვის გამოყენებული. რელიგიას მართვის და ძალაუფლების ინსტრუმენტად იყენებდნენ მაკიაველის თანამედროვე ხელისუფალნი. ამგვარი რამ ავტორს მკრეხელობის ერთ-ერთ ფორმად მიაჩნია. რელიგია, რწმენა ადამიანებს ავალდებულებს შეასრულოს მიცემული სიტყვა, დაიცვას სამშობლო, იზრუნოს სულის გადარჩენაზე. მაკიაველი ეწინააღმდე-გება რელიგიის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებას.

პიროვნული ღირსებების გარდა კარგ პოლიტიკოსს იღბალიც უნდა ქონდეს. მაკიაველის მიაჩნია, რომ ყველაზე ღირსეული მთავარი ვერასგზით ვერ შეძლებს ყველაზე საგმირო საქმის განხორციელებას, თუკი მას „ფორტუნა“ ზურგს შეაქცევს. პოლიტიკოსისთვის ასევე საჭიროა გადაწყვეტილების მიღების ნიჭი. ყოყმანი მთავრის ავტორიტეტს სწრაფად დასცემს ძირს. ამიტომ ხელისუფალმა პოლიტიკური ალღო და გამჭრიახობა ყოველთვის უნდა გამოავლინოს, რათა ხელიდან არ გაექცეს მართვის სადავეები.

კარგმა მთავარმა უნდა შეძლოს მოწინააღმდეგის თავის მხარეზე გადმოყვანა. როდესაც ეს შეუძლებელია ხელისუფალმა მოწინააღმდეგე უნდა გაანადგუროს. როგორც აღვნიშნეთ, ხელისუფალი, მთავარი პირადად, ინსტიტუციების ჩაურევლად უნდა წყვეტდეს მისი ხალხისათვის და სამთავროსთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე სირთუ-ლეების მოგვარების გზებზე მაკიაველი ძირითადად ორ ნაწარმოებში „მთავარსა“ და „ტუტუს ლივიუსის მმართველობის პირველი დეკადის შესახებ დისკუსიებში“ მსჯელობს. მაკიაველის ფილოსოფიას ძირითადად „მთავრის“ ფურცლებით იცნობენ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია „ტიტუს ლივიუსი“. ეს ორი ნაშრომი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ჟან ჟაკ რუსომ მათ ერთმანეთის ანტითეზები უწოდა. მიუხედავად განსხვავებულობისა, ორივე ტრაქტატი სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას აღწერს. მათში მოთხრობილია

როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფალი იმისათვის, რომ თავიდან აირიდოს პოლიტიკური პრობლემები და სახელმწიფოს დაღმასვლა. „ტიტუს ლივიუსში“ აღწერილია რომის რესპუბლიკის ექსპანსიის გზები. მაკიაველიმ ამ ნაშრომში დიდი აღმოჩენა გააკეთა. ის მიხვდა, რომ პატრიციების და პლებეების დაპირისპირებამ რომი კი არ დაასუსტა, არამედ საშუალება მისცა შეექმნა უფრო და უფრო სრულყოფილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესრიგი.

მაკიაველის მთავარი მიზანი, დანტესგან განსხვავებით, იდეალური სახელმწიფოს აღწერა არ არის. მისი მიზანია პოლიტიკის სწორი გაანალიზებით და შესაბამისი ქმედებით მოხდეს სახელმწიფოსათვის საუკეთესო შედეგის მოპოვება. ფლორენციელი სახელმწიფო მდივნის პოლიტიკური მოძღვრების საფუძველი ის სირთულეები და პრობლემებია, რომლის წინაშეც XVI საუკუნის იტალია იდგა. იტალიის ტერიტორიაზე არსებულ სამთავროებს არ გააჩნდათ მტკიცე ინსტიტუტები, რომლებიც მათ სიძლიერეს უზრუნველყოფდნენ. სამთავროებში მორალური და სამხედრო კრიზისი იყო გამეფებული. მაკიაველის ეპოქის იტალიაში დაკარგული იყო სამოქალაქო ღირებულებები. პოლიტიკოსი რომის სიდიადეს შემდეგი კრიტერიუმების არსებობით ხსნის: სამშობლოს სიყვარული, სამოქალაქო შეგნება, გმირული სულისკვეთება, სიამაყე, პატივი და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ეგოიზმმა, „მთავრუკების“ პირადმა ამბიციებმა და სამშობლოს დასაცავად ფულზე გაყიდული უცხო ტომის ჯარისკაცების გამოყენებამ ჩაანაცვლა. მაკიაველი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კარგი კანონების არსებობას. იურისტის და კანონმდებლის როლი უმთავრესია ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუციების შესაქმნელად. კანონი კორუფციის და ზნე-ჩვეულებების დეგრადაციის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი საშუალებაა. წესრიგის აუცილებლობით აიხსნება ის ფაქტი, რომ მაკიაველი ერთნაირი მოწონებით ასხავს ხოტბას დესპოტ მმართველს და დამოუკიდებელ კარგად ორგანიზებულ თავისუფალ საზოგადოებას. მაკიაველი ხან ავტოკრატიას აქებს, ხან დემოკრატიულ საზოგადოებას. დასკვნების გამოტანისთვის უმთავრესი მაინც ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტია. თუკი სახელმწიფოს კეთილდღეობა მხოლოდ დესპოტიზმით მიიღწევა, ხელისუფალი უნდა იყოს დესპოტი. საზოგადოდ კი, მაკიაველის ბევრი ადამიანის მიერ არჩეული ხელისუფალის მმართველობა უკეთესად მიაჩნია, რადგან ასეთ დროს ხელისუფალი მრავალთა ინტერესებს უკეთ დაიცავს და განახორციელებს. მმართველობის ასეთი ფორმით უკეთესი ნაზავი მიიღება, რადგან ხდება საზოგადოების ყველა ფენის ინტერესის გათვალისწინება. საზოგადოების სტრუქტურულ კონტექსტში მაკიაველი ყველაზე მეტად დიდგვაროვნებს ვერ იტანდა, რადგან ისინი ყველა სხვა დანარჩენი ფენისთვის უსარგებლო, უქნარა და კონფლიქტურ წრედ მიაჩნდა. დიდგვაროვნები ეკლესიასთან, ხალხთან და კორპორაციებთან კონფლიქტის წყაროს წარმოადგენდნენ.

ამრიგად, დანტე ალიგიერი და ნიკოლო მაკიაველი პოლიტიკაში გამარჯვებულად ისეთ ხელისუფალს ცნობენ, რომელსაც სამშობლო და ხალხი უყვარს. რომელსაც არ ამოძრავებს პირადი ამბიციები, არამედ სახელმწიფოს უმთავრესი სიკეთისათვის იბრძვიან, ეს სიკეთე კი ხალხის, ქვეშევრდომების კეთილდღეობა, ერთიანობა მშვიდობის დამყარებაა. მშვიდობის დამყარებას და დაცვას ძლიერი ეროვნული ჯარი სჭირდება, რომელიც სამშობლოს სიყვარულით აღსავსე ჯარისკაცებისგან შედგება.

მაკიაველიმ აღამაღლა პოლიტიკური ცხოვრების როლი და ადამიანის აქტივობის როლი საზოგადოდ. მისი მიხედვით ადამიანის ცხოვრება გარდაუვალობით ექვემდებარება პოლიტიკურ მღელვარებებსა და ვნებებს. პოლიტიკურ უნარებსა და ქველობა-მამაცობაზე დამოკიდებულია სახელმწიფოთა და ხალხთა ბედი. პოლიტიკა მის მსოფლმხედველობაში პირველადია. მთავარის – რეფორმატორის საქმეებში წარმატებები ნახევრად დამოკიდებულია პიროვნულ ქველობასა და მამაცობაზე, ხოლო ნახევრად ფორტუნის წყალობაზე –ერთადერთ ღვთაებაზე, რომელიც მოცემულია მაკიაველის მკაცრ და მწყობრ სისტემაში, რომელიც მიუხედავად ამისა, შეიძლება დაექვემდებაროს ადამიანთა და მმართველთა შეგნებულ-გააზრებული აქტივობის ზეგავლენას. სოციალ-პოლიტიკური იდეების ისტორიაში მაკიაველი დამსახურება დაკავშირებულია არა იმასთან, რომ იგი პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მოვლენებს განიხილავდა პრაქტიკოს პოლიტიკოსისა და მიუდგომელი დამკვირვებლის პოზიციიდან, არამედ იმასთან, რომ მან შეისწავლა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოვლენები ყველა იმ პირობებთან კავშირში, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათზე, პირველ რიგში მან იგი დაუკავშირა საზოგადოებრივი კლასებისა და ჯგუფების ბრძოლას, აგრეთვე იმასთან, რომ ის გარკვეული იდეური და პოლიტიკური პოზიციებიდან გამოდიოდა ფეოდალიზმის კრიტიკით და გაწმინდა გზა ბურჟუაზიული სოციალ-პოლიტიკური თეორიისა და მსოფლმხედველობის დასაფუძნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dante Alighieri: De Monarchia
2. Dante Alighieri: Il Convivio
3. Dante Alighieri: Divina Commedia
4. Jonathan Davies: Florence and Its University During the Early Renessance . Brill 1998.
5. Carmelo Ciccia: Allegorie e Simboli nel Purgatorio e altri Studi su Dante. Luigi Pellegrini editore.
6. Falzone Paolo :Desiderio della scienza e desiderio di Dio nel Convivio di Dante. Universita' Roma Tre. Studio Ascientifico 2010.
7. Umberto Carpi : Studi Su Dante. La Nobilta di Dante. Vol I. Edizioni Polistampa.
8. Enzo Noe Girardi: Ultimi Studi Su Dante. Vita e Pensiero. 2016.
9. Brenda Deen Schildgen : Divine providence: A History – Continuum International Publishing Group.
10. გიორგი მახობელშვილი - დანტე ალიგიერი და სალიტერატურო ენა. Presa.ge 30.05.2011
11. ნოდარ ლადარია: ლათინური და იტალიური ენების ურთიერთმიმართების საკითხი დანტე ალიგიერის ტრაქტატებში.
12. Nostra lingua latina e nostro volgare“ — v. F. De Sanctis, Storia della letteratura italiana, a cura di Cesare Milanese, Roma 1991, p. 5.
13. Niccolò Machiavelli : Il Principe.
14. Niccolò Machiavelli: Discorsi Sopra la Prima Deca di Tito livio.
15. Niccolò Machiavelli : Storie Fiorentine.
16. Gennaro Sasso : Niccolo' Machiavelli . Storia del Suo Pensiero Politico. Il Mulino. 1993.
17. Gennaro Sasso : Macchiavelli e cesare Borgia. Storia di Un Giudizio.
18. Gennaro Sasso: In Margine al V Centennario di Machiavelli. Guida Editore. 1972.
19. Fabio Frosini : Guerra e Politica in Machiavelli. Argito. Vol. I. 2013.
20. Maurizio Viroli: Attualita' del Principe. Treccani. 2013.
21. Claudio Finzi: Gli Equilibri Politico-Diplomatici negli Anni di Machiavelli. Treccani . 2013.

Politics and political technologies in the works of Dante Alighieri and Niccolò Machiavelli

Natia Sulava, PhD student
Georgian Technical University

Summary

Dante Aligieri and Niccolò Machiavelli, the two greatest Florentian thinkers, philosophers, politicians, poets and writers of all times, lived in different epochs, despite this fact, the main line of their creativity is the politics. .

Dante (XIV Century) and Machiavelli (XVI Century) were activly involvemed in Florence's political life, the deep analyzes of the events and understanding of their importance became the source of inspiration for their political works. For many centures this works continue to be the main manuals for political thinking and policy making. Dante Aligieri's main work on politics is "De Monarchia" (Monarchy) the treaty composed in Latin, and Machiavelli's masterpiece is "Il Principe" (the Prince) written in vulgar so cold Latin for people, the old Italian language. Both works tell us about the universal monarchy, the authors critically analyze the modern society. The works of Dante and Machiavelli are reflected in the systematicization of the existing knowledge on state management, the principles described in these works are of great importance even in XXI century. they had great influence on the formation of many public and historical pfigures and personalities.

Key words: Dante Alighieri, Niccolo Machiavelli, policy, political technologies

საცხოვრებელი სახლები პირიქითა ხევსურეთში

მზია წიკლაური, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება პირიქითა ხევსურეთში საცხოვრებელი სახლების აღწერასა და ინტერიერის წამყვანი არტეფაქტების დახასიათებას. ძველ და თანამედროვე ურთიერთობებს, სტუმარმასპინძლობას, უფროს-უმცროსობას, უფლება-მოვალეობებს.

ნაშრომში აღწერილია საოჯახო და სამეურნეო ნივთები, მათი გამოყენების ჩვევები და ოჯახური ტრადიციები. ზოგადად მთაში შემონახული ქართული წეს-ჩვეულებები.

საკვანძო სიტყვები: საცხოვრებელი სახლები, სტუმარმასპინძლობა, უფროს-უმცროსობა, არტეფაქტები.

შესავალი

არხოტის თემი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთის ერთ-ერთი მნიშნელოვანი მიკრორეგიონია, რომლის ბიოგეოგარემოსა და სოციუმის განსახლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ერთი მონაკვეთი არხოტის თემზე გადის. ამიტომ არხოტის თემის, ზოგადად ხევსურეთის ამ ნაწილის სრულყოფილი შესწავლა სასიცოცხლოდ აუცილებელია, ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ მთიანეთი იცლება და სანამ დროა, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული ინფორმაცია სრულყოფილად უნდა შევკრიბოთ და მომავალ თაობებს შემოვუნახოთ.

ძირითადი ტექსტი

პირიქითა ხევსურეთის სოფლებში საბრძოლო კოშკებზე მეტწილად საცხოვრებელი ნაგებობებია მიდგმულ-მიშენებული. ისინი პატარა, მაგრამ საიმედო სიმაგრეებს წარმოადგენენ. იგივე პრინციპითაა გამართული მეზობელი ინგუშეთის საბრძოლო კოშკებიც და მათზე მიშენებული საცხოვრებელი სახლები. ა. ქალდანის დაკვირვებით „ერთნაირი ბუნებრივი სოციალურ-ეკონომიკური პირობები განაპირობებენ ერთნაირი კულტურის ჩასახვასა და განვითარებას კავკასიონის მთიანეთის რიგ ქვეყნებში“ (4, 23).

კოშკის შიდა ინტერიერის შესწავლამ ცხადყო, რომ იქ ცხოვრება საკმაოდ რთული იყო, ამიტომაცაა, რომ კოშკის გვერდით მშრალად ნაგები ხევსურული ბანიანი სახლია მიშენებული.

აღსანიშნავია, რომ სახლები საცხოვრებელი საფასადო მხრიდან ორი სართულით იყო წარმოდგენილი. ქვედა სართულზე ძირითადად პირუტყვის სადგომები, ხოლო მეორეზე ჭერხო და საცხოვრებელი ოთახებია განთავსებული.

ნაგებობების მშენებლობა საძირკველის გაჭრით იწყებოდა. საამშენებლო მასალად ძირითადად თიხა-ფიქალი (სიპი ქვა) და ქვიშა-ქვა გამოიყენებოდა. მშრალად აშენებულ კედელზე ერთი მეტრის დაშორიშორებით ფიჭვის მორები ლაგდებოდა, ხოლო შემდეგ – გარდიგარდმო, შედარებით მსხვილი ხის ტოტებით იფარებოდა, რომელზეც ჯერ ფიქალის ბრტყელი ფირფიტები ლაგდებოდა, ხოლო შემდეგ – ქვიშანარევი თიხის სქელი ფენა იტკეპნებოდა. ბოლო სართულის კედელს გარშემო განიერი სიპების მჭიდროდ მიჯრილი სარტყელი შემოუყვებოდა. ეს სარტყელი კედელს, ასე, ოცდაათიოდე სანტიმეტრით ფარავდა.

მისი დანიშნულება კედლებისათვის ბანიდან ჩამომდინარე წყლის აცილება იყო. სიპების უკანა ნაწილი ბანზე არსებული მიწით იყო ნაწილობრივ გადაფარებული და ჩამაგრებული. ბანის ზედა საფარისათვის ხმარობდნენ თიხა მიწას, რომელიც წყალს ნაკლებად ატარებდა. თუ ოთახის ფართობი დიდი იყო (ხშირად ეს იყო ჭერხო), კედლებზე დალაგებული მორების ცენტრალურ ნაწილში ათავსებდნენ უფრო დიდი სისქის მორს, რომელსაც კეზი ეწოდებოდა. კეზის საყრდენად შენდებოდა გეგმაში ოთხკუთხედის ფორმის ქვის ბურჯი, რომელსაც ხევსურები „კულას“ უწოდებდნენ; საყრდენად ხის ბოძებსაც იყენებდნენ.

„ჭერხო“ შედარებით დიდი ფართის მქონე სათავსოა, რომელიც ძირითადად სურსათ-სანოვაგის, ჭირნახულის, საყოფაცხოვრებო საგნების და სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესანახად გამოიყენებოდა. ჭერხოს ინტერიერში მყუდრო ადგილას ხშირად საწოლებიც იდგა.

ხევსურულ სახლებში ოთახების რაოდენობა 2-3 თვალს არ აღემატებოდა. ცოლ-ქმრისათვის ცალკე ოთახი არ იყო გამოყოფილი. დიდ ოჯახში, სადაც რამდენიმე ძმა ცოლშვილით ერთად ცხოვრობდა, ქალ-ბალღებისა და მამაკაცების ოთახები ცალ-ცალკე იყო გაყოფილი.

ს. მაკალათიას ცნობით, „სტუმარს ხევსურეთში ხალიჩაზე აწვენდნენ და ზედაც ხალიჩას აფარებდნენ. შეძლებულ ოჯახებში ხალიჩები ბლომად მოეპოვებოდათ; საფენს ხევსურეთში კარგი ფასი აქვს. ის „საგებიც“ არის და საფასეც, რომელსაც ძროხებზე ან სპილენძზე ცვლიან. ხალიჩებით აგრეთვე სისხლის დრამასაც იხდიან“ (5, 137).

დღეს, პირიქითა ხევსურეთში თანამედროვე მოსასვენებლები გააჩნიათ; ასე, რომ სტუმარსაც და მასპინძელსაც ჩვეულებრივი სუფთა თეთრეული და მატყლის ლოგინი უგიათ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ოჯახის დიასახლისის, ქალის უფლება-მოვალეობები (სტუმარ-მასპინძლობა, მისი დამოკიდებულება ოჯახის წევრებიან და ა. შ.) ალ. ოჩიაური წერს: „დიაცი ან ქალი სტუმრებს ჯღანის ბაწრებს გაუხსნიდა, ჯღანებს გახდიდა და „თათებს“ (წინდები) ჩაცმევდა, მიუტანდა საკაცო ტყავებს (ქურქი) და მოახურავდა. ოჯახი თუ რიგიანად ცხოვრობდა, სტუმრისათვის თათები და ტყავები ბევრი ჰქონდა. სტუმარი ქალები კი თვითონ გაიხდიდნენ და საქალო თათებს ჩაიცმევდნენ“ (1, 209).

ქალის სოციალურ მდგომარეობას ალ. ყაზბეგი ასე აღწერს: „როგორც თითქმის მთელ დედამიწის ზურგზედ, ისე ხევსურეთშიც კაცს მეტი უფლება აქვს, ვიდრე ქალს, მაგრამ ეს ჩვეულება ხევსურეთში უფრო თვალსაჩინოა,

რადგან თითქმის ყველა შინა საქმე ქალსა აქვს თავზე მოხვეული. კაცი მუდამ მტერს უნდა იგერიებდეს და თავის სახლობას იფარავდეს. იმას არა სცალიან შინაურ საქმეებსაც გულმხურვალედ მოეკიდოს“. მისი დაკვირვებით, „ქალის საქმე არის კერვა, ჭრა, ქსოვა, მკა, ნამგლით თიბვა, თივის მოტანა ზურგით, საჭმელების კეთება და პურის ცხობა. ამას ყველა პატარაობიდანვე სწავლობენ და იმათ შორის ისეთი არავინ არის, ეს საქმე არ იცოდეს“ (2, 359).

სადიასახლისო საქმიანობას ალ. ოჩიაური ასე ახასიათებს: „დიასახლისი შეუდგებოდა სადიასახლისო საქმეებს, ჩაჭრიდა საპარსვლით ხორცს, ქონს და მხლის რომელიმე წნილს, გაურევდა შიგ ყველსაც. დაკიდებდა ზედგანს საკიდელზე, დაანთებდა ცეცხლს, კიდობნის ძირიდან გამოიღებდა ვარცლს და გაცრიდა ფქვილს. აქვე პატარა ქვაბით წყალი იდგა ცეცხლთ პირში და როცა გათბებოდა, ამით მოზელავდა ცომს. გააკეთებდა გულიან კეცეულებს, ჯერ ზედგანზე მოაჭირთებდა, მერე ცხელ ნაცარში ჩააწყობდა და გვერდის გადაქცევით გამოაცხობდა. გამომცხვრებს ერთად დააწყობდა ცეცხლთან, როცა ცხობას მორჩებოდა, ჩაასხამდა ბაკანში თბილ წყალს, კეცეულებს განაცრავდა და გაბანდა“. ახლა კეცეულების გამოცხობა ტაფაზე ან კარგად გასუფთავებული ღუმელის ზედაპირზე ხდება, გამომცხვარ კეცეულს განაცვრა არ უნდა, რასაკვირველია, რადგან ახლა ნაცარში აღარავინ აწყობს მათ, მაგრამ გაბანვა მაინც ხდება. კეცეული ხაჭაპურის მსგავსი ცომეულის ნაწარმია იმ განსხვავებით, რომ გული აქვს ან ხორცის (ხინკალივით) ან ყველის და კარტოფილის, შეხვეული, ან ყველის, რომელიმე მწნილით შეზავებული. ძირითადად შიბუს მწნილს ურევდნენ (შიბუ – ველის მცენარეა, რომელსაც ამწნილებენ სპეციალურად კეცეულის გულში გასარევად). სათითაოდ გაპოხავენ და დააწყობენ ერთმანეთზე, მერე ერაწით ერბოს გაადნობდნენ და მამაკაცებს ეტყოდნენ: ტაბლა გადადგით, სტუმრებს პურ აჭმიეთ“. მასპინძელი სადიაცოდან გადაიტანდა, სამამაცო სკამზე მსხდარ სტუმრებს წინ დაუდგამდა და იტყოდა: „ღმერთო, კარგა გვიმყოფ-ე’, სტუმრები, ჩვენის მახსენებისად კაით მაიხსენი. კარგად გვიმყოფ ეს მეზობელნიც, ღმერთო უშველ მასპინძელს, მარჯეს ნურას მისცემ, კლოვ ლხინის მლოცავ უდინი“. მასპინძელი სტუმრების მოტანილ არაყსაც ტაბლაზე დგამდა და თუ ჰქონდა, თავის არაყსაც მოიტანდა, დაასხამდა და ყანწებს მისცემდა სტუმრებს. ერთი ყანწს თვითონაც დაიჭერდა, ან თუ დედა ჰყავდა ხნიერი, იმას მისცემდა და ტაბლას „სახელს დასდებდნენ“. სახელს დასდებდნენ თავისი ახალი მიცვალებულისათვის ან მოსულებს თუ ვინმე ჰყავდათ ახალი მკვდარი“ (1, 38).

ეს ვრცელი ამონაწერი მოვიტანეთ იმის ნათელსაყოფად, რომ მიუხედავად დროთა ვითარებაში ცხოვრების წესის ცვლილებებისა, ხევსურეთში მაინც კარად არის შემონახული ტრადიციული სტუმარმასპინძლობა, უფროს-უმცროსობა და, საერთოდ, ძველი ქართული (ხევსურული) წეს-ჩვეულებები.

სახლის შინამოწყობილობა მეტად თავისებური იყო. საწოლები ხისგან მზადდებოდა. მაღალ ფეხებზე შემდგარი, უხეშად დამუშავებული, ხშირად ხევსურული ორნამენტით მოჩუქურთმებული ოთხკუთხა საწოლის (ხევსურები მას ტახტს უწოდებენ) ძირი თოკით იყო გამოწნული, ხოლო შიგ, ვიდრე ლეიბები გაჩნდებოდა, ჩალა იყო მოფენილი. მასზე გადაფარებული იყო შედარებით დაბალხარისხიანი ფლასი ან ფარდაგი.

ადრეულ პერიოდში დასაფარებლად ხმარობდნენ კარგად დამუშავებული ცხვრის ტყავებისაგან შეკერილ საბანს, რომელსაც ხევსურები გუდანურს უწოდებდნენ, თუმცა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნავს გუდანურები მეოცე საუკუნეში თითქმის აღარ ჰქონდათ არხოტის თემში. „აქ ჩემ ხსოვნას გუდანურ აღარ ყოფილ“ – აღნიშნავს ნ. ცისკარაული. ახიელში ლოგინები ადრიდანვე ყოფილა მატყლისა. ჯერ ერთი, ცხვარი ჰყავდათ ბევრი, მეორეც, მეზობელი კუთხეები (ხევი, ფშავი, თუშეთი), რომ ახლოს იყვნენ ტერიტორიულად, იქიდანაც შემოვიდა ეს კულტურა. საერთოდ კი, ხევსურებში მატყლის ლოგინი პირველად ჯუთებმა შემოიღეს მოხევეებისგანო, აღნიშნავს მთხრობელი. რა თქმა უნდა, სურვილისამებრ, გუდანურიც და ჩალაზე გადაფარებული ფარდაგიც ლოგინად, შესაძლებელია, ახლაც გამოიყენება ზოგიერთ ოჯახში, გარკვეული მიზეზების გამო (როგორც სამკურნალო თვისებების მატარებელი).

მაგიდად გამოიყენებოდა ნახევარი მეტრის სიმაღლის ხის ტაბლა, რომელსაც ასევე დაბალი, ხშირად სამფეხა სკამები ჰქონდა შემოწყობილი. მიღებული იყო, შედარებით მაღალი საზურგულიანი გრძელი ხის სკამიც, რომელიც კედელს მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა.

სტუმრიანობის დროს ამ სკამზე ყველაზე საპატიო პიროვნებებს სვამდნენ, ხოლო თავში – სოფლის დამსახურებულ პიროვნებას. მაგიდასთან უპირველესად სტუმარს მოიწვევდნენ, თუნდაც ახალ-

გაზრდა ყოფილიყო, ტრადიციისამებრ, „საუფროსო ადგილას“, ნიშნად პატივისცემისა, ოჯახის უფროსს ან უხუცესს იწვევდნენ. გ. თევდორაძე აღნიშნავს: „შეძლებული ღონიერი ოჯახის პატრონს, ჭკვიანი, დარბაისელი, კერამ-კვიდრეული ჰქვია. ასეთი კაცის სახელი ოჯახის ფარგლებიდან გადის გვარში, თემში, თემს იქითაც გავარდება ხოლმე. ასეთი კაცი გახდება გავედიანი ასეთ კაცს ავალებდა თემ-სოფელი ახალ-გაზრდების გაწვრთნა-სწავლებას. ისიც ასწავლიდა წარსული ცხოვრების ძველ ამბებს, აღვიძებდა მათში გმირულ გრძნობებს. ასეთი უფროსი კაცი ხევსუ-რული ზნეობის ერთგვარი განსახიერება იყო, მის წინაშე უნდა მდგარიყვნენ რძლები თავდახრილნი, ასე უნდა ესმინათ მისი ლაპარაკი. ოჯახში ამ უფროსი კაცისათვის საკუთრად აქვთ საგანგებო სკამი, საუფროსო სკამი, სადაც მივიდოდა ასეთი გავლენიანი ან უფროსი კაცი, სხვა ოჯახში თუ თემში საქმის გასარჩევად, ყველგან მას ასეთს საუფროსო სკამ-ზე მიიწვევდნენ“ (3, 42).

ახალგაზრდა მასპინძელი წესისამებრ მუდმივად ფეხზე იდგა და მათ ემსახურებოდა.

კერის (ყვერფნი-ხევსურულად) მარჯვენა მხარეს მხოლოდ კაცები სხდებიან. ამ ადგილს „სამამაცოს“ უწოდებენ, მარცხნივ ქალები სხდებიან, მას სადიაცო ეწოდებოდა. სამამაცოზე დედაკაცი ვერ დაჯდებოდა. საერთოდ, როგორც წესი, ქალები და კაცები ცალ-ცალკე პურობდნენ, თუმცა სამ-ოთხ კაციან სუფრას ოჯახის წევრები ხშირად ერთად შემოუსხდებოდნენ.

სუფრის წესებს გ. თედორაძე ასე აღწერს: „პურის ჭამად ჯერ მამაკაცები სხდებიან მერე დედაკაცები, საუკეთესო ლუკმასაც მამაკაცებს მიართმევენ (3,43). აქვე მოგვყავს არხოტის ადგილობრივი მთხრობელის გადმოცემაც: „ჭურჭელი არხოტში ხის იყო, ჯამებიც და კოვზებიც, თუ წვნიანი კერძი იყო მაგ.: ჴორც-წვნიანი, ან რძე ადუღებული, მას ჯამში ჩაისხამდნენ და ორი ადამიანი ჭამდა იმ ჯამიდან ერთი კოვზით მორიგეობით. ქალები ცალკე და კაცები ცალკე. საჭმელს ჯერ კაცები ჭამდნენ, მერე ქალები. ტაბლაზე ქვაბით ჩადგამდნენ მაგ.: ფაფას. ამ ქვაბში კოვზები იყო მრგვლად მოჯარებული, მერე ამ ქვაბს ქალებს გადაუდგამდნენ. კაცები ტაბლასთან ისხდნენ ერთ მხარეს, სადაც დიდი, გრძელი სკამი ჰქონდა მიდგმული. ამ სკამზე, როგორც აღვნიშნეთ უფროს-უმცროსობის მიხედვით სხდებოდნენ. ქალები ქვაბს ძირს, ქაზდარზე დაიდგამდნენ. კაცები გადაუდგამდნენ ხოლმე სადიაცო ადგილზე. ქალები დაბლა სხდებოდნენ უსკამოდ ქაზდარზე, შუაში ქვაბს ჩაუდგამდნენ და იმავე კოვზებით (გაურეცხავით) აგრძელებდნენ კაცების მონარჩენი საჭმელის ჭამას,

კოვზის გარეცხვა დიდი სირცხვილი იყო, არც საკუთარი კოვზის ტარება ყოფილა მიღებული. ეს რომ ვინმეს შემჩნია, სასტიკად გაილანძღებოდა საუფროსოში მჯდომისაგან. სახლიდან, თემიდან, წასვლაც კი მოუწევდა ამის მკადრებელს. მთხრობელი აღნიშნავს – შორიდანვე ვუთვალთვალებდი, ვის როგორი კოვზი ეჭირა (სხვადასხვანაირი კოვზები იყო დაჭრელებული) ვცდილობდი, ახალგაზრდა ვინც იყო იმის კოვზით მეჭამა საჭმელიო, „ქვაბს რო არ გადმადგემდესავ მაშიავ კოზს დავსცემდივ ჭელსავ, ფეჭზე მდგომელაივ, ჯერ დამჯდარიც კი არ ვიყავივ, ისრავ, მემრ დავჯდებოდივ საჭმელადავ (ე. ი. კოვზი შორიდანვე ჰქონდა შეთვალიერებული, ვისი ნახმარიც ერჩია, იმას იტაცებდა).

„დედაკაცები მეტს მუშაობდნენ ოჯახში, ვიდრე მამაკაცები. მამაკაცს შეეძლო მუშაობის დროს დასვენება, დედაკაცისათვის კი ეს სირცხვილი იყო. ღამით, როდესაც მამაკაცები იძინებდნენ, დედაკაცები განაგრძნობდნენ საქმიანობას; ჩეჩავდნენ, ართავდნენ, აკერებდნენ, ლოგინშიაც კი არ წვებოდნენ, იქვე მიწვებოდნენ ქაზდარში და მიიძინებდნენ (3, 41).

ხევსურის ბინის შინათმოწყობილობა თითქმის ერთფეროვანია და ძველებური იერი ადევს – რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის აღწერილი. „ყველგან უდგათ ზურგდაჭრებეული გრძელი სკამი და ლამაზად ნაჭრელი კარებიანი კიდობანი, რომელშიც საჭმელი ინახება. ჭურჭელს ხისას ხმარობენ, ასევე სპილენძისას. ყველაზე მეტად ხევსურეთში სპილენძის ჭურჭელს ეტანებიან და ზოგიერთი შეძლებული ხევსურის ჭერხოს ნახევარი სპილენძის ქვაბებსა და თულუხ-ტაშტებს უჭირავს“ (6, 41).

ოჯახის ძირითად სიმდიდრეს, სურსათ-სანოვაგესა და ცხვარ-ძროხასთან ერთად ფარდაგები, ხალიჩები, სპილენძის ჭურჭელი, იარაღი და მცირეოდენი ვერცხლეული (ძირითადად ვერცხლის ქამრების სახით) წარმოადგენდა.

ფულის დაგროვებისა და შენახვის ტრადიცია აქ არ ყოფილა. ნავთის ფარანი არხოტში მეოცე საუკუნეში შემოვიდა, მანამდე საცხოვრებელი ნათდებოდა კვარით, რომელსაც ხევსურეთში ჩირახს უწოდებენ. ესაა ფიჭვის ხის ნაწილი, მისივე ფისით გაჟღენთილი. მის სადგამს სავენტილიაციოც ჰქონდა, რომ ოთახი მეტისმეტად არ გამურულიყო.

სახლში საკულტო რიტუალების შესასრულებელი ადგილები არ ყოფილა, როცა საჭირო ხდებოდა ოჯახის ტერიტორიაზე საკლავის დაკვლა (ოჯახის მიერ დღეობის გადახდის დროს, ოჯახის სანათლავის დაკვლის დროს და სხვ.), ამ რიტუალის შესასრულებლად არჩევდნენ შედარებით სუფთა ადგილს. ხშირად წვრილფეხა პირუტყვის დასაკლავად მეორე სართულის ბანი გამოიყენებოდა.

ოჯახში ჩატარებულ ყველა რიტუალს ასრულებდა იმ ხატის ხუცესი, რომლის ყმადაც ოჯახი ითვლებოდა, ხოლო თითოეულ ხატს კი თავისი ხუცესი უძღვებოდა.

მართალია, დღეს არხოტში მეტ-ნაკლებად თანამედროვე ცხოვრების სტილია შემოსული, რაც მათი საცხოვრებლების ინტერიერის გამართვაშიც ვლინდება (სასადილო თუ საძინებელი ოთახები, სასტუმრო და ა. შ.), მაგრამ ის ძველებური ხევსურული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, რომელნიც არაერთგზის არის აღწერილი მკვლევართა მიერ, არხოტში დღესაც გვხვდება, რაც გამოწვეული უნდა იყოს არა ეკონომიკური სიდუხჭირით, არამედ წარსული ტრადიციებისადმი პატივისცემით.

დასკვნა

ამრიგად, ეთნოგრაფიული წყაროების საშუალებით მეტ-ნაკლებად საფუძვლიანად ვეცნობით საქართველოს ჩრდილო აღმოსავლეთ მთიანეთში (ხევსურეთში) მცხოვრებ ქართველთა ზნე-ჩვეულებებს. იქ არსებული არქეოლოგიური ძეგლების ნაშთების შესწავლის საფუძველზე მათი წინაპრების ყოფა-ცხოვრებასა და სულიერ სამყაროს.

ბუნებრივია, არქეოლოგიური დაზვერვების საფუძველზე ხევსურეთში გამოვლენილი, სხვადასხვა ეპოქისთვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლი ამ მიკრორეგიონის საფუძვლიან კვლევას მოითხოვს.

ვფიქრობთ, კულტურული მემკვიდრეობის სიძველეთა მკვლევარები მეტი გულმოდგინებით უნდა შეუდგნენ საქართველოს მთიანეთის ამ მიკრორეგიონის ხევსურეთის კომპლექსურ შესწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980;
2. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. 5. გადაკარგული მხარე. თბ., 1950;
3. გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1939;
4. ალ. ქალდანი, ცენტრალური კავკასიონის მთელთა კოშკური კულტურა, თბ,. 1990;
5. ს. მაკალათია ხევსურეთი, თბ., 1984;
6. ვალ. ითონიშვილი ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989;
7. მთხრობელი ნ . ცისკარაული 82 წლის. დედოფლის წყარო, სოფ. არხილისკალო, 2004;

Residential houses on the contrary Khevsureti

Mzia Tsiklauri, PhD student
Georgian Technical University

Summary

The work is dedicated to the description of residential houses on the contrary Khevsureti and the characterization of the leading interior artifacts, also old and modern relationships, hospitality, seniority, rights and responsibilities.

In the work are described family and household items, their use habits, and family traditions. Generally Georgian customs preserved in the mountains.

Key words: residential houses, hospitality, contrary Khevsureti, seniority, artifacts.

ქალთა მიერ განცდილი ტრავმები საომარი კონფლიქტების დროს

რუსუდან ჭელიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საზოგადებისთვის დიდი სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ზიანი მოაქვს ომებს, ბუნებრივ კატასტროფებს და სხვა კატაკლიზმებს.

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ტრაგიკული მოვლენა არის ომი. მისი შედეგები წარუშლელ კვალს ტოვებს ნებისმიერ ადამიანზე, მაგრამ ყველაზე მეტად ამ დროს ზარალდება ქალი. ომის შედეგად ადგილი აქვს მთელ რიგ დესტრუქციულ ფაქტორებს, როგორიც არის სიკვდილიანობა და ქალების მიერ განცდილი ტრავმები: ძალადობა, გაუპატიურება, ტრეფიკინგი, ლტოლვილობა და ა.შ.

ქალის ცხოვრებაში ომის შედეგად მიღებულ ტრავმებს შორის ერთ-ერთი მძიმე და გამოუსწორებელი ტრავმაა სიკვდილი. სწორედ სიკვდილი არის ფაქტორი, რომელიც განიცდება ერთი ქალის მიერ და თავისი თანამდევი უამრავი პრობლემით გამუდმებით თან სდევს მას ცხოვრების გზაზე.

საკვანძო სიტყვები: ომი, ქალი, ტრავმა, გენდერი.

შესავალი

შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალები და გოგონები არა მარტო მსხვერპლს წარმოადგენენ, არამედ კონფლიქტის აქტიური მონაწილეებიც არიან. ისინი შესაძლოა აქტიურად მონაწილეობდნენ კონფლიქტში, ან ეწეოდნენ არასაომარი ხასიათის მოქმედებას. შესაძლოა, ქალები და გოგონები ძალით, აიძულონ თან ახლდნენ შეიარაღებულ ფორმირებებს და შეასრულონ სექსუალური მონების ან მომსახურეების როლი. ქალები და გოგონები იმ საზოგადოებაში, სადაც თავად ცხოვრობენ, დიდ როლს ასრულებენ სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების აღდგენაში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იქაც კი, სადაც ქალები უშუალოდ მონაწილეობენ არაოფიციალურ, სამშვიდობო პროცესებში, ჩვეულებრივ ნორმად იქცა მათი ჩრდილში მოქცევა მაშინვე, როგორც კი იწყება სამშვიდობო მოლაპარაკებების ოფიციალური პროცესი.

ძირითადი ნაწილი

უპირველეს ყოვლისა უნდა შევეხოთ სიკვდილის საკითხს. ქალი, რომლის ოჯახის წევრებიც ომში იბრძვიან, მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. იგი დაუცველია და გამუდმებულ შფოთვებშია, იმის მიუხედავად, თუ ვინ

არის დაღუპული (მეუღლე თუ შვილი). მიუხედავად სხვადასხვა დანაკლისის შედეგად მიღებული ერთნაირი ტკივილებისა, ქალი განსხვავებული პრობლემების წინაშე დგება: შვილის დაღუპვის შემთხვევაში, მითუმეტეს თუ შვილი ერთადერთია, ქალი კარგავს ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციას, როგორიცაა დედობა; მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ქალი სხვა რიგის პრობლემების წინაშე დგება. მან უნდა იტვირთოს ოჯახში მამაკაცის ფუნქციები, გაზარდოს საკუთარ ქცევათა დიაპაზონი და შეავსოს იგი მამაკაცური ქცევებით. შეცვალოს თავისი „მე“- ს კონცეფცია. რასაკვირველია, ყველაფერი ეს ფსიქოლოგიურ კრიზისს გულისხმობს. ეს კრიზისი მთლიანად ოჯახსაც ეხება და ბავშვების ერთგვარ დაბნეულობას იწვევს, თუ „რატომ გახდა დედა მამა?“

ომის დროს ქალის მიერ განცდილ საშინელებათა რიცხვს ეკუთვნის გაუპატიურება, რომელიც კონფლიქტების დროს ბრძოლის ხერხადაა ქცეული.

გაუპატიურების გარდა, ქალის მძიმე ტრავმად ითვლება ლტოლვილობა, იძულებით გადაადგილება, რომელიც მუდამ თან სდევს ომს და კონფლიქტურ სიტუაციებს. ქალი, როგორც ლტოლვილი, კარგავს მისთვის უმნიშვნელოვანესს, კერიის შემანარჩუნებლის ფუნქციას. ცხოვრების შეცვლილი პირობები უამრავ ადაპტაციურ სირთულეებს მოიცავს: ჩაეწერო ახალ სოციალურ და ფიზიკურ გარემოში, გაუმკლავდე მატერიალურ სიდუხჭირეს და ა.შ. ხშირად ეს ყველაფერი ომის მატრავმირებელი გამოცდილების ფონზე მიმდინარეობს. ამგვარ პირობებში შესაძლოა ადამიანი ჩაითრიოს ნოსტალგიამ წარსულზე და შფოთვამ მომავალზე, რაც ხელს უშლის ადამიანს ადაპტაციაში.

აღნიშნული პორბლემატიკა საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი გახდა გასული საუკუნის 90 -იანი წლებიდან. ეს პერიოდი კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან. საქართველოს რესპუბლიკამ, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებმა, გადაიტანა მთელი რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური გადატრიალებები, რომელსაც თან სდევდა იმპერიის მსხვრევა და საომარი კონფლიქტები.

ფართოდ ცნობილია, რომ თანამედროვე ომებში უფრო მეტ ზარალს მშვიდობიანი მოსახლეობა იღებს. ქალთა და ბავშვთა უფლებები, რომლებიც გაცხადებულია საერთაშორისო დოკუმენტებში[1], გამუდმებით ილახება საომარი კონფლიქტების ზონებში.

პოსტ- კონფლიქტურ პერიოდში, საქართველოში, კონფლიქტურ ზონებში, ბავშვთა და დედათა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა კონფლიქტის პერიოდში მასობრივი იარაღის გამოყენების გამო.

საომარი კონფლიქტის ზონაში ცხოვრება მუდმივ საფრთხეს ქმნის.

[1] ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაცია 1989წ. ქალთა დაცვის დეკლარაცია, ბავშვების მდგომარეობა საომარი კონფლიქტების დროს და ა.შ.

ცხოვრების მძიმე პირობები ომის დროს მათი სახლებიდან გაქცევა, სხვებზე გამუმდებით ზრუნვა, სერიოზულ ფსიქო-ტრავმულ ფაქტორებს წარმოადგენს, რომლებმაც მიიღეს მასიური გავრცელებული სახე - უწესრიგობის ტრავმირებული სინდრომი, დაძაბულობა IDP2 მოსახლეობას შორის.

არსებობს რიგი დესტრუქციული ფაქტორებისა, რომელსაც ადგილი აქვს ომის შედეგად და რომელიც დამანგრეველად და ნეგატიურად აისახება ადამიანის ფსიქო-ემოციურ და სოციალურ- ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად გვევლინება სიკვდილიანობა.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ძალადობა ადამიანის განუყრელი თანამგზავრია. ძალადობის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები არიან. ძალადობის სინონიმებია: აგრესია, სასტიკი მოპყრობა, იძულება, წამება, მუქარა. ძალადობას ვხვდებით ნებისმიერ საზოგადოებაში, საზოგადოების ნებისმიერ ფენაში, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა, ეთნიკური და კლასობრივი კუთვნილებისა, ასაკის, განათლებისა და კულტურული დონისა.

ყველა ეს ფაქტორი შეიძლება განიცდებოდეს ერთი ქალის მიერ. ამრიგად, სიკვდილის ფაქტორი თავის თავში მოიცავს იმ უამრავ პრობლემას, რომელიც გამუდმებით ჩნდება ადამიანთა ცხოვრების გზაზე.

დასკვნა

არსებობს მთელი რიგი ტრავმებისა, რომელიც შეიძლება გადატანილი იქნას ქალების მიერ კონფლიქტური მდგომარეობის დროს, მაგრამ ყველაზე საბედისწერო მოვლენა ასეთ ვითარებაში არის სიკვდილი, რასაც ვერსად გაექცევა ადამიანი, მათ შორის კი განსაკუთრებით ქალი. ეს არის ომის შედეგად მიღებული გამოუსწორებელი და ერთ-ერთი ტრავმა ქალის ცხოვრებაში.

ომი წარმოშობს მრავალ ტრაგიკულ ისტორიას , რომელთა მოსმენა და გაანალიზება ყოველთვის შეიძლება ახლებური ხედვით და რომელთა შესახებ მუდამ ახალი კითხვები ჩნდება.

ლიტერატურა:

1. ზურიკაშვილი, ფ., მაღრაძე, გ., ჭანიშვილი, ნ., ხუციშვილი, გ., ჯორბენაძე, რ. კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, თბილიისი.2003.
2. თაბუკაშვილი, მ. მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეებში, ფონდი „ღია საზოგადოება- საქართველო“. 2004.
3. კენეთ ნ. უოლცი ადამიანი სახელმწიფო და ომი. 2003.
4. Маршания Р, Женские судьбы «Откритое Общество- Грузия» 2006

5. Жеребкина, И. «Удовольствие от войны, или война есть жизнь» 2001, Гендерные исследования,№6
6. Цовинар Назарова, Роза Кухалашвили, Гуманитарное право и проблемы защиты женщин от насилия и жестокости в ходе вооруженных конфликтов переходного периода в грузии. http//gains.iatp.org.gr/antitraf/KIEV/TRAFIDP.DOC
7. Kharashvili, Survey on Internally Displaced People. Report and Rerkomendations. December, 1995.

Women's traumas during war conflicts

Rusudan Tchelidze - PHD student
Georgian Technical University

Summary

The great social, economic and psychology damage for the society is brought from wars, natural calamities and other cataclysms.

One of the hardest and tragic events in the history of mankind is war. Its consequences leave indelible trace for any person, but mostly woman gets damaged. There is whole range of destructive factors as a result of war like mortality and traumas experienced by women: violence, rape, trafficking, refugee and other.

One of the hardest traumas in the life of women experienced as a result of war which cannot be improved is the death. Exactly death is the factor which is experienced by woman and follows her constantly with lots of relevant sequencing problems through the way of her life.

ეკონომიკა

ECONOMICS

მარკეტინგის როლი ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მარკეტინგის როლი ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარკეტინგის შემდეგი ძირითადი თავისებურებანი: მომხმარებელთა ბაზარი „რვიანის მოდელით"; მომხმარებელთა სურვილები, მაღალი მოტივაცია, ბიზნესპროცესების რეინჟინერინგი ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, მომხმარებელთა ბაზარი, კონკურენცია, ხარისხის მენეჯმენტი, პერსონალის მაღალი მოტივაცია, რეინჟინერინგი.

შესავალი

სიტუაცია მსოფლიოში, რომლითაც გარემოცულია თანამედროვე საწარმოები, ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებით, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი სამი:

პირველი თავისებურებაა: გამყიდველის ბაზარი, რომელიც მსოფლიოში გაბატონებული იყო არაერთი წლები და გაქრა გასული საუკუნის 70-იან წლებში. იგი შეცვალა მომხმარებელთა ბაზარმა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მასშტაბური ცვლილებებით შეღწევა ბიზნესში ხარისხის მართვის სისტემით. ამან გამოიწვია ახალი ბიზნეს მოდელის შექმნა, რომელიც პირობითად ორი ნაწილისაგან შედგება: „მომხმარებელთა მენეჯმენტისა" და „ბაზ-

რის მენეჯმენტისაგან“. გრაფიკულად ის “0რვიანის ფორმას“ წარმოადგენს. ეს პროცესი რეინჟინერინგის დეტალური დაგეგმვაა, გაუთვალისწინებელი გარე-მოების თავიდან ასაცილებლად და გადის სამ სტადიას.

ძირითადი ნაწილი

გაითვალისწინება მარკეტინგის როლი ხარისხის მართვის სისტემაში. ესენია: პერსონალის მომსახურების სერვისი; პასუხისმგებლობა გაყიდვების სრული ციკლის უზრუნველყოფით, როგორც ახალი, ასევე არსებული კლიენტებისათვის პირდაპირი ურთიერთობისას.

„ბაზრის მენეჯმენტი“, რომელიც „რვიანის მოდელის“ ზედა ნაწილშია მოთავსებული ასახავს მომხმარებლიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს, რომელიც ხელს უწყობს ამავე დროს ბიზნესის განვითარებას ხარისხის მენეჯმენტის სისტემასთან ერთად.

მარკეტინგის პირველი თავისებურება მომხმარებელს კარნახობს, რა, როდის, როგორი სახით და რა ფასად უნდა რომ მიიღოს პროდუქტი.

დღესდღეობით თანამედროვე საწარმოებისთვის მნიშვნელოვანია ბაზრის მარკეტინგული კვლევები, საწარმოს ამუშავების დაწყების წინ ზუსტად უნდა ვიცოდეთ ვინ, როდის და რა ფასად ყიდის თავის პროდუქციას ხარისხის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში რისკი შეიძლება წამგებიანი იყოს.

ამისათვის საჭიროა შეიცვალოს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, სისტემა და დამოკიდებულება ადამიანებს შორის მუშაობის პროცესში.[1].

საწარმოს უნდა ჰყავდეს არა მარტო მუდმივი მომხმარებლები, რომლებიც მუდმივად ყიდულობენ მათგან პროდუქციას, არამედ უნდა მოიყვანონ მეგობრები, ნათესავები, ნაცნობები.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს სამი წესი: 1. არ უნდა შეიზღუდოს ადამიანი კლიენტის მარტივი თვითდაკმა-ყოფილებით, რომელიც დაფიქსირებულია ხელშეკრულებაში, ტექნიკურ პირობებში ან სხვა ტიპის დოკუმენტებში. ამან ყველაფერმა შეიძლება ზიანი მიაყენოს საწარმოს. 2. საჭიროა პოტენციური მომხმარებლის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა. ასეთი მიდგომა ამცირებს წარმოების მოცულობას. 3. საჭიროა ახალი სახის წარმოების წამოწყება, რაც რადიკალურად შეცვლის მთელი საწარმოს ორგანიზაციას, მომსახურების სისტემას, რაც ძველზე უფრო მომხიბვლელია. ასეთი მიდგომა ორჯერ ამცირებს რესურსების ეკონომიას, კერძოდ, ენერგორესურსებს.[2]

მარკეტინგის მეორე თავისებურება მდგომარეობს ბაზრის კონკურენტუ-ნარიანობის მკვეთრი გაზრდით. გლობალიზაციის გამო, რომელიც მომავალში ცვლის სახელმწიფოს როლს, ეკონომიკაში.

გლობალიზაცია აძლიერებს საწარმოს კონკურენციის ორ პროცესს: 1. ეძებენ

ორგანიზაციის და მართვის ახალ მეთოდებს; 2. კორპორაციის ზრდა იწვევს კონკურენციის შესუსტებას ბაზრის მონოპოლიზაციის ხარჯზე.

მარკეტინგის მესამე თავისებურებაა: მომხმარებელთა სურვილების გათვალისწინება, რის შედეგად ბაზარზე სიტუაცია იცვლება სწრაფად შემდეგი ლოზუნგების გათვალისწინებით: „მომხმარებელი-მეფეა"; „მომხმარებელი-მოგების წყაროა"; თუ არ არის მომხმარებელი – არც ჩვენ ვართ (ბიზნესი)".

აღსანიშნავია, რომ მარკეტინგის ხარისხის მენეჯმენტში დიდი ადგილი უკავია ბიზნესპროცესების რეინჟინერინგს, რომლის ფუნდამენტური და რადიკალური გარდაქმნები აუმჯობესებს ბიზნესის შედეგიანობას ისეთ საკვანძო მაჩვენებლებში, როგორიცაა დანახარჯები, ხარისხი, კლიენტების მომსახურების დონე და ოპერატიულობა.[4].

ბიზნესპროცესების რეინჟინერინგის ჩატარება განპირობებულია ბაზრის სეციფიკიდან გამომდინარე მარკეტინგულ საქმიანობაზე დაყრდნობით. იგი შეიძლება მოკლედ დახასიათდეს შემდეგი ფაქტორების ერთობლივი მოქმედებით:

1. წარმოებული პროდუქცია უკვე აღარ ატარებს მასობრივ ხასიათს, იგი ორიენტირებულია მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისთვის განსხვავებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

2. ნაწარმი ლოკალური აღარ არის, მისი წარმოება შეიძლება ნებისმიერ წერტილში. თითოეული ეტაპი შეიძლება დასრულდეს იმ ქვეყანასა და საწარმოში, სადაც ეს უფრო ხელსაყრელია.

3. გაიზარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი პროდუქციის დაგეგმარებაში, წარმოებასა და რეალიზაციის სფეროში. გაზრდილია კონკურენცია და მომხმარებელთა ინფორმაციულობა, პროდუქციის ნაირსახეობა უფრო მეტად სპეციალიზდება.

კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის საჭიროა სამეწარმეო კომპანიებმა ხელახლა გაიაზრონ საკუთარი საქმიანობა და ფორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმდინარე პროცესების ნაწილობრივი გაუმჯობესება აღარ იძლევა სასურველ შედეგს.

რეინჟინერინგის ფუნდამენტური პრინციპია კომპანიის საქმიანობის ახლებური ორგანიზება, მარკეტინგის ხარისხის მენეჯმენტის გათვალისწინებით.

ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად საჭიროა გათვალისწინებული იყოს: მოტივირება, პროექტის ხელმძღვანელობა, თანამშრომლები გუნდში, ბიუჯეტი, ტექნოლოგიური მხარდაჭერა, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება.

დასკვნა

ამრიგად, დიდია მარკეტინგის როლი ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში. მისი საშუალებით უმჯობესდება კომპანიის ტექნიკური, ესთეტიკური და ექსპლოატაციური დონეები, ტექნიკური ხარისხი, კომპანიის პერსონალის მართვა, ამაღლებს ცხოვრების ხარისხს მოტივაციის საშუალებით ISO სტანდარტების შესაბამისად.

ლიტერატურა

1. ღიბრაძე. ნ., ხახუტაშვილი ე.. ტელეკომუნიკაციის კომპანიათა ხარისხის მენეჯმენტი სტუ, გვ. 155. თბ. 2015.
2. ბრაიან თრეისი. მარკეტინგი, გამომც. ლურჯი ოკეანე. გვ. 135. თბ. 2017 (თარგმანი ინგლისურიდან).
3. http://www.mc.misis.ru/
4. სამადაშვილი ა.. ბიზნესის მართვა რეინჟინერინგის მეთოდით. სტუ, 2018.

Role of marketing in Quality Management System

Elisabed Khakhutashvili, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

The role of marketing I big in quality management system. It supports business development. The reengineering of business processes is also quite important.

The modern enterprises are surrounded by a number of features. Customer market has been changed through which there is possible to penetrate large scale changes in business by quality management system. The mentioned caused creation of new model. There is also considered personnel service, responsibility providing full cycle of sales via direct contact with new also old clients. The reengineering of business processes takes great place in quality management system. The fundamental and radical transformation of reengineering improves business outcomes for key indicators, such as expenditures, quality, client service level and operability.

The technical aesthetic and exploitation level, technical quality of company is getting better, it improves life quality by motivation in accordance with ISO standards.

Keywords: Marketing, Customer of Market, Competition, Quality of Management, Hugh motivation of staff, Reengineering

Общие замечания по уравнению для задачи

Абдулкаримов Мамед, Доктор философских наук
в области педагогики

резюме

В статье указывается, что необходимо уделять больше внимания процессу решения проблем путем изучения общих уравнений, а также анализа и синтеза уравнения в соответствии с контекстом проблемы. Есть примеры того, как метод уравнения облегчает его решение в более сложных вопросах.

Ключевые слова: уравнение, задача, анализ, синтез, студент.

Опыт многих учителей показывает, что одной из основных причин трудностей учеников с уравнением является слабое развитие аналитических и синтетических суждений. Поэтому необходимо уделять больше внимания решению проблем путем анализа и анализа проблем с помощью методов синтеза и синтеза. Исходя из наших наблюдений, мы можем сказать, что:

1.Чтобы решить проблему с помощью уравнения, необходимо последовательно распределить вопросы по определенному принципу. Большинство учителей пытаются разобраться с проблемами в своей практике: некоторые из них последовательно решают проблемы с точки зрения сложности уравнения и степени сложности решения; некоторые последовательно формулируют проблемы в соответствии с их «содержанием» и поведением функциональной зависимости проблемы.

2. Преподаватель должен определить трудности, с которыми столкнутся ученики, готовясь начать решать уравнение.

3. При решении проблемы путем построения уравнения, правильное

решение всегда должно быть удалено. Опыт показывает, что студенты отказываются платить за найденное уравнение, но не думают о том, является ли уравнение правильным.

4. При решении задачи по уравнению важно помнить, что несколько простых задач сводятся к решению сложной задачи.

5. Очень важно научить студентов писать суждения при решении задачи с помощью уравнения.

6. Судебный процесс должен быть последовательным в решении проблемы, чтобы дать ученику возможность судить правильно:

(a) Решение проблемы с уравнением должно научить студента создавать простую и понятную схему, чтобы студент мог использовать схему;

(б) студент должен быть уверен, что всегда можно построить некоторые уравнения, чтобы найти решение в ходе урока (при решении задачи);

c) необходимо обеспечить адекватную подготовку, чтобы научить студентов решать проблему с помощью уравнения;

(d) Роль студента в решении проблемы ответственности должна быть хорошо продумана студентами.

В случае сложности метод уравнений облегчает решение; С помощью уравнения можно решить даже самый короткий из возможных методов, даже те, которые не могут быть легко решены никакими средствами. Давайте приведем пример.

Выпуск 1. Сестра на 8 лет старше сестры. Их возраст составляет 32 года. Определите возраст каждого брата и сестры.

Покажем решение этой проблемы с помощью отчетности:

Анализ проблемы - поскольку брат на 8 лет старше брата, когда мы достигаем 32-летнего возраста, мы обнаруживаем, что ему всего 24 года. Разделив 24 года на 2, мы обнаружим, что сестре 12 лет. Именно здесь вашему брату 20 лет.

Решим эту проблему методом уравнения.

Решение:

Обозначим возраст брата через x.

Вопрос - Сколько лет вашей сестре, если ей восемь лет?

Ответ - возраст сестры (8 лет).

По условию вопроса

$x + (x - 8) = 32$

Отсюда мы получаем $x = 20$.

Излишне говорить, что вашему брату 20 лет. Тогда сестре 20-8 лет = 12 лет.

Этот метод не требует каких-либо гипотез, и, кроме того, типичная

ошибка, которую допускают студенты при решении гашишного метода, здесь не допускается. Давайте покажем, в чем была ошибка. Опыт показывает, что при решении этих и других вопросов большинство учащихся сначала делят 32 года на 2, а затем добавляют 16–8 лет или 16–8 лет.

Давайте посмотрим на самый простой вопрос, касающийся пропорционального сечения.

Задача 2. В трех коробках 132 кг яблок. Яблоки во втором мешке в два раза длиннее первых, а третьи в три раза больше первых. Сколько килограммов у каждого яблока?

Если мы хотим решить эту проблему естественным путем, нам придется ее «угадать».

Решение от Habsab:

Предположим, что первое яблоко состоит из 1 части. Затем яблоки во 2-м мешке состоят из 2 частей, а яблоки в третьем - из 3 частей.

Вопрос - Сколько всего яблок стало?

Ответ - 6 частей.

Вопрос - 6 частей яблок 132 кг, сколько кг части?

Ответ -132 кг: 6 = 22 кг

В результате мы обнаружили, сколько кг яблок было найдено на каждой двери.

Давайте решим эту проблему по уравнению.

Отметьте яблоко (в килограммах) в первом поле с помощью x. Во втором отверстии будет 2x (кг), а в третьем - 3x (кг).

По условию вопроса

$$x + 2x + 3x = 132$$
$$6x = 132$$
$$x = 22$$

Кажется очевидным, что решение задачи по уравнению более естественно, где вместо одной части берется x (kg). Преимущество метода уравнения должно быть решено сначала, а затем с помощью уравнения.

Рассмотрим другой вопрос.

Выпуск 3. Два типа, 30 млн. Штук, дали 512 манатов. Материал первого типа - 18 манатов, второй - 16 манатов. Сколько метеоров было извлечено из каждого куска?

Если проблема будет решена естественным путем, это будет более трудным, и мы должны прибегнуть к гипотезе: «Если бы весь кусок был первого типа (или второго типа), сколько это будет стоить?»

Тогда решение проблемы требует длительного объяснения от учителя и

трудного логического вывода со стороны ученика. Если бы все произведение было первого типа, оно стоило бы на 28 манатов больше, чем 512 манатов. Это связано с тем, что каждый предмет первого типа по 28 манатов стоит по 2 маната за штуку. Поэтому, если 2 маната используются в пределах 28 манатов, первый тип ткани будет таким же хорошим, как матрас.

Проблема должна быть решена в первую очередь таким образом, чтобы учащиеся чувствовали, что метод гашиша сложен и сложен. Затем, когда задача будет решена с помощью уравнения, студенты увидят преимущество этого метода.

Решим эту проблему методом уравнения.

Предположим, что первый кусок взят x. Это будет 30-метровый метр от второго типа, поскольку он будет содержать только 30 тонн. Мы знаем, что каждая метрика части первого типа составляет 18 манатов, поэтому мы можем узнать, сколько x месяцев.

Цена первого куска матраса - 18x. Сумма денег, переданная второму типу, составляет 16 м (30 x), поскольку второй кусок (30 x) приобретается, а цена каждого метра составляет 16 манатов.

Так как за состояние дела этот пункт составляет всего 512 манатов:

$18x+16\cdot(30-x)=512$

они есть. Чтобы решить уравнение:

$$18x + 16- (30-x) = 512$$
$$18x + 480-16x = 512$$
$$2x = 512-480$$
$$2x = 32$$
$$x = 16$$

Ответ: 16 м от первого экземпляра и 14 м от второго типа.

Используемая литература

1. Каплан Б.С.и др. Методы обучения математики, Минск, 1981
2. Колягин Ю.М. Задачи в обучении математике, Москва,1977
3. Фридман Д.М, Турецкий Е.Н. Как научиться решать задачи, Москва, 1989

ლენტახერხიანი ჩარხის საკუთარი რხევის სიხშირის განსაზღვრა

ვახტანგ აბაიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ლენტახერხიანი ჩარხები გამოიყენება მორებისა და თხელი მერქნული მასალების დასანაწევრებლად. დანიშნულების მიხედვით ლენტახერხიანი ჩარხებია: მოსახერხი, ნაგვერდულების გამყოფი, სქელი ფიცრების დასანაწევრებლად და სადურგლო მრუდწირული დეტალების გამოსამუშავებლად.

ნაშრომში მიღებულია ლენტასახერხი ჩარხების წამყვანი და ამყოლი ბორბლების თავისუფალი რხევის დიფერენციალური განტოლებები, რომლითაც განისაზღვრება სისტემის თავისუფალი რხევის სიხშირეები.

საკვანძო სიტყვები: ლენტახერხიანი ჩარხი, სახერხი ლენტა, ლაგრანჟის განტოლება, დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა, თავისუფალი რხევები, დაძაბულობა, ინერციის ძალის მომენტი.

შესავალი

ლენტახერხიან ჩარხებში მჭრელი იარაღია ლენტახერხი (3) (ნახ. 1), რომელიც შემოხვეულია წამყვან (1) და ამყოლ ბორბლებზე (2).



ნახ. 1. სახერხი ლენტათი ხერხვის სქემა

ლენტახერხიანი ჩარხის უპირატესობა გამოიხატება მასში, რომ მჭრელი იარაღის წინსვლითი მოძრაობა უწყვეტია, გააჩნია მაღალი სიჩქარე და განახერხის სიგანე საგრძნობლად მცირეა. ლენტახერხიანი ჩარხები გამოიყენება მორების და თხელი მერქნული მასალების დასანაწევრებლად.

მჭრელი იარაღის (სახერხი ლენტა) მუშა შტოს სიხისტეს ქმნის ზედა (4) და ქვედა (5) მიმმართველებით.



ნახ. 2-ზე ნაჩვენებია ლენტახერხიანი ჩარხების ჭრის მექანიზმის საანგარიშო სქემა

R_1 არის მექანიზმის წამყვანი ბორბლის რადიუსი;

R_2 – არის მექანიზმის ამყოლი ბორბლის რადიუსი;

φ_1 – მექანიზმის წამყვანი ბორბლის მობრუნების კუთხე;

ℓ — მექანიზმის ამყოლი ბორბლის მობრუნების კუთხე;

ℓ – დრეკადი კავშირის სიგრძე.

ლენტახერხიანი ჩარხის ჭრის მექანიზმის წამყვანი და ამყოლი ბორბლების თავისუფალი რხევის დიფერენციალურ განტოლებებს ვადგენთ ლაგრანჟის დიფერენციალური განტოლების საფუძველზე, რომელსაც აქვს შემდეგი სახე

$$\frac{d}{dt}\left(\frac{\partial T}{\partial \dot{q}_i}\right)-\frac{\partial T}{\partial q_i}+\frac{\partial \Pi}{\partial \dot{q}_i}=0, \qquad (1)$$

სადაც T არის სისტემის კინეტიკური ენერგია;

q_i – არის სისტემის პოტენციალური ენერგია;

q_i – არის განზოგადოებული კოორდინატები.

ლენტახერხიანი ჩარხის ჭრის მექანიზმის კინეტიკური ენერგია.

$$T=\frac{I_1\dot{\varphi}_1^2}{2}+\frac{I_2\dot{\varphi}_2^2}{2}, \qquad (2)$$

სადაც I_1 არის სისტემის ქვედა ბორბლისა და ელექტროძრავის მასების ინერციის მომენტი;

$\dot{\varphi}_1$ – სისტემის ქვედა ბორბლის კუთხური სიჩქარე;

I_2 – არის სისტემის ზედა ბორბლის მასის ინერციის მომენტი;

$\dot{\varphi}_2$ – არის სისტემის ზედა ბორბლის კუთხური სიჩქარე.

ლენტახერხიანი ჩარხის ჭრის მექანიზმის პოტენციალური ენერგია

$$\Pi = \frac{c\Delta\ell_1^2}{2} + \frac{c\Delta\ell_2^2}{2}, \tag{3}$$

სადაც $c = \dfrac{EF}{\ell}$;

E არის ხერხის რტყელას დრეკადობის მოდული;

F – არის ხერხის რტყელას განივი კვეთის ფართობი

$$\Delta\ell_2 = R_2\varphi_2 - R_1\varphi_1; \tag{4}$$

$$\Delta\ell_2 = R_2\varphi_2 - R_1\varphi_1. \tag{5}$$

დრეკადი კავშირის წაგრძელება $\Delta\ell$ შეიძლება გამოისახოს დამატებითი დაძაბულობებით

$$\Delta\ell_1 = a_1\Delta\sigma_1; \tag{6}$$

$$\Delta\ell_2 = a_2\Delta\sigma_2, \tag{7}$$

სადაც

$$a_1 = \frac{\ell}{E} + \frac{R_2}{\mu_0 E}\left(1 - e^{-\mu_0\varphi_0}\right); \tag{8}$$

$$a_2 = \frac{\ell}{E} + \frac{R_1}{\mu_0 E}\left(e^{\mu_0\varphi_0} - 1\right), \tag{9}$$

φ_0 არის სახერხი ლენტას დრეკადი სრიალი ბორბალზე;

μ_0 არის სახერხი ლენტას ბორბალზე ხახუნის კოეფიციენტი.

ლენტასახერხი ჩარხის ჭრის მექანიზმის ბორბლების თავისუფალი რხევის დიფერენციალური განტოლებათა სისტემას აქვს სახე:

$$I_1\ddot{\varphi}_1 + R_1F(\Delta\sigma_1 - \Delta\sigma_2) = 0; \tag{10}$$

$$I_2\ddot{\varphi}_2 + R_2F(\Delta\sigma_2 - \Delta\sigma_1) = 0. \tag{11}$$

(4), (5), (6) და (7)-ის გათვალისწინებით (10) და (11) განტოლებები მიიღებს სახეს

$$\ddot{\varphi}_1 = \frac{R_1R_2Fa_3\varphi_2}{I_1} - \frac{R_1^2Fa_3\varphi_1}{I_1}; \tag{12}$$

$$\ddot{\varphi}_2 = \frac{R_1R_2Fa_3\varphi_1}{I_2} - \frac{R_2^2Fa_3\varphi_2}{I_2}, \tag{13}$$

სადაც

$$a_3 = \frac{a_1 + a_2}{a_1 a_2}. \tag{14}$$

(12) და (13) განტოლებათა სისტემიდან განისაზღვრება საკუთარი რხევის სიხშირე

$$P = \sqrt{R_1 F a_3 \left(\frac{R_1}{I_1} + \frac{R_2}{I_2} \right)}. \tag{15}$$

ლიტერატურა

1. Манжос Ф.М. Деревoрежущие станки. М., 1983.
2. Бидерман В.Л. Механика тонкостенных конструкций. М., 1977.
3. Дружков Г.Ф. Ленточнопильные станки для распиловски древесины. М., 1983.
4. Светлицкий В.А., Стасенко И.В. Сборник задач по теории колебаний. М., 1989.

Определение частоты собственных колебаний ленточнопильных станков

Вахтанг Абаишвили, профессор ГТУ

Резюме

Ленточнопильные станки применяются для распиловання тонких древесных материалов и бревен.

В зависимости от назначения ленточнопильные станки разделяются на три основных вида: Бревнопильные, делительные для деления горбылей и толстых досок, легкие столярные для выпиливания криволинейных деталей.

В работе выведены дифференциальные уравнения для определения частот собственных колебаний ленточнопильных станков.

Ключевые слова: ленточнопильный станок, лентовая пила, уравнение Лагранжа, система дифференциальных уравнений, свободное колебание, напряжения, момент инерции.

სითხის სიბლანტის კოეფიციენტის გაზომვა პუაზეილის ფორმულის გამოყენებით

ომარ კეთილაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მანანა ჩიხლაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ილია ქანთარია, ლაბორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ლაბორატორიულ პირობებში პუაზეილის ფორმულის გამოყენებით ნიუტონისეული სითხეების სიბლანტის კოეფიციენტის გამოთვლის მეთოდი. მოცემულია ცდის შედეგები ტექნიკური წყლის შემთხვევაში. გამოთქმულია მოსაზრება იგივე მეთოდის საშუალებით არანიუტონისეული სითხეების კვლევის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: დინამიკური სიბლანტე, კინემატიკური სიბლანტე, რეინოლდსის რიცხვი, არანიუტონისეული სითხეები.

შესავალი

სიბლანტე სითხეთა თვისებაა ხელი შეუშალოს მისი ერთი ნაწილის გადაადგილებას მეორის მიმართ. სიბლანტის გამოვლენას განაპირობებს მოძრავ სითხეებში მოლეკულათა შორის არსებული ურთიერთმიზიდვის ძალთა შედეგად შინაგანი ხახუნის ძალების წარმოშობა. სითხეთა სიბლანტე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სითხის მოცულობით გასავალსა და დინების ხასიათზე. ამიტომ შექმნილია ხელსაწყოები და შემუშავებულია სხვადასხვა მეთოდი სიბლანტის მახასიათებლი სიდიდეების: η- დინამიკური და ν- კინემატიკური სიბლანტის კოეფიციენტების გასაზომად.

ძირითადი ნაწილი

ჩვენი მიზანი იყო ლაბორატორიულ პირობებში კაპილარიდან სითხის გადმოდინების სიჩქარის გაზომვით, სტუდენტებს შეძლებოდათ აღნიშნულ სიდიდეთა გამოთვლა. ნახაზ 1-ზე მოცემულია ექსპერიმენტის სქემა. ფართე მაღალ მილში ჩავასხათ გამოსაკვლევი სითხე. ონკანის გახსნისას $\Delta p = \rho g h$ წნევის არსებობის გამო ρ სიმკვრივის სითხე იწყებს გადმოდინებას მინის გრძელი კაპილარული მილიდან და სითხის სვეტის სიმაღლე ფართო მილში კლებულობს.

წინასწარ, $(h_1 - h_2)$ -ის მუდმივი მნიშვნელობის შენარჩუნებით, შევარ-

ჩიოთ ფართო მილიდან გამოდევნილი სითხის ფიქსირებული მოცულო-ბის სი დიდე:

$$\Delta V = \frac{1}{4}\pi D^2\left(h_1 - h_2\right) = \frac{1}{4}\pi D^2 \upsilon_1 \Delta t \qquad (1)$$

სადაც $\upsilon_1 = \frac{h_1 - h_2}{\Delta t}$ მოცემულ მონაკვეთზე სითხის ჩამოდინების საშუალო სიჩქარეა, ხოლო Δt ჩამოდინების დრო, რომელიც თანდათან მატულობს წნევათა სხვაობის შემცირების გამო:

$$p_1 - p_2 = \rho g \frac{h_1 + h_2}{2} \qquad (2)$$



ნახაზი 1.

სითხის უწყვეტობის განტოლებიდან $\upsilon_1 S_1 = \upsilon_2 S_2$ გამომდინარე, კაპილარში სითხის მოძრაობის შესაბამისი სიჩქარე იქნება:

$$\upsilon_2 = \left(\frac{D}{d}\right)^2 \upsilon_1 \qquad (3)$$

პუაზეილის ფორმულის თანახმად კაპილარში სითხის ლამინარული დინებისას მოცულობითი გასავალი გამოითვლება ფორმულით:

$$Q = \frac{\Delta V}{\Delta t} = \frac{\left(p_1 - p_2\right)\pi r^4}{8\eta L} \qquad (4)$$

შევიტანოთ (1) და (2) (4)-ში და განვსაზღვროთ სითხის დინამიკური სიბლანტე:

$$\eta = \frac{\rho g\, d^4}{64 D^2 L}\,\frac{h_1 + h_2}{h_1 - h_2}\Delta t = a\rho\frac{h_1 + h_2}{h_1 - h_2}\Delta t \qquad (5)$$

$a = \dfrac{g\,d^4}{64D^2L}$ სიდიდე მოცემული ცდის შემთხვევაში მუდმივია, ამიტომ ის შესაძლებელია ერთჯერადად წინასწარ გამოითვალოს.

სითხის კინემატიკური სიბლანტის გამოსათვლელად ვისარგებლოთ ფორმულით:

$$\nu = \eta / \rho \qquad (6)$$

კაპილარში დინების ტიპის დასადგენად შესაძლებელია რეინოლდსის რიცხვის $\mathrm{Re} = \dfrac{\upsilon \rho d}{\eta}$ გამოთვლაც. რადგან სიბლანტე ტემპერატურის ფუნქციაა ამიტომ ექსპერიმენტის ჩატარებისას უნდა დაფიქსირდეს ტემპერატურის მნიშვნელობაც.

ექსპერიმენტული ნაწილი:

1. შეავსეთ მილი გამოსაკვლევი სითხით.
2. ერთდროულად გახსენით ონკანი და ჩართეთ წამმზომი.
3. დააფიქსირეთ სითხის საწყისი დონის (2÷3)სმ-ით შემცირებისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა.
4. ჩაატარეთ (3-5) გაზომვა სითხის უფრო დაბალი დონეებისთვის. შედეგები შეიტანეთ დაკვირვებათა ცხრილში.

შედეგების დამუშავება:

თითოეული გაზომვის შედეგების გამოყენებით გამოთვალეთ:

1. სითხის სიჩქარე მილსა და კაპილარში;
2. სითხის დინამიკური სიბლანტე;
3. სითხის კინემატიკური სიბლანტე;
4. ააგეთ დინანიკური სიბლანტის სიჩქარეზე დამოკიდენულების გრაფიკი.
5. შეაფასეთ ექსპერიმენტის სიზუსტე.

დაკვირვებათა ცხრილი

№	h_1 სმ	h_2 სმ	t წმ	υ_1 სმ/წმ	υ_2 სმ/წმ	η პა.წმ	ν მ²/წმ
1							
2							
3							
4							
5							

ჩვენს შემთხვევაში გამოსაკვლევი სითხე იყო წყალი ($\rho_{წყ}$=1,1•10^{3}კგ/მ^3). მოცემული პარამეტრების დროს (t^0=25^{0}C, d=0,1სმ, D=1,1სმ, L=30,2სმ) გაზომვების შედეგები მოცემულია ცხრილ 1-ში, საიდანაც $\eta_{საშ} = 1{,}13 \cdot 10^{-3}$ პა.წმ(5%) $\mathrm{Re} = (270 \div 470)$.

ცხრილი 1.

№	h_1 სმ	h_2 სმ	t წმ	υ_1 სმ/ წმ	υ_2 სმ/ წმ	η პა.წმ	$\nu_{საშ}$ მ^2/წმ
1	61,4	57,4	9,75	0,41	49,61	1,10 ·10^{-3}	
2	55,4	51,4	10,68	0,37	44,77	1,09 ·10^{-3}	
3	49,4	46,4	9,34	0,32	38,72	1,14 ·10^{-3}	
4	43,4	40,4	11,04	0,27	32,67	1,18 ·10^{-3}	
5	37,4	34,4	12,22	0,25	30,25	1,12 ·10^{-3}	1,03•10^{-6}

შეიძლება აღწერილი ცდით შესწავლილი იქნას არანიუტონისეული სითხეების (მაგ. რძე) სიბლანტის კოეფიციენტის დამოკიდებულება სიჩქარეზე (ნიუტონის სითხეებისათვის η=const(υ)).

ლიტერატურა

1. 1. Ю. С. вайль, И. А. Гофман, Л. А.Воликова,…. Пракгикум по биологической имедицинской физике. Ленинград 1987.
2. 2. Кравцов, А. М. Гидравлика. Лабораторный практикум Минск, 2018.

Measurement of the viscosity coefficient of a liquid using poiseuille's formula

Omar Ketiladze, associate professor of GTU
Manana Chikhladze, associate professor of GTU
Ilia Kantaria, assistent of GTU

Summary

The paper deals with the method of calculation of the viscosity coefficient for Newtonian liquids using Poiseuille'sformula. The experimental results in the case of the technical water are given. The opinion concerning the investigation of non-Newtonian liquids by the same method is spoken out.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ, მარცხენა – 30 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე, ხოლო სათაური, ავტორის/ავტორთა მონაცემები აუცილებლად ინლისურ ენაზეც. მას უნდა ახლდეს რეზიუმე (დაახლოებით 150 სიტყვა).

ნაშრომის სტრუქტურა:

- **სტატიის სათაური**
- **ავტორის სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება**
- **რეზიუმე ქართულ ენაზე;**
- **საკვანძო სიტყვები;**
- **შესავალი**
- **ძირითადი ნაწილი**
- **დასკვნა**
- **ლიტერატურა**
- **რეზიუმე უცხოურ ენაზე**
- **სტატიის დასახელება და ავტორის რეგალიები აუცილებელია ინგლისურ ენაზე.**

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი აუცილებლად უნდა იყოს TIF ფორმატში;
- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- კრებულის ერთ ტომში დაშვებულია ერთი და იმავე ავტორის მხოლოდ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს;
- მაგისტრანტების ნაშრომი ერთპიროვნულად უნდა იყოს შესრულებული;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების“ დეპარტამენტში (ოთახი 805 ᵇ, კორპ. 6).

ტელ.: 68-13 (შიდა); 599-553-980; 595-507-158; 599-557-993; E-mail: ganatleba2018@gmail.com.